

766  
1992

ISSN 0234-7385

ქართული  
ნავალთავი

XVII

საქართველოს მთანარჩუნების აკადემია  
ქ. კაპილიძის სახ. ხალაზიშვილი ინსტიტუტი

ქართველობის  
მარალთა კი  
ფილოლოგიურ-ისტორიული  
ძიებანი

XVII



თბილისი  
„მთანარჩუნება“  
1992

83. 3(2Γ)  
გ 90

„მრავალთავის“ მოწიგა, XVI ტომი ეხება ძევლი ქართული ფილოლოგის სხვადასხვა სკოტებს — ძევლი ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პრობლემებს. კრებული მოიცავს აგრეთვე კრიტიკის, ბიბლიოგრაფიისა და სამეცნიერო ინფორმაციის შემცველ მასალას.

ნაშრომი გამიზნეულია ძევლი ქართული ფილოლოგის სპეციალისტებისათვის.

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, ც. კახაბრი შვილი (მდივანი), მ. მამაცაშვილი, ელ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ც. ცაგარე შვილი, ე. ხოშტარია.

ტომის რედაქტორი მ. მამაცაშვილი

რეცენზენტები: ფილოლოგის მეცნ. დოქტორები ც. ქურციკიძე,  
გ. ნინუა

გ 4603020102  
M 607(06)-92 103-91

ც გამოშეტლობა „მეცნიერება“, 1992

ISBN 5-520-01103-6

066053 გამიპავილი

ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მფერდობის  
ზოგიერთი საკითხი

ქართული ორიგინალური ჰავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების შესწავლას საქმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მათ შესახებ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურაც ასსებობს ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე. შესწავლილია ჰავიოგრაფიულ თხზულებათა არა მარტო ისტორიულ-ლიტერატურული, პრიბლებები, არამედ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხებზე.

ბუნებრივია, თითოეული ძეგლის მეცნიერული დამუშავება. უპირველეს ყოვლისა, ამ თხეულებათა ტექსტების მეცნიერულ პუბლიკაციებს ემყარება. მეცნიერული სიზუსტით დადგენილი და გამოცემული ძეგლი მასზე დამყარებული მეცნიერული კვლევის საწინდარია.

ქართული ჰაგორგრაფიული ცალკეული თხზულების, თუ თხზულებათ კრებულების პუბლიკაციებსაც თავისი ისტორია აქვთ. მაგრამ ბოლო წლებამდე არ არსებობდა ორიგინალური ძეგლების გამოცემის სრული კორპუსი (მ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“, სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, ასაუნჯის“ I ტ. და სხვა ასეთი გამოცემა სპეციალურ მიზნებს ისახავდა, არც ერთი მათვანი არ არის სრული, არც კრიტიკული).

ჰაგიოგრაფიული ქედების სრული კორპუსის გამოცემის იდეა ხელნაშერთა ინსტიტუტში განხორციელდა. მის ხორციელებას ინსტიტუტის თანაშემსრულები იღ. აბულაძის ხელმძღვანელობით შეუდგენ ხელნაშერთა ინსტიტუტის დარსებისთანავე (1958 წ.). ამ შრომის შედეგად გამოქვეყნდა „ქველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ ოთხი ტომი: I წიგნი დაიბეჭდა 1963 წელს, II — 1966 წელს, III — 1971 წელს და IV — 1968 წელს. ამ ტომებს მოვალეობით მიემატა VI წიგნი — 1980 წელს და V წიგნი — 1989 წელს. ამ ტომებში თავმოყრილია ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებათა ყველა ფანრისა („წამებანი“, „ცხოვრებანი“) და რედაქციიზ (იმენტური, მეტაფრასული და სიინაქსარული) ყველა ძეგლი. ასე რომ, ეს გამოცემა ჯერჯერობით ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ერთადერთი სრული ჰუბლიყაციაა.

თავიდანვე ჩაიფრებული იყო ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მთლილ უძველესი ძეგლების ტექსტის გამოცემა (I—IV ტომი). რაც V—XIV სს. ქრისტიანობის განვითარების იფარგლებოდა, ამასთანავე გამოცემულ ტომებს არ ახლდა არავითარი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევი (IV ტომის გარდა) და ლექსიკონ-საძიებელი. რაც შეეხება საცნობარო პარატს, ოთხივე ტომის სიმფონიის შედეგენა განხრახსული იყო კორპუსის გამოცემის დამთავ-

ჩების შემდეგ, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევის დართვა კასაგრძოლო არ იყო გათვალისწინებული. რადგან ასეთი გამოკვლევა ახლავს IV ტომს (სკონაქსარული ჰაგიოგრაფიის მიმოხილვა) და ვვინან დამატებულ ტომებს (V ტომი — XVIII ს. ქართული ჰაგიოგრაფია და VI — ანტონის „მარტინიკა“), ამიტომ გადავწყვიტეთ წარმოგვედგინა ძევლი ქართული მწერლობის ას დარგის ზოგადი მიმოხილვაც, რომელიც უნდა დართოდა ქრონილოგიურად ყველაზე ბოლოს გამოსულ „ძეგლების“ V წიგნს, რაც ვერ განხორციელდა ტექნიკური მიზნების გამო. ამიტომ ვვინდება მისი გამოქვეყნება ცალკე წერილის სახით „ძეგლების“ ექვსტომეულის გამოცემის დამთავრებასთან დაკავშირებით.

ქართული ჰაგიოგრაფიის ძირითადი საკითხები საკმაო სისტულით არის დამუშავებული კორნელი კაკელიძის, ივანე ჯავახიშვილისა და მათი მოწაფეების შეირ. მაგრამ მისი კვლევა, რა თქმა უნდა, გრძელდება და ქართული ფილოლოგიური მეცნიერება ძევრი საინტერესო დაკვირვებით მდიდრდება. წინა-შდებარე ნარკვევს იმდენად მეცნიერული კვლევის პრეტენზია არა აქვს, რამდენადაც მისი მიზანია ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას შეითხელს ჰაგიოგრაფიულ კორპუსში წარმოდგენილ ძეგლებზე და დაანახოს მას ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების პოზიტიური მხარე ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის საერთო ფონზე. ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაზე თვალის გადავლება კი ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ეროვნული ხასიათისა და მისი ორიგინალური გზების ძიებათა ჩვენებისათვის გამოდგება.

\* \* \*

ქრისტიანული ერების მწერლობის ისტორიაში ჰაგიოგრაფიული დარგის ლიტერატურას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის პირველი თხზულებები ბიზანტიურ-რომაულ ქრისტიანულ გარემოში შეიქმნა და თანდათანობით გავრცელდა დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში, მათ შორის ქართულშიც. ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის ისტორიაში ჰაგიოგრაფია, კერძოდ მისი თავდაპირელი უანრი „მარტინოლოგია“, ანუ ქართულად „წამებანი“, ბიბლიოლოგიური ლიტერატურის შემდეგ ქრისტიანული მწერლობის უძველესი დარგია, ხოლო ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით მას დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულება აქვს.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის წარმოშობას ძირითადი თეორიული საფუძველი ახალი აღთქმის ლიტერატურამ, კერძოდ, სახარებამ დაუდვა. ქრისტეს და მისი შოწაუების ცხოვრებამ და მოწამებრივმა აღსასრულმა წარმოშვა მოწამეთა კულტის დაფუძნების იდეა, ხოლო მათი მარტივილობათა ლიტერატურულ დამუშავებაში სახარების მოტივებისა და ლიტერატურული ხერხების გარდა გამოყენებულია წარმართული ბერძნული რომანის ძირითადი ელემენტები. ქრისტიანობის წარმოშობის პირველი წლებიდანვე ქრისტეს მოწამებრივი იდეა-ლი ყველა ქრისტიანის მისაბაძ მაგალითად იქცა, ხოლო მოწამეობა — ქრისტიანული რწმენის აღიარების კეშმარიტ გამოხატულებად. ბერძნულ-რომაული წარმართული იმპერია, რომლის წიაღში წარმოშვა ქრისტიანული რელიგია, საქამაოდ ნოუიერ ნიადაგს უქმნიდა ახალი რელიგიის მიმდევართ, სისტულუში მოეყვანათ თავიანთი მისწრაფება.

ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული მწერლობის მაგალითი არ გამოგვება ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის წარმოშობის ასახსნელად,

ქართული ჰაგიოგრაფია არ წარმოშობილა წარმართულ სამყაროში. მიუწვდია ეს შეფის ეპიკაში, როდესაც ისტორიული ცნობებით იწყება ქრისტიანობის ჩასახვა ქართულ წარმართულ ქვეყანაში, არც მოწამეობრივი ფაქტებია ნახ-სენები და არც ქრისტიანთა დევნის შემთხვევებია დადასტურებული ცოლა-ცლთა „წამებაში“ მოთხრობილი სურათი, წარმართი მშობლების მიერ გა-ქრისტიანებული მცირებულოვანი შეილების დახმცვის ამბავი, რომელიც ტაოს შოთა სოფელ კოლაში\* მომხდარა დაახ. VI ს., ხოლო აღწერილია IX ს. ძეგლ-ზე, არტიპიურია და გვიანდელი. ასევე გვიანდელია და საეჭვოც წმ. ნინოს XI ს. სვინაქსარული ცნობაც (Sin 4), რომ მან „მრავალგზის წამებანი (და-ითმინა) მირიან უღმრთობესა კელმწიფისაგან“ — (ძეგლები, IV, 351). პირიქით ლოიალური დამოკიდებულება ახალი სარწმუნოების მიმართ ჩანს ნინოს მიერ ნანა დედოფლის მოქცევის თუნდაც ლეგნდურ გადმოცემაში. საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრება ბიზანტიური ქრისტიანობის დიდ გამოცდილებას ემყარებოდა და მის მიერ შემუშავებული მზამზარეული ფორმების გადმო-ხერვას ითვალისწინებდა. ამიტომ მარტვილოლოგიური თხზულებები ქართუ-ლი საზოგადოებისათვის მხოლოდ ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ნიმუშებით უნ-და ყოფილიყო ცნობილი, როგორც ეს შუშანიების წამებაში ნახსენები „წიგნია შოწამეთანი“-დან ჩანს. საქართველოში ჰაგიოგრაფიის ორიგინალური თხზუ-ლებების შექმნას სულ სხვა საფუძველი ჰქონდა, ვიცერე ბიზანტიაში, სადაც ძოისტიანობის ჩასახვიდან წარმართულ რელიგიასთან ბრძოლაში მის საბო-ლოო გამარჯვებამდე ოთხი საუკუნე გავიდა და სადაც ქრისტიანულ მწერ-ლობას პირველი საუკუნეებიდანვე ჰქონდა თავისი ლიტერატურული ტრადი-ცია ევანგელური ლიტერატურის სახით.

უკველია, საქართველოში ქრისტიანულ რელიგიას საბოლოოდ დამკვიდრე-ბამდე წარმართული სარწმუნოების დაძლევა მოუხდებოდა და არ შეიძლება ეს პროცესი უმტკიცენებულოდ წარმოვიდგინოთ, მაგრამ ამ ფაქტს არ განუპირობებია გართული ჰაგიოგრაფიის წარმოშობა, თუმცა არ შეიძლება ამ გარდამავალ პე-რიოდს ქართველ ქრისტიანთა გარევეული ნაწილის სიცოცხლე არ შეეწირა. საქმე ისაა, რომ კიდეც რომ არსებულიყო წყარო, ორიგინალური ჰაგიოგრაფია კერ შეიქმნებოდა ამ დროს საქართველოში ქრისტიანული მწერლობის ტრა-დიციების უქონლობის მიზნებით: საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო გა-ძრევების შემდეგ ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურა და საექლესიო ორგანიზაცია ერთ-ერთი წყარო და საფუძველი იყო ნაციონალური სეკლესიონ ირგანიზაციისა და საეკლესიო ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითა-რებისათვის.

ფაქტია, პირველი ჩვენამდე მოლწეული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებები „მარტიროლოგიური“ ხასიათისაა და ამშე მოულოდნელი არა-ფერია, რადგან ქრისტიანულმა ერებმა ჰაგიოგრაფიული მწერლობა ყველგან ას უანრით დაიწყეს. ეს უანრი ემყარება ამა თუ იმ სახელმწიფოში შექმნილ სპეციფიკურ საშინაო თუ საგარეო პირობებს: ქრისტიანობისა და ქრისტია-ნებისადმი დაპირისპირებული ანტაგონისტური ძალების არსებობას და მო-წამეობის რეალურ ფაქტებზე დაწერილ თხზულებებს (ცალკეულ ქრისტიანთა წამების მარტოლდენ ფაქტი რელიგიის ისტორიის კუთხიობებაა და არა ჰა-გიოგრაფიული მწერლობისა). ქართულ ქრისტიანულ სახელმწიფოში ორიგი-ნალური მარტიროლოგიური მწერლობის წარმოშობისათვის შინაპოლიტიკური პირობები არ არსებობდა. ქართული ჰაგიოგრაფიის არსებობის მანძილზე ქარ-თული „მარტიროლოგიური“ ჰაგიოგრაფიული თხზულებების შექმნის საფუ-

ძველი მხოლოდ მაზდეან და მაპმადიან დამპყრობელთა მიერ შექმნილი დღის მისამართი ტიტული იყო, რომელსაც უპირისპირდებოდა ქართული ეკლესის რელიგიური და ეროვნული ინტერესები. ქართული ჰაგიოგრაფიის საწყისებიც, რომლის ზუსტი დროის დადგენისათვის გრძელობით ცნობები არ მოვალეობდა, ალბათ ზემოთ აღნიშნულ სიტუაციებში უნდა ვეძებოთ. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა „მარტინოლოგიით“ დაიწყო. მას თქმის საშუალებას გვაძლევს არა მარტო ჩვენამდე შოლწეული პირველი ორიგინალური „ჰაგიოგრაფიული ძეგლი „შუშანიკის ჭამება“, არამედ ამაზე მიგვანიშნებს იყანებ ხუცესის თხზულების იდეურ-მხატვრული დონეც, რომელსაც უკველად ძლიერი და მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურული ტრადიციები უნდა უძლოდეს წინ. მხოლოდ ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების მიბაჭით ასეთი დონის ჰაგიოგრაფიული თხზულება ვერ დაიწერებოდა. ბიზანტიური საეკლესიო მწერლობისაგან განსხვავებით, მარტინოლოგია ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის სრულ-უფლებიანი უანრია „ცხოვრების“ უანრის ვერდით საეკლესიო მწერლობის არსებობის მთელ მანძილზე V საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. უფრო მეტიც, ჰაგიოგრაფიული მწერლობის ბოლო პერიოდში (XVIII ს.), ანუ უფრო სწორად, ჰაგიოგრაფიული მწერლობის ხელახლა აღორძინების ხანაში გვი „ცხოვრების“ უანრზე უფრო გავრცელებულია. მისი ასეთი ხანგრძლივობა საქართველოს ისტორიული მდგომარეობით იყო განპირობებული.

\* \* \*

ბიზანტიური „მარტინოლოგიის“ წარმოშობის ძირითად საფუძვლად როგორულ-ბერძნულ წარმართულ იმპერიაში ქრისტიანთა დევნის შემთხვევებს ასახელებენ. საქართველოში შეგვასი ფაქტი გამორჩეულია ჰაგიოგრაფიული მწერლობის უკვე ქრისტიანულ გარემოში წარმოშობის გამო. მაგრამ ისმის საკითხი: იდევნებოდა თუ არა ქრისტიანული სარწმუნოება საქართველოში არაქრისტიან დამპყრობელთა მიერ წმინდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე? იყო თუ არა ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დაცვა მოწამის სიკვდილით დასჯის მიზეზი?

ამ საკითხს უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ: არც მაზდეანური სპარსეთისა და არც მაპმადიანური არაბეთის საქართველოში ბატონობის დროს ქართველ ქრისტიანთა დასჯის მიზეზი არ ყოფილა მხოლოდ სარწმუნოებრივი აღმარტინობა. შუშანიკისა (V ს.) და ევსტათი მცხეოლის წამების (VI ს.) ისტორიულად რეალურ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მაზდეანური სპარსეთის საქართველოში ბატონობის დროს, ერთმანეთისაგან განსხვავებული საფუძველი აქვთ. შუშანიკი შეეწირა საკუთარ ოჯაში წარმოშობილ კანკეფელებას, რომელსაც შუშანიკისათვის სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა, ხოლო ვარსკენისათვის მეუღლის ურჩიბა და ოჯახური ტრადიციების ხელყოფა. შუშანიკი ეწამა არა იმიტომ, რომ ის ქრისტიანი იყო, არამედ იმიტომ, რომ არ დაემორჩილა მეუღლეს, ოჯახის უფროსს, გამაზდეანებულ ვარსკენს, რომელსაც ამავე დროს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხელისუფლების ეპყრა (ამ მომენტს ჩევნ ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ ვარსკენის დაუსკელობა მის მიერ ჩადენილი ყოველგვარი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ამ ხელისუფლებით იყო გარანტირებული). ქრისტიანა ქამა არ მოისურვა ქრისტიანობის მოღალატე ქმართან ცხოვრება, ხოლო შეურაცხოფილმა ქმარმა ყველა ხერხს მიმართა მეუღლის ოჯახში დასაბრუნებლად და იმდენ რომ გა-

დაეწურა, ამის შემდეგ გაწირა იგი სამუდამო პატიმრობისათვის. ნიშანდობ-ლიცია, რომ ვირსექნს არცერთხელ არ მოუთხოვია შუშანიერისაგან ქრისტიანული ხაზის დათმობა და გამაზდეანება (თუმცა, როგორც სპარსეთის მეფისათვის ძირემული პირობიდან ჩანს, იგი ამას აპირებდა, თუკი შუშანიერი სასახლეში დაბრუნებდა. ამასვე მოწმობს ვარსექნის მოქმედება — შვილების გამაზდეანება).

სულ სხვაგვარი სურათია „ევსტათის მარტვილობაში“. ევსტათი მაზდეანი სპარსი იყო და საქართველოში იგი თავიდან ქრისტიანობის სიყვარულს არ უნდა მოყევანა, როგორც ეს თხზულების ავტორის ტენდენციურ თხრობაში არის წარმოდგენილი. სპარსელების მეურ დაპყრობილ საქართველოში ბევრი სპარსელი ჩამოსულა უკეთესი ბედის საძებნელად. ქართულ ქრისტიანულ გარემოში მას გაუჩნდა სურვილი ქრისტიანი გამხდარიყო, რისი მიზრიც შესაძლებელია, ქრისტიანი მეუღლის შერთვა ყოფილიყო (საეკლესიო კანონ-შედებლობის თანახმად, მას რომ ქრისტიანი ქალი შეერთო, თვითონაც ქრისტიანი უნდა გამხდარიყო). სწორედ საკუთარი რელიგიის ღალატი იყო ევსტათის სიკვდილით დასჯის მიზეზი და არა მისი ქრისტიანობა. სპარსელები რომ ლოიალურად ეკიდებოდნენ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ რელიგიას, ეს კარგად ჩანს თვით „ევსტათეს წამებიდან“. ქრისტიანული ეკლესიის შევიწროვების არც ერთი მაგალითი არ მოიპოვება არც „შუშანიერი წამებაში“, არც „ევსტათი მცხეოლის წამებაში“ და ამ პერიოდის არც ერთ სხვა წარილობით წყაროში. დამყრობლური ომების დროს დაპყრობილი სახელმწიფოს მოსახლეობის რეპრესირებისა და დაპევების ფაქტები პოლიტიკურ-ეკონომიკური ქრისტიანი და არა რელიგიური. მასმაღიანურ ქვეყნებს შორის წარმოებული ომების მაგალითები (ისევე, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორისაც) ადასტურებენ ამ ფაქტებს. ევსტათი, რომელიც სპარსელ მაზდეანთა დაბეჭლებით პირველად საპყრობილები ჩასვეს, ქრისტიანული ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფალთა შუამდგომლობით გაანთვისუფლეს ციხიდან ქრისტიანობის დათმობისა და მაზდეანობის ხელახლა მიღების გარეშე: „გამოიყვანეს იგინი (ევსტათი და კილევ 5 გა-ქრისტიანებული სპარსელი) მიერ საპყრობილით და მოვიდეს იგინი ვანად თვისა ქრისტიანებით“<sup>1</sup>. ამის შემდეგ მართლაც შეუძლებელია ლაპარაკი ამ დროს საქართველოში სპარსელებისაგან ქართველ ქრისტიანთა დევნის შესახებ. როდესაც ევსტათი მეორედ დაბეჭლეს, ამასთან ერთად დაპატიმრეს სტეფანე და ორივე მარჩპანის — ვეუნ ბუზმირის წინაშე წარადგინეს: „ესენი არიან ახალ ქრისტიანენი იგი მცხეოლინი“ — მოახსენეს. „ხოლო ვეჟან ბუზმირ პრექუა ევსტათის და სტეფანეს: „ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს?“ აღდგეს ასურნი მთავარნი კაცნი სტეფანესთვეს და პრექუას: „ესე კაცი ჩუენ ვიცით, ჩუენი მდაბური არს, მამად და დედად და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტიანე არიან და ეგეცა ქრისტიანე არს“. ხოლო სტეფანე მათითა მით სიტყვათა განუტევეს<sup>2</sup>. მყაფიოდ არის ნათქვამი, რომ ქრისტიანული აღმსარებლობა, თუკი ის მამაპაპეული რჯულია, არავითარი რეპრესიების მიზეზი არ არის.

ქრისტიანული რელიგიის ლეგალური მდგომარეობა ამ დროის სპარსეთში, არც სხვათა შორის აღნიშნულია „ევსტათი მცხეოლის მარტვილობაში“

<sup>1</sup> ქველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 34.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

„რამეთუ განძაქს ქალაქსა ქრისტიანენი უფროს არიან და ეპისკოპოსი და მღვდელნი“<sup>3</sup>), არ იდასტურებს საქართველოში სპარსელების მიერ ქრისტიანული დღვნას. როგორც გრიგოლ მანაჭიშვილის მარტვილობაში ნათქვამია (სომხური ტექსტი გამოსცა ტერ-მკრტიჩიანმა „აზარატში“ 1901 წ. გვ. 464—474) და რაც ოღნიშნული აქვს კ. კეკელიძეს<sup>4</sup>: „მეათხუთმეტესა წელსა მეფობისა ხვასრო სპარსთა მეფისა, გამოიცა მეფისაგან ბრძანება თავის საბრძანებლისა შველა ქვეყნისადმი, რომ ვინც სპარსთა ტომისაგან ქრისტეს აღმსარებელი აღმოჩნდება, შეიძყრან და ციხეში დაამწყვდიონ, მკაცრი ტანჯვით ლოთამ-შასხურების დატევება აიძულონ და მზესა და ცეცხლსა თაყვანი აცემინონ“. როგორც ჩანს, ამ ბრძანების რეზონანსი არის ევსტათი მცხეთელის ხელმეორედ დაპატიმრება და სიკვდილით დასხაც.

უნდა ვივარიაუდოთ, რომ სპარსელების რელიგიური ლითალობის შედევრი სპარსელების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის შემთხვევები გან-შირდა, რისი დასტურიც კარგად ჩანს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“: ევსტათის პირველი დაპატიმრების დროს მისი ბედი გაიზიარა შვიდმა გაქრისტიანებულმა სპარსელმა. ასეთი მაგალითები ბევრი იყო სპარსეთის მიერ და-პყრობილ სხვა ქვეყნებში. სწორედ ასეთმა შემთხვევებმა გამოიწვია სპარსე-თის მეფის ზემოდამოწმებული ბრძანებაც.

მაზდეანური სპარსეთის საქართველოში ბატონობის პერიოდში ქრისტიანი ქართველის დასხის არც ერთი ფაქტი არ დაიძებება, რომელსაც საუძულად მხოლოდ ქრისტიანული აღმსარებლობა ედოს. ჩვენამდე მოლწეული ამ პერიოდის ჰაგიოგრაფიული თხზულებები ძალზე მცირეა, სულ სამი: შეშაჩიკის „მარტვილობა“, ევსტათის „მარტვლობა“, აბიბოს ნეკრესელის „მარტვლობა“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ რაედნის წამების ფაქტიც, რომლის შესახებ ჰაგიოგრაფიული ძეგლი თავიდან არ დაწერილა (ასეთი თხზულება დაიწერა შემოლოდ XVIII ს. ბესარიონ ორბელიშვილის მიერ), მაგრამ მას ახსენებს ვახტანგ გორგასალის ისტორიოსი. პირველი ძეგლის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშვეთ; ევსტათი მცხეთელი სიკვდილით დაისახა მაზდეანური სარწმუნოების ღალატის გამო. რაედნი, რომელიც ქართულ ეკლესიაში ცნობილია „პირველმოწამედ“, იყო სპარსელი მაზდეანი და ისიც განუდგა თავის სარწმუნოებას და ეს იყო სპარსელების ხელში ტყვედ ჩავარდნილი რაედნის სიკვდილით დასხის მიზეზი. დაგვრჩა აბიბოს ნეკრესელის წამების ფაქტი, რომელიც, თითქოს, ეწინააღმდეგება ზემოთქმულს. აბიბოსი სირიიდან მოსული ერთი ათცამეტ მამათავაგანია, მაგრამ, როგორც ამას კ. კეკელიძე მიტკიცებს, ქართველი მონოფიზიტი იყო, თანაც ქართული ეკლესიის ერთ-ერთი იერარქი, ხეკრესის ეპისკოპოსი. მაგრამ ის სპარსელებმა ჩაქოლეს არა ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობისათვის, არამედ მაზდეანური რელიგიის ხელ-უოფისა და შეურაცხოფისათვის: „ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალა-ქისა ეპისკოპოსი, წევისა კახეთისამ, ალიძრა შურითა საღმრთოეთა და ვერ იავს-იდვა უცხომასა მის სამსახურებელისა მახლობელად მისა ყოფილ და დაასხა წყალი ხენეში და დაშრიტა იგი. ეს რად ცნეს უშესულოთა მათ სპარს-თა, ფრიად გუემეს, კნინდა ეიდრე მოკლეს ნეტარი იგი“<sup>5</sup>, ხოლო შემდეგ სა-პყრობილები ჩასვეს და ბოლოს „განტვინეს“. მართალია, „აბიბოს ნეკრესე-

<sup>3</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>4</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 510.

<sup>5</sup> ძეგლები, I, 242.



ლის „წამების“ უძველესი რედაქცია IX საუკუნის ძეგლად არის მიჩნეული და ბევრადა დაშორებული მასში აღწერილ ეპოქას, მაგრამ ამას ამ შემთხვეულობის უზრი მნიშვნელობა არა აქვს და თანაც მისი წყარო შეიძლება VI—VII სს. შექმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლი ან ისტორიული ცნობა იყოს.

უფრთისურად სურათი არ შეცვლილა საქართველოში არაბების ბატონობის დროსაც, თუმცა ჩევნამდე ამ პერიოდის „მარტვილობა-წამებება“ გაცილებით მეტი რაოდენობით მოაღწია. თხზულებებში აღწერილი დროის მიხედვით (და არა თვით თხზულებათა შექმნის თარიღის მიხედვით), „მარტვილობები“ — ასეთი თანმიმდევრობით დალაგდება: დავით და კონსტანტინეს „წამება“ (737—741 წწ.), აბოს „წამება“ (786—790 წწ.), არჩილის „წამება“ (787 წ. შემდეგ), კოსტანტი კახის „წამება“ (853—856 წწ.), გობრონის „წამება“ (914 წ.). მაგრად ჩვენ „მარტვილობათა“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს არ შევეხმატოთ. გვაინტერესებს მხოლოდ ქრისტიანების მდგომარეობა საქართველოში და არაბთა დამოკიდებულება ამ რელიგიისადმი. უფრო ზუსტად ის, თუ რა საფუძველი ჰქონდა ქრისტიან მორწმუნეთა დასჯას, რაც წარმო გახდა ზემოთ ჩამოთვლილი „წამებების“ შექმნისათვის (იმთავითეუ ან უფრო გვიან).

დავიწყოთ „აბოს წამებით“. აქ ზუსტად ევსტათი მცხოვრელის „წამების“ ანალოგიური შემთხვევა გვაქვს. აბო გაქრისტიანებული არაბია, რომელსაც ძამალიანური სარწმუნოების ლალატისათვის მოპევეთს თვით. მაგრამ დანარჩენი მოწამეები: არჩილ მეფე, დავით და კონსტანტინე, კოსტანტი კახი და შივალ-გობრონი ხმო ეროვნებით ქართველი მოწამეები არიან. თუკი არაბების საქართველოში ბატონობის ხანაში ქრისტიანთ ქართველთა დედნას არ ჰქონდა ადგილი მათი სამარტინოებრივი აღმსარებლობის გამო, მაში რამ გამოიწყია არაბ ხელისუფალთა მიერ მათი წამების ფატრი? ყველა ჩამოთვლილი როწამის დასჯის საფუძველი მცირეოდენი სხვაობით ერთი და იგივე იყო: დამპყრობლებისადმი პოლიტიკური შეურიგებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა.

გავიხსენოთ: არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე დასავლეთ საქართველოს არაბ დამპყრობელთაგან დამცელი ჭარის მეთაურები არიან, გააფთორებული წინააღმდეგობის მიუხედავად ქართველთა ჭარი დამარცხდა მტრის ჭარბ ძალებთან პირისპირ ბრძოლაში, ხოლო მთავრები ტყვედ ჩავარდნენ. დავით და კონსტანტინეს სიკვდილით დასჯა არაბების მიერ გამიზნული პოლიტიკური აქტი იყო, მსგავსი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად. იგივე მოძდა არაბთა მიერ სამხრეთ საქართველოში ყველის ციხის გარემოცვის ღრის. ისტორი და მძიმე ბრძოლების შემდეგ არაბებმა ციხეც აილეს და ცოცხად დარჩენილი მეციხოვნენი და მათი თავკაცი გობრონიც დატკვევეს. გობრონისა და კიდევ ასოციარვა ქართველის დახოცვა დამპყრობელ არაბთა ჩეეულებრივი დამსჯელი პოერაცია იყო და არა რელიგიური მოტივებით გამიზნული აქტი. ქართლში არაბთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება, რომელსაც კოსტანტი კახი თავკაცობდა, დამარცხდა, ხოლო ამ პოლიტიკური აქტის მეთაური სიკვდილით დასაჯეს. არაბ ხელისუფალთა მიერ არჩილ შეფის დასჯასაც იგივე პოლიტიკური სარჩული უნდა ჰქონდა, თუმცა ამ თხზულებაში, როგორც ყველა მარტიროლოგიურ ძეგლში, მორწმუნე ავტორის აუცენტი მოწმის რელიგიური აღმსარებლობის დაცვაზე გადატანილი.

X საუკუნის შემდეგ საქართველოში მარტიროლოგიური ჰაგიოგრაფიის ძეგლი აღარ დაწერილა XVIII საუკუნის დასაწყისამდე (დავით კონსტანტი-



ხეს „მარტვილობა“ XII საუკუნეში ძეელი რედაქციის „წამების“ უკანასკნელი შევებად არის მიჩნეული და არა ახალ თხზულებად). ეს აისტება არა მარტო იშით, რომ ჰაგიოგრაფიის ეს უანრი დაწრდილა „ცხოვრების“ უანრა X—XII საუკუნეებში, ანდა იმით, რომ XIII—XVII სს. საქართველოში მწერლობის კრიზისისა და დაქვეითების პერიოდია, არამედ იმითაც, რომ ქრისტიან მორწყენთა სიკვდილით დასჯის შემთხვევები საქართველოში ისტორიული წყაროებით არ დასტურდება (XIII ს. გალალედინის მიერ გაულეტილი თბილისის შოსახლეობის ნაშილი, ან კიდევ XIV ს. ქვათახევს დახოცილი ბერმონაზენობა, ისევე როგორც გარეჯის უდაბნოში XVII ს. მონაზენების ამწყვეტა, დამატებოლოთა ჩევულებრივი დამსჯელი და მძარცველური ოპერაციებია და არა საცანვებო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ჩატარებული აქტი. ეს მომენტები, რომელთაც მხოლოდ ისტორიული წყაროები იხსენიებენ გაკვრით, ჰაგოგრაფიის საგანი არ გამხდარა ანტონ I-მდე — XVIII ს. მეორე ნახევრამდე).

„წამებათა“ რიცხვში უნდა მოეიხსენიოთ ქველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილი კიდევ ორი ტეგლი „წამებად ყრმათა წმიდათა რიცხვთ ცხრათა“ (კოლექტა წამება) და „დავითის და ტარიშვანის მარტვილობა“ (ძეგლები, II, ვვ. 173—175; 183—185), რომლებიც ქალებდონიტი სომები ივტორების მიერ იავიდნენ ქართულ ენაზე დაწერილ IX ს. თხზულებებად მიაჩინათ. პირველი შათვანი აღწერს VI ს. წარმართო მშობლების მიერ მცირეწლოვანი ვეტერიანებული ბავშვების ჩაქოლვას, ხოლო მეორე — წარმართი ბიძის მიერ ბავშვების, თავისი ქრისტიანი დისტულების დახოცის მმაგას.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის ხელახალმა აღორძინებამ და აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ სპარსელ მაპმადიანთა პლურობელობის ხანაში (XVI—XVII სს.) ისევ აქტუალური გახადა მარტიროლოვით. გრიგოლ დოდორქელისა და ბესარიონ ორბელიშვილის მარტიროლოვითარებამ თხზულებებმა აღორძინა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ეს უძველესი უანრი. გრიგოლის „ქეთევან დედოფლის წამება“, აგრეთვე ბესარიონის თხზულებები „ლუარსაბ მეფის წამება“, და „ბიძინა, შალვა და ელიზბარის წამება“ წარმადვენენ ახალი ტიპის მარტიროლოვიურ თხზულებებს, რომლებიც აგრძელებენ უძველეს ტრადიციებსა და ამდიდრებენ მას „ცხოვრება-მოქალაქეობისათვის“ დამახასიათებელი ლიტერატურული ხერხებით და, რაც მთავარია, ისტორიული მატიანისათვის დამახასიათებელი შინაარსით. მათ თხზულებაში მევეთრად არის ხაზგასმული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფეებისა (ქეთევანი, თეიმურაზი, ლუარსაბი) თუ მთავრების (ბიძინა, შალვა, ელიზბარი) პატრიოტიზმი და ქრისტიანული რელიგიისათვის თავის განწირვა, მაგრამ მაინც არც ერთი ამ მოწამეთაგანი არ შეწირვია სპარსელ მაპმადიან დამპყრობელთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა დევნას ისევე, როგორც ზემოაღნიშნულ სპარსულ-მაზდეახურ და არაბულ-მაპმადიანურ გარემოცვაში დალუპული ქართული ეკლესიის ძეველი მოწამეები. აქ უფრო თვალნათლივ ჩანს, რომ ყველა მათვანის დალუპვის მიზეზი ისევ და ისევ სპარსეთის მზაკერული პოლიტიკური მიზნები იყო, ხოლო მათი ქრისტიანული აღმსარებლობა უკეთეს შემთხვევაში — საბაბი ჭათი დასჯისა.

ყველა მოწამე, რომელთა შესახებ საუბარი გვქონდა, საქართველოში ან საქართველოდან ტყვედ წაყვანილი დამპყრობელთა ქვეყანაში ეწიამ (კორანტი კახი, ქეთევანი, ლუარსაბი, ბიძინა, შალვა, ელიზბარი), ხოლო ორი

ძოწამის მოღვაწეობა დაკავშირებულია ქართველთა ჯვარის მონასტერთა ურუსალიში, რომელთა „წამებები“ მოკლე სცინაქსარული რედაქციის თხზულებების სახით არის შემონახული. ჯვარის ქართველთა მონასტრის წინამდვინას ლუკა იერუსალიმელის წამება (1273 წ.) არაბთა მიერ მონასტრის დასაქუთრებისა და მისი მეჩეთად გადაქცევის მიზნებთანაა დაკავშირებული, ე. ი. რელიგიურ ფაქტორზე უფრო ეკონომიკურ-პოლიტიკური სარჩული აქვს, ხოლო ნიკოლოზ დვალის წამება (1314 წ.) კი იმავე არაბების მიერ შედევრია ტაბიური ფანატიკოსი ქრისტიანის მიერ შეგნებული, გამიზნული მოქმედებისა მოწამებრივი სიკედილის მისაღწევად. „წამებაში“ ნათქვამია: „და ქალად სურვილი მოუკდა, რახთამცა იწამა ქრისტესთვსა“<sup>6</sup>. მან სამჯერ აგინა და შეურაცხყოფა მიაუკანა მაჭადიანთა სიწმიდეებს, იგი სამივეჯერ დაპატიმრეს, მაგრამ სამივეჯერ გაანთავისუფლეს: „მიტროპოლიტის და ქრისტიანეთა ბერ საპყრობილით გამოყვანებულ იქმნა“<sup>7</sup>. მხოლოდ ამის შემდეგ დასაჭერა. ივითშეწირვის მაგალითი ქართული მწერლობის ისტორიაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიაში, ერთადერთია. რელიგიური ფანატიზმის ეს გამოვლინება არაბულებრივია ქართული ეკლესიისათვის და პალესტინის ქრისტიანული გარეშო გვლენა უნდა იყოს.

„მოწმეობის“ ბოლო ფაქტი საქართველოში, რომელიც „წამების“ შედენის საფუძველი გახდა, არის ლეკების მიერ შიო გარეჯელისა და მასთან ერთად კიდევ ოთხი მონაზვნის დახოცვა 1700 წ. ნათელია, ლეკთა თავდასხმები მხოლოდ ძარცვა-გლეჭას ისახავდა მიზნად და არა რელიგიურ ანგარიშ-სწორებას.

\* \* \*

ამგვარად, ქართული ორიგინალური „წამება-მარტვილობის“ თხზულებათა შესწავლა არ აღარსტურებს საქართველოში, სხვადასხვა ეპოქაში, ქრისტიანული სარწმუნოების დევნის შემთხვევებს. მაგრამ ლიტერატურამცოდნეობის საგანი მოღწეული ჰაგიოგრაფიული თხზულების ლიტერატურულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით კვლევა და არა მარტო ის, თუ თხზულებაში გადაწყვეტული ისტორიული მმები რამდენად ობიექტურად არის ასახული.

რაღაგანაც საქართველოში ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობის შესახებ მოგვიხდა საუბარი სხვადასხვა აღმოსავლური რელიგიის გარემოცვის პირობებში და ამიტომ მარტიროლოგიური თხზულებების ზოგადი მიმოხილვა დაგვჭირდა, ამ საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით, თვალი გადავავლოთ აშ ეანრის ქართულ საეკლესიო მწერლობაში აღმოცენებისა და განვითარების საფეხურებს, მის თავისებურებებსა და ტენდენციებს, ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ანალოგიური უანრის თხზულებებთან მიმართებას, მსგავსებებსა და განსხვავებებს.

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის პირველი თხზულება „მარტვილობაა წმიდისა შუშანიკისი“ „წამების“ უანრის ყველაზე თავისებური თხზულებაა ქართული მწერლობის ისტორიაში. მისი მსგავსი „წამება“ მთლიანობით არც ბიზანტიურ-ჰაგიოგრაფიული უნდა არსებობდეს (ცალკეული მომენტებისა და დეტალების გამოკლებით). ეს თხზულება „არასტანდარტულია“

<sup>6</sup> დეგლები, IV, 349, 3.

<sup>7</sup> ივევ, 349, 31.

1. შუშანიების „წამების“ დასაწყისი: „და აწ დამტკიცებულად გითხოვ თქვენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიების“, მიახლოვებულ შეგასებასაც ვერ პოულობს საერთოდ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, იმდენად თავისთვალი და ორიგინალურია იგი. სწორედ მა დასაწყისმა წარმოშეა სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგვარი ვარაუდი თხზულების თავნაკლულობისა თუ უანრობრივი შეუსაბამობისა და სხვ. არადა, რა ბუნებრივიდ გამოხატავს ეს ფრაზა ავტორის ხანგრძლივ შინაგან განცდასა და ალბათ შიშასც. გახდება თუ არა შუშანიები ის გმირი-მოწამე, რომლის სარწმუნოებისათვის თავდადება შთამომავლობისათვის მაგალითის მიმცემი იქნება, ხოლო იაკობისათვის შისი „წამების“ აღწერის ობიექტი, თუ ის ვერ გაუძლებს ტანჯვას, ვერ გამოიჩენს სულიერ სიტყაცეს და ამგვეყნოური ცხოვრებისა და შეილებისაგან განშორების შიშით გატყდება და დაჟყვება ვარსკენის ნებას. ეს ბუნებრივი განცდა უნდა ყოფილიყო ავტორისა, რომლის თვალწინ გაიარა ამ ოჯახურ-სარწმუნოებრივი ტრაგედიის ყველა დეტალმა. და აი ყველაფერმა ისე ჩიარა, რომ იაკობ ხუცესის ყველა ეჭვი უსაფუძლო შეიქნა: შუშანიები შეეწირა სარწმუნოებრივ პრინციპებს და პყრობილობაში გარდაიცვალა. მას რომ უკან დაეხია და ვარსკენთან დაბრუნებულიყო ოჯახში, ან ვარსკენს დიდისულოვნად გაეთავისუფლებინა იგი საპყრობილიდან და მისთვის თავისუფალი არჩევანის უფლება მიეცა, ამ შემთხვევაში შუშანიები თავისი პრინციპულობის დამცველად ეკ მოგვევლინებოდა, მაგრამ მისი „ცხოვრებისა და წამების“ დაწერის აუცილებლობა იყომ ხუცესისათვის გამორიცხული იქნებოდა. სწორედ ავტორის ამ თვალსაზრისს უნდა გამოხატავდეს თხზულების ეს თთიქოსდა მოულოდნელი დასაწყისი შინადადება, რომელიც განსხვავდება საერთოდ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა სტანდარტიზებული დასაწყისებისაგან.

2. „შუშანიკის წამება“ ერთადერთი პაგიოგრაფიული ძეგლია ქართულ საეკლესიო მწერლობაში და იშვიათი, საერთოდ, პაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, რომელსაც საფუძვლად დაედვა უჩვეულო მოწამებრივი ფორმა. ჩვეულებრივ პაგიოგრაფიულ „წამებებში“ ქრისტიანი მოწამე მსხვერპლი ხდება ოფიციალურ პოლიტიკურ-რელიგიურ ძალასთან დაპირისპირებისა (ზოგჯერ კი ოფიციალური რელიგიური თვალსაზრისის მქონე მშობლებისა თუ ახლობლებისა. მის მაგალითია ქრისტიანი კოლაელი ბავშვების ჩატოლვა წარმართი შობლების მიერ და ბიზანტიურ პაგიოგრაფიაში დაღასტურებული მსგავსი შაგალითები). შუშანიკის, მართალია, უპირისმაპირდება ოფიციალური ძალა გარსებრის, ქართლის პიტიახშის სახით, მაგრამ მის მოქმედებას შუშანიკის წინა-ლექციები არ უდევს საფუძვლად არც პოლიტიკური და არც რელიგიური მოტივები, არამედ შუშანიკის გადაწყვეტილება, აღარ იცხოვროს გამაზდეანებული ძეგლების ოჯახში. ვარსებრის ერთადერთი მიზანი შუშანიკის ოჯახში დაბრუნებაა. მართალია, ეს კონფლიქტი პიროვნულია, მაგრამ მას საზოგადოებრივი

სარჩული აქვს: ქრისტიანი ქალი მთელი თავისი არსებით დარწმუნებული და გამაზდანებულ მეუღლესთან ცხოვრება ქრისტიანული სარწმუნოების სიწმინდის ხელყოფა.

შუშანიკის წამების ფორმაც უიშვიათესია ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისათვის: ჩვეულებრივ მოწამეს თავისეკვეთით სჭიან (უფრო იშვიათია ჯვარზე აკვრა, დაწვა, ან ჩქოლვა). შუშანიკის „წამება“ ერთადერთი ნიმუშია ქართულ ჰაგიოგრაფიაში და იშვიათი გამონაკლისი საერთოდ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში იმითაც, რომ მისი გმირი სიკვდილით არ დაუსჭიათ. შუშანიკის სიყვდილი საპყრობილები მის უკომპრომისობის გამოხატულებაა და არა გარდაუვალობის გამოვლინება.

3. ჩევნს მიზანს ამჯერად არ შეაღენს „შუშანიკის წამების“ კომპოზიციური და სტილური თავისებურებების კვლევა, რომლის შესახებ მღლიდარი ლიტერატურა არსებობს, ძირითადად ბოლო წლებში გამოქვეყნებული, არც ჰაგიოგრაფიის ქრისტიანულ-იდეოლოგიური საფუძვლების განხილვის შევუდგებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მხატვრული ქსესუარით, მთავარი პერსონაჟის ფინერაციათა არატრაფარეტული დახატვით, ჰაგიოგრაფიული გმირის ღდეალიზაციისათვის სტანდარტული ხერხების უგულვებელყოფით, უარყოფით პერსონაჟის რეალურთან მიახლოვებული ფერებით დახასიათებით და ღაუშტამპავი ლიტერატურული მანერით (ვეტორი თავისივე თხზულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი და თხრობა პირველ პირში მიჰყავს, რაც უნიკალური შემთხვევაა ქართულ ჰაგიოგრაფიაში) შუშანიკის წამება ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლია არა მარტო ქართული მარტიროლოგიისა, არამედ ძღვანი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ფონზედაც.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა სახეობა ფართსტრიკულ-ზღაპრული სასწაულმოქმედების გპიზოდებით. ამ მხრივ ქართული ჰაგიოგრაფია დიდ თავშეკვებას იჩენს, თუმცა ამ „მოდას“ რამდენიმე თრიგინალურ ძეგლში მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავს (ძირითადად „ცხოვრება-მოქალაქეობებში“). შუშანიკის „წამება“ ამ მხრივაც გამონაკლისია. ასეთი მოტივები იმდენად არ შეეფერება იყომ ხუცესის თხრობის რეალურ და დინამიკურ მანერას, რომ „შუშანიკის წამებაში“ სასწაულის ერთადერთი ეპიზოდის არსებობა (მოვალეობაციის განკურნება და გაქრისტიანება) სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანდელ ჩანამატად გამოცხადდა, თუმცა არაა გამორიცხული, რომ იყომბა ამ უძინოდით ხარჯი მოუხადა იმ პერიოდში საკლესიო მწერლობაში გაბატონებულ ქრისტიანობის პროპაგანდის ხერხებს და ამ სასწაულით მიგვანიშნა შუშანიკის წმინდანობაზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ „შუშანიკის წამება“ პირველი ჰაგიოგრაფიული ძეგლია, იგი ყველაზე არატრაფარეტულ და ორიგინალურ ძეგლად დარჩა ქართულ ჰაგიოგრაფიულ მარტიროლოგიურ ლიტერატურაში, ამ უანრის ყველაზე ბრწყინვალე ლიტერატურულ ნიმუშად, შემდეგდროინდელი „წამების“ ძეგლებისათვის მიუღწეველ დონედ. მართალია, ამ შესანიშნავებამ თხზულებამ და შესმა ავტორმა თავი ვერ დაალწიეს ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტულობის ზოგიერთ დეტალს („კორცი განლევის“ მოტივი, „შატლების დახვევის“ ეპიზოდი, დამუშავებული ასკეტური „ცხოვრების“ უანრში) და ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში გავრცელებული ზოგიერთი სხვა დეტალიც შეიტანა თავის თხზულებაში, მაგრამ ყველაფერი საკუთარ ლიტერატურულ ქურაში გამოაწროო თავისი დიდი ნიქის შესაბამისად.

ბიზანტიური ჰაგიოგრაფია თითქმის დაცლილია ეროვნული თვითშეგნებისაგან, რაც ბერძნულ-რომაული იმპერიის მრავალეროვნული შედგენილობით და ქრისტიანული სარწმუნოების კოსმოპოლიტური ბუნებით უნდა იყოს გამორჩებული, და ზოგადად ქრისტიანობის აპოლოგიური „მარტინოლოგიას“ წითელი ზოლით ჰაგიოგრაფიას და, კერძოდ, ორიგინალურ „მარტინოლოგიას“ წითელი ზოლით გასდევს ეროვნული თვითშეგნების მომენტი. ქართული კლესის მოწამები და მათ შესახებ დაწერილ თხზულებათა ავტორები პირველ წავლისა. ქრისტიანი ქართველები არიან და ქრისტიანობის იდეოლოგიისათვის თვალდაფება მათში შერწყმულია ეროვნული ინტერესების დაცვასთან. „ამ თბილელის წამება“ არა მარტო მისი ავტორის, იოანე საბანისძის ეროვნული მრწამისის გამომხატველია, არამედ იმდროინდელი საქართველოს ცველა პატრიოტული ძალისა. არამი მაკმადიანის, აბოს გაქრისტიანება და თავგანწირვა ქართული კლესისათვის, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ერთიანობის საფუძველიც იყო, ეროვნული საეკლესიო ინტერესების გაღვივებისა და გამოცხადებისათვის გაცილებით დიდმინიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, ვიდრე ამდრინიმე ქართველი ქრისტიანის წამების ფაქტი ქვებოდა (უნდა აღინიშნოს, რომ იოანე საბანისძე აბოს გაქრისტიანებაში და ქრისტიანობისათვის თვალდაფილი ჰაგებაში პავლე მოციქულის მაგალითის პარალელ ხედავს: „შენ მიემსგავს უკანასკნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა შათ შეულთა და მოძღვრებათა განვდებითა და ქრისტის ძისა ღმრთისა ალ-სარებითა, ნსგავსალვე მისა თვით მოგეკუთა“<sup>8</sup>). უცხო, თანაც საქართველოში გაბატონებული ტომის შვილმა, მაკმადიანმა აბომ, ქრისტიანობას შესწირა თვი: ამ ფაქტის ფონზე, მართლაც, საგანგაშო მდგომარეობის მაუწყებელია იოანე საბანისძის სიტყვები: — ქართველებიო „ხუთასისა წლისა უმთა და უწინარცხსა შეულდებულ ყოფილ [არიან] წმიდითა მაღლითა ნათლის-ღებისათა. მიერითგან და ვიდრე აქამდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულაძნენეს, რომელიმე მძღვრებით, რომელიმე შეტყუვილით, რომელიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელისე ვიზ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონაბულ[ნი] და ნაკლულევა-ებითა და სიგლახავითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარჯსა ქუეშე მათა შეემულნი და ქენენილნი, ძერ-ძერად ზღუეულნი, შეშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“<sup>9</sup>.

ამ თბილელის, „წამების“ კომპიზიცია, რომელიც უნიკალურია ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში (წინასიტყვაობის ეპისტოლარული ფორმით გადამცმა, თხზულების შესაელის — პარველი თავის — პომილეტიკური, ქადაგების ფორმით წარმოდგენა, ძირითადი ნაწილის — მეორე და მესამე თავების მარტვილოლოგიური თხზულების ჩვეულებრივი კანონებით დაწერა და თასკვნითა ნაწილის — მეოთხე თავის „შესხმის“ ფორმით ჩამოყალიბება), ორიგინალური შეთოდით არის შედევნილი: *იოანე საბანისძემ ქართველებში შეერყეული სარწმუნოების დაცვისათვის სააგიტაციოდ ყველაზე აქტიური ფორმა — ქადაგება აირჩია და დიდი ოსტატობით გააანალიზა აბოს წამების მნიშვნელობა საქართველოს ეროვნული და რელიგიური სიმტკიცის დაცვისათვის*,

<sup>8</sup> ძეგლები, I, 77.

<sup>9</sup> იქვე, 50.

ჩვეულებრივი ჰაგიოგრაფიული შაბლონით დაწერილი თხზულება კი აბას წამების ფაქტის აღწერა იქნებოდა მხოლოდ და მეტი არაფერი, ისევე, როგორც ეს „ევსტათის წამებაში“ არის მოცემული. „აბას წამება“ პირველი ჰაგიოგრაფიული ძეგლია, რომელშიც მთელი სიძლიერით გასმის ეროვნული ინტერესების დამცველი ხმა. პირველად მნ ძეგლში ითქვა, რომ: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნობად ეს ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდრთა... ამა ესერა, ქართლისაცა მკვდრთა ქუს საჩრმე-ნოებად და წოდებულ ასს დედად წმიდათა, რომელთამე თუთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ქამაღ-ქამაღ, მოწმედ გამოჩინებითა ქრისტე იჯსუს მიერ, უფლისა ჩუენისა...“<sup>10</sup>. იოვანე საბანისძის ში სიტყვების გამოძახილი — ბერძნულ-რომაულ ცოვილზაცასთან გათანაბრებისა და ზოგჯერ უპირატესობის თვალსაზრისი — შემდეგ საკუნძულებში შოელი სიმძლავრით გაისმა (გიორგი მერჩულე, იოვანე-ზოსიმე, ექვთიმე და წიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოვანე პეტრიწი, ნიკოლოზ გულაბერიძე, არსენ ბუღმაიშის ძე და სხვ.).

ქართულ მარტიროლოვაში ბიზანტიურთან საპირისპიროდ, ძირითადი შოტივი — საჩრმენოებრივი იდეალებისათვის თვევანწირვა — თავსქმის ყოველობის გადაჯაჭვეულია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თვევანწირვის შოტივთან. ასეთი ეროვნული სულისკვეთებით იწერებოდა წამებანი არაბების ძალმომრეობის ავგენით ხანაში (VIII—X სს. კოსტანტი კახის, მიქელ-გობრინის, არჩილ მეფის, დავით და კოსტანტინეს წამებები), ასევე სპარსელ ძალმადიანთა საქართველოზე შემოსევების გვანდულ პერიოდში (XVII—XVIII სს. ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ მეფის, ბიძინა, შალვა და ელიზაბარის წამებანი). ქართული ეკლესიის ეს მოწამე-წმინდანები საქართველოს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თვევანწირული ეროვნული გმირები იყვნენ.

\* \* \*

ბერძნულ-ლათინური ქრისტიანული მარტიროლოვაური ლიტერატურის დიდი ნაწილი, როგორც აღნიშნეთ, ფანტასტიკურ, ზღაპრულ მოტივებს და სასწაულოქმედების უამრავ მაგალითს იყენებს მკითხველის ქრისტიანული რელიგიის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნების მზნით. ქართულ „წამებაში“ ეს მოტივები შეუდარებლად სუსტად არის წარმოდგენილი. ფანტასტიკურ-ტოაპრული მოტივების არც ერთი მაგალითი არ დასტურდება ქართული „წამების“ არც ერთ ძეგლში. რელიგიურ სასწაულთაგან კი მხოლოდ ისეთი მაგალითების მოტანა შეიძლება, რაც ძალზე გავრცელებულია საერთოდ ქრისტიანულ მწერლობაში და მათი შეტანა იმ რიგის წარმოდგენელ სასწაულებში, რომელთა მაგალითები მრავლადაა ბერძნულ-ლათინურ ჰაგიოგრაფიაში, არას გზით არ შეიძლება. მაგალითად, ნათლის სეკტის დაშეგა მოწმის გვიშე და წამების ადგილზე (აბოს, გობრონის, დავით და კოსტანტინეს, ქეთევანის და სხვა), შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი სასწაულია ქართულ მარტიროლოვაში. ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შოტივი — მოწამის მიერ (სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ) სწორულთა კანკურნება — ქართულ „წამებებში“ ეპიზოდის სახით ერთხელ გვხვდება

<sup>10</sup> ძეგლები, I, 55.

(„Шუშანიკის წამებაში“) მოგვი ქალის განკურნება. ამ ეპიზოდსაც ჩამოტებულად მიიჩნევენ). სხვა თხზულებებში მხოლოდ ზოგადი განცხადებებია ამის თაობაზე. მხოლოდ ორ სვინაქსარულ ძეგლში — ლუკა იერუსალიმელისა და ხიკოლოზ დვალის „წამებებში“, რომლებიც საზღვრებარეთის კერაში, იერუსალიმის ქართველთა მონასტერში შეიქმნა, გვაქვს სასწაულთა ნიმუშები, რომლებიც ასე თუ ისე ეხმაურებიან ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მსგავს მაგალითებს (ლუკას „თავმან მოკვეთილმან პირი აღმოსავლეთით ქნა და დიდი განიცინა და მადლობაა შესწირა ლმერთსა“<sup>11</sup>). ნიკოლოზ დვალის „თავმან ძისმან მოკვეთილმან ჭმა-ყუ შვდგზის, თუ „დიდებაა შენდა, ქრისტე ლმერთო“<sup>12</sup>. ნათლად ჩანს, რომ უკანასკნელი მაგალითი პირველის გამეორებაა.

მა ფაქტზე ყურადღება იმიტომ გავამსხვილეთ, რომ დაგვენახა: „წამების“ ფანრის თითოეულ თხზულებას ქართულში რეალური ისტორიული ფაქტი უდევს ბაფუძვლად და თხრობაც, რამდენადაც შესაძლებელია, ობიექტურ-ტეალურ ფარგლებში მიმდინარეობს, რითაც ის საგრძნობლად განსხვავდება ბიზანტიურ-რომაული ჰაგიოგრაფიის უმრავლეს თხზულებათაგან. როგორც ჩანს, ქართულ ჰაგიოგრაფიას გათვალისწინებული აქვს ქართველი მყითხველის რაციონალური ბუნება, ფანტასტიკურ-სასწაულებრივი ამბებისადმი უნდობლობა. ქართულ „წამებათა“ თხრობის ისტორიულად სანდობა ქართული მარტიროლოვის ერთ-ერთი დამახსაითებელი მხარეა და მისი უდიდესი ღირსება. ამიტომ არის, რომ ძევლი და ახალი თაობის ზოგი ისტორიკოსი ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს ისტორიულ თხზულებებად მიიჩნევს<sup>13</sup>.

\* \* \*

ბიზანტიური მარტიროლოვის უძველესი პრიმიტიული თხზულებებისაგან განსხვავებით, ქართულ „წამებებში“ ქარგად ჩანს ქრისტიანული მწერლობის გარევეული დარგების განვითარების დონეც. ქართული უძველესი „წამებების“ მიხედვით ვხედავთ, რომ ქრისტიანული პოლემიკის დარგი მაღალ ღირებულება აყვანილი (ანტიმაზდეანური — ევსტათის „წამება“, აბიბოს ნეკრესელის „წამება“ და ანტიმაზდიანური — „აბოს წამება“ და თითქმის ყველა ღიანარჩენი ძევლი და ახალი „წამების“ ძეგლები). პომილეტიკური ანუ ქადაგების დარგის წარმატებებზე კი „აბოს წამების“ მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა. ასევე შეიძლება აღინიშნოს ეგვეგატიკური მწერლობის შესახებაც (ევსტათი, აბო და სხვ.), ხოლო ქრისტიანული დოგმატიკის ძირითადი საფუძვლები თითქმის ყველა ძეგლშია წარმოდგენილი. წმინდა წერილის ღრმა ცოდნა „წამებათა“ ქართველ ავტორებს საშუალებას იძლევს თავით თხზულებაში ქარგად გამოიყენონ ალეგორიულ-სიმბოლური შედარებები და მაგალითები. „წამებებში“ შედარებით სუსტადაა წარმოჩენილი კანონიკა და ლიტურგიკა (საეკლესიო მწერლობის ეს დარგები გაცილებთ მეტი სისრულით არის წარმოდგენილი „ცხოვრების“ უანრში). ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ქართული მარტიროლოგიურ თხზულებათა გმირები, ე. ი. მოწამეები არასა-სულიერო პირები არიან და მათი მოღვაწეობა ეკლესიის ძირეულ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული. მართლაც და, საკვირველია, რომ ქართველ მოწამეთაგან, რომელთა შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულება დაიწერა (მხედ-

<sup>11</sup> ძეგლები, IV, 348.

<sup>12</sup> ძევე, 350.

<sup>13</sup> ივ. ჭავახიშვილი, ძევლი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გ. ლორთვიფანიძე, აღრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1966.

ულობაში გვყავს ეროვნებით ქართველი და არაქართველი მოწამეებიც — აბო, ევსტათი, რაფდენი), მცირერიცხვის გამონაკლისის გარდა, საერო პი-ჩები არიან (გმონაკლისია აბიბოს ნეკრესელი, ლუფა იერუსალიმელი, ნიკო-ლოზ დვალი და შიო გარეჭელი, რომელთა წამების მიზეზებზე ზემოთ გვქონ-და საუბარი). ეს კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ სხვადასხვა სარწმუნოებ-რივი აღმსარებლობის უცხოელი დამპყრობლების ბატონობის პერიოდებში ქრისტიანული ეკლესის მსახურთა და ჩვეულებრივ მორწმუნება დევნას აღ-ვილი არ ჰქონია. რაც შეეხება მოწამე საერო ქრისტიან პირებს, ისინი თვალ- ახორციელებაში იყვნენ უცხოელ გაბატონებულ ძალებთან, რაც გამდა კიდეც საფუძველი მათი წამებისა.

\* \* \*

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის საფუძველზე და მიბაძვით მოხდა, მაგრამ ქართულ- შე ეროვნული შეგნებით გამსჭვალულმა გარემომ მას საკუთარი ინტერე- სები უკარნახა და ქართული ჰაგიოგრაფიაც ამ ინტერესების გამომსატველი გახდა. ქართველ მოწამეთა ეროვნული ლვაწლი კარგად აქვს შენიშვნული ან- ტონ ბაგრატიონს: „ვინა სათანადო არს ჩუენდა ნატურად წმინდანი მოწამენი ქრისტესნი მადლობად და ქებად და უფრორე ჩუენნი განთვ სე ბით, წრომე ღლნიცა იშუნეს მამე ულად მამულთა შინა ჩუენ- თა და საშომან ადგილობრითმან სამშობლოთა ადგილთა ჩუენთა მან ჰუნ ნა კორციელად და აღზარდნა და შობდელნი შთნი იყუნეს წინაპარნი მამინი ჩუენნი და ქარტმან ეკლესიამან სახელსა ჲდა წმინდისა სამებისა აღმოშუნა და მისცა ცნობანი საღმრთოთა განებუ- ლებათანი და ქრისტესთვს სიკუდილად ალევს“<sup>14</sup>.

ეროვნული მოტივია ხაზგასმული აბიბოს ნეკრესელის „წამებაში“: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვა, ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შეუნიერა“<sup>15</sup> და გვიანდელ მარტიროლოგიურ თხზულებაში — გრიგოლ დოდორქელის ქვევან დედოფლის „წამებაში“<sup>16</sup>. ამიტომ არის ქართული „წამებები“ სა- ქრისტოლოს ცხოვრების ისტორიულ-პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების გამომსატველი პრობლემებით დატვირთული, მიუხედავად იმისა, რომ ყველა „წამების“ არის ქრისტიანული რელიგიის საფუძვლების დაცვაა. ასე- თი ქართული მარტიროლოგია მთლიანად, ხოლო ბიზანტიურისა კი მხოლოდ ცირე ნაწილი.

ქართულ მარტიროლოგიურ თხზულებათა სწორედ უძველესი ნიმუშები „შუშანიკის წამება“ და „აბოს წამება“ გამორჩეულია არა მარტო ქართულ, არმედ, ალბათ, საერთოდ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, პირველი თავისი ორიგინალურ-მხატვრული ღირსებებით და შინაარსით, ხოლო მეორე ამას- თან ერთად თავისი სრულყოფილი კომპოზიციური შედგენილობით. დანარჩენი ტეგლები (ევსტათი მცხეთელის, კოსტანტი კახის, გობრონის, აბიბოს ნეკრე- სელის, არჩილ მეფის, დავით და კოსტანტინეს „წამებები“), მართალია, საინ-

<sup>14</sup> ჩარტირიკა, ქეგლები, VI, 158, 10—17.

<sup>15</sup> ქევლები I, 241.

<sup>16</sup> ქევლები, V.

ტერესო ისტორიულ ცნობებს გვაწვდიან სხვადასხვა პერიოდის საკრიტიკულოს შესახებ, მაგრამ დაშტამპული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით და კომპოზიციური წყობით დიდად არ განსხვავდებიან ბიზანტიური ტრაფარეტული ძეგლებისაგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წმინდა წერილის ლიტერატურული ხერხებისა და შედარებების გამოყენება ისევე ჩვეულებრივა ქართულ ძეგლებში, როგორც ბიზანტიურში. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ბოლო საუკუნეების ძეგლები (ქვევანის, ლუარსაბის, ბიძინა, შალვა და ელიზბარის, რაედენის „წმებები“) ძირითადად აგრძელებენ წინა პერიოდის ტიპიური „წამების“ ტრადიციებს, მაგრამ შეინიშნება „ცხოვრების“ ყანრის თხზულებათა დიდი გავლენაც და „შესხმითი“ ყანრის აგიოგრაფიულ ძეგლების გავლენის კვალიც (ლუარსაბისა და ბიძინა, შალვა, ელიზბარის „წამებები“, ანტონის „მარტირია“ მთლიანად).

\* \* \*

მართალია, ქართულ მარტიროლოგიურ თხზულებათა შეისწერებაში უკუნევი დიდად ქართული ლიტერატურის ისტორიის, ისტორიოგრაფიისა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიისათვის. მაგრამ ქართულ ჰაგიოგრაფიაში ცენტრალური ადგილი მაინც „ცხოვრება-მოქალაქეობებს“ უჭირავთ. სწორედ ამ ეანრში დაიწერა უბრწყინვალესი თხზულებების ერთი წყება (გრიგოლ ჩანძთელის, ევვოთიქ მთაწმინდელისა და გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებები“), რომელთა შესადარი ქართულ მარტიროლოგიურ ლიტერატურაში მხოლოდ „შუშანიკის წამება“ და შესაძლებელია, „აბოს წამება“ იყოს.

როდესაც ჩვენ ჰაგიოგრაფიის ორ ძირითად ეანრად „წამებად“ და „ცხოვრებად“ გყოფთ, ამოსავალია არა მარტო წმინდანის აღსასრულის სიხე („წამებებში“ წამებით სიკვდილი, ხოლო „ცხოვრებებში“ ბუნებრივი გარდაცვალება), არამედ ისიც, რომ აქ გვაქვს ღმერთთან მიახლოვების ორი სხვადასხვა გზა: პირველი, ჰაგიოგრაფიული მწერლობის იდეალი — მოწამეობა (ქრისტეს წამების მიბაძვით), რომლითაც ქრისტიანს შეუძლია მიაწიოს უმაღლეს ადამიანურ იდეალს, ადამიანურ სრულყოფილებას (მათ მხრივ მას გარეკვეული უბრატესობა აქვს „ცხოვრების“ ეანრთან), მეორე, ამ იდეალს ქრისტიანმა შეიცლება მიაღწიოს ყოველდღიური მოუღლელი სარწმუნოებრივი შრომით, როგორც გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებში“ არის ნათქვამი: „ესე ყოველს ეამსა იწამებოდეს სახელისათვს ქრისტესისა“<sup>17</sup>, ანდა იოვანე ზედაშნელის ვრცელ ცხოვრებაში „ყოველთა დღეთა ეწამებიან და შრომათა თვეთა შემატებენ“<sup>18</sup>. სხვაგვარად, ყოველდღიური საქმიანობა სიყვეთისათვის, ბრძოლა ბოროტებასთან და ურწმუნოებასთან ყოველდღიურ „წამებას“ უტოლდება. მიტომ ამ ორი სხვადასხვა გზით საბოლოო მიზნის მიღწევის აღწერას განსხვავებული ხერხებით დაწერილი თხზულებების ფორმა შეესიტყვება.

„წამებისა“ და „ცხოვრების“ ეანრის ქართულ თხზულებათა შედარებისას ირკვევა, რომ „წამების“ გმირები ძირითადად საერთო პირები არიან (გამოხაკლისია აბიბოს ნეკრესელი, ლუკა იერუსალიმელი, ნიკოლოზ დვალი და შიო გარეგელი, თანაც უკანასკნელი სამი მოწამის შესახებ მხოლოდ „წამების“ სვინიქსარული ძეგლები არსებობს), ხოლო „ცხოვრებისა“ მხოლოდ სა-

<sup>17</sup> ძეგლები, I, 257.

<sup>18</sup> ძეგვ, ვ3- 208.

სულიერო პირები და თანაც მხოლოდ ბერ-მონაზვნები, რითაც თითქოს ხეჭკვილები გასმულია, რომ საერო პირს მხოლოდ მოწამებრივი გზით შეუძლია მოუახლოვდეს ქრისტეს იდეალს, ხოლო სასულიერო პირისათვის ასეთი იდეალის შესაბუევად მოწამებრივი გზაც ასებობს (ზემოდასახელებული მაგალითები) და ყოველდღიური რუდუნებით მთელი სიცოცხლის მანძილზე საღმრთო საქმეების კეთებით, სიკეთისათვის ბრძოლით და ბოროტების დათრგუნვით, მიწაზე მისი ასებობის „მოწამებრივი ცხოვრების“ განლევით მიღწევის გზაც.

„წამება“, როგორც წესი, ერთპლანიანი თხზულებაა, რომლის ცენტრალური მომენტია მოწამის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის აღწერა, მისი წამების გამოწვევი სიტუაციების დახასიათება და წამების დროს გამოჩენილი შოთმინების, სარწმუნოებრივი სიმტკიცის აღწერა და ბოლოს მისი სიკვდილით დასჯის ფაქტი. როგორც წესი, მარტინოლოგიურ თხზულებაში ან სრულებით არაფერია ნათქვამი მოწამის განვლილი ცხოვრების შესახებ, ან რამდენმეტაზეთ აღნიშნულია მისი ღვთისმოშიშება და ღვთის სიყვარული ბავშვობიდან დაწყებული სიკვდილიმდე. ამ ფაქტის ასენა აღბათ იმითაც შეიძლება, რომ მოწამე გმირი ჰაგიოგრაფიის ინტერესის აბიექტი ჩდება არა თავიდანვე, არამედ მის მიერ მოწამებრივი აღსასრულის მიღების შემდეგ. მხოლოდ მისი შოწამეობა განაპირობებს მწერლის ინტერესს, ამის შემდეგ იწყებს ის ფიქრს შოწამეზე თხზულების დაწერის შესახებ, მაგრამ მას საქამა ცნობები არა აქვს დის შესახებ, თუ როგორია მოწამის ცხოვრების დეტალები, ეპიზოდები, რომელთა მიხედვითაც თანდათანობით ყალიბდებოდა მომავალი პოტენციური ქოწამის მტკიცე ხასიათი (გამონაკლისია შუშანიკი და ნაწილობრივ აბო თბილელი). ამიტომ მარტინოლოგიურ თხზულებათა უმრავლესობა სქემატური და შაბლონურია მოწამის ცხოვრებისეული ამბების, ჩვევებისა თუ ფსიქოლოგიური ნიუასების გადმოცემაში. ინდივიდუალური ხასიათების წარმოჩინება ჰაგიოგრაფიული მწერლობის, განსაკუთრებით მარტინოლოგიურ თხზულებათა უსუსტესი მხარეა. „მოწამეთა“ ერთი და იმავე ხერხებით დახასიათება ქმნის ტრაფარეტს. ერთი მოწამე მეორისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება. ეს ერთვაროვნება იმითაც არის გამოწვეული, რომ ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგიით მოწამეობა აღამიანური სრულყოფილების ყველაზე მაღალი განვილინებაა, ადამიანური იდეალის უმაღლესი საფეხურია, ღმერთის შემეცხების ერთ-ერთი უმთავრესი გზაა და ამიტომ ასეთ პიროვნებას მხოლოდ რდეალური სულიერი თვისებები ახასიათებს, მხოლოდ სათნაებანი (სიმღბლე, მოწყალება, უმანკოება, სიმშვიდე, მახსულობა, სიყვარული, სასოება) და არ შეიძლება უარყოფითი თვისების ნიშან-წყალი ჰქონდეს. ქრისტიანული იდეოლოგია ცნობს იდეალურად დადებით გმირს და მასთან დაპირისპირებული ბოროტების განსახიერებას (სანამ მასზეც კეთილი არ გაიმარჯებს და იგი იდეალური არ გახდება). ამიტომ არის, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირის თვისებები ესადაგება ევანგელისტური წიგნების თეორიულ მოთხოვილებებს და რელიგიურ იდეალებს. ამ მეთოდით „მოწამის“ დახასიათების უამრავი მაგალითიდან, რომელიც ყველა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გვხვდება, მოვიტანოთ ორიოდე „კოსტანტი კახის წამებიდან“: „ამას ყოველსა თნაც ფრიად მოლუაწე იყო იგი ნაკლულევანთათვს სახლისა თვისისათა, რამეთუ ცმინა თქმული იგი პავლეს მოციქულისად, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე ოქსთა, და უფროოს-ლა სახლეულთა, არა მოლუაწე იყოს, სარწმუნოება უფარ-

უყოფის მას და არს იგი ურწმუნოთა უძრავს<sup>19</sup> (ტიმ. 5, 8), ანდა: „უუნდა  
ხეტარსა მას სიმდაბლც და თავის-დება უფროს ყოველთა კაცოა, რამეთუ  
ესმინა სიტყუად იგი მჯსნელისა და მაცხოვრისაც, ვითარმედ: „ისწავეთ ჩემ-  
ის, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ<sup>20</sup> (მთვ., II, 29). ასეთი სტატიკური, მხო-  
ლოდ ფრაზეოლოგიური დახსიათება ტიპიურია ჰაგიოგრაფიულ თხზულება-  
თავების, განსაკუთრებით კი მარტიროლოგიური ძეგლებისათვის. წმინდანის და-  
ხასიათება არა ამგვარად, არამედ მისი მოქმედებით გარკვეულ კონკრეტულ  
სტუაციაში, გაცილებით იშვიათია და ძირითადად „ცხოვრება-მოქალაქეობებ-  
ში“ გვხვდება.

\* \* \*

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის „ცხოვრება-მოქალაქეობის“ უან-  
დის პირველი თხზულება, რომელიც IX ს. არის შედგენილი, ქართული ეკლე-  
სიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენას — ოღონსავლეთ საქართველოში  
ქრისტიანობის შემოსვლისა და საბოლოოდ დამკვიდრების ასახეს. „მოქცევად  
ქართლისაც“, რომლის სათაური გადმოვცემს ძეგლის ძირითად შინაარსს, თი-  
ოქოს არ უნდა იყოს ჰაგიოგრაფიული თხზულება მისი სათაურის ამ უანრისად-  
ნი შესაბამიბის გამო. თხზულების შესავალი ნაწილიც ისტორიულ-ქრონი-  
ლოგიური ხასიათისაა, მაგრამ ძეგლის მეორე ნაწილი, რომელიც ორგანულად  
უკავშირდება თხზულების დასაწყისს და რომლის სათაურია „ცხოვრება წმი-  
დისა ნინოსი“, ადასტურებს, რომ თხზულება საქართველოს განმანათლებლის  
ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილი ჰაგიოგრაფიული ძეგლია.  
შინი კომპოზიციური ორიგინალობა, რომლითაც ის არც ერთ „ცხოვრებას“  
არ ჰვავს (გავიხსენოთ, რომ პირველი ქართული მარტიროლოგიური თხზულე-  
ბაც „შუშანიკის წამება“ ასევე თავისებურია „წამების“ უანრის სხვა თხზუ-  
ლებებთან შედარებით), უნდა აისხნას თვით თხზულების ცენტრალური გმი-  
რის ისტორიული მისით. მართალია, თხზულების ძირითადი ნაწილი წმ. ნი-  
ნოს ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს უჭირავს,  
მაგრამ თხზულების ძირითად სათაურში აისახა უნიშვნელოვანესი, საქართვე-  
ლოს ცხოვრების ისტორიული შემობრუნების ფაქტი, ნინო განმანათლებლის  
ღვაწლის ყველაზე დიდი შედეგი (გრანდიოზულმა შედეგმა, ასე ვთქვათ, და-  
ჩრდილა ამ შედეგის შემოქმედი). აღმოსავლეთ საქართველოს „მოქცევის“  
ისტორიის სისრულით წარმოჩენამ კი მოითხოვა ისტორიულ-ქრონილოგიური,  
ასე ვთქვათ, დოკუმენტური ხასიათის ექსკურსიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ,  
რომ გვაინდელმა ჰაგიოგრაფებმა, ლეონტი მროველმა და არსენ იყალთოელ-  
მა, რომლებმაც „მოქცევად ქართლისაც“ საფუძველზე დწერეს „ნინოს ცხოვ-  
რების“ ახალი რედაქციები, უარი თქვეს თავიანთი წყაროს ისტორიულ-ქრო-  
ნილოგიურ ნაწილზე.

„მოქცევად ქართლისაც“ კომპოზიციური ორიგინალობა თხზულების და-  
საშეისში ისტორიული ქრონიკის დართვით არ ამოიწურება: ორიგინალურია  
კომპოზიციურად წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველი ეპიზოდების დალაგებისა  
და შინაარსის გადმოცემის ხერხებიც (სხვადასხვა პირების მიერ ნინოს ცხოვ-

<sup>19</sup> ძეგლები, I, 166, 3.

<sup>20</sup> იქვე, 166, 8.

რებისა და ქართლის გაქრისტიანების სხვადასხვა ეპიზოდების შესახებ თხზულებისა ბა, რომელშიც ხშირად არ არის დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა), რაც უჩვეულა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ტიპიური ნიმუშებისათვის. სწორედ ამიტომ გადაკეთეს ეს თხზულება ჩვეულებრივი სტანდარტების მიხედვით ჯერ ლეონტი მროველმა — უფრო ნაკლებად და შემდეგ ასეს იყოლოოლმა. ეს უკანასკნელი წერს: „ეს ნეტარისა ნინოს ცხოვრებად შეუწყობლად განანეულად „ქართლისა მოქცევას“ თანა... აღრეულად სწერია... გარნა წინ უკუანა და უკუანა წინა, იგივე და ერთი პირი“<sup>21</sup>.

ამრიგად, თუ ჩვენამდე მოღწეული მარტიროლოგიური თხზულება — „შუშანიების წამება“ დაწერა V საუკუნეში, პირველი ჩვენამდე მოღწეული „ცხოვრება-მოქალაქეობის“ ძეგლი „მოქცევად ქართლისად“ („ცხოვრებად წმილისა ნინოსი“) მხოლოდ IX საუკუნის II ნახევარში არის შექმნილი. ამ ფაქტზე დაყრდნობით შევიძლია ვთქვათ, რომ „ცხოვრების“ ჩამოყალბება ქართულ ჰაგიოგრაფიაში ვკიანდელი მოვლენა ჩანს, თუკი ამ უანრის რამდენიმე თხზულებას დაყარგულად არ მივიჩნევთ. ცნობილია, რომ ბიზანტიურ ხელისით მშერლობაში „ცხოვრების“ უანრის წარმოშობის საფუძველი და მიზეზი სამონასტრო ორგანიზაციის ჩამოყალბება იყო (III ს. II ნახევარი). საქართველოს სინამდვილეში კი აუცილებელი არ იქნებოდა „ცხოვრებები“ იშვე საფუძველზე შექმნილიყო, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდებიან (ე. ი. IV ს. I ნახევრიდან) სამონასტრო ცხოვრების დაწყებამდე (VI ს. II ნახევრამდე) ორ საუკუნეზე შეტი დროა და ამ ხნის მანძილზე ქართულ ეკლესიის აღზათ ბევრი ისეთი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე ჟყვადა, რომელთა ცხოვრება-ღვაწლის ღმწერა შესაძლებელი იყო, ჰაგიოგრაფიული თხზულების საგანი გამზღვიულ. ჰავრამ ჩვენამდე მოღწეული „ცხოვრებების“ მიხედვით თვიდანვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ უანრის წარმოშობა და განვითარება მხოლოდ სამონასტრო საქმიანობასთან არის დაკავშირებული და ამ უანრის ყველა ქართული თხზულება მხოლოდ მონასტროთა გამოხენილ მოღვაწეთა „ცხოვრება-მოქალაქებას“ აღწერს (გამონაკლისია „მოქცევად ქართლისად“ ანუ „ნინოს ცხოვრება“ და ისც გასაგები მიზეზების გამო). რაც ერთი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება არ არის მიღვნილი ქართული ეკლესიის ე. წ. „თეთრი საჲვდელოების“ არც ერთი წარმომადგენლისადმი (პეტრე იბერიელის „ცხოვრება“ ძირითადად პეტრეს სამონაზვნო მამებს გვითხრობს: მის მიერ ქართველთა მონასტრისა და სასტუმრო სახლის მშენებლობის, უფრო ნაკლებს კი მისი საეპისკოპოსო მოღვაწეობის შესახებ. ამასთანავე ის ხომ ბერძნული ირიული ეკლესიის ეპისკოპოსია და არა ქართული ეკლესიისა და, თანაც „პეტრე იბერიელის ცხოვრება“ ნახევრად ორიგინალური და ნახევრად ნათარგმნი ძეგლია). ამიტომ, თუ კი ჩვენ ვიფიქრებთ, რომ „ცხოვრების უანრის რამდენიმე თხზულებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ისც უნდა დაუუშვათ, რომ ას თხზულებებიც ქართველ ბერ-მონაზონთა „ცხოვრებები“ იქნებოდა (უკველისი ძეგლებიდან ასეთები შეიძლება ყოფილიყო „ასურელ მამათა“ შესახებ შექმნილი ერთობლივი ძეგლი ან რამდენიმე მათგანზე დაწერილი ცალკეული თხზულებები, გაცილებით აღრინდელი, ვიდრე ჩვენამდე მოსული ასურელ მამათა ცხოვრების ე. წ. არქეტიპები — X ს., ხოლო უფრო გვიან შექმნილი და აწ დაყარგული IX ს. თხზულების „მიქელ პარეხელის ცხოვრების“ შესახებ

<sup>21</sup> ძეგლები, III, 51.

შოწმობა მოიპოვება ქართულ წყაროებში). „მოქცევად ქართლისად“ თუშესტეტებულ  
არა ტიპიურ, ორიგინალური კომპოზიციის ჰაგიოგრაფიულ თხზულებად მი-  
კრჩნიეთ, მის შემდეგ შექმნილი ყველა „ცხოვრება-მოქალაქეობა“ ჰაგიო-  
გრაფიის ამ უანრის ტიპიური ნიმუშია. „ცხოვრება-მოქალაქეობის“ უანრის  
ითქმის ყველა ქართული თხზულება X—XI ს. დაიწერა (გმონაკლისია  
XVIII ს. პირველ ნახევარში შექმნილი ბესარიონ თრბელიშვილის „დაძინება...  
ასე წილკნელისად“, რომელიც სანახევროდ კომპილაციური, თანაც უფრო მე-  
ტაფრასული ძეგლია, და ამავე საუკუნის ბოლოს გაბრიელ მცირის მიერ და-  
წერილი „ცხოვრება და მოქალაქეობა... სქემოსან ანოფრესი“, ტრაფარე-  
ტული, მდარე ღირსებების მქონე თხზულება). სწორედ ეს საუკუნეებია ქარ-  
თული ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარების მწვერვალიც და მისი და-  
ძენითების დასაწყისიც. XI საუკუნის შემდეგ, კერძოდ, გიორგი მცირის  
, ცხოვრებად გიორგი მთაწმიდელისახს“ შემდეგ ქართული ჰაგიოგრაფიული  
მწერლობის „ცხოვრების“ უანრში ახალი აღარაფერი შექმნილა. XII საუკუნის  
II ნახევრიდან იწყება ზოგიერთი ძეველი ძეგლის გადაეთება, გამეტაცირასება,  
რომელთა ლიტერატურული ლირებულება საგრძნობლად ჩამოარჩება წინა საუ-  
კუნეებში შექმნილ ქართულ თვალსაჩინო ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა დო-  
ნებს. X—XI ს. შექმნილი თოთქმის ყველა „ცხოვრება“ ქართული ჰაგიოგრა-  
ფიული მწერლობის შესანიშნავი ნიმუშია: „ცხოვრებად და მოქალაქეობად სე-  
რაპიონისი“ (X ს.), „ცხოვრებად და მოქალაქეობა... იოანე ზედაზნელისა და  
მოწაფეთა მისთად“ (შიო მლომელისა და დავით გარეგელისა, X ს.), „ცხოვ-  
რებად და მოქალაქეობად ილარიონ ქართველისად“ (X ს.), „ცხოვრებად... იოა-  
ნესი და ეფთვემესი“ (XI ს.), ხოლო ორი მათგანი: შორმად და მოლუაწებად  
ღირსად ცხოვრებისად ... გრიგოლისი არქიმანდრიტისა, „ხანცისა და შატერ-  
ლისა აღმაშენებელისად“ (X ს.) და „ცხოვრებად და მოქალაქეობად ... გიორგი  
შთაწმიდელისად“ (XI ს.). კი — საერთოდ ჰაგიოგრაფიულ მწერლობის შე-  
დევრი.

სამონასტრო ცხოვრება, რომელიც ძირითადი და, თამამად შეიძლება ით-  
ქვას, ერთადერთი წყაროა X—XI ს. ქართული „ცხოვრება-მოქალაქეობის“  
შექმნისათვის, ყველაზე აღრე აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლისა და  
კახეთის ტერიტორიაზე, წარმოიშვა VI საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც  
მწერლობითი წყაროები გვიდასტურებენ, პირველი მონასტრების დაარსება  
სირიიდან მოსული იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების სახელთან არის  
დაკავშირებული, თუმცა მათი მოლუაწების ამსახველი ჰაგიოგრაფიული ძეგ-  
ლი, ჩევნამდე მოლუაწეული მასალების მიხედვით, მხოლოდ X საუკუნის მეორე  
ნახევარში შეიქმნა (მართალია, აბიბოს ნეკროსელის წამება IX ს. ძეგლადაა  
შენერული, მაგრამ ის „წამებას“ წარმოადგენს).

სამონასტრო მშენებლობის მეორე, უფრო გვიანდელი კერა, რომელთა-  
ნაც დაკავშირებულია ორი უმნიშვნელოვანესი „ცხოვრება-მოქალაქეობა“ —  
ცერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანცოელის „ცხოვრებათა“ შექმნა, სამ-  
ტრეთ საქართველოს ტაო-კლარჯეთისა და სამცხის პროვინციებში წარმოიშვა  
VIII—IX სს.<sup>22</sup> (სამცხის სამონასტრო ცხოვრების ამსახველი ყოფილა აშ-

22 ქართულ საეკლესიო-სავანმანიათლებლო კერტებში წარმოებული ლიტერატურულ-საზო-  
გადობრივი საქმიანობის შესახებ საერთოდ და კერძოდ სამხრეთ საქართველოსა და საზოგარ-  
ებრეთის ქართული კერტებს შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. მენაბდე, ძეველი ქართული მწერლ-  
ებრები, I (I და II ნაცენტები), თბ., 1962, II, 1980.

დაკარგული მიქელ პარეხელის „ცხოვრებაც“, რომლითაც სარგებლობდა საქართველოს მართვის მინისტრი („ცხოვრების“ ავტორი). მესამე კერა, რომელმაც X-XI სს. რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ქართული „ცხოვრება-მოქალაქეობა“ ჰიგვაცა, ათონის მთის ქართული მონასტერი იყო საბერძნეთში, დაარსებული X საუკუნეში (ილაზიონ ქართველის, იოვანესი და ექვთიმეს, გორგი მთაწმიდელის „ცხოვრებები“. იერუსალიმის ჯვარის ქართულ მონასტერში მხოლოდ პროხოროვ ქართველის სვინჯვარული „ცხოვრება“ დაიწერა XI ს. II ნახევარში).

საქართველოში დაწერილ „ცხოვრებათა“ შორის ყველაზე აღრე „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ არის შექმნილი (X ს. 20-იანი წლების ბოლოს), შემდეგ „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ (951 წელს) და „იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება“ (X ს. II ნახევარში — 955—980 წწ.)<sup>23</sup>. სამივე თხზულების ავტორი, სახელნიეროდ, ცნობილია. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ავტორი ბასილ ზარზმელი, მართალია, სერაპიონის ძმისწულია, მაგრამ არ არის თავისი ბიძის საქმიანობის მომსწრე და თვითმხილველი და მაინც „ცხოვრება“ დაწერილია სერაპიონის გარდაცვალებიდან ორიოდე უკული წლის შემდეგ, ასე ვთქვთ, „ცხელ კვალზე“. უფრო მეტი დრო, 90 წელი, აშორებს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ავტორს, გორგი მერჩულეს, გრიგოლის გარდაცვალებისაგან, თუმცა ამ გარემოებას უარყოფითი კვალი მაინც ვერ დაუმჩნევია ბასილი ზარზმელისა და, განსაკუთრებით, გიორგი მერჩულეს თხზულებათა ღირსებებზე. ამასვე ვერ ვიტყვით ითანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა „ცხოვრების“ შესახებ. ამ თხზულების ავტორად თვით ძეგლის სათაურში არსენ ქართლის კათალიკოსია მოხსენიებული. ფიქრობენ, რომ ეს ის არსენია, რომელიც 955—980-იანი წწ. იყო კათალიკოსად, რომელიც თვითი თხზულების გმირებს დაახლოებით 400 წლით მაინც არის დაშორებული, რასაც, შეუძლებელია, უარყოფითი გავლენა არ ჰქონდა მის მცერ აღწერილი თხზულების შინაარსობრივ სისრულეზე და თხრობის ხარისხე. ამას თვით ავტორიც ამბობს: „ეს მცირედი მრავალთაგან დიდთა საქმეთა დავწერეთ მიმყოვრებისათვის ფამისა<sup>24</sup>. ამიტომ არის, რომ ამ უკანასკნელში შასალის სიმცირე შევსებულია სასწაულების სიმრავლით, განყენებული მსჯელობებით და ლოცვებით.

\* \* \*

მართალია, ჩეენ ამჯერად მიზნად არ დავვისახავს, ცალკეულ პაგინოგრაფიულ ძეგლთა კონკრეტულ საკითხებს შევხებოდით, მაგრამ რადგან ე. წ. ასურელ მამათა (იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი და დაეგით გარეჭელი), „ცხორებანი“ ერთ ძეგლად მოვიხსენიეთ, რომლის სახელწოდებაა „ცხორებაა... იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთავ“, და ეს ძეგლი ამ მოღვაწეთა შესახებ დაწერილ თხზულებათაგან ყველაზე უძველესად დავასახელეთ, ამ საკითხს განმარტება ესაჭიროება, მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ საპირისპირო აზრებია გამოთქმული.

ცნობილია, რომ „ასურელ მამათა“ მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე სხვადასხვა რედაქციის თხზულება არსებობს: 1. იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დაეგით გარეჭელის შედარებით მოქლე ცხოვრებები, რომლებ-

<sup>23</sup> იბ. ა. კრკელიძე, ძელი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, 150, 152; 161.

<sup>24</sup> ძეგლები, I, 217.

საც ნამეცნიერო ლიტერატურაში „არქეტიპები“ ეწოდა. 2. იოანე ზედაზე გვისა „ცხოვრება“, რომლის ერთადერთი ნუსხა შეტანილია ანა დედოფლის გვარის გვარებაში<sup>25</sup>. ეს „ცხოვრება“ ბოლონაკლულია. დაკარგულ წარიღილში ვარაუდობენ ამავე რედაქციის შიო მღვიმელის „ცხოვრების“ არსებობა-1აც, რომელიც იოვანე ზედაზნელის „ცხოვრების“ გაგრძელებას წარმოადგენდა. 3. დასახელებულ მოღვაწეთა ცხოვრების მეტაფრასული რედაქციები, რომელთა შეართო ე. წ. „არქეტიპები“. მეტაფრასული რედაქციის ცხოვრებები რომ დანარჩენებზე გვიანდელია, ეს ეჭვს არ იწვევს და ამჯერაც მათ არც შევცებით.

გასარცვევია, „არქეტიპი“ არის ის უძველესი რედაქცია, რომელიც ასურელ მამათა მოღვაწეობის შესახებ დაიწერა პარველად, ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი იოანე ზედაზნელის ცხოვრება და მის გაგრძელებად საგულისხმევი შიო მღვიმელის ცხოვრება ამ „არქეტიპის“ გავრცობა-გადარეშევებას წარმოადგენს, თუ პირიქით, „არქეტიპია“ შემოკლებული, დახვეწილი ვარიანტი „ქართლის ცხოვრებისეული“ ნუსხისა. ორივე ვარაუდს სამეცნიერო ლიტერატურაში თავისი დამცველი ჰყავს (ჩვენს აღრინდელ ნაშრომში უპირატესობა უკანასკნელ შესაძლებლობას მივეცით<sup>26</sup>).

იოვანე ზედაზნელის ვრცელი ცხოვრება („ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ნუსხა) არ შეიძლება XI—XII საუკუნეზე აღრინდელი იყოს, რადგანაც ის მეტაფრასული რედაქციისაა. ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, მისი სათაურის შემდეგ მიწერილი გლოსა: „განაახლა და განავრცო... ქრისტეს შეირ არსენი კათალიკოზმან“. ამასვე ამტკიცებს თვით „ცხოვრებაში“ აღნიშნული ფაქტიც: „ხოლო პირველი იგი ცხოვრებად და საქმენი იგი ამის ნეტარისინ შერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“<sup>27</sup>. ამასთანავე თეოლოგიურ-დოგმატიკური ვრცელი შესავალი, პასაუები და ენობრივ-სტილისტური მონაცემები უკვევლსა ხდის ამ თხელულების შეტაფრასულობას და მის „არქეტიპზე“ აღმოცენების ფაქტს. ამასთანავე ურცელი თხელულების სათაური მიანიშნებს, რომ ეს ძეგლი მხოლოდ იოანე ზედაზნელის ცხოვრებას შეიცავს (ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ამ ცხოვრების აღწერა ავტორისათვის უთხოვნია ზედაზნის მონასტრის წინაშძლვარს მიქელს, რომელსაც, ბუნებრივა, თავისი მონასტრის დამასტებლის ცხოვრება ანტერესებდა) და მის გაგრძელებად ვერ ვიგულისხმებთ აწ დაკარგულად მიჩნეულ შიო მღვიმელის ამავე ხასიათისა და სტილის ცხოვრებას: „ცხოვრებად... იოანე ზედაზნელისაა, რომელი ბრძანებითა ღმრთისათა და წინამდლურობითა სულისა წმიდისათა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით შეუყად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“<sup>27</sup>. „არქეტიპის“ სათაურები კი მიგვანიშნებს, რომ „ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა შემისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა, რომელთა ვანათლეს ქუეყანა ესე ჩრდილოეთისად“ მარტო იოანე ზედაზნელის ცხოვრება კი არ არის, არამედ მისი მოწაფებისაც, ძირითადად შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელისა, ხოლო დანარჩენის შესახებ მოკლე ცნობები (თათა, ისე წილქნელი, იოსებ ალავერდელი და სხვ.) ჩართულია ძეგლის სხვადასხვა ადგილის. ამ ძეგლში, რომელიც იწყება იოანე ზედაზნელის ცხოვრებით, ქვე-

25 ძეგლები, IV, 31.

26 ძეგლები I, 198.

27 იქვე, 191.



სათაურებით არის გამოყოფილი „ცხოვრებად და მოქალაქობად ღირსისა შაშიუროვენი უნიტარული სუენისა შიომხისი და ევაგრესი“<sup>28</sup>. ეკვედარებეა, რომ ეს უკანასკნელი შთლიანი ძეგლის შემადგენელი ნაწილია. ამის დასტურად შეიძლება მოვიტანოთ ოვანე ზედაზნელის „ცხოვრების“ ბოლო ნაწილი, სადაც არაფერია ნათქვამი იოანეს გარდაცვალების შესახებ, ხოლო ბოლო აბზაცში ლაპარაკია იმაზე, რომ „აწ ხეტართ მოწაფეთა მისთათვს ვიტყოდით“-ო და იქვე თათას მიერ მონასტრის აშენებაზეა საუბარი ორიოდე წინადადებით, ხოლო თხზულების ბოლო სტრიქონებში კი ნათქვამია: „ხოლო სხუანი შემდგომად ამისსა მოვიკენეთ და ღმერთსა ვადიდებდეთ... უშუალოდ ამის შემდეგ მოდის ქვესათაური „ცხოვრებად... შიომხისი...“, რომლის დასწყისი უკანასკნელ პერიოდს ეხება, აღნიშნულია შიის მოხუცება, სიკეთელის მოახლოვების წინათგრძნობა, მოწაფეების მოხმობა და მათი დამოძლვა, გარდაცვალებად და დასაფლავებასთან დაკავშირებული სასწაული. ეს დეტალი უპირველად ამტკიცებს, რომ იოანესა და შიოს „ცხოვრებები“ ერთი ძეგლის ორი ნაწილია და არა ცალკეული თხზულებები. იგვე უნდა ითქვას დავით გარეჯელის ცხოვრების „არქეტიპის“ შესახებაც, რომ ის „შიოს ცხოვრების“ გაგრძელებას წარმოადგენს და იოანე ზედაზნელისა და მიის მოწაფეების „ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია და არა დამოუკიდებელი თხზულება, ოღონდ ამ ძეგლის შედგენილობაში შიოს „ცხოვრების“ მსგავსად ქვესათაურით გამოყოფილია „ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაა“<sup>29</sup>. ამას ადასტურებს დავით გარეჯელის „ცხოვრების“ დასწყისი, რომელიც ზუსტად შიო მღვიმელის „ცხოვრების“ სტილში იწყება (ამასთანავე ორივე ნაწილის სათაური იღინტურია): „ხოლო ეს წმიდად მამად ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჭად თავისა თვისისა“<sup>30</sup>! „ხოლოთი“ არ შეიძლება დაიწყოს საგომგრაფიული თხზულება, როგორც იწყება შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის „ცხოვრებათა“ მოკლე რედაქციები, ავტოთვე აბიბოს ნეკრესელის „წამების“ შედარებით მოკლესთან ვრცელი რედაქცია. ე. ი. ისინი დამოუკიდებელი თხზულებები კი არ არიან, არამედ ერთი მთლიანი თხზულების ნაწილები. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ შიო მღვიმელის „ცხოვრების არქეტიპში“ არაფერია ნათქვამი შიოს გარდაცვალების შესახებ (ზუსტად ისევე, როგორც იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი იოანეს გარდაცვალების შესახებ და ეს ფაქტი ონიშნულია „შიოს ცხოვრებაში“). მოსალოდნელი იყო, რომ შიოს გარდაცვალებაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო საუბარი (წინა-აღმდეგ შემთხვევაში ის იქნებოდა ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის უპრეცენტო შემთხვევა) მიის ცხოვრების გაგრძელებად ნაგულისხმევ, რომელიც შე ასურელი მამის ცხოვრებაში: დავით გარეჯელის ცხოვრებაში კი შიოს გარდაცვალებაზე არაფერია თქმული. შიო მღვიმელის გარდაცვალების ფაქტი ონიშნულია აბიბოს ნეკრესელის „წამების“ შედარებით ვრცელი რედაქციის სილოს: „ხოლო ნეტარმან შიო მღვიმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგა-

28 იქვე, 217.

29 ძგლები, I, 229.

30 იქვე.

ლიტი (ეს წინადაღება შიო მღვიმელის „ცხოვრების“ ბოლო სტატიურულ წესრი გამოირჩება) ... და ისტრაფდა მისლვასა მის წინაშე, რომელი-იგი პოიქუა მან, მიიყვანა ადგილსა მას, სადაცა სუროდა, და შეისუენა დიდითა განცხადებულებითა...<sup>31</sup>. აბიბოს ნეკრისელის „წამების“ მოკლე რედაქტირაში შეგვასი რამ არ არის. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის ცხოვრებათა „არქეტიპები“ და აბიბოს ნეკრისელის „წამების ვრცელი რედაქტირა (რომელიც წარმოადგენს „წამების“ მოკლე რედაქტირას გავრცებას) ერთი ძეგლის შემადგენელი ნაწილებია და შათი ცალკე თხზულებებად გამოყოფა გვინდელი რედაქტორის ნახელავია<sup>32</sup>. ამრიგად, იოვანე ზედაზნელის „ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ტექსტი არქეტიპის საფუძველზე აღმოცენებული თხზულებაა და მისი და-კარგული ნაწილი თუ კი შეიცავდა შიოს ცხოვრებასაც (ასეთი ვარაუდი გამო-სტეპულია<sup>33</sup>) და დავით გარეჯელის ცხოვრებას (ასეთი ვარაუდი არ გამოთქმულია). ისინი ისეთივე მეტაფრასული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებული თხზუ-ლებები უნდა ყოფილიყო, როგორც იოვანე ზედაზნელის დასახლებული „ცხოვრება“ და შესაბამისი „არქეტიპის“ საფუძველზე დაწერილი, ისევე, როგორც მოგვიანებით „არქეტიპების“ საფუძველზე კიდევ დაწერილი (XII ს.) იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრებანი“ და აბიბოს ნეკრისელის „წამების“ ვრცელი რედაქტირა. ამრი-ცად, არსენ II ქართლის კათალიკოსის მიერ X ს. II ნახევარში დაწერილი თხზულება „ცხოვრებაა და მოქალაქეობაა წმ. მ. ჩ. იოვანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთავე“ ამ მოღვაწეთა შესახებ დაწერილი ჩენენადვ მოწევულ ძეგლთაგან უძველესია. ეს თხზულება ერთი მთლიანი ძეგლია, რომელიც იერთიანებს იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხოვ-რებიბს“ და აბიბოს ნეკრისელის წამებას (ეს უკანასკნელი თუკი ცალკე თხზუ-ლებად არსებობდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ის „წამების“ უანრისაა). ჩამო-თვლილ მოღვაწეთა შესახებ ცალკეულ თხზულებათა შექმნა XII ს. ქართველ შეტაფრასტა საქმეა.

\* \* \*

იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრება“ ძირითადად ბი-ზანტიურ ჰავიოვრაფიაში გავრცელებული „ცხოვრების“ ტიპისაა: ოხრობის თანმიმდევრობა ეპიზოდების ქრისტოლოგიური პრინციპით დარღვეული გამო-იხატება, კომპოზიცია ერთხაზოვანია, ყურადღების ცენტრში ყოველვის თრხობის ძირითადი ობიექტი დგას. იშვიათია რაიმე გადახვევა, ძირითად კომ-პოზიციაში ახალი ეპიზოდის შეტანა და თუ ასეთი მაგალითი შეგვხვდა (შიო შეღვიმელის „ცხოვრებაში“ თხრობა იოვანე ზედაზნელის ცხოვრების ბოლო პერიოდისა და მის გარდაცვალება-დასაფლავების შესახებ), ისიც ქრისტოლოგი-ური თანმიმდევრობის პრინციპს ემორჩილება და არ არის განვიჩრობებული

<sup>31</sup> ძეგლები, I, 248.

<sup>32</sup> უფრო ვრცელად ის. ე. გაბიძაშვილი. ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტიპებს ურთიერთობისათვის. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია) № 4, 1982, გვ. 61–67.

<sup>33</sup> ი. აბულაძე. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძეგლი რედაქტირი. თბი-ლისი, 1955, გვ. XXIV.

კომპოზიციური მრავალპლანიანობით. ეს ძეგლი კომპოზიციურად მარტირო-ლოგის უანრის ტრადიციების გამგრძელებელია. ითანე ზედაზნელისა და მისი მაწაფეების „ცხოვრება“ განცდეგილობის მოსურნე მეუდაბნოე ბერების ცხოვრების ამსახველი თხზულების ტიპიური ნიმუშია: მინიმუმამდეა დაყვანილი ბერების კონტაქტი გარე სამყაროსთან, ნათლად ჩანს მათი გულგრილობა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მათი ძირითადი მიზანია ხორციელი ბუნების უსასტიკესი დათვეუნვა და სწრაფვა სულიერი სრულყოფისაკენ. ერთი სიტყვით, ამ თხზულებას, როგორც პ. კეკელიძე აღნიშნავს, ახასიათებს ძონვითიზოტ-სირიელთა დამახასიათებელი „პირდაპირ ფსქო-პათოლოგიური საქციელი და არაბუნებრივი რეჟიმი“<sup>24</sup> საპირისპიროდ ბერძნებული სკეტიზმისა. ქრისტიანულ მწერლობაში გავრცელებული „კორცა განლევის“ მოტივი ქართულ პაგიოგრაფიულ თხზულებებიდან ყველაზე მძაფრად სწორედ ამ ძეგლშია წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენ თხზულებებში კი სუსტად.

ბიზანტიურ პაგიოგრაფიაში, კერძოდ კი, მეუღაბნოე ბერების ცხოვრები ასახველ თხზულებებში, ნაკლებად არის საუბარი მათ მიწიერ საქმიანობაზე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაზე და საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე. ისინი უმეტესად ინერტული, საკუთარ სულიერ სამყაროში ჩაკეტილი პირებია და მათი ძირითადი მოღვაწეობა გარე სამყაროზე საჭალების საშუალებით ზემოქმედებით ამოიწურება. ნაწილობრივ ასეთი სურათი გვაქვს ოთანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრებაშიც“, მაგრამ ეს არ არის ქართული „ცხოვრების“ ჟანრის დამახასიათებელი ნიშანი. დასახელებული თხზულებისაგან განსხვავებით, ყველა დანარჩენ ქართულ „ცხოვრებაშიც“ ბერძნობაზნობა უდიდესი პოტენციის ძალას წარმოდგენს, რომელიც თამამად ურევა ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალურ საქმეებში ეკლესიის ორგანიზაციისა და სტრუქტურის საკითხებში, წარმართავს საეკლესიო განათლებისა და საეკლესიო პირების მომზადების საქმეს. ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ ხანცოლის მოღვაწეობის ამსახველ თხზულებას „შრომაა და მოღუაწება... წმილია და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაა, ხანცოთისა და შატერლისა აღმაშენებელისაა...“ ეწოდება.

ითანე ზედაზნელის „ცხოვრების“ შეპირისპირების შედეგად გრიგოლ ხანცოლისა და სერპიონ ზარჩმელის „ცხოვრებებთან“ შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველი ქართული სამონასტრო ცხოვრება სირია-პალესტინის სამონასტრო ცხოვრების გადმონერებილი ვარიანტია და ამიტომ მისი ტრადიციების გამგრძელებელი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ე. წ. „ასურელ მამათა“ მიერ საფუძველჩაყრილი სამონასტრო კერები არა გვიონია, რომ დაარსებიდანვე გამოირჩეოდნენ სამონასტრო შენებლობის მასშტაბურობით ან საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობით. პირიქით, ჩვენს ხელთ არსებული მასალებით პირველი მონაზნები უდაბურ ადგილებში გამოქვაბულება და მღვემებში ატარებდნენ ცხოვრებას. ამ ადგილებში სამონასტრო კომპლექსების შექმნა და მათთან დაკავშირებული საწიგნობრო კერების აღმოცენება უმგვიანებით მოხდა იქ მიძალებული ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსული ბერძნობაზნების ინიციატივით. ზოგიერთი ამ კერათაგანი (მაგ., გარეგა და პეოლოგიმე) მოგვიანებით ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულ საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ ეროვნულ სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი სამხრეთ საქართველოში, ჯერ ტაო-

<sup>24</sup> პ. კეკელიძე, საკოხი სირიულ მოღვაწეთა ქართლში მოსელის შესახებ, ეტიულები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, 33.

კარგეთში, შემდეგ კი სამცხე-ჯავახეთში ჩაეყარა, რომ სწორედ საქართველოში აშ პროექტი იმოცენებულმა და დროთა განმავლობაში ფართო მასშტაბით გავრცელებულმა სამონასტრო ქსელმა ფესვი გაიღდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დაწყებამდე სამონასტრო ცხოვრების ფორმა განდევილობით, ქვაბში დაყუდებით ამოწურებოდა აღმოსავლეთ საქართველოში „სირიელ მამათა“ მოღვაწეობის მსგავსად. ამის კარგი მაგალითია ერთი ეპიზოდი გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებიდან“: ხანძთაში გრიგოლის მოსკოვი დაყუდებული იყო ბერი ჭუდიოსი, რომელმაც შერტყო რა იქ ხალხმრავალი ძონასტრის აშენების გადაწყვეტილება, სოხოვა გრიგოლს და მის მოწაფეებს; „ზოლო ეს აღმისქუთ, რომელ ჩემდა სიკუდიდმდე არა განმრავალეთ და-ერლა ამას შინა“<sup>35</sup>. იგივე ითქმის მიქელ პარექელის მოღვაწეობაშეც, რომელიც კლდის ნაპრალში (პარექეში) იყო დაყუდებული. მის მიერ თავისი მოწაფის ხერაპიონ ზარზმელის გაგზავნა სამონასტრო აღგილის მოსაძებნად და მონასტრის ასაშენებლად, გრიგოლ ხანძთელის სამონასტრო მშენებლობის გავლენა უნდა ყოფილიყო, რომლის მოწაფედაც მიქაელი თვლიდა თავს<sup>36</sup>. საზღვარგარეთის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ქართული სამონასტრო კოლონია ხაშჩრეთ საქართველოს სამონასტრო ორგანიზაციის ბაზაზე აღმოცენდა, მაგალითად, საბერძნეთში ათონის ქართველთა მონასტერი დაარსა კლარჯეთის „ოთხთა ეკლესიიდან“ აქ მოსულმა ითანა ათონელმა. იერუსალიმში გვარის წერთველთა მონასტერი ააშენა კლარჯეთის წყაროსთავის მონასტრიდან ჩამოსულმა პროხორე ქართველმა, ანტიოქიის შავ მთაზე ქართველთა სამონასტრო ორგანიზაციის გამოჩენილი მოღვაწეები და მწიგნობრები გიორგი მთაწმიდელი (რომელიც შემდეგ ათონის მთაზე მოღვაწეობდა) და ეფრემ მცირე სამცხოვან იუნენ გამოსულნი და სხვა მრავალი. ამიტომ იყო, რომ უცხოეთის ქართული სამონასტრო კერები ძირითადად ტაო-კლარჯეთისა და სამცხის სამონასტრო ცხოვრების ტრადიციების გამგრძელებელნი და დამცელნი იყნენ. აშიტომ იყო, რომ გრიგოლ ხანძთელისა და შემდეგ მისი მოწაფეების მიერ დაარსებულ მონასტრებში გრიგოლის მიერ ჩამოყალიბებული მკაფიო და მტკაცე სამონასტრო ორგანიზაცია, ყოველდღიური საქმიანობისა და მოქმედების ტრადიცია, ეკლესია-მონასტრების შენების დაუკებელი სურვილი, განათლებული სამონასტრო კადრების მომზადებაზე მუდმივი ზრუნვა, საეკლესიო წევნების წერა და შეძენა, ბიბლიოთეკების შექმნა და მსგავსი მრავალი სასიცოცხლო თუ უფრო წვრილმანი საქმიანობა საზღვარგარეთის ბევრი ქართული სამონასტრო კოლონიის სამოქმედო პროგრამად იქცა. ასეთი ეროვნული იდეოლოგიით, საგანმანათლებლო და სამშენებლო საქმიანობის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით არის გამსჭვალული ყველა „ცხოვრება“, რომელიც სამხრეთ საქართველოს სამონასტრო მშენებლობას აგვიშებს (გიორგი მერჩელეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“) და ის „ცხოვრებებიც“, რომლებიც ათონის ქართველთა მონასტრებში შექმნა და მის სალიტერატურო საქმიანობის შესახებ მოვციოთხობს (ეკვთომე მთაწმიდელის „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ექვთომეს ცხოვრება“ და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“).

<sup>35</sup> ძეგლები, I, 255, 37.

<sup>36</sup> იქვე, 281, 10.

დიდი განსხვავება არის VI საუკუნეში „ასურელ მამათა მიერ აღმოსავლებზე მისა და გრიგოლ ხანცოლის მიერ VIII—IX სს. სამხრეთ საქართველოში დარჩებული სამონასტრო კერძის არ მარტო ორგანიზაციასა და საქმიანობაში, არამედ იმ თხზულებათა შორისაც, რომლებიც ამ კერძის დამარსებელთა საქმიანობის შესახებ მოგვითხრობენ. გრიგოლ ხანცოლისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებები“ თვისობრივად ახალი საფრთხოა როანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა „ცხოვრებასთან“ შედარებით. ეს ნათლიდ ჩანს ამ ძეგლთა კომპოზიციური სტრუქტურის, იდეოლოგიური გაზრების, დახვეწილი ენისა და მხატვრული არსენალის მიხედვითაც.

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“ და განსაკუთრებით კი, გრიგოლ ხანცოლის „ცხოვრება“ გამოიჩინევიან წინა პერიოდის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათავის უჩვეულ კომპოზიციური სტრუქტურით: აღრინდელი ძეგლებისათვის დამახასიათებელი სწორხაზოვანი კომპოზიციის, ერთპლანიანი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოებული სიუჟეტური თხრობის საპირისპიროდ, დასახლებულ ძეგლებში ცენტრალური პერსონაჟის შესახებ თხრობის ძირითადი თემა გაშლილია მრავალრიცხვოვნი, ნოველის ტიპის თხრობითი ეპიზოდების ფონზე, რომელთა ცენტრში უმეტესად, რა თქმა უნდა, შთავარი გმირი დგას, მაგრამ ხშირია ისეთი ეპიზოდებიც, სადაც თხრობის ქცენტრი გადატანილია თხზულების ამა თუ იმ მეორეხარისხოვან პერსონაჟები, თხზულების ცენტრალური პერსონაჟი კი მეორე პლანზე დგას („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“ გიორგი ჩირჩხანელის სერაპიონთან და მის მხლეზელ ბერებთან შეხვედრის ეპიზოდი, მიქელ პარეხელის მიერ სერაპიონის უკანგამოხმობის ეპიზოდი, გიორგი ჩირჩხანელის მემკვიდრეებში წარმოშობილი განხეთქილების ეპიზოდი და სხვ. მრავალი. „გრიგოლ ხანცოლის ცხოვრებიდან“ — თხრობა გაბრიელ დაფანჩულის ვინაობის შესახებ და მისი გრიგოლთან შეხვედრის ეპიზოდი, ფეხბრონისა დამკვიდრება კლარჯეტში და მისი ურთიერთობა გრიგოლთან, ზენონ დიდისა და მისი დის სამიჯნურო ამბები, მატომ მღვდლის ცხოვრების ეპიზოდები და სხვა მრავალი). ზოგჯერ რომელიმე ასეთ ნოველაში საერთოდ არ ჩანს მთავარი პერსონაჟი და თხრობა ეხება თხზულების მეორეხარისხოვან პირს ან პირებს (თხრობა თპიზის მონასტრის პირველ მშენებელთა შესახებ, მიქელის დამკვიდრება პარეხში და სხვა — სერაპიონის „ცხოვრებიდან“. გრიგოლ ხანცოლის „ცხოვრებაში“ კი შრევალია ისეთი ეპიზოდები, რომლებშიც ძირითადად მოთხრობილია გრიგოლის მოწაფეთა საქმიანობისა და მათ მიერ მოხდენილი „სასწაულების“ შესახებ, თუმცა არ ვიცით, რომელი მათგანია თავდაპირველი „ცხოვრებისეული“ და რომელი ბაგრატ ერისთავით-ერისთავის მიერ შემდეგ ჩამატებული). ასეთ მრავალსიუჟეტიან თხზულებებში დარღვეულია მოქმედების ტრადიციული ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველ პოზიციაზე დაბრუნებისათვის ამ თხზულებათა ივტორები იყენებენ შემდგომში „ცხოვრების“ უანრში ტრაფარეტად ქცეულ ფრაზებს: „ხოლო ჩუენ კუალად ილვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა“, „ამიერ კუალად ვრპყრათ ნეშტი იგი თხრობისად და პირველსავე სიტყუასა ალვიდეთ“ და სხვა მრავალი სერაპიონის „ცხოვრებიდან“, „არამედ აწ პირველსავე სიტყუასა მივიდეთ“, „არამედ აწ კუალად ნეშტი იგი პირველი განვახლოთ“ და სხვ. (გრიგოლ ხანცოლის ცხოვრებიდან, თუმცა ამ თხზულებაში ასეთი წიაღ-



სცლებისა და თხრობაში გადახვევების უმრავლესი მაგალითები მსუბუქი მატერიალური უზნების გარეშეა გაკეთებული.

ილარიონ ქართველის, ექვთიმეს და იოვანეს, გიორგი მთაწმიდელის უფრო გვიანდელი „ცხოვრებებიც“ იმეორებენ ზემოსენებულ თხზულებათა კომპოზიციურ წყობას, თუმცა ეს სუსტადა გამოხატული „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“, უფრო ჩრდილო ფრაგმენტები კი ჩანს „ექვთიმესა და იოანეს ცხოვრებას“ და „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“.

ათონის მთის ქართულ მონასტერში შექმნილი ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ციკლი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის „ცხოვრებას“ დანარის განვითარების ბოლო ეტაპია (უფრო გვიანდელი, პეტრე იძერელის XIII საუკუნეში სირიული ენიდან გადმოთარგმნილ-გადმოკეთებული „ცხოვრება“, აგრეთვე XVIII ს. დაწერილი ისე წილქველისა და ონთერის „ცხოვრებები“ ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარებად ვერ ჩაითვლება). ილარიონ ქართველის, ექვთიმე და იოანე ათონელების და გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებები“ სრულიად ახალ ფურცელს შელის ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორიაში. ამ თხზულებების ძირითადი თემაა ბიზანტიიში ქართული ეკლესია-მონასტრების დაარსების ისტორიისა და ამ კერძში გაჩაღებული უღალესი. ცროვნული თვითშეგნებით გალვევებული კულტურული და ლიტერატურული საქმიანობის აღწერა. თუ ილარიონის „ცხოვრება“ ამ ისტორიული მნიშვნელობის წამოწყების პირველ ნაბიჯებსა და პირველ წარმატებებს ეხება, იმით შე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებები“ მთელი მასშტაბურობით გადავვიშლის საბერძნეთში, ათონის მთაზე მტკიცედ ფეხმოკიდებულსა და ბერძნულ სახელმწიონ და საეკლესიო წერებში დიდი ავტორი-ტეტის მქონე ქართული სამონასტრო კოლონიის მესვეურთა ყოველდღიურ ღვაწლს ქართული ეკლესის სიმტკიცის, საეკლესიო კულტურისა და განათლების ამაღლების. ორივინალური თუ თარგმნილი საეკლესიო საპროგრამო თხზულებების შექმნის საქმეში, მოგვითხრობს იმ უდიდესი სულიერი პოტენციის მქონე ადამიანებზე, რომელთა გასაოცარი შრომისუნარიანობა, დაფუძნებული მათ უდიდეს ტალანტზე, გამსჭვალული იყო მშობლიური ქვეყნისა და ხალხის მსახურების შეგნებით.

მრიგად, ქართული „ცხოვრების“ ერთ-ერთი უმთავრესი და დამახასიარებელი ნიშანია ქმედითობა, მიწიერი ცხოვრების სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებით დაინტერესება, შრომისა და გარჯის აპოლოგია, ამჟღვინიური ცხოვრების პოლიტიკურ-სოციალური და რელიგიურ-სარწმუნობრივი იდეალების დამკაიდრებისათვის ბრძოლა. რაც შერწყმულია ქრისტიანული რელიგიის ღოვანების ტრიუქურ პრინციპებთან. ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიული შექმნილი უფლებების უდიდეს ნაწილში კი გამოსჭვევის უმოქმედობა, საკუთარ „შე-ში“ ჩაღრმავება, მხოლოდ სულიერი სწრაფა ღმრთისაკენ, აკველვარი ცხოვრებისეულის უარყოფა, ყოველვარი ხორციელის დათრგუნვის იდეოლოგია (მოვიგონოთ მთელი არმია ბერ-მონაზენებისა, მრავალი წლის განშვალობაში სკეტებზე დაყუდებული, თორნებებში ჩამდგარი, მლევიმებში საკუთარი სურვილით გამოკეტილი). ბიზანტიურ საეკლესიო ლიტერატურაში განსაკუთრებით აღიარებული იყო ე. ჭ. სალონების „ცხოვრებათა“ ციკლი, რომელიც ფსიქიურად დავადებულ ბერ-მონაზონთა კონტიგენტს მათხე გადაძისული საღმრთო მაღლის განსაკუთრებულ გამოვლინებად მიიჩნევდა. ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის უცხოა ამ ტიპის „ცხოვრება“. ესეც ქრთვი საგულისხმო ნიშანია ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის დასახ-

სათებლად. ქართული ჰავიოგრაფიული მწერლობის დამხასიათებელი ზემოხატული მოტივების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს ეროვნული ლიტერატურის დაცვა, ეროვნული ინტერესები წარმოადგენდა. ეროვნული ტეიტშეგნების ხმა, რომელიც ითან საბანისძის „აბო ტფილელის წამებაში“ გაისმა, მთელი სიმბოლიკით მოედო ქართული საეკლესიო მწერლობის მომღევნო პერიოდის ჯველა უბანს, განსაკუთრებით კი, ქართულ ჰავიოგრაფიის. „მოქცევად ქართლისას“ (ცხოვრება წმიდასა ნინოსა) შექმნას სწორედ ეროვნული სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა: ქართველებს აღარ უნდოდათ პეტერბურგის აზიარო განმანათლებელი ჰყოლოდათ გრიგოლ პართველის სახით, როგორც ეს, ცომხური წყაროების გავლენით იყო მიჩნეული ადგინდელ ქართულ ძეგლებში, და საკუთარი ნინო განმანათლებელი დაყაყნეს პირველ პლანზე. საქართველოში ქრისტიანულ სიწმიდეთა აჩსებობის მტკიცება ამ ძეგლში („კვართი უფლისა“, „წმიდა ძელის, ანუ ჯუარის სამსკუალნი“ და ქრისტეს „ფერწა ფიცარნი“) ეროვნული სამაყის გამოხატულებაა. ეროვნული სიამაყით უღერს გორგი მერჩულეს სიტყვები: „ქართლიდ ფრიად ქვეყანა ალირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“<sup>37</sup>. რომელიც თითქოს გამოძახილია საბანისძის სიტყვებისა: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაც ეს ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამა მკვდრთა... აპა ესერა, ქართლისაცა მკვდრთა აქეს სარწმუნოებაც და წოდებულ არს დედად წმიდათა...“<sup>38</sup>. თითქოსდა პროტესტია გამოთქმული ბერძენთა მისამართით, რომლებიც „ფიქტობდნენ, რომ ბარბაროსებს (მათ შორის ქართველებსაც) არ შეუძლიათ საკუთარ ენაზე გადაიღონ მიღწევები ბიზანტიური კულტურისა და არც აქვთ ამის უფლება, ვინაიდან, მათ შორის განტკიცებული შეხედულებით, მწერლობა შესაძლებელია მხოლოდ სამ ენაზე, რომლებზედაც აღნიშნული იყო ბრალდება ჯვარტეული ქრისტისი, ესე იგი — ბერძნულს, რომაულსა და ებრაულზე“<sup>39</sup>. ბერძენებთან კულტურულ-საეკლესიო სფეროში გათანასწორების იდეამ მტკიცედ მოიკიდა ოქტო X—XI სს. ქართულ მწერლობაში. ჭერ კიდევ ითანაზოსიმერ X საუკუნეში („ქებად ქართლისა ენისაც“) ქართული ენა არამცუ ბერძნულის თანასწორად გამოაცხადა, არამედ მისი უპირატესობაც კი აღნიშნა: „ყოველი საიდუმლო ამას შინა დამარცხულ არს“—ო, და ქართული ენა ზოგად საქრისტიანო ენაზე რწინასწარმეტყველა: „დამარცხულ არს ენად ქართული ღლემდე მეორედ მოსლებისა მისისა საწმებელად, რათა ყოველსა ენსა ღმერთმან ამხოლოს ამით ეჩითა“—ო<sup>40</sup>. ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული ეროვნული პრესტიტის საერთაშორისო დონე ხაზგამშულია ილარიონ ქართველის „ცხოვრებაშიც“: იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა თავისი ორი ვაჟის აღზრდა მიანდო არა შერძნებს, არამედ ილარიონის ქართველ მოწაფეებს: „ლოცვა ყავთ ამათოვს, წმიდანო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენად თქუენი, რათა იყვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქუენისანი“<sup>41</sup>. ჰავიოგრაფ ავტორთა ასეთი განცხადები უსაფუძვლო არ არის და ლიტონ ფრაზეოლოგიას არ წარმოადგენენ. მათი საფუძველია ეროვნული კულტურის ის დიდი მიღწევები, რაც გამოვლინდა

<sup>37</sup> ძეგლები, I, 290.

<sup>38</sup> იქვე, 55.

<sup>39</sup> ქ. ვაკელიძე, კულტურული დამოუკიცებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძვ. ქართულ ლიტერატურში. ეტიუდები... IV, 112.

<sup>40</sup> ეურნ. „ყავისანი“ № 1—2, 1924 წ., გვ. 269—270 (ვ. ინგოროვას გამოც.).

<sup>41</sup> ძეგლები, II, 33, 15.

ნაციონალური შინაარსის ჰავიოგრაფიის შექმნაში, ეროვნულ საექლესიო ქოდვაშეთა და მნიშვნელოვან მოვლენათა აღმნაშვნელ ქართულ დღესასწაულებში, წელთაღრიცხვის ქართული სისტემის „ქართველთა სათუალიების“ შექმნაში, ლიტურგიული ნაციონალური პიმნოგრაფიის ჩამოყალიბებაში და სხვა მრავალი. კეკელიძის სამართლიანი თქმით, „ამ ხანში ქართველები დასდგომიან ღვთისმსახურების სრული გაეროვნულების გზას არა მარტო ენის ჟრივ, არამედ შინაარსითაც“<sup>42</sup>. ბიზანტიულებთან კულტურული მეტოქეობის ტექნიკია განსაკუთრებით კარგად ჩანს ათონის მთის ქართველ მოვლაშეთა „ცხოვრებებში“: „ცხოვრებაა ოთანესი და ეფთვმესი“ ეროვნული თავმომწონეობის გრძნობით აღნიშვნას, რომ ათანასე დიდმა თავისი ლავრის მფარველობა ოვანე ქართველს მანდო, და რომ ექვთიმესაც „აქუნდა ზრუნვაცა დიდისა ლავრისაც“, რომ ექვთიმე მთაწმიდელი ათონის მთის მონასტრების ცველა წინამძღვრის პირველი მრჩეველი და დამრჩევებელი იყო, რომ „არცა პროტი (ე. ი. ათონის მთის ცველა მონასტრის მეთაური), არცა სხუანი მამასახლისნი ცვნიერ მისისა ბრძანებისა არარას იქმოდეს და იშვთი დღიც გარდაჯდის, როგორც ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდეს მათ წინაშე“<sup>43</sup>. გოორგი ძთაწმიდელი განსაკუთრებული ეროვნული სიამაყის გრძნობით გვამცობს, რომ ექვთიმეს უბრწყინვალესი ლიტერატურული მექანიზრეობა „ვითარ ნესტეკ იერომესად ქმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა“<sup>44</sup>. სწორედ ექვთიმე მთაწმიდელისა და მისი მოწაფეების დიდმა განათლებამ და ლიტერატურულმა საქმიანობამ, რომელიც „ოხრის ყოველსა ქვეყნასაც“, ათქმევინა გოორგი მცირის „ცხოვრებაა გოორგი ძთაწმიდელისაც“ მოწმობით ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსის გოორგი მთაწმიდელის მისამართით შემდეგი სიტყვები: „პატიოსანო მამაო! დალაცათუ ხათესავით ხარ ქართველი, სხვთა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“<sup>45</sup> და „ჩხუნივე სწორი ხარ“<sup>46</sup>, რადგან ბერძენთა წარმოდგენით ქართველები „ნათესავი არს უმეცარი“<sup>47</sup>, მაგრამ გოორგი მთაწმიდლის განსწავლულობამ, ქართული ეროვნული ეკლესიის ღირსებების წარმოჩინებამ და შისი ზოგიერთი უპირატესობის გამოაშკრავებამ ბერძნულ ეკლესიისთან შედარებით იმავე თეოდოსი პატრიარქს ქართველი ბერის უპირატესობაც კი დაანისა თავისიანებთან შედარებით: „ხედავთ ბერსა ამას, ვითარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გუეურვის. ვეკრძალნეთ, ნუუკუ წინააღმდეგომი შეგუემოცვოს და არა ხოლო თუ სიტყვთ, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებაა ჩვენი და დაგვმრწმენეს და დაგვმრემლნეს“<sup>48</sup>.

ეროვნული მექანიზრეობისა და ლირსების დაცვის აუცილებლობით იყო გამსპეციალული ქართველ ბერმონაზონთა ბრძოლა ბერძენთა მომხვეჭელობის წინააღმდეგ ულუმბოსა და შავ მთაზე (ილარიონ ქართველის ცხოვრება<sup>49</sup>, არსენ იყალთოელის ნინოს „ცხოვრება“<sup>50</sup>) და ათონის მთაზე (იოანესა და

42 ქ. კიკე ლიქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

43 ჭიგლები, II, 81.

44 იქვე, 41.

45 იქვე, 151.

46 იქვე, 153.

47 იქვე, 152.

48 იქვე, 155.

49 იქვე, II, 20.

50 იქვე, III, 49.

ექვთიმეს ცხოვრება<sup>51</sup>, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება<sup>52</sup>), შავშადიან და პურიძელთა წინააღმდეგ სინაზე და იერუსალიმში (ლუკა იერუსალიმიდელის წა-შება). ეროვნული სული, საკუთარი და ხალხის ინტერესები ამოძრავებდა ყვე-ლა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს საქართველოს მონასტრებში და საზღვარ-გარეთის საგანმანათლებლო კერძებში ლიტერატურულ თუ პრაქტიკულ საე-კლესიო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ყველაფერი ეს მეტნაკლები სი-ცხადით ფიქსირებულია ქართველი ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებში, განსაკუთრებული სისრულით კი „ცხოვრება-მოქალაქეობებში“, რომლებიც წვენი კულტურულ-ლიტერატურული წარსულის უბრწყინვალესი მატიანეა.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლების შექმნა მოიხოვეს არა მარტო გშირის შესახებ არსებული ფქეტიური მასალის ცოდნას, ან თვალით ნანახისა და გაგონილის უბრალო ფიქსირებას, არამედ თხზულების წერის იმ ოსტა-ტობასც, რომელიც საშუალებას მისცემს ავტორს საინტერესოდ წარმო-უდინოს მყითხველს თავისი იდეალი, იდეალური „მოწამე“ და „მოღვაწე“. ცადია, ავტორის ნიჭი ძირითადად განსაზღვრავს თხზულების ღირსებას, მაგ-ომ თხზულების ავ-კარგიანობა ბევრად არის დამოკიდებული ავტორის მიერ შოტმობილ წყაროთა ლირებებზე, თუ რა მასალა გამოიყენა მან, რომ რეალუ-რი ფქტის სიუჟეტური ჩონჩხისაოვის ხორცი შეესხა: საზოგადოებრივი და სეკლესიო ცხოვრების რეალური მბების გადმოცემას მისცა უპირატესობა თავის თხზულებაში, თუ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გავრცელებულ შაბლო-ნერ ყალიბებსა და სასწაულების მოაჩულ სიუჟეტებს\*.

\* \* \*

სხვადასხვა დროის ქართულ წყაროებში ხშირად ვხედებით გულისტყივი-ლით ნათქვამ სიტყვებს, რომ ბევრი საეკლესიო მოღვაწის „ცხოვრება“ და „წამება“ აღუშერელი დარჩა და ბევრი მათგანის სახელი დავიწყებას მიღვა (ილარიონ ქართველის „ცხოვრება“<sup>53</sup>, გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“<sup>54</sup>, ნი-კოლოზ გულაბერიძის „საკითხევი სევერიცხვლისა“<sup>55</sup>). და მართლაც, თვალში საცემია ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა სიმცირე: 14 საუკუნის გან-შველობაში (V—XVIII სს.) ჰაგიოგრაფიული მწერლობის ყველა უანგში ერ-თად მხოლოდ რამდენიმე ათეული თხზულება შეიქმნა. ასეთ სიმცირეს მარ-ტონდენ ძეგლების გარკვეული ოდენობის ჩენენ დრომდე მიუღწევლობით ვერ ავხსნით, თუმცა ეს მომენტიც ანგარიშგასაწევია. წყაროების მითითებით აღწერილი ყოფილა მიქელ პარეხელის „ცხოვრება“, რომელმაც ჩვენამდე ვერ შოაღწია. დაკარგული ჰაგიოგრაფიული თხზულებები სხვაც იქნებოდა, რომელ-თა შესახებ ცნობებიც არ შენახულა. ამის მაგალითად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“ გამოდგება: ქართული ჰაგიოგრაფიის ამ უბრწყინვალესი ძეგლის

51 ძეგლები II, 93.

52 იქვე, 149.

\* სტარიის ტექნიკური მიზნებით შემოკლების გამო (I ნაბეჭდი თაბახით) აქ არ არის წარმოდგენილი რამდენიმე საკოთხი: ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა რედაქციების (შემო-კლებული, სვინიქარული, მეტაფრასული) მიმოხილვა, აგრეთვე წყაროების, „ქება-შესხვათა“ და „სასწაულების“ შესახებ.

53 ძეგლები, II, 10, 15.

54 ძეგლები, I, 249, 10.

55 საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა, ტფილისი, 1982, გვ. 104—105.

(რომელიც ამავე დროს მოცულობითაც ყველაზე დიდი) დაწერის დასახულებით [X951 წ.] მის აღმოჩენამდე [1845 წ.], მთელი ცხრა საუკუნის განმავლობაში, ქართულ წყაროებში მისი ხსენების კვალიც არ ჩანდა. ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი პ. კეკელიძეს ასე აქვს ახსნილი: „პასუხისმგებლობის შეგნება შეწერლობის შემნდა მოვალეობისათვის იმდენად მაღალი იყო ხოლმე, რომ რომზადებული პირიც კი გაურბოდნენ მას ხშირად. დაჭვება თავის ცოდნა-რომზადებაში, თავის უნარსა და ძალაში, შეგნება თავის ულირსობისა ხელს უშლიდა ამა თუ იმ პირს საწერლო ასპარეზზე გამოსულიყო“<sup>56</sup>. აღნიშნულის ტიპიური მაგალითია გიორგი მერჩულეს სიტყვები: „ხოლო ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეტებისა გზით, რამეთუ ვჰვნებდ ცხორებისა ამის დაწერა ბრძნენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნენ უამთა ჩუქნა: დიდი სოფრონ, სანატრელი მამა, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმა-შენებელი და უკუნისამდე გვრგნი მისი, და ღმერთშემოსილი მამა იღარიონ პარეხელი და ქრისტის მღდელობრივი ღირსნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი და სხუანი მსგავსი შათნი. და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინდა რეცა განმეღვიძა უცებსა ამას და ფრიად ცოდვილსა კელ-ყოფად და აღწერად ცხოვრებად და სასწაული ესე, რომელ აწ გესმნენ“<sup>57</sup>. აღბათ, ბევრი თხზულება ვერ დაწერა აეტორიტეტთა წინაშე ასეთი გაუბედაობის გამო და იმის მოლოდინში, რომ ისინი დაწერდნენ თანამედროვე გამოჩენილ პირთა ცხოვრებებს.

ბევრი დღეს ჩვენთვის ცნობილი პაგიოგრაფიული თხზულება, რომელთა გარეშე ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია წარმოუდგენილია, დაწერილია, ასე ვთქვათ, იძულების წესით და არა ავტორის საკუთარი ინიციატივით: აბო თბილელის „წამება“ ითანე საბანისძეს სამოელ ქართლის კათალიკოსის ავტორიტეტულმა მოთხოვნამ დააწერინა, გობრინის „წამება“ სტეფანე მტბევარმა აშორ კურაპალტის დავალებით შექმნა, გიორგი მთაწმიდელს ითანე და ექვთიმეს „ცხოვრების“ კელ-ყოფა „მამათა მისთა სულიერთა უბრახეს“, ხოლო გიორგი ხუცესმონაზონი (მცირე) გიორგი შეყენებულის განშეორებითმა ეპისტოლებ იძულა დაწერა გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრება“ და ა. შ.

პ. კეკელიძის შენიშვნით, საეკლესიო მწერლობის საერთოდ და, კერძოდ, ქართული პაგიოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი ავრცელე უნდა ყოფილიყო ერთი ქრისტიანული დებულება, რომელიც სოლომონის იგავში ასეა ფორმულირებული: „ბრძნად მეტყუელებად ვეცხლი არს წმიდა, ხოლო დუმილი — ოქროდ ჩჩეული“. როგორც ჩანს, „დუმილის“ ფილოსოფია და „ჩჩეული ოქროს“ ძიებამ ბევრი თხზულება დაყილო ქართულ პაგიოგრაფიას, ხოლო ვინც კი ლვაზილი დასდო მის გამდიდრებას, ეტყობა, გიორგი მერჩულეს შემდეგ თვალსაზრისს იზიარებდა: „არამედ აწ მე ვინათებან ვერ ძალ-მიც მოუკლებელად ლოცვად და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ჩიკლულევანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს-რამე უმჯობესად შემირაცხიეს, რათა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა“<sup>58</sup>.

56 პ. კეკელიძე, შემოქმედებითი პროცესი ქ. ქართულ ლიტერატურაში... ეტიულები, II, 208.

57 ქეგლები, I, 294.

58 ქეგლები, I, 248.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ მწერლობას ბევრი დაკალი საეკლესიო წესია, რომლითაც მწერლობის უფლება, მხოლოდ სასულიერო წოდების წარმომადგენლოთა პრივილეგიას შეადგენდა. ეს პრივილეგია გან-ტრიცებული იყო საეკლესიო კანონმდებლობითაც: მექენეს მსოფლიო კრებაზ 64 კანონის სახით ამ საკითხს შემდეგი ფორმულირება მისცა: „ვითარმედ არა უქმ ერისკაცა საეროდ აღძრვად სიტყვასა ანუ სწავლად ერისად და ესრეთ შიზიდვად თვისისა მიმართ თვისისა პატივისა მოძლურებისასა“. ეს კანონი ემყა-რება პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ I ეპისტოლის [12, 12; 12, 27] გრიგოლ ნაზიანელის კომენტარს: „განწესებასა შეუდგეთ, ძმანო, ესე წესი-რებად დავიცავთ, რომელიმე ჩუენგანი იყავნ ყური, რომელიმე ენა, სხვა კელ და სხვა ას. რომელი ასწავებდინ, ხოლო რომელიმე ის-ჩავებდინ... ნუ ყოველნი ვართ ენა განმზადებულ, ანუ ყოველნი მოციქულ, ნუ ყოველნი წინასწარმეტყუელ, ნუ ყოველნი გამოვსთარგმანებთან... იმ დოგ-პით ერისკაცი შეიძლება იყოს „ყურ“ და არავითარ შემთხვევაში „ენა“. ეს თვალსაზრისი გატარებულია გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაშიც“: გვარამ ძეფებ კითხვაზე, საეკლესიო წიგნებით განსწავლულმა ერისკაცმა თუ „იხილოს რამე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შეუნოდის და ჩვენ შორის არა იყოს, გრძათუ წიგნთაგან წმიდათა გულისქმა-ყოს და თავით თვისით ერსა უსწავლელსა აუწყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“ — ეპისკოპოსთა უარყოფითი პასუხი მიიღო, რომელშიც წარმოჩენილია მართლმადიდებლური ეკლესის კონსერვატული ბუნება: „ტკრთი შჯულისად და წესი ქრისტეანობისა, რომე-ლი აწ ქუეყანასა ჩუენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს და ღმერთი დაჯერე-ბულ არს. და მისთვი ჩვენ ვართ თავსმდებნი“. ხოლო ერისკაცთათვის „უმ-ჯობეს დუმილი არს“, მაგრამ თუ დუმილი ვერ შეძლოს, ყოველი მოახსენოს თვისი ეპისკოპოსს და, თუ საჭირო იქნება, „მან ასწაოს თვისა სამწყსოსაც“. ერთი მხრივ, მწერლობის სასულიერო წოდების პრივილეგიად გამოცხადება წოუმცა იმ სტატუსის დარღვევის შემთხვევებიც გვაქვს ქართულ საეკლესიო მწერლობაში — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს გრიგოლ ხანძთელის „ცხოვ-რებაში“ რამდენიმე სასწავლი ჩაურთავს, ხოლო დაით აღმაშენებელმა „გა-ლობანი“ სინაჯულისანი დაწერა], მეორე მხრივ სასულიერო პირთა ფსიქიკაში განმტკიცებულმა თვისი ულირსობის შეგნებამ, ავტორიტეტთა წინაშე მო-წიწებამ, „დუმილის“ ფილოსოფიამ, აგრეთვე თეზისმა „ბრძენთა მაქებრად გრძენი უქმს“, ან რომ შევცვალოთ ეს დებულება: „წმიდან მაქებრად წმი-დან უქმს“, და მსგავსმა დებულებებმა დააბრკოლა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარება და ნაწილობრივ განაპირობა ჰაგიოგრაფიულ თხულებათა სიმცირე.

ზემოთქმულის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქარ-ოლი ჰაგიოგრაფიული თხზულება სასულიერო პირის დაწერილია [ამ პოზი-ციებიდან საკამათო აღარ უნდა იყოს, რომ ითან საბანისქეც სასულიერო პირია]. შეიძლება ითქვას ისიც, რომ თვისი ულირსობის შეგნებისა და თავ-შდანლობის გამო არ გამოამდეგნა თვისი ვინაობა ზოგიერთი ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორმა [ევსტათი მცხეთელის „წამება“ კოსტანტი ქახის „წა-მება“, „მოქცევად ქართლისაც“ და სხვ.]. ავტორთა ერთი შეკვების ვინაობა ჩვენთვის ცნობილი გახადა იმ ფაქტმა, რომ მათ დავალებით დააწერინეს ჰა-

59 დიდი სეულისკანონი, თბ., 1976, გვ. 394.

60 შეგლები, I, 289—290.

გიოგრაფიული თხზულება და „მაიძულებელთა“ ვინაობის აღნიშვნა შათ სავალდებულოდ მიიჩინეს, ამასთანავე თავისი ვინაობის გამეტავნებაც მოჰქდათ ქიონე საბანისძე, სტეფანე მტევარი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე...]. ერთმანეთი ნაწილმა თავი გაგვაცნო იმ მიზეზით, რომ მათ აღიარეს თავისთვის „კადნიერება“, რომ გაბედეს თავისი გმირის „ცხოვრების“ აღწერა, თუმცა ისინი, როგორც ჩანს, გამოვალმა მდგომარეობამ აძულა: ვისაც ხელეწიფეროდა მათი ცხოვრების აღწერა, მათ რაღაც მიზეზების გამო არ შეუსრულებიათ ეს მოვალეობა, არადა ამ მოდევაშეთა საქმეები არ შეიძლებოდა შთამომავლობას არ გაეცნო [გიორგი მერჩულე, ბასილი ზარზმელი და სხვ.]. ზოგი ავტორის ვინაობა თანამედროვეთაგან ან გვიანდელი დროის თხზულებათა მხედვით არის დადასტურებული [გრიგოლ დოდორქელი, ბესარიონ თრებელიშვილი და სხვ.], ნაწილისა კი იმ გარემოებით, რომ მათ ადრე არსებული თხზულება გადაუმუშავებიათ და ამ ფაქტის აღნიშვნა აუცილებლად ძიუჩნევიათ [ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი, თეოფილე ხუცესმონაზონი, რომანზ მიტროპოლიტი, ბესარიონ ორბელიშვილი, ანტონ პირველი და სხვ.].

ქართულ პავიოგრაფიულ თხზულებათა ავტორები შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დაგყოთ: ავტორები, რომლებიც თავიანთ გმირთა საქმეების შონაშილე და თვითმხილველნი იყვნენ [იაკობ ცურტაველი, გიორგი მცირე, გვიანდელთაგან გაბრიელ მცირე — ონოფრეს „ცხოვრება“ და „პორფირეს პოსახენებელი“], ავტორები, რომლებიც თავიანთი გმირების თანამედროვენი იყვნენ [იოანე საბანისძე, სტეფანე მტევარი, ვესტრათი მცხეთელის „წამების“ ავტორი, კოსტანტი კახის „წამების“ ავტორი]; ავტორები, რომლებმაც აღწერეს ახლო წარსულის მოვლენები, ჯერ კიდევ ცოცხალი ავტორის ზოგიერთი თანამედროვის მეხსიერებაში წასილი ზარზმელი, გიორგი მერჩულე, გიორგი შთაწმიდელი, გრიგოლ დოდორქელი, ბესარიონ ორბელიშვილი — ლუარსაბის „წამება“, „წამება“ ბიძინა, შალვა და ელიზბარისი]. უფრო მეტია იმ თხზულებათა რიცხვი, რომელთა ავტორებმა შორეული წარსულის შესახებ ცნობები წერილობით წყაროთა და ზეპირ გამოწვემათაგან შეკრიბეს [„მოქალაქე ქართლისაა“-ს ავტორი, დავით და კოსტანტინეს „წამების“ ავტორი, არსენ კათალიკოსი — ასურელ მამათა „ცხოვრება“, ლეონტი მროველი და არსენ იყალთოელი — „ნინოს ცხოვრება“, ექვთიმე მთაწმიდელი და თეოფილე ხუცესმონაზონი — ილარიონ ქართველის „ცხოვრება“. ბესარიონ ორბელიშვილი — ისე წილქნელის „ცხოვრება“, არჩილ მეფისა და რაედენის „წამებები“, მაკარი მესხი — პეტრე ქართველის „ცხოვრება“ და სხვ.]. თვითმხილველ ავტორთა — იაკობ ცურტაველისა და გიორგი მცირეს თხზულებათა მაღალმხატვრული ლირსებები და ისტორიული უეჭველობა ამ ავტორთა აუცილებელ ტალანტთან ერთად სწორედ ამ მოვლენების შუაგულში მათმა ტრიალშაც განაპირობა. დაახლოებით იგივე უნდა ითქვას იმ თხზულებათა მიმართ, რომლებიც თანამედროვეთა, მაგრამ არა თვითმხილველთა მიერ არიან შექნილი [განსაკუთრებით აბო თბილელის „წამება“]. დიდი ღირსებებით გამოიჩინევიან ის თხზულებებიც, რომლებიც მათში აღწერილი მოვლენებიდან არცათ დიდი წნის შემდეგ დაიწერა [განსაკუთრებით გრიგოლ ხანძთელის, სერაზონ ზარზმელის, ექვთიმე და იოვანეს ცხოვრებები და XVIII საუკუნის რიგი თხზულებებისა]. რაც შეეხება თხზულებებს, რომელთა ავტორებიც დიდი დროით არიან დაცილებული იმ თხზულებებში აღწერილი ამბებისაგან, ისინი

უ-ქრებისა და მოვლენების ცოცხალი ფერებით გადმოცემაში ბევრად ჩამოიწყობა ჩებიან დანარჩენ თხზულებებს.

ამრიგად, ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის წარმოადგენილი ზოგადი და, ალბათ არასრული მიმოხილვიდანაც ჩინს, რომ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ეროვნული კულტურისა და ლიტერატურული ტრადიციების საინტერესო სურათია მოცემული. თითოეული თხზულების გამოწვლილვით შესწავლა, მათი ჭერ კიდევ გამოუვლენელი კავშირების მიგნება წინარე ლიტერატურულ ტრადიციებთან და ფრეოვე სასულიერო მწერლობის სხვა დარგებთან კიდევ უფრო ნათლად დაგვანახვებს ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ლიტერატურულ-ისტორიულ ღირებულებას.

Э. П. ГАВИДЗАШВИЛИ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОРИГИНАЛЬНОЙ АГИОГРАФИЧЕСКОЙ ПИСЬМЕННОСТИ

Р е з и у м е

В статье дана попытка рассмотрения основных вопросов грузинской агиографии в связи с окончанием публикации шеститомника — «Памятники древнегрузинской агиографической литературы».

## ნარგიზა გოგუაში

### გრიგოლ სომხეთა განმანათლებლის „ცხოვრების“ თაოცილე ხუცესორობისის მულტი

გრიგოლ სომხეთა განმანათლებლის „ცხოვრება“<sup>1</sup> მეცნიერბაში საგანგებო კალევის ობიექტია გასული საუკუნიდან. სომხეთის მოქალაქეთან დაკავშირებული წერილობითი წყაროები შემონახულია სომხერ, ბერძნულ, არაბულ, ქართულ სირიულ, ლათინურ, ეთიოპურ ენებზე. ეს ტექსტები თავიანთი შედეგებით განსხვავდებიან ერთმიმორისაგან, ცალკეული მათგანი ისეთ თავისებურებას იჩენს, ისეთ გადახრებს აჩვენებს, რაც სხვაენოვან ტექსტებში არ დასტურდება და მკვლევართა წინაშე ახალ-ხალ პრობლემებს აყენებს. გამაგრებია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ ენაზე დაცული ტექსტი ცხოვრელ ინტერესს იწვევს. მათ შორის, ბუნებრივია, თავისი აღილი უკირავს ქართულ ენაზე დაცულ მასალასაც.

„გრიგოლის ცხოვრების“ მეტაფრასული ტექსტის ორი ქართული თარგმანი მოგვეპოვება. ორივე შესრულებულია XI საუკუნის დასასრულს. ერთ-ერთის (ხელნაწ. ათონ. 20) მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონიშონი, ხოლო შეორებს (ხელნაწ. S 384, ქუთაის. 4, სინ. 91) მთარგმნელი ჭერჭერობით უცნობია. ხელნაწერები, რომლებშიც არის დაცული გრიგოლის „ცხოვრება“, შეტატრასული საკითხავების კრებულებია, მათში საეკლესიო კალენდრის შესაბამისად 30 სექტემბრის საკითხავად წარმოდგენლია გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრება“.

XI საუკუნის მეორე ნახევარში სციმეონ მეტაფრასტის კრებულების ქართულ ენაზე გადმოღება ინტენსიურად მიმდინარეობს. ერთი მხრივ ჩანს მთარგმნელია მთელი კოლექტივი (რომელთა შორის კხვდებით ეფრემ მცირის, არსენის სახელებს, უმეტესობა უცნობია), მეორე მხრივ, ამავე მასალაზე ცალკე, დამოუკიდებლად მუშაობს თეოფილე ხუცესმონიშონი. მის მიერ თარგ-

<sup>1</sup> სათაურისათვის: ათონურ ნუსხაში იკითხება: „ცხორებად და მოქალაქობად და წამებად ჭიდისა და დიდებულისა მღდელმოწამისა გრიგოლი დიდისა სომხითისა ეპისკოპოსისა“, ქუთაის. 4-ში „ცხორებად და მოქალაქობად და წამებად ჭიდისა მღდელმოწამისა გრიგოლი დიდისა სომხითარისა“. ეს ნუსხები უფრო ზუსტად შეეფარდება ბერძნულს: „Βίος καὶ πολιτεία καὶ μαρτυρίου των αγίων : ερμηναῖτυροι Γρηγορίοι τῆς μεταλής Αριενιάς“, ვიდრე S 384-ში მოცემული სათაური, სიდაც „დიდისა სომხითარისა“ // „დიდისა სომხითის ეპისკოპოსისა–ს ნაცელად იკითხება „პართველი“. (ამ თხზულების შემცველი მეოთხე ნუსხა – სინ. 91 თავნაკლილი). S 384-ში ბევრგან გამოჩნდა რედაქტორისეული ჩასწორებანი, უფრეზომ, „პართველის“ გამოყენებაც რედაქტორისეულია. გამოკვეთაში სიმარტივის ეიბრაზო გრიგოლის ცხოვრება“ – ს.

შნილი მეტაფრასებიდან ჩვენამდე მოღწეულია სექტემბრის თვის მეტაფრასების კრებული — ათონ. 29 და ნოემბრის თვის პირველი ნახევრის საკითხავები — ათონ. 36 და 37<sup>2</sup>.

„გრიგოლის ცხოვრების“ თეოფილესული თარგმანის შემცელი ხელნაწერი ათონ. 20 თეოფილე ხუცესმონზონის ავტოგრაფია, ხელნაწერს ახლას ვრცელი შესავალი და ასევე ვრცელი ანდერბი; დაწერის თარიღია 1081 წელი. რ. ბლეევის აღწერილობიდან ცხადად ჩანს, რომ ხელნაწერში ფურცლები არეულია (საკითხავთა თანმიმდევრობა დაცული არა); მაგრამ რაკი ხელნაწერის დასაწყისიცა და დაბოლოებაც სრული სახით არის დაცული, აგრეთვე „ზანდუკში“ დასახელებული ყველა თხზულებაა წარმოდგენილი, იგულისხმებოდა, რომ ხელნაწერი ათონ. 20 სრული სახით იყო მოღწეული. შაგრამ „გრიგოლის ცხოვრების“ ტექსტზე მუშაობამ გამოაჩინა, რომ მდ საკითხავის ნაწილი დაკარგულია. ტექსტს აკლია ის ადგილი, სადაც მოთხოვნილია წმინდა რიცხისებს თავგადასავალი (ზერჩნულ და ქართულ ბეჭდურ გამოცემებში ტექსტი პარაგრაფებად არის დაყოფილი, ამიტომ შეიძლება ზუსტად მცუთითოთ ტექსტის რა ნაწილია დაკარგული. ესაა პარაგრაფები მე-15-დან 22-ის ჩათვლით, აგრეთვე მე-14 პარაგრაფის დასასრული და 23-ე პარაგრაფის დასაწყისი<sup>3)</sup>.

თეოფილეს თარგმანის შესწავლა პირველ რიგში გულისხმობს მის დამაკადებულებას უცხოენოვან დედანთან და, რა თქმა უნდა, „გრიგოლის ცხოვრების“ მეორე ქართულ (ანონიმურ) თარგმანთან.

„გრიგოლის ცხოვრების“ მეტაფრასის<sup>4</sup> ბერძნული ტექსტი გამოცემულია შინის მიერ P. G. 115-ე ტომში და პოლ დე-ლაგარდის მიერ ცალკე წიგნად ურცელ ბერძნულ ტექსტთან ერთად 1887 წ.: „Agathangelus und die Akten Gregors von Armenien“. მეტაფრასი ამ უკანასკნელში გამართულია P. G. 115-ისა და სამი ვატიკანური ნუსხის მონაცემების საფუძვლზე.

„გრიგოლის ცხოვრების“ ქართული თარგმანების ერთმანეთთან შედარებამ და ოკითეულისა ბერძნულ მეტაფრასულ ტექსტთან აშერად დაადასტურა, რომ ისინი მეტაფრასული რედაქციისა და ორივე თარგმანისათვის დედანი შერძნული ტექსტია. ამ შედარებისას გამოჩენდა ზოგიერთი გადახვევა ჩვენთვის ცნობილი ბერძნული ბეჭდური გამოცემებისაგან, რაც გვავარაუდებინებს, რომ მთარგმნელთა ხელთ არსებული ბერძნული ტექსტები სხვაობდა დღეს ჩვენთვის ცნობილი ბეჭდური გამოცემებისაგან (ამის ანალიზები დასტურდება ცეტაფრასების სხვა მასალაშიც).

2 ამ ხელნაწერი კრებულების შესახებ ის: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, 1986, გვ. 63—79, 99—109; 6. ვოგუაძე, სეჭელმბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა, მრავალოვანი, XII, 1986, გვ. 101—113. ლ. ახმაბაძე, ნოემბრის თვის მეტაფრასების ორი ათონური ნუსხა, მრავალოვანი, XV, 1989, გვ. 32—37.

3 ჩევნი ვარაუდით, ხელნაწერს აკლია 4 ფურცელი. დასუებებად ვთვლით, რომ ხელნაწერიდან ეს ფურცელები მოღებულია წმინდა რიცხვის ცხოვრების ისტორიით დაინტერესებული პირის მიერ. თუ ასეა, იმდენ უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ფურცელები სამდე ცალკე ინახება და როლისადმი მოხერხდება მათი მიგნება. (აქ არ შეიძლება არ გაგაიხსნდეს ისტორია ინტერესუანთა წარმებას) რექტის ერთ ფურცელისა, რომელსაც მიაკვლია ჩ. ბლეიქმა და

„გრიოლის ცხოვრების“ ანონიმური თარგმანი კარგად არის ქვეყნის უძველესი დრამული ტექსტის აღმდენიმე ფრაგმენტი პირველად გამოიცვენა ი. ეორდანიამ „ქრონიკების“ I ტომში 1893 წელს. სრული ტექსტი (ხელნა-შერის S 384-ის მიხედვით) პირველად გამოსცა ლ. მელიქეთ-ბეგმა 1920 წელს, შეორედ ტექსტი სომხური თარგმანი გამოსცა პ. მურადიანმა 1982 წელს, ცესამედ ტექსტი დაიბეჭდა სექტემბრის თვის საკითხავების კრებულში. — „ძველი მეტაფრასული კრებულები“ — 1986 წელს.

საგანგებო კვლევა-ძიებაა ჩატარებული ქართული ანონიმური ჰარგმანის შემართების დასადგენად სხვა ენებზე დაცულ შესაბამის ტექსტებთან. თუმცა ქართული თარგმანის დედანდ აღიარებულია ბერძნული ტექსტი, მაინც ქართული ტექსტის დამკიდებულება მის უშეალო დედანზე დღემდე ამომწურავად არ არის გაშუქებული. რა ოქთა უნდა, განუზომლად ფასეულია ასეთ ვითარებაში არსებობა მეორე ქართული თარგმანისა, რომელიც თეოფილეს ეკუთვნის. თუმცა აღწერილობის მიხედვით ამ თარგმანის არსებობა კარგ ხანია ცნობილია, მაგრამ ტექსტი დღემდე საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა.

„გრიგოლის ცხოვრების“ ანონიმური თარგმანის წარმომავლობის საკითხს  
სპეციალურად ეხება მკვლევარი ლ. მელიქშეთ-ბეგი სტატიაში „Грузинская  
версия Агапантеля и ее значение для грузинской историографии“, სადაც სათანადო მასალის დამოწმებით ამტკიცებს, რომ ქართული ტექსტი  
შემდინარეობს ბერძნული მეტაფრასული ვერსიიდან<sup>7</sup>. მაგრამ ამავე დროს  
საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართული ტექსტი ზოგჯერ მკვეთრად განსხვავ-  
დება ბერძნულისაგან<sup>8</sup>. ამ დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარს მოაქვს  
პასუხები ქართული და ბერძნული ტექსტებიდან, მაგრამ ბერძნული მასალა  
ალებულია არა ბერძნული მეტაფრასული ვერსიიდან, საიდანაც შომდინარე-  
ობს ქართული, არამედ ბერძნული ვრცელი ტექსტიდან. ი. როგორი დამო-  
კრიდებულებაა ამ მონაკვეთში ბერძნულ ვერსიებს შორის:

3600:

„εν πασῃ τῃ χωρᾳ της Αριενιας απ' ακρους εως ακρων διεταινε την εργασιαν του ευαγγελιου εκριμματος απο Σταλων της πολεως μεγι της χωρας Χαλιων και Καλαρων, εως εριων Μασαχου των Οιννων, και πιλων Κασπιων, και μερων Αλανων, και Φαταχορανης πολεως Αριενιας βασιλεων,

მეტაფრასული:

„ευτελέων οι την Αριενίαν μονού το  
του εναγγελίου κήρυγματι περιελάβεν,  
αλλά και Περσών και Ασυρίων και Ου-  
γκών και Μηδών“... (§ 36)

5. ინ. გავახიშვილი, კ. კერძობიძე, ლ. მელიქესა თბეგი, ილ. აბულაძე, გ. გარიბაძე, რ. ბლუჩიძე, ლ. ლევანიძე, ნ. ალექსანდრი, პ. მრავალიძე...

6 А. А. Цагарели, Каталог грузинских рукописей и старопечатанных книг Иверского монастыря на Афоне, составлен в июне месяце 1883 года, Сведения о памятниках грузинской письменности, выпуск первый. 1886 г.

R. P. Blake, Catalogue des manuscrits Georgiens de la Laure d'Iviron au Mont Athos, Paris, 1932-1934.

<sup>7</sup> Меликесет-Беков, Грузинская версия Агафангелия и ее значение для грузинской историографии с 166—168.

<sup>5</sup> 933, 23, 164—165.

მა აπე თუ თავ აკაბეგა პისტა ჩახრა;  
 წამენა კარა თა თავ თუ სურა თა  
 ხემარა ყავა, რა კერძოს თა, რა  
 უფრთავი ჯავა თავ მება, რა თა  
 ას, მაგი არა თავ არია ას მაგრა  
 არა არა არა... (§ 152)

ახლა ვნახოთ ქართული ორივე თარგმანის შესაბამისი ტექსტი:

ანონიმური თარგმანი:

„სრუთ უკუ არა ხოლო სომხითი  
 გარეშეიცვა მის მიერ ქადაგებამან  
 ქხორებისამან, არამედ სპარსეთი და  
 სურეთი და მიდნი და რომელთა-იგი  
 უნონ უწოდიან“.

ნათლად ჩანს, რომ ქართული ადეკვატურად ასახავს ბერძნული მეტა-  
 ფრასული ტექსტის ჩვენებას, ხოლო ის სხვაობა, რაზედაც მსჯელობს ლ. მე-  
 ლიქესთ-ბეგი და რაც ქართველი მთარგმნელის პატრიოტული გრძნობებით  
 ჟანრახეცი ჰგონაზე, სინამდვილეში არის სხვაობა ბერძნულ ვრცელსა და  
 შეტაფრასულ რედაქციებს შორის.

ლ. მელიქესთ-ბეგის ხსენებულ სტატიაში არის სხვა შემთხვევაც, რო-  
 დესაც შესადარებელი ბერძნული მასალა აღებულია ისევ ვრცელი ვერსი-  
 და<sup>10</sup> და არა მეტაფრასულიდან: გრიგოლმა სხვადასხვა მხარეს გაგზავნა  
 მისიონერები, რომელთა რიცხვი სომხური შეკროს მიხედვით თორმეტია,  
 რაბულის მიხედვით ცამეტია, ბერძნული ორივე ვერსიის მიხედვით ათია. მმ  
 მისიონერებს თვითოვეულად ჩამოთვლის სრულად სომხური, არაბული და  
 ბერძნული ვრცელი ტექსტები. რაც შეეხება ბერძნულ მეტაფრასს, იგი ასა-  
 ხელებს მხოლოდ სამ პირს და აღნიშნავს, რომ მათი რიცხვი ათამდე ადისო.  
 მ შემთხვევაშიც ბერძნული მეტაფრასული ტექსტის ჩვენებას ზუსტად იმეო-  
 რებენ ქართული თარგმანები.

მეტაფრასული ტექსტი (გვ. 116, § 37):

„τα μεν τα πάρα τον Ευθρατην εγχειρίσαι (Αλβινος ονομα την), τω δε  
 (Ευθαλιος αυτος εκάλειτο) την Βασηγων περιχωρον και τριτος δε υπεργε Βασ-  
 ιος, και μεχρι του δεκατου προηλθειν ο αριθμος“.

ვნახოთ ქართული თარგმანები:

ათონ. 20, § 37.:

„პირველსა მას ჭრა-უდვა წმიდამან ევფრატი, რომელსა ეწოდებოდა  
 ალვინ თხს, ხოლო სხუასა მას ევთალიოს სახელ-ედვა და მიიღო მან  
 სინხები გასინონოდი; და მესამე იგი იყო ვასოს და ვიდრე ათამდე ალ-  
 უდოდა რიცხვ იგი“.

S:

„ერთი იგი კიდეთა ევფრატისათა ეპისკოპოსად განაჩინა, რომელსა ალ-  
 ვინოს ეწოდებოდა, ხოლო მეორე, რომელსა ერქუა ევთალიოს, სო-

<sup>9</sup> ივევ, გვ. 165—166.

<sup>10</sup> Л. Меликset-Беков, Грузинская версия..., с. 163.

ფულსა ზედა ბასიანელთასა, და მესამე მათი იყო ვასოს და ესპერტი მიკუნი იგი ათად ოლესრულებოდა“.

ბერძნული მეტაფრასი და ორივე ქართული თარგმანი ასახელებენ სამზირის: „Αλβινος; // ოლვინოს, Ευθανατος; // ოფთალიას, Βασιλος; // βασιλος“ და ონიშნავენ: რომ წარგზავნილების რიცხვი ათადი აღის: „μεγας: του δεκατου προσηθεν ο αριθμος; // „ვიღრე თადმდე ოლვილოდა რიცხვ იგი“ // „რიცხვ იგი ათად ოლესრულებოდა“.

ლ. მელიქეთ-ბეგის მიერ მოხმობილი ბერძნული მასალა ამჯერადც ალებულია ვრცელი ბერძნული ტექსტიდან, მაშინ, როდესაც, მისივე თქმით, „ქართული წარმოადგენს ბერძნული მეტაფრასის თარგმანს“. თუ ეს ორი ბერძნული ტექსტი ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ერთი მათგანია ქართულის დედანი, რატომ უნდა მივწეროთ ქართველ მთარგმნელს ტექსტისადმი ტენდენციური დამოკიდებულება? როგორც დავინახეთ, ქართული ორივე თარგმანი (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი) ადვკვატურად გადმოგვცემს ბერძნული მეტაფრასული ვერსიის მონაცემებს.

აქ შეიძლება კაცმი იფიქროს, რომ ლ. მელიქეთ-ბეგი განზრას ამრუდებს ფაქტებს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი მთარგმნელი (იგი განიხილავს მხოლოდ ანონიმურ თარგმანს) ტენდენციურია<sup>11</sup>. პარალელური ქართული მასალისა და ბერძნული მეტაფრასის ჩვენება კი საქმეს ისე აჩვენებს, რომ სტატიის ავტორია ქართველი მთარგმნელისადმი ტენდენციური და უსამართლო ბრალმდებელი.

ახლა კონკრეტული ნიმუშების მოხმობით ვაჩვენოთ რა სახის განსხვავებანია ქართულ თარგმანებს შორის და ამ თარგმანებსა და ბერძნულ ბეჭდურ ვაძლევებს შორის.

თვით ქართულ ტექსტებს შორისაც არის ზოგი ისეთი გადახრა, როცა შერძნული არც ერთი ეთანხმება და არც მეორე.

მოვიხმობთ ამ დებულების დამადასტურებელ ნიმუშებს:

1) თოონ. 20:

„შეკრიბა მჯედრობად დიდადი შარვანე ლთაგან და ქართველთა და და სხუათა მათვანცა მიმოთა ნათესავთა და განძლიერდა იგი ფრიალ“ (ფ. 5).

S: „შეკრიბა მჯედრობად ძლიერი ალვანთაგან და ქართველთა და სხუათა ნათესავთაგან თითოსა ხეთა.“

„παρατεινειν εξ Αλβιανων τε και Ιβηρων προσετει οι και οι αφορων Ουγγωνι ταχινιαν συναγειρας“.

ბერძნულში დადასტურებული Ουγγων ქართულის არც ერთ ტექსტში ამ ეპიზოდში არ გვაქვს. მის მაგივრად გვაქვს: „ნათესავთაგან თითოსახეთა“ // „მიმორა ნათესავთა“.

თხზულების 5 36-ში ისევ არის ნახსენები Ουγγων-თა ტომი: „Εντευθεν την Αρμενιαν μνων τω του επιπρεπεισι αηρυγματι περιελαβεν, αλλα και Περσων και Ασυριων και Ουγγων και Μηδων υπελεγους, τω χρηστω του Χριστου ζηγω προθυμωτ υπηργαγνων“.

თოონ. 20:

<sup>11</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბრის, და ოქტომბრის თვეების მეტაფრასების ქართული თარგმანების ბერძნულთან შევერებამ არ დაადასტურა არც ერთი ფაქტი იმისა, რომ ქართველი მთარგმნელი ტენდენციურად ერეოდეს და ცვლილეს ორიგინალის ტექსტს.

„ვინახცა ორა სომეხთა ოდენ ექადაგა სახარებად იგი გაშოქსნისა, მაგრა უფრო სპარსთაცა და ასურთა და უნგრთა და მიდთა, რომელთან არამცირედნი მორჩილ იქმნეს ულელსა მას ქრისტეს მონებისასა“.

S: „ესრეთ უკუკ არა ხოლო სომხითი გარეშეიცვა მის მიერ ქადაგებამან უსორებისამან, არამედ სპარსეთი და ასურეთი და მიდნი და რომელთა-იგი უნნონ უწოდიან, ამათ ყოველთაგანნი ტკბილსა მას ულელსა ქისტესა მოიყანნა ერნი მრავალნი“.

როგორც ვხედავთ, მეორე შემთხვევაში ბერძნული ტექსტის **Օսუაზ სუკიონით** **Οιννος οι:=γυναι, ქართულად „ჰონიი?“** ქართულ თარგმანებში, ორსავე ტექსტში არის გაღმოტანილი: „რომელთა-იგი უნნონ უწოდიან“// „უნგრთა“.

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ ს 5-ში ეს ეთნიკური სახელი ცირქულ სავარაუდო ტექსტში არ ყოფილი. შეუძლებელია, ორი სხვადასხვა მიზი ერთსა და იმავე ადგილს ერთნაირ შეცდომას უშვებდეს [და სხვაგან მავე ტომს ორივე ასახელებდეს].

## 2) ოთონ. 20:

„ყოვლითურთ კორცნი მისნი შავად გარდაქცეულ იყვნეს მრავალუამ ყოფისა მისგან მთხრებლსა მას შინა და დილეგსა და თხლისა მისგან ბორტებისა“ [§ 25].

S: „დაშავებულ იყო ყოველი გუამი მისი სიმრავლისაგან წელთახსა და შეკრისაგან და უყისა“.

„ολον μεν το σωμα ιπο της γρονιας περι τον βορθορον και την ιλυ χαχωσεως μεμελανιωτο“.

ათონურ ნუსხაში ნახსენები „მთხრებლი და დილეგი“ — არც ბერძნულ და არც ქართულ ანონიმურ თარგმანში არ არის, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა შინაარსის თვალსაზრისით: გრიგოლი ჩაგდეს „ჭურლმულა“ „ფრურასა“ [=თხირმა, თემიჲცა]. რომელიც სავსე იყო სიბინძურით, ენახოთ ეს ეპიზოდიც:

S: „ბრძანა შეკრვად წმიდისა გრიგოლისი კელით და ფერჯით და ქედით და შთაგდებად იგი ჭურლმულსა მას ბნელსა არარატისასა. ხოლო იყო ჭურლმული იგი საშინელი სმენით და უსაშინელესი საქმით, სავსე სიმყრა-ორთა და უყითა და ქუეწარმავალითა გესლიანითა და მატლითა და სხვთა შეცითა, რომელი შეეტყუების ადგილსა მწყურნებსა“ [§ 16].

„κελευει δειθεντα τον αγιον τραχηλον και χειρας αμα και ποδας τω παρα τη ποιει: Αρταξι λακκω δοθηγαι. Ο δε την ο λακκος οιτος πραχμα και ακουσαι φοβου μετον, σεσηπος βορθορος τα ενδον και: ιοβολοι οφεις και σκωληκες, και παντων οια καιτι γης ερπει, διατριβη“.

ათონურ ნუსხის ეს ადგილი აკლია.

მკითხველისთვის სრულიად ნათელია, სად დაყო გრიგოლმა რამდენიმე წელი და რატომ იყო მისი სხეული „დაშავებული“//„შავად გარდაქცეული“.

## 3) ოთონ. 20:

„მუნ მყოფნი იგი მორწყნა სწავლათა მიერ თვესთა, და მო-რა-ეახლა ღმე, დაცხრვო სიტყუადცა და მეტყუელებადცა“ [§ 26].



S: „ມູນ ມູນຄູນ ໃກໂລ ພອແລນ ອຸປະກຕົວ ແລ້ວ ລາມເຕັມ ມືຖຸຍະກອນພູມ ຂໍ້ມູນຕີວັດ ຢ່າງດີ”.

„τοὺς παρόντας μυσταγωγησάς, ως ηδὴ πρὸς επερχαν την, τὸν σύλλογον διέλυσ-  
στα“.

4. ፭፻፲፭. 20:

„ରୂପିତୁ କୈଶ୍ଵାମିତ୍ରା ବିନ ସାମିଳଟାଙ୍ଗ, ବିନାରମ୍ଭେ ଶାସତା ତାନ୍ତା-ଶାର୍କରପ୍ରେସ୍, ବେଳାନ ବ୍ୟୋମାକ୍ଷରି ଅଲ୍ପବରଳିବ୍ୟେନ“ [ଖ 27].

S: „ରହମେଲ ଟ୍ରୈନିଂପ୍ରା, ବିନାରାମ୍ଭେ ମରୁଶ୍ଵରେଲିବା ମୋର ଗାନ୍ଧିକାରସଙ୍ଗେ ଶା-  
ଖିବା ମିଳାଙ୍କ ଅମ୍ବିଲା ଦ୍ୱା ମିଳ ଚାଲ ଗାରାଜାରିତବିନ୍ଦେ, ଉତ୍ତରିତା“.

„είτε δι γένος οκαπετ τας μελάγας απόρρεσατ και τας επερχας αναρρώντας λευκάς“.

5) ათონ. 20:

„ვითარება სახედ თესლნი კეთილნი აღმოაცენებდეს მორჩისა მას სათ-  
ვაბათასა“ [§ 30].

S: „ესრეთ კეთილია მათ თესლთა გრიგოლისთა მრავალწლიად აღაოჩინებდებუს“.

„ΜΟΣΕΩ από κάλων σπειρατών των τοι Γρηγορίου λογών και αυτοι φύουταις“.

6) ათონ, 20:

„ხოლო არისტაკი აღირჩია სიჩქარეთვანები და სიყრმით თვისით ცხორებად მეუღლებნობისად და მოქალაქობად უუღლოდ და უშუღლოდ, რამეთ ერთისა მიერ სამოსლისა მოსილი იქცეოდა მთათა შინა უდაბნოსათა და ეჭყვებოდა იგი ახოვნად ყინელსა და სიცხესა, და იზარდებოდა მხლის შეირ ოფენ ველურისა. ხოლო მღვარებად და ღამისთვეად ზედგომით და შიძდები ლოცვად დღე ყოველ და წურთად მარადის საღმრთოთა წერილია: ესე ყოველი და სხუად ესვეითარი თანამზარდედ ჰასაკისა თვისისა ქუნდა აროსტაკის სიჩქარეთვან“ [§ 38].

— 5. „ხოლო არსტაკე შექცულ მონაზონებითა და სიყრმითგან მცუდა-  
ნებითა და სრულიად უქორწინებლობითა [და მოხცეულ ნაყოფიერ-  
ებითა სულისათა, რამეთუ AB], რომლისად ერთითა მარტოდ სამოსლით  
პლეისა უდაბნოს ითქმონდა წყობად სიცხისა და ყინულისა, და ვითარმედ  
[—AB] მხალი ხოლო არს საზრდელად მისსა. და სიყრმითგან თანაზრდილ  
შისსა არს მღვდარებად და ლოცვად ღამე და დღე და საღმრთოთა წერილთა  
კოთხვება“.

„Αρωστανη δε τον εργμικού βίου και ακοινωνητού εξ αυτού γαλακτός ετι: κομιδή παιδιά ελεσθήσι: Μονοχιτώνα τε γαρ επι της εργμιας διατριβειν ελεγυτο Ψυχει και θαϊπει παλαιοντα και λαχανα σιτεισθαι μονα, παννυχους δε στασεις και αγρυπνιας και μεθυμερινας προσευχας, και Γραφων θειων ομιλιαν, εκ παιδος και ταυτα το Αρωστανη σινηριζησθαι“.

7) ათონ. 20:

„ამისთვესცა სამი მთავარნი კაცუთავან წარჩინებულთა კურად წარ-  
ჯგზავნნა ძაღვად კაცისა მის საღმრთოება ძისა გრიგოლისა, რომელი-იგი  
ვითარცა მიიწინეს, წარვიდეს ეკლესიად და პოვეს იგი სიბრძნესა მის შინა  
უდაბნოებასა, რომელსა მნიადლა სამე და მრავლითა შტომითა დაარწმუნეს  
წესაცემად მათ თანა და ესრეთ მიიყვანეს არსებავი მეფისა“ [წ 38].

S: „და მყის სამნი კაცნი წარჩინებული კესარიად წარავლინა ძეგბად შათდა. ხოლო მი-რაღ-ვიდეს [მი-რაღ-იშტინს O] იგნი, პოვს ორთან გან-ჭისებულ რიცხვსა თანა უკლესიისასა მოდელთასა, ხოლო ორსტაკი და-

უდებით და უდაბნოს მჯდომარე და ძლით არწმუნეს მას და მიიყვანეს იგი ბეჭისა“.

„ესიς των επισημοτάτων αιδρίς κατα ζητησάν των του Γρηγορίου παιδιών προς Καιταρειαν ሽპოვεμπει παρχεγελούεναι τοινυ ουτοι, και τον μεν εκκλησιεζοντα καταλაθοντες, τον მც აνα την εργμაν ფილοσφευντα, μολις και συν ჩიტა თον Αρωτανγν παιεσაντες αγουσι παρα τον βασιλεα“.

თეოფილეს თარგმანი ზოგჯერ უფრო კალკირებულად გადმოსცემს ბერძნულის ვითარებას, ვიდრე ანონიმური თარგმანი.

1) ოთონ.: „ხოლო ძლევამან მიიხილა არტაშირას მიმართ“

S: „და მიემაღლა ძლევაა არტაშირს“ [§ 3].

„აπიტეპει ნა პრი არτაშერაν უ ყაზე“.

2) ოთონ.: „ამიერითგან მეფობაა არღარა არტავანის ზედა დაადგრების, არამედ არტაშირას მიმართ მივარდების“ [§ 3].

S: „რამეთუ მეფობაა ამიერითგან არღარა არტავანს, არამედ არტაშირს შეელის“.

„την γαρ βασιλειαν ουκ Αρταβανη λοιπον εθελειν παρχενειν, αλλ' εις Αρτασειραν μεταβαινειν“.

3) ოთონ.: „არღარა შეკრებულ იყვნეს ჭერეთ კელის კე ლი ს კ ე ლ“.

S: „ჭერეთ არა მიახლებულ იყვნეს უ რ თ თ ი ე რ თ ა ს“.

„εις კ ე რ ა ს ი ა ი ს ი მ ე პ ე ი ს ი ყ ა უ“.

4) ოთონ.: „მრავალთა მათგანთა ალირჩიეს ცხორებაა მარტოდ მყოფებისა და“. S: „მრავალი მონაზორის ცხორებასა ალირჩევდეს“.

„πόλοις მან τον მიიνორიπον απανηρουντο მიოν“.

5) ოთონ.: „და ვიდრე ათამდე ალვიდოდა რიცხვ იგი“.

S: „და ესრეთ რიცხვ იგი ათად ალესრულებოდა“.

„και ჩაგრი თი ბერთი პროგრძეν ი არιშმაς“.

ზოგჯერ გვაქვს პირუკუ: S უფრო მეტ სიახლოეს აჩენს ბერძნულთან ვიდრე ათონური.

ათონ.: „ხოლო საღმრთომან გრიგოლი მოიყვანნა ყრმანი თვესნი გინა შონანი და განსწავლნა იგინი სწავლისა მიერ და მოძღვრებისა“ [§ 37].

S: „ხოლო შეილთა მათთა, პირეულ ურწმუნო ყოფილთა, ალირებდა ნეტარი გრიგოლი და უზრუნველითა ცხორებითა და კეთილად სწავლულებითა აღზრდიდა მათ“.

„και παιδας ნა ასτაν των προτερον απισταιν παραλαβιν ი ιερος Γρηγοριος, και აყვაუης აქεινονος και παιδειας ემსახურεბაς აξιωσაς“.

თეოფილეს თარგმანის თავისებურობანი

ხელნაშერი ათონ. 20 იშვიათი ღირებულებისაა არა მარტო იმიტომ, ორმ ის ერთადერთია სექტემბრის თვის მეტაფრასების თეოფილეს თარგმანების შემცველი და ამასთანავე ძვირფასი ცნობების შემცველი — შესავალი და ინდერიძი ახლავს, არამედ იმიტომაც, რომ იგი მთარგმნელის ავტოგრაფია. აქ მოცემული ტექსტების ენობრივი თავისებურებანი საკუთრივ კართველ მთარგმნელისაა და აღგილი არ აქვს გადაწერისას ჩადენილ უნგბ-



ლე თუ განზრახ სწორებებს. თეოფილეს — როგორც მთარგმნები და სებურებათა გამოვლენას და კვალიფიკაციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. შესაძლებლად მიგვაჩნია, მისი საშუალებით დადასტურდეს ან არ დადასტურდეს თეოფილეს სხვა თარგმანების არსებობა, რომელთაც ვარაუდით მიაკუთვნებენ მას.

„გრიგოლის ცხოვრების“ ქართული თარგმანების უშუალო ბერძნული დღიდანი არ ამოჩნდა ის ბეჭდური გამოცემები, რომლებიც სკომიონ მეტაფრასტის სახელს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში თარგმანის თავისებურებების გამელავნება რთული საქმეა, მაგრამ საქმე გაადვილდა პარალელური ქართული თარგმანის ტექსტთან შედარებით.

ერთი აშკარა თავისებურება თეოფილესეულ თარგმანში სინონიმური წყვილების ხმარებაა:

ათონ.: მოითმენდა და თავს-იდებდა § 11. S: დაითმენდა

შეიტქბო და შეიწყნარა § 34. S: შეიწყნარა

დააწესაცა და დაამტკიცა § 39. S: განციფინა

ეცელებოდა მას და ჰლინიდა 11, 11<sup>12</sup>. K: აუწევდა

დაამკო და შეიმუშარა § 30; 28. S: განიკაღოს

მიპოვნდა და მიანიჭებდა § 27. S: მიპმაღლებდა

წმიდად გამოჩნდეს და გამობრწყინდეს § 39. S: გაწმდეს

ჰბასრობდეს და ეცინოდეს § 12. S: საკიცხელად

ჰბრძარდა და ხუეტდა S 13. S: ხუეტად

უთქუმიდა და აშინებდა § 2. S: ექადოდა [შდრ. ზრახვად შინებისად 30. 3.<sup>12</sup> S: ექადოდა]

„მიითუალა და თავს-იდვა 11, 12. K: მიითუალვიდა

//მიითუალა და-თავს-იდვა 11, 12. K: თავს-იდვა

განხეთქნეს და განბძარნეს 2, 12. K: განბძარნეს

განკვრდეს... და ზარტეხილ იქმნეს 11, 19. K: განაცვბრნა

მოუძლურდა და განკოდა 11, 12. K: უბალრუკებდა

განიბძარნენ და დაიკსნენ 17, 12. S: დაიკსნებოდა

განუწესებ და უბრძანებ 2, 12. K: უბრძანებდე

თავს-უც და მოუთმენიეს 11, 16. K: მოთმინებად

ტიროდი და იგლოვდი 11, 17. K: იგლოვდ

სცხოვნდებოდი და ჰმოქალაქობდე 11, 19. S: ჰმოქალაქობდე

დაწულილდეს და განწყდეს 17. 17. S: დაწულილებად

ირწმუნე და უწყოდე 17, 10. S: ირწმუნე

განხეთქოს და განყოს 11, 1. K: განკრად

შეპვედრა... და ძლუნად მიუპყრა 2, 3. K: შეპვედრა

განგრუნვებულ იყო და განლაობულ 30, 24. S: ბორგდა

შეგრძნებულ არიან და მოვუნალ 2, 12. K: გრძნებითა შეკრულ არიან

ზეშთა ალსრულ არს და გარდამატებულ 17, 6. S: უდარეს არს

განგრძნებილ ყოს და ქამეულ 2, 9. K: მრავალქამეულ იქმნენ

მიწა ქმნილ იყო და მტუერ და ნაცარ 30, 25. S: მიწად შეიცვალებოდა

იქმნა... ნაწილ და კერძო 30, 35. S: თანააღირაცხა

უკეთურ იყო და მანქანა 17, 7. S: ბოროტ იყო

<sup>12</sup> ნიმუშები მოტანილია 2, 11 და 17 სექტემბრის საკონხევებიდანაც: პირველი ციფრი მიუთითებს საკონხევის დღეს. მორჩე — ოხულების პარაგრაფს.

ამცნო აღყვანებად და აღზრდად 2, 4. K: აღყვანებად  
ასწავებ... წინააღმდეგომად და ურჩებად 2, 7. K: ურწმუნო-ყოფს მორ-  
ჩილებად

სურვილი უდაბნოსად და სიყუარული დაყუდებისად 30, 17.  
S: სურვილი დაყუდებისად

განსაკლელი ფიცხელი და ბოროტი 11, 1. K: მძვნვარე

თქუმული იგი და მცნებული 30, 3. S: თქუა

გინებად და საშეკლი შურისგებისად 30, 2. S: პატიუ

გამოცხადებად და უწყებად 30, 2. S: ჩუენებად

დასხმას..., და დაკრძალვასა 30, 29. S: დადებაძა

იგავი იყო და ნიშანი 30, 28. S: მოასწავებენ

მქედარობასა და რაზმსა 30, 24. S: მქედართაცა

ლაკურასა მას შინა და ჭურლმულსა 30, 26. S: მღვმესა მას შინა

ცუდად.. და ამაოდ 30, 3. S: ცუდად

ამაოდ და ცუდად 11, 12, K: ამაოდ

მშეღლით და უჭირველად 30, 3. S: უჭირველად

ჭირთა და შრომათა 30, 2. S: ჭირისა

სრბანი და ქუვანი ვარსკულავთანი 30, 2. S: მოქცევნი ვარსკულავთანი  
ხატი იგი ეშვესად და სახე ლორისად 30, 29. S: ლორებრვე სახე [ზედა  
ედვა]

ბრძოლილი და ეშმაკეული 30, 24. S: ეშმაკეული

მცირედითა და კნინითა 17, 4. S: მცირეთა

იწყო სწავლად მისა და შეჭულისდებად 11, 17. K: სწავლად იწყო

ლბილად და სიჩუნით 2, 13. K: დაქსნილ

მოგუებათაგან და მანქანებათა 2, 12. K: გრძნებათა

მწარედ და უწყალოდ. 2, 12. K: ბოროტად

გლახავთა და ყოველთავე ულონთა და დავრდომილთა 2, 11. K: მოქე-  
ნეთა საზრდელისათა

ოქერქმნილი და ამა 17, 3. S: ცალიერად

ფრცხლად და სასტიკად 17, 12. S: სიმძიმითა

ბრძანებასა მეფეთასა და განწესებასა მათსა 2, 13. K: სამეუფოთა გან-  
წესებათა

ზუაობით და სიგლისპით 2, 13. K: ურცხვნებით

სირცხლი და შეკდემად 2, 12. K: შეკდიმებად

სიჩომთვანევ და სიყრმით 30, 38. S: სიყრმითვან

სამეუფოდ და სამთავროდ 30, 5. S: საბრძანებელად (თუ არეთ)

გამოცხადებად და უწყებად 30, 2. S: ჩუენებად

ანაზდამ და მოულოდებელად 11, 15. K: მოულოდებელად

თანამოსაგრე... და მეუღლე 11, 3. K: მეუღლე

კინვად და ყინვად 30, 6. S: ყინელი

სოფელთა და დაბათა 30, 3. S: სოფლები

მხეარულებით და გულსმოდგინედ 11, 4. K: წადიერებით

ზღაპრად და სიჩურად უწოდდეს 2, 6. K: სიჩურ-ყოფად ჰგონებენ

მრთელად და უვნებელად 11, 9. K: მრთელად

სამოსელთა ჩიკლთა და ლბილთა 11, 17. K: ლბილისა სამოსლისაგან

- თეოფილეს თარგმანში სისტემატურად გამოიყენება წყვილებისათვის და ახოვნებად // ახოვანი, მქნე:
- „სიკუდილი ქრისტესთვს სიმჯნით და ახოვნებით მიითუალეს“ 30, 28.
- S: „აღშენენ თითოეულსა მას ზედა ადგილსა ქრისტეს მოწამეთა აღსა-სრულისასა“.
- „სიმჯნით და ახოვნებით ქრისტესთვს მოითმენდა და თავს იდებდა“ 30, 11.
- S: „ეგრეთცა სისარულით და სიმჯნით დაითმენდა“  
 „ახოვნებით და სიმჯნით პრეჭა მას“ 2, 7.  
 „ესე არს სიმჯნე და ახოვნებად მისი“ II, 21.
- K: „ესე მოთხრობა მჯნისა მის ღუაწლთა“.
- „ზეცით არს სიმჯნე და ახოვნებად მათი“ 17, 7.
- S: „ზეგარდამო არს შეწევნად მათი“. „ახოვანმან მან“ 30, 12//2, 14.
- S: „მჯნე მან მან“  
 „აღუთჭუა ქმნად რასმე საქმესა ახოვნებისასა“ 30, 5.
- S: „სიმჯნით შეწევნასა უქადებდა არტაშირს“. „მოწამისად ახოვნებად“ 30, 12.
- A: „მოწამისა სიმჯნით და ძლიერად მოთმინებად“. „ხედვიდა... ახოვნებასა და სიმჯნესა მამადსა“ 2, 13.
- K: „.... სიმჯნესა მამადსა“. „სიმჯნედ და ახოვნებად“ 2, 15  
 „ახოვნებით წინააღმდეგ და მოთმინებით თავს-ისხენ“ II, 17.
- K: „სიმჯნით წინააღმდეგ“. ამ სინონიმურ წყვილთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ თეოფილესთან მათი გათიშვისას [ ე. ი. სინონიმურ წყვილს როცა არ ხმარობს] ყოველთვის გვაქვს „ახოვანი“, სხვა თარგმანებში მას ეფარდება „სიმჯნე“.
- ზემოთ ჩამოთვლილი პარალელური სინონიმების ჩრარება თეოფილეს შეთვისებული უნდა ჰქონდეს თავისი დიდი მასწავლებლისაგან — გიორგი შოთაშიძლისაგან. გიორგი მთაწმიდლის „იოანეს და ეფთვებეს ცხოვრების“ ტექსტისათვისაც ხომ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ სინონიური წყვილებია, ასევე გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ტექსტისათვისაც<sup>13</sup>.
- იშვიათად ხდება პირუკე: Afh. 20-ში შარმოდგენილ სიტყვას პარალელურ თარგმანებში სინონიმები შეეფარდება:
- „ცვენეს ორნივე ესე ზოგად მოყუარე სათნოებისა“ 30, 38.
- N: „ორნივე ივი არიან ღმრთისმასახურ და მოყუარე სათნოებისა“.
- „მცირედ... ოდენ განიფრთხები მრავალი სურვილი“ 30, 24.
- S: „აქუნდავე ზარიდა შიში“.

<sup>13</sup> ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთვებეს ცხოვრების“ მიხედვით, გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებად იოვანესი და ეფთვებესი, გამოსაცემად მოამზადეს. ჯავახშიცილმა, 1946; ნ. გოგუაძე, „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ენა. ფილოლოგური ძიგბანი, I, 1964.

- „ეცეს ლხინებად რამე ვნებულთა მათ“ 30, 24.
- S: „მძიმედ ვნებულთაცა აღუსუბუქებდეს და სენისა მისგან განთავისუფლდენ“.
- „ზოგად კეთილთა მათ ბჭობითა აღწერილი სარწმუნოებად კილად მიიღო“ 30, 39.
- S: „მიიღო წიგნი იგი სარწმუნოებისად ზოგადითა ნებითა და განზრანებითა უთა ყოველთამა აღწერილი და განმტკიცებული“. „უფროდ სლა დაემჯუა“ 17, 9
- S: „უფროდ დაუმეტეს იძლია“. „უშკულოდ იგი მსაჯული“ 17, 9
- S: „ბოროტად მსახური იგი და უღმრთოდ მსაჯული“. „უაღრესთა მათ კეთილთა მოსაგებელი“ 17, 6
- S: „დიდნი იგი და უზებუთა ესნი მოსაგებელი კეთილთანი“. „გერიყო სიხარული“ 17, 5
- S: „გერიყო თქუნდა სიხარული და კეთილიდ ცხორებია“. „უპატიონს ნებ არს“ 17, 4
- S: „უზებთა და უპატიონს ნებ ყოვლისა“. „ლიქნად იკუმია“ 17, 5.
- S: „სიმჟღადით და ლიქნით წარიპარნეს...  
„განეწყო იგიცა უნებლივთ ბრძოლად“ 30, 5
- S: „განეწყო არა ნეფსით, არამედ უნებლივ ბით“. „შიში მთავრისად უკუანახსკნელსა ძრწოლასა მოაწევდა მის ზედა“ 2, 3.
- K: „ზარი მთავრისად ექმნებოდა მას უჭირეს ჭირთა და უშემაძრა-წუნებელეს ძრწოლათა“. „განსუენებასა“ 30, 13.
- S: „განსუენებათა და შუებათა“. „მიხედნა ვისმე დიდებულთაგანსა საკუთარსა თვისსა“ 30, 4
- S: „მიიხილა თვესთა მიმართ მთავართა და სახლეულთა“. „წინამძღვარ-ყოფად“ 30, 32
- S: „განაჩინონ წინამძღვრად და მთავარად“. სინონიმად დასტურდება არა ცალკეული სიტყვა, არამედ მთელი ფრაზა: „დედაკაცი ვინმე დიდებითა საღმრთოშთა შემქობილი და მრავალ-ფრთა მიერ სამოსელთა განრჩეუნვილი“ II, 18
- K: „დედაკაცი უსაღმრთოესითა დიდებითა შემქული“. „შეივეღრე სული ჩემი საკრველთა ამათ შინა, რომლითა კრულ ვარ მე“ 2, 2.
- K: „მიიღო სული ჩემი საკრველთა ამათგან“. „ყრმად იგი რაოდენ აღორძნებოდა და წარჰვლიდა რიცხუსა უამთასა, ესოდენ და უმეტეს თანა აღორძნებოდა მისა მიმართ სიუცარული და სურვილი ამშიახსი“ 2, 5
- K: „ყრმად იგი რაოდენ უფროდ აღორძნებოდა, ესოდენ შემატებასა თანა უამისასა მარადის აღორძინებულად აქუნდა მისსა მიმართ სიყუარული ამშიახსი“.

„ამას ზედა განრისხნა ფრიდა ავრილიანოს და ს ც კ ო დ ე ს ჟ უ ტ ა ლ ი ბ უ რ ი ს ა ნ ა კ უ ე რ ც ხ ა ლ ნ ი 2, 8.

K: „ამას ზედა განძვნდა ავრილიანე ყრმისა მისთვეს“.

„შეუდგა მას ღმილით წმიდამ მოწამე და მ ძ ლ ა ვ რ ი ს ა მ ი ს ვ ე რ ა გ ო ბ ა ს ა პ ბ ა ს რ ი ბ დ ა“ 12, 15

K: „იგი ღმილით შეუდგა“

„ძილსა ს ძ უ ლ ი ბ დ ი , მ ღ ვ ძ ა რ ე ბ ა დ შ ე ი ტ კ ბ ე“ II, 17

K: „ძილი მოიძულე“.

„მათ უამი იგი დროდ მიცემული არა ცუდად წარაგეს, არცა უდად, არამედ სწავლასა მას დედისასა შემსჭულების თავისი“ 17, 4.

S: „წმიდათა მათ სამნ იგი დღენ იკუმინებ სასწავლელად დედისაგნ თვისისა“.

საკუთარი სახელები ქართულ თარგმანებში უმეტესად ერთნაირად არის გადმოცემული, მაგრამ ზოგან გვაქვს სხვაობა, რაზედაც საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. ექ ერთხელ კიდევ გაითხენოთ, რომ ქართული ტექსტები ბერძნულიდან არის ნათარგმნი. [თარგმანი შესრულებულია: ერთი 1081 წელს, შეორეც იგულისხმება დაახლოებით ამავე პერიოდში].

„გრიგოლის ცხოვრების“ მეტაფრასული ტექსტი მოცულობით ვრცელია, შეიცავს სომხეთის ისტორიის საკაოდ ფართო თხრობასაც და უხვად გვხვდება პერსონაჟებიც, გოგრაფიული გარემოს მითითებით.

სომეხთა მეფის თრდატის სახელის ბერძნული შესატყვისია *Τηριδατής*. თეოფილე ხუცესმონხონი საერთოდ დიდ ანგარიშს უწევს სათარგმნელი მასილის ბერძნულ დედანს და ცდილობს ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოილოს [რაც ჩვეულებრივ ახასიათებს თარგმანებს ნაკლებად ცნობილ საკუთარ სახელებთან დაკავშირებით]. ამიტომ ათონურ თარგმანში თრდატ გვხვდება შემდეგი ფორმებით: *ტირიდატ*, *ტირიდატიოს*, *ტირიდატი*. რა თქმა უნდა, თეოფილესთვის უცხო არ არის სომეხთა მეფის სახელშოდება თრდატ. სწორედ ამიტომ განმარტავს იგი პირველსავე დასახელებაში: „*ტირიდატი* ანუ თუ თრდატ“, სხვაგან ზოგჯერ წაცდება ხოლმე ნაცნობი ფორმა „თრდატ“. ერთგან ტექსტში გვაქვს: „თრდატ იგვე ტირიდატ“. ამ სახელის გადმოცემისას აშეარად ჩანს მთარგმნელის პოზიცია — ბერძნულთან ძალზე მიმსგავსებით გადმოიტანოს საკუთარი სახელის გაფორმება, თუნდაც ამაში ტრადიცია უშლიდეს ხელს. რა ტრადიცია შეიძლება გვქონდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში?

ქართულ ენაშე სომეხთა მოქცევის შესახებ ადრინდელი მასალა:

1. „მოქცევა ქართლისაც“ — შატბერდის კრებულში, X საუკ.

2. „იერუსალიმის განჩინება“ — VII საუკ.

3. სვინაქსარი ვიორგი მთაწმიდელისა (H 513]

„მოქცევა ქართლისაც“ და სვინაქსარი<sup>14</sup> თრდატ მეფეს ასახელებენ.

რაც შეეხება „გრიგოლის ცხოვრების“ ანონიმურ თარგმანს, იქ მხოლოდ ტრადიციული თრდატ ფორმა გვხვდება.

<sup>14</sup> ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, ტექსტი გამოსაცემად მოაზიარეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურეს ე. გაბიძაშვილმა და შ. ქავთარაიმ. 1980.

საინტერესოა, რომ ანტონ კათალიკოსიც თეოფილეს მსგავსად ამ სახელის გადმოღებისას ტრადიციას გვერდს უვლის: ტირდატ — ასეთი ფორმით არის წარმოდგენილი.

„ქელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ქეგლების“ VI ტომში ანტონის „მარტირიკის“ ტექსტებზე დართულ გამოკვლევაში — „მარტირიკის“ ზოგიერთი ენობრივ-სტილისტიკური თავისებურება“ — ვკითხულობთ: „ანტონის შესწორებული აქვს ზოგიერთი საკუთარი სახელი: ვრცელ ცხოვრებაში არის: კუსარ სომეხთა მეფე — ანტონის თხზულებაშია „ხოსრომ მეფე სომეხთა“, საკვეა: „თრდატ — ტირდატ, კუსაროდუხტი — ხოსროდუხტი და სხვ.“<sup>15</sup> რატომ შეასწორა ანტონმა, რის საფუძველზე — ამაზე მსჯელობა აღიარ არის.

მეორე საკუთარი სახელი, რომელის გახმოვანება ქართულად ასევე სხვა-დასხვავარადაა წარმოდგენილი, არის „კუ სარო // ხუ ას რო“ და აქედან ნაწარმოები „კუ სარო დ უ ხ ტ ი // ხუ ას რო დ ჟ ხ ტ ი // ხ ო ს რო დ უ ხ ტ ი“. ამ სახელის გადმოცემაში „გრიგოლის ცხოვრების“ მეტაფრასული ტექსტის ორსავე ქართულ თარგმანში დედნისეული წაკითხვა დაცული და ანგარიში არ ეწევა ქართულში უკვე არსებულს. კუ საროს (ათონურში) // კუ ს არ (S-ში). „მოქცევა ქართლისად“ —ში [შატბერდის კრებულში] არის „ხუასრო“; საინტერესოა, რომ სვინაქსარში დადასტურებული „კუსარ“-ის გვერდით გვაქვს „ხუსროდუხტი“. ასევე „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ნუსხებში: „კოსარო“, „ხოსროდუხტი“. ამ სახელის გადმოცემისას ანტონისეულ ტექსტში გვაქვს: „ხოსრო“ და „ხოსროდუხტი“.

ს აკუთარი ს ა ხ ლ ე ბ ი ს გ ა ღ მ ო ც ე მ ი ს ს ხ ვ ა ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ათონ.	S	ბერძნული
მასსაგეტნი	მაშაგეტნი	Μασσαγηται
არსაკილეს	არშაკუნიანი	Αρσακιδαι
არსაკილი	არშაქ	Αρσακιδης
არტასირას//არტასირა	არტრშირ	Αρτασειρων
ამიქინი	აშხანავრი	Ασιχηνη

ბერძნულის ს ბერა ასევე ს ანით გადმოდის ათონურ თარგმანში, ხოლო ანონიმ თარგმანში მის შესაბამისად შ'ინია წარმოდგენილი.

ათონურში პარალელურად გვხვდება	S	ბერძნული
არტავანის//არტავან	არტავან	Αρταβαν
არტასირას//არტასირა	არტაშირ	Αρτασιρων
გრიგოლი//გრიგოლის	გრიგოლი	Γρηγοριος
ლეონტე//ლეონტოს	ლეონტი	Λεωντιος
კოსტანტინოს//კოსტან- ტინე	კოსტანტინე	Κωνσταντινος
ორთანიოს//ორთანი	ორთანე	Ορθανης

15 „გ. მთაწმიდლის მიერ თარგმნილ დღი სვინაქსარში 30 სექტემბრის დღეზე შეტანილია გრიგოლის, ჩიტებიესა და გაიანეს საქმაო ვრცელი სვინაქსარული ცხ-აც, რომელიც ბერძნული ორიგინალის თარგმანს წარმოადგენს“, ძეგლები, VI, გვ. 521.

აროსტაკის//აროსტაკი	აროსტაკე	Αρωσταχης <sup>16</sup>
ტირიდატტ//ტირიდატტის	თრდატ	Τηριδατης
//ტირიდატტის//თრდატ		
არტადუხტა//არტადუხტან	არტადუხტ	Αρταδουκτα(…ταν)
კუსაროდუხტა	კუსაროდუხტ	
გადანი...	გაიანე	Γαιανη
ლიკინიოს	ლიკინიოს	Λικινιονε

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, სადაც ორივე თარგმანი ერთნაირად წარმოაღენს საკუთარ სახელებს:

ათონ.	S	ბერძნული
ანაკ	ანაკ	Αναξ
აფტახას	აფტახას	Αυταχας
ზიკას	ზიკას	Ζηκας
ჭარინას	ჭარინას	Καρινας
ევთალიოს	ევთალიოს	Ευθαλιος
ალეინოს//ალეინონ	ალეინოს	Αλβινος <sup>17</sup>
ვასოს	ვასოს	Βασσος

### ვეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

ათონ.	S	ბერძნული
ასურეთი//ასურასტანეთი//ქუყანაა ასურთა	ასურეთი//ასურასტანისა	Ασσυρια
სომხეთი//სასომხითო	სომხეთი	Αρμενιა
შარვანელნი	ალვანი	Αλβανოν
ვასინონოვანი სანახები	ზასიანელთასა//ბილნელთასა	Βασινιων
არტაქსა	არარატი <sup>18</sup>	Αρτაξα
ფრურასა მას არტაქსახსასა	ჭურლმულსა მას არტარისასა	
ქალაქსა შინა არტაქსასა	ჭურლმულსა არარარისასა	παρα τη πολει Αρταξα

გეოგრაფიული სახელებიდან არტაქსა//არტარის გარდა ყურადღებას იქცევს ერთი ქალაქის სახელწოდებაც.

ათონ.	S	ბერძნ.
ქალაქსა მას უალეროქტისტინ წედებულსა	ქალაქსა ვალეროშენსა	„εις την Βασιλειαναγωσι πολι: γ//„εις Ουαλεροκτεστην αγωσι πολι: γ“.

<sup>16</sup> P. G.-ში აღმარჯო.

<sup>17</sup> P. G.-ში: Αλχινος.

<sup>18</sup> ასევეა სკინაქსარშიც, „შარტირიკაშიც“.

ამ სახელწოდების შესახებ საინტერესო დაკვირვება აქვს იღ. აბულაძემ მარტინიშვილი „რიფსიტეანთა წამებაში“ დადასტურებულია „ვალენშეა — ქალაქი“ რომელ-საც ბერძნულში შეესტყვისება Օსალაპათა<sup>19</sup>.

ადამიანის საკუთარი სახელი უ ა ლ ა რ ს ო ც გეხვდება ათონურ ტექსტში: „არტავანის, ყრმად უ ა ლ ა რ ს ო, არსაკიდი იყო“. საინტერესოა, რომ პარა-ლელურ ქართულ თარგმანში არაბერძნული გაფორმებაა წარმოდგენილი: „არ-ტავან ძე ვ ა ლ ა რ შ ა კი ს ო ზემოქსენებული“...

შრი: „**არაზარი**, ნე, παι! Θιαλაριστο, **Αρεταχιδης**.“

„გრიგოლის ცხოვრების“ პარალელური თარგმანების მონაცემებიდან აშეა-რად გამოჩნდა, რომ საკუთარ სახელთა გაღმოცემისას დედნისეულ გახმოვა-ნებას უფრო მეტად ცდილობს თეოფილუ, ამით არის შეპირობებული ბევრი მათგანის განსხვავებული დაბოლოებით გაფორმება. ზოგიერთი საკუთარი სახელის განსხვავებულად წარმოდგენა, ვიდრე P. G.-ს ბერძნულ ტექსტშია შოცემული, ხელნაწერის ვარიანტული მონაცემების შედეგად გაჩნდა, რასაც ადასტურებს პოლ დე-ლაგარდისეული გამოცემა. ამ უკანასკნელში დადასტურ-და სწორედ არაზარის ნაცვლად არაზარის-ისა [შრი. ქართ. აროსტაკ//აროსტაკი] და ალექსის ნაცვლად ალექსისა [შრი. ქართ. ალეკინოსი].

ბუნებრივია, ერთი ძეგლის ორი დამოუკიდებელი თარგმანი [თანაც ერთ ეპოქაში შესრულებული] უხევ მასალას იძლევა სინონიმთა დასაღენად. აქ მი-კუთითებთ ზოგიერთ მათგანზე [აქაც ნიმუშები მოგვაქვს როგორც 30 სექ-ტემბრის საკითხავიდან, ასევე 2, 11, 17 სექტემბრის საკითხავებიდან].

თესლ-ტომთა 2, I — ნათესავთაცა K// თესლ-ტომი 17, II — მშობელი მერმენი 2, 16 — საუკუნენი K

სუკუნეთა 2, 16 — წარუვალთა K

მერმესა 2, 16 — მერმეთა K

ხილული 30, 25 — ჩუენებად S

თავს-იღებდა 30, 10 — დაითმენდა S // თავს-იღებდა 17, 10 დაითმინ S

ტირილად II, 20 — ცრემლოვად K

მიუპყრა 2,2 — მისცა K // შემსჭუალნეს სასმენელნი II, 17 ყურნი...

მიუპყრნეს K

სასმენელი 2, 2 — ყური K

უდებ იყო 30, 32 — სცონდა S

ბაძვად 30, 31 — მსგავსებად და შურად S //

დევნებოდეს 30, 31 — განიჯადებოდეს S

მიითუალა 30, 28 — თავს-იღვა S

უწყებად 30, 28 — ჩუენებად S

ვანლიგებად 30, 25 — ვანლიგებულად S

კელთ-გიღვა 30, 6 — მოგანიჭო S

განარისხა 30, 12 — ბორგნეულ იქმნა S

ლმობილი 30, 10 — ზარტეხილი S

ალსავალნი 30, 27 — ხარისხთა ზედა S

დრდად-დიდად 30, 27 — უდარესნი S

<sup>19</sup> იღ. აბუ ლ ა ძ ე, აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ძველი ქართული ა-რგმანი, შრომები, ტ. IV, გვ. 87—88.

„შესაკრებელსა მას საცოტისასა 30, 31 — კერპთა ტაძრებისად S  
 უგულსმოდგინეს იყო 30, II — უფროხს სურვიელ ას S  
 კუალა-იქცა 30, 39 — უკუმოიქცა S  
 შინაურ... იქმნეს 30, 6 — ერთგულობასა და სახლეულობასა იჩემებდეს S  
 არა თავს-იდებდა 30, 32 — გარემიაქცევდა S  
 ხარისხი 30, 38 — პატივი S  
 ძლდელობა 30, 38 — ხუცობა S  
 საკუერთხნო ღმრთისანო 17, 14 — შესაწირავნო S  
 ცემად 17, 12 — გუემად S  
 ჯოთმინო იქმნა 17, 12 — ვერ თავს-იდვა S  
 თავს-დებად ვერ უძლებდა 17, 12 — ვერ შემძლებელ იყო დათმენად S  
 ცელისამბყრობელი 17, 10 — შემწე S  
 აიანი 17, 11 — ქუანი S  
 შეუნიერებად გმოუთქმელი 17, 5 — მიუთხრობელობად ქმნულკეთილობისად S.  
 გონიერებად 17, 2 — სიბრძნე S  
 ოონე-ჰუოფდა II, 13 — იველოვნა K  
 ლაჟუა II, 16 — ჭურღმული K  
 საშეკლი II, 16 — პატივი K  
 კბილთაგან II, 10 — შუათაგან K  
 სახედ ისრისა იგუმირებოდა გული II, 5 — ისრითა იწერტების გული K  
 ძალ-ედვა II, 3 — ეძლო K  
 სამოთხესა 2, 4 — მტილსა K  
 არამცირედნი 2, 1 — მრავალი K  
 გებად [კერპთა] 2, 2 — ზორვად [კერპთა] K  
 ლომმან... სიმშედე და შინაურობა... აჩუენა 2, 15 — სიმშედით და წელის და-  
     ჩუევით მოუკდა მოწამესა K  
 უბრძანებდეს II, 14 — აწუვდეს K  
 მოითმინა II, 18 — თავს-იდვაცა K  
 ჯანეშორე II, 17 — იჯმენ K  
 მომეც 17, 5 — მოგუანიჭე S.

ზემოთ ითქვა, რომ თეოფილეს თავისი ღიდი მოძღვრის გიორგი მთა-  
 წმიდლის მსგავსად უხვად აქვს გამოყენებული სინონიმური წყვილები. არის  
 კადევ ერთი ხელშესახები მსგავსება შეგირდის ენისა თავისი გამწავლებლის  
 თხზულების ენისადმი: სიტყვა „გზავნა“ ორივეგან მხოლოდ „მგზავნა“ ფორმით  
 არის დადასტურებული.

„უბრძანა წარგზავნად ქალაქად მონაზონსა“ 11, 20  
 K: „უბრძანებდა ქალაქად წარგლინებას ას ა მონაზონისა ვისმე ცხენოსნი-  
     სასა“.

„იწყო ზედასზედა წარმგზავნად მისა და ალთქუმად“ 11, 2  
 K: „მიავლენ ნა მისსა ზედასზედა“.  
 „წარმგზავნა ვინმე ძმათაგანი მოსმენად“ 11, 17  
 K: „მიავლინ ნა ვიეთნიმე ძმათაგანი“.  
 „სამნი მთავარნი... წარმგზავნა ძიებად“ 30, 38  
 S: „სამნი კაცნი... წარავლინ ნა ძიებად“.  
 „წარმგზავნა“... 30, 32

S: „წარავლინა კესარიად კაბალუკიისა“.

„ამისთვისცა წარმგზავნებს მოციქულნი“ 30, 2

S: „და მიავლინებეს მოციქულნი“.

„წარმგზავნები“ 17, 13

S: „მიავლინება“.

„წარმგზავნა იგი კესარიად“ 2, 2

K: „კესარიად... წარსცა იგი“.

„წარმგზავნა“ 30, 34

S: „წარმგზავნა [//წარგზავნა]“.

„გზასა მას სასურველსა წარმგზავნა“ 17, 14

S: „გზასა მას საწადელსა წარმგზავნიდა“.

„წარმგზავნიდა შვილს“ 17, 9

S: „გერვანთა სიტყუათა წარგზავნისათა შვილსა მას თვესა მიანიჭებდა“.

„წარმგზავნეს ერთსა მშორებელთა მონასტერთაგანსა“ 11, 9

K: „ერთსა სადამე შორიელთა მონასტერთაგანსა წარგზავნეს“.

„წარმგზავნენ ჩუენ“ 17, 5

S: „წარმგზავნენ ჩუენ“.

სიტყვის განმარტების ხერხები: თეოფილეს თარგმანებში სიტყვის განმარტების რამდენიმე ხერხია გამოყენებული. ზემოთ ითქვა, რომ თეოფილეს თავისი დიდი მასწავლებლის გიორგი მთაშმიდლის მსგავსად ახასიათებს სინონიმების ხშირი ხმარება. ქართული ენის მდიდარი ლექსიკის ღრმა ცოდნა ეხმარება მთარგმნელს სათარგმნი მასალის ადეკვატურად გაღმოსაცემდ შეითხვევლს შესთავაზოს ორი ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვიდან არჩევანი. ასეთ შემთხვევებაში სისტემატურად იყენებს მაიცვებელ კავშირებს: „ანუთუ“-ს სისტემატურად, „გინა//გინათუ“-ს იშვიათად. მაგალითები:

„არტახნი ფერქისანი შემოხსნა წკვთა მისთა ანუთუ ჩერანთა“ 30, 11

S: „უბრძანა არტახთა შემისათა გარეშემოსხმად ფერკთა მისთად“.

საბასთან: „ჩერანი წვივის გნდე“ [გნდე-გარეგანი კუთხე მახვლისა].

„შე-რაც-ქრბეს კელის კელ ანუთუ პირის პირ ძლიერებად იგი სპარსთა და პართახ“... 30, 3

S: „შეკრბა სიმრავლე ერისად პართთა და სპარსთა და ეწყვნეს ურთიერთას“.

**ჰელიტკელ = ას ჯერაც.**

„აქუნდა კელთა ურთო იქრომასად ანუთუ კურო“ 30, 28

S: „კურთხები [კუერი] იქრომასად კელთა აქუნდა“.

„სახეცა მისი შეიცვალა ეშვსა გინა ღორისა“ 30, 24

S: „შეკრალებულ იქმნა სახისაგან კაცოახსა სახედ ღორისა“.

„მაქუს ჩუენ საზრდელ და სამოსელ ანუთუ საფარველ“ 29, 14

S: „გეონან, — იტყვს, — საზრდელი და საბურველნი“.

„მდინარე იგი ცეცხლისად ანუთუ ნაკადული, რომელი გარდავსხა“ 30, 28.

S: „წკვად იგი ცეცხლისად გამოსახავს“.

„რომელნიცა ეწყვნეს გინათუ ეშლძოდეს ღმრთისმსახურებას“ 30, 28.

S: „განმდებარებული იგი მართლისა სარწმუნოებისანი“. „მივიღა მოხრებლსა მას და კნარცუსა ანუთუ ჭურლმულსა“ 30, 25

S: „წარდგა პირსა ზედა მღვისა მის ღრმისასა“.

„სახელი ყრმისად მის ტირიდატ ანუთუ თრდატი“ 30, 7

S: „ეწოდებოდა მას თრდატი“.

„ეწოდების.. ქართულად ცხრათამ გინათუ მეცხრმ“ 11, 10

ბოლო ორ შემთხვევაში სიტყვის სხვადასხვაგვარი გაფორმებაა წარმოდგნილი.

თუ მთარგმნელმა ბერძნული სიტყვა გადმოიტანა, მას ზოგჯერ იქვე ქართულადვე განმარტავს. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც ზემოთდასახელებული „ანუთუ//გინათუ“ კავშირები, ასევე მთელი ფრაზაც: „რომელას...“ „ესე იგი არს...“ და სხვ.

მაგალითები:

„შევიდა ოდესმე ჰანდოქიონსა, რომელ არს ყოველთა სადგური“ I, 32.

K: „დააწყუდის იგი ჰანდუქიონსა შინა“.

„შემდგომად არამრავლისა ეძმისა იქმნა კლონი ქუეყინისა მის ანტიოქიისა და გარემო სანახებთა მისთა, რომელ არს განხეოთქილება, და შეუდგა ამას დუღლილი“ 1, 52

„წარვიდა სტადიონად, რომელ არს სახილველი“ 2, 15

K: „მთავარი იგი სტადიონად შთაიყვანებდა მოწამესა“.

„მან მიუგო, ვითარმედ: თეოდორე მონოზონმან ოქტოკედეკატელან, რომელსა ათვრამეტთა მონასტერი ეწოდების, მან განხერწნა იგი“ 11, 11.

K: „მონაზონისაგან მიუგებდა თევდორესა მეათვრამეტისა მონასტრისა განხერწნასა თვესას“.

„ყავნ სავანე თვესი ერთსა მონასტერთაგანსა, რომელსა ენატუ ეწოდების, ჩოლო ქართულად — ცხრათამ, გინათუ მეცხრმ“ II, 10.

K: „დაივანოს მეცხრისა სამზრუნველოსა“.

„ჩჩილსა მას თანა მონასტრით ექსორიი იქმნა, ესე იგი არს: განიდევნა მიერ“ 11, 12

K: „თვე მით ჩჩილითური მონასტრით განიკადა“.

„დაბუდებულ იყვნეს მეცნი იგი, კორკოდილ წოდებული, როგორთა ჰრევან ხვთქ“ 11, 8

K: „რომელსა შინა იქცეოდა კროკოდილოვა“.

„უბრძანა შთადგმად პირსა მისსა ხონისად ანუთუ ძაბრისად და სიავი ხავეს წყლითა შთასხმად“ 27, 5

ანალოგიურ ეთიარებაში სხვათა თარგმანებში გამოიყენება ხოლმე ე. წ. „შეისწავე“-ნი, რაც თეოფილეს თარგმანებს არ ახასიათებს.

თეოფილე განმარტავს, აზუსტებს ზოგიერთ ქართულ ტერმინს, რა უნდა იყულისხმოს მკითხველმა კონკრეტულ სიტუაციაში:

„წარვიდა საღმრთოდ ტაძრად მშობელთა თანა თვესთა, რომელ არს წმიდა ეკლესია“ I, 3

K: „წარვიდა იგი მშობელთა თვესთა თანა ეკლესიად“

- „მრავალთა ჰესაკის-სწორთა თქისთა, მისრულთა მისა, მიაქცევს თვესა ჭიდავისთვის ა ცთურსა, რომელ არს ქრისტიანობა“ 2, 6
- K: „მოპასაკეთაცა და მის თანა მოსწავლეთა ყოველთავე თვისად საცთურად მიზიდავს“.
- „გრიგოლის ცხოვრების“ ოოფიციალურ თარგმანში ხშირია შემასმენლის წინ დასმის შემთხვევები მაშინ, როცა პარალელურ თარგმანში მას წინაღადებების სხვა წევრები უსწრებენ:
- „უამი გვწევს მოღუაწებად 17, 4. S: უამი ეს ღუაწელთა მომართ გვწევს“.
- „მიხედნა რამ მათ მსაჯულმან 17, 2. S: მსაჯულმან იხილნა რამ ევი“.
- „გამოეცხადა გამოცხადებას საღმრთო დედაქაცა ვისმე“ 2, 4.
- K: „საღმრთო რამე მადლი ჩუენებისა ... გამოუჩნდა დედაქაცა ვისმე“.
- „დაუტევეს იგი ტანგვად ფიცხელსა შინა სატანგველსა“ 30, 12
- S: „ესევითარსა მას მძვნეარესა სატანგველსა შინა ყოფად უტევეს იგი“.
- „შეიწყნარა მან 30, 6. S: მან შეიწყნარა“.
- „ესე ყოველი თვთოეულად მოგვთხრას ჩუენ სიტყუამან“ 30, 7.
- S: „ესე ყოველი შემდგომად მცირედისა სიტყუამან თითოეულად მიგითხრას“.
- „წარწყმიდონ და მოსრან ყოველივე ნათესავი მკლველთა მისად“ 30, 7.
- S: „ნათესავი მკლველთა მისთად სრულიად აღმოიფხურას და წარწყმდეს“.
- „ევედრებოდა ლმერთსა სულთქუმითა და ცრემლითა მწარითა“ 2, 3
- K: „ცრემლით და სულთქუმით ეზრას ებოდო ლმერთსა“.
- „ვიდოდეს ესრეთ კეთილად და უცომელად“ 30, 36
- S: „ესრეთ დაუბრკოლებელად და უგნებელად ვიდოდეს“.
- „მიუთხრა მათ ხილვას იგი“ 30, 25
- S: „ყოველთა მიუთხრა ჩუენებად იგი“.
- „შესძინა კუალად სხუადცა გამოცდამ..., რამეთუ უჩუენა მას სიმრავლე მკედრებისად“ II, 14.
- K: „კუალად სხუადცა განცდად აკუეთა ბოროტმან, რამეთუ კუალადცა მკედრობა ერმრავალი ეჩუენებოდო მას“.
- „იღოცა ლმრთისა მიმართ რუფინა“ 2, 3
- K: „როფინა იღოცვიდა ლმრთისა მიმართ“.
- „შეუდგა იგი წესსა მას ლოცვისასა“ 2, 3
- K: „იგიცა უკუანა შეუდგა ლოცვათა“.
- „ეწოდებოდა ამმია“ 2, 4
- K: „ამმია ეწოდებოდა“.
- „მისცა საპყრობილება“ 2, 2
- K: „საპყრობილესა შეაყენა“.
- „თანავე შეჰყვა იგიცა“ 2, 2
- K: „იგიცა თანა შეჰყვა“.
- „ცხოვნდებოდა იგინი“ 30, 36
- S: „შეებით ცხოვნდებოდეს“.
- „ცალიერ იქმნებოდეს საპყრობილენი“ 30, 36

- S: „საპყრობილენიცა მის მიერ დაცალი იერდებოდეს.“  
 „მიიღო ღრმა მშვდობა სასომხითომან“ 30, 36
- S: „მშვდობასა დიდისა მოცე ცა ყოველი სომხითი“. „ვიდოდეს ესრეთ კეთილად და უცომელად“ 30, 36
- S: „ესრეთ დაუბრკოლებელად და უვნებელად ვიდოდეს.“ „ვიდოდა მათ თანა ყოველივე მადლი და სათნოება“ 30, 36
- S: „ყოველი სათნოება და მადლი მათ შორის ჭარე მატებოდა“. სისტემატურად გამოიყენება „უკუე“ ნაწილავი. დამახსიათებელია მისი დიდი სიხშირით ხმარება:
- თეოფილეს თარგმანებში ხშირია „ვინახთგან“ ზმნისართით ახალი ამბების თხრობის დაწყება [აბზაცების პირველი სიტყვაა ხოლმე]. მას მუდამ ახლავს „უკუე“ ნაწილაკი: „ვინახთგან უკუე...“ პარალელურ თარგმანში მის ფარდად გვხვდება:
- „ხოლო//ხოლო ვინახთგან//რამეთუ//მაშინ//მაშინ უკუე//გარნა ვინახთგან//ვინახთგან“ და იშვიათად „ვინახგან უკუე“.
- თუ ზმნისართი „ვინახთგან“ სხვა კავშირთან ერთად გამოიყენება, მაშინ „უკუე“ ნაწილაკი აღარ დაერთვის.
- თეოფილე არ თიშავს ფრაზას ბერძნული დედნისებურად, ასეთ შემთხვევებში წინადადების წევრები დალაგებულია ქართული ენის ბუნების შესაბაძესად.
- თეოფილეს თარგმანების ენობრივი თავისებურებების დასადგენად, ცხადია, მეტი მასალა დაგვიგროვდება, როცა შევისწავლით სექტემბრის თვის სხვა საკითხავების ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებს.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

## «ЖИТИЕ ГРИГОРИЯ ПРОСВЕТИТЕЛЯ» В ПЕРЕВОДЕ ФЕОФИЛА ИЕРОМОНАХА

Р е з и у м е

В древних переводах метафрастических сборников на 30-ое сентября помещен метафрас «Жития Григория Просветителя». На грузинском языке имеется два перевода названного «Жития»: 1) анонимный (содержится в рукописях: S 384, K 4, Sin. 91) и 2) перевод Феофила Иеромонаха (Ath. 20). Анонимный перевод хорошо известен в научной литературе, а другой объектом исследования становится впервые. Сличение этих переводов, а также их сличение с печатными изданиями греческой метафрастической версии показало, что тексты в основном совпадают; однако прослеживаются некоторые разнотечения как между грузинскими переводами, так и между переводами и греческим текстом. Это свидетельствует о том, что на греческом языке имелись разные своды метафраса Григория Просветителя.

В статье рассмотрены некоторые особенности языка перевода Феофила Иеромонаха.

## ლიანა ახოგაძე

### „ოვანე იაროპირის ცხოვრების“ თეოფილე ჩუცესონოზონისული თარგმანი

ოვანე ოქროპირი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქრისტიანულ სამყაროში, სწორედ ამიტომ გამორჩეული ინტერესის საგანს წარმოადგენს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა. იოვანე ოქროპირის თხზულებები, რომელიც თარგმნილია ყველა ქრისტიანული ხალხის ენაზე, მრავლად შემოინახა ქართულ სინამდვილეშიც ცალკეული კრებულებისა თუ მათი შემადგენელი ნაწილების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი უცხო ავტორი ქართულ ენაზე ასეთი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი. იოვანე ოქროპირმა, რომელიც იყო ქრისტიანული ორთოდოქსალური შეხელულებების გატარებისა და დამკვიდრებისათვის თავგამოდებული მებრძოლი, ცხოვრების მეტად რთული და ძნელი გზა განვლო. ოქროპირის პიროვნებისადმი დიდი და შეუწელებელი ინტერესის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ასებობს მისი ცხოვრების ამსახველი დიდალი მასალა, რომელიც სხვადასხვა ხასიათისაა. როგორც ი. აბულაძე აღნიშნავს, „შინანდელ ისტორიკოსთა ყველა ცხობას, რომელიც იოვანეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხებოდა, ერთად ჰყოფარა თავი და დამუშავა იგი „ცხოვრება-მოქალაქობის“ უანრის ნიმუშთა შეგვასაღ VII ს-ის მოღვაწემ გიორგი ალექსანდრიელმა. გიორგის ეს ნაშრომი რეით თეალსაჩინო მოღვაწის შესახებ, როგორიც იოანე ოქროპირი იყო, მალე ჯვრცელდა თარგმანის სახით სხვადასხვა ხალხს შორის<sup>1</sup>. გიორგი ალექსანდრიელის თხზულება თარგმნილია ქართულ ენაზეც. უძველესი ქართული ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია ეს თხზულება, 968 წ. არის გადაწერილი [H 2124].

ი. აბულაძე გმოყოფს ორ რედაქციულ გვუფს: ადრეულს — H 2124 [X ს.], A 1144, რომელიც არის პირი ათონის იუერიის მონასტრის X ს. ნუსხისა, გაეთებული 1915 წ. და შედარებით გვიანდელს — S 384 [XI ს.], A 188 [XIII ს.]. ი. აბულაძე აღნიშნავს, რომ ეს ტექსტები ერთმანეთისაგან დიდად ვანსხვავდებიან. აქ საქმე გვაქვს არა ერთიმეორის გადაკეთებასთან, ანდა ვარიანტულ სხვაობასთან, არამედ სრულიად დამოუკიდებელ წერილობით დოკუმენტებთან<sup>2</sup>.

ასევე განასხვავებს ამ ტექსტებს კ. კეკელიძე, ოლონდ ის ლაპარაკობს და, კიმენურ, და შედარებით გვიანდელ, მეტაფრასულ, ტექსტებზე, მიუთითებს იმ ურთიერთმიმართებაზე, რაც ასებობს კიმენურსა და მეტაფრასულ

<sup>1</sup> ი. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გმობაზილ და ქართულ შეტარებაში, ი. აბულაძე, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 16.

<sup>2</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.



ტექსტებს შორის, კერძოდ, მეტაფრასული ტექსტების კიმენურ ტექსტებისგან  
დაშორიდებულებაზე. მეტაფრასულში გამოყოფს ორ თარგმანს: ეფრემ მცი-  
რისას — S 384, A 188 და თეოფილე ხუცესმონოზონისას — ათონ. 36. მაგრავ  
უკანასკნელი წლების მეცნიერულმა კვლევამ გამოავლინა, რომ S 384 და A 188  
ხუსხებში წარმოდგენილი ტექსტები „იოვანე ოქროპირის ცხოვრებისა“, მიჩნე-  
ული ერთ რედაქციად, მოუხედავად ერთნაირი დასაწყისებისა, განსხვავებულ  
რედაქციებს წარმოადგენენ. ეს ფაქტი შეამჩნია 6. გოგუაძემ, მაგრამ სავანგებო  
ძუძობა არ ჩატარებია. რ. გვარამიამ კი, რომელმაც შეისწავლა ეს თხზულება,  
პოინტი ტექსტის ბერძნული დედანი, შეუდარა ქართულ თარგმანს და ვნიშვ-  
ნელოვანი დასკვნა გააკეთა: A 188 ხელნაწერში, სულ სხვა ტექსტია წარმოდ-  
გენილი. იგი არის კომპილაცია, აღრეული კიმენური და მეტაფრასული რედაქ-  
ციების შეერთების შედევგად მიღებული, და ამ სრულიად ახალი კომპილაციის  
ქართული ვერსიისათვის გამოყენებულია ქართული თარგმანები: ერთი შერივ,  
აღრეული რედაქციისა და, მეორე მხრივ, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი მე-  
ტაფრასული ტექსტისა<sup>3</sup>. რ. გვარამია განიხილავს S 384 კრებულში წარმო-  
დგენილ „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ეფრემ მცირისეულ<sup>4</sup> და ათონ. 36-  
ის თეოფილესეულ თარგმანებს და აღნიშნავს, რომ ორივე ეს თარგმანი ზუს-  
ტად მიჰყევება ბერძნულ მეტაფრასულ ტექსტს, „ოღონდ ამ ტექსტთან მათი  
შედევნების ხსიათი რამდენადმე განსხვავებულია. ეფრემის თარგმანი ძალზე  
ზუსტი და სიტყვასიტყვითია, თეოფილე ხუცესმონოზონის ტექსტი უფრო გად-  
მოქართულებულია, ჩვენის თვალსაზრისით, ძალიან კარგადაც, და, ამდენად,  
აქ სკრუპულოზური სიზუსტე თითქოს არ არის დაცული“<sup>5</sup>.

თუ მკვლევარი ერთ შემთხვევაში, კერძოდ, ეფრემ მცირესთან მიმართე-  
ბით, საკებით მართალია, ამას ვერ ვიტყვით თეოფილე ხუცესმონოზონის თარ-  
გმანათან დაკავშირებით.

ეფრემ მცირის თარგმანის ენა და ბერძნულ ტექსტთან მისი დამოკიდე-  
ბულების საკითხი საგანგებოდ აქვს შესწავლილი „იოვანე ოქროპირის ცხოვ-  
რების“ ეფრემ მცირისეული თარგმანის გამომცემელს ნ. გოგუაძეს. მას აღ-  
ნიშნული აქვს, რომ „ეფრემ მცირის თარგმანებს ახასიათებს დედანთან დიდი  
სიახლოეს. ამ მხრივ არც ჩვენი ძეგლია გამონაკლისი“<sup>6</sup>. ეფრემ მცირე ძალიან  
ზუსტად მიჰყევება ბერძნულ ტექსტს. თეოფილე ხუცესმონოზონის თარგმანის  
შესახებ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ის არ წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილი  
ბერძნული მეტაფრასული ტექსტის ([P. G. 114, 1045—1209] თარგმანს. მიუ-  
ხედავად ზოგიერთი იდენტური პასუხისა, ეს ორი ტექსტი ერთი დედნიდან არ  
უნდა მომდინარეობდეს. საგანგებო კვლევამ დაადასტურა, რომ „იოვანე  
ოქროპირის ცხოვრების“ თეოფილესეული თარგმანი, წარმოდგენილი ათონ. 36  
ხელნაწერში, სხვაობს ეფრემ მცირის თარგმანისაგან და, ამდენად, ჩვენთვის  
ცნობილი ბერძნული მეტაფრასული ტექსტისაგან: ეს სხვაობები სტალდება  
შორის განვითარებულ თავისებურებათა განსხვავებით გამოშვეულ  
სხვაობის ზღვრებს.

<sup>3</sup> 3 რ. გვარამია, „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძელი ქართული თარგმანი და მისი  
თავისებურებანი, თბ., 1986, გვ. 014.

<sup>4</sup> 4 ნ. გოგუაძე, ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, გვ. 514.

<sup>5</sup> 5 რ. გვარამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 013.

<sup>6</sup> 6 ნ. გოგუაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 514.

ნოემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავებზე ხანგრძლივმა მუშაობამ საშეცველება მოგვცა დაგვედგნა, რომ თეოფილეს მიერ თარგმნილ თხზულებათა უმრავლესობა [მხედველობაში გვაქვს ნოემბრის თვის მეტაფრასული საკითხავები] რედაქციულად სხვაობენ ეფრემ მცირის თარგმანებისაგან. ამ შემთხვევაშიც ტექსტის სიტყვასიტყვითმა შეჯრებამ ნათელი გახდა, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა რედაქციასთან და არა ერთი და იმავე რედაქციის სხვადასხვა თარგმანთან. თეოფილე ხუცესმონოზონს აქვს ისეთი თარგმანებიც, რომლებიც ჰედმიწევნით მისდევენ ბერძნულ დედანს, აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ თეოფილესთვის რედაქციული სწორება-გადაკეთება თვითშინური არ არის.

ჩვენ ვეცდებით შეძლებისდავარად ვაჩვენოთ, რა სურათი მოგვცა „იოვანე იქრიპირის ცხოვრების“ ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონოზონის თარგმანების ურთიერთშეპირისპირებამ.

პირველ რიგში გამოვყოფთ თარგმანებიდან ისეთ პასაკებს, რომლებიც დენტურნი არიან შინაარსობრივად. საილუსტრაციო მასალიდან ჩანს ეფრემ ცირის მეტისმეტი ერთგულება დედნისადმი. თუ ჩავთვლით, რომ ამ მონაკვეთებში თეოფილესთვისაც ამოსავალი იგივე ტექსტია, დავინახავთ, რომ თეოფილე შედარებით თავისუფლად აქცევა ტექსტს, უფრო აქართულებს:

თეოფილე

ეფრემი

„ხოლო იყავნ ჩუენდა გზად სიტყვასა და სარბიელი იგი საშუალი“. 79V.

„ხოლო ჩუენდა სიტყუად საშოგალსა დავალობდინ“. 221, 197.

„მათი ბერძნები და აღნია მართვას მამაკანიანი 1045, B.

ეფრემ მცირის თარგმანი ბერძნულის სიტყვასიტყვითი თარგმანია, ამიტომ შევიღეთ ქართულისათვის არაბუნებრივი — „საშოგალსა მავალობდინ“, რაც ბერძნულის კალკია. თეოფილემ კი იგივე წინადადება უფრო ბუნებრივი ქართულით გადმოიღო.

ეფრემის მთარგმნელობითი პრინციპი — რაც შეიძლება ზუსტად გადმოიღოს დედანი, განაპირობებს მის თარგმანში ბერძნულის კალკებს როგორც სიტყვაწარმოებაში, ისე სინტაქტში.

თეოფილე

ეფრემი

„შეიწყალა იგი განსაცდელისა მისთვის მოწყვენულისა“. 84V.

„მოწყალე ექმნა განსაცდელსა მას კაცისასა“. 225, 17.

„Ωκτειρέ τε τῆς συμφορᾶς τὸν ἄνθρωπον“. 1053, A.

„ძოსწრაფებად შეერაცხა მებრ ხილვად რდენ მისი“. 82V.

„თუალით ხილვად რდენ მისი საქმედ შერაცხილ იქმნა ღირსად მოსწრაფებისა“. 223, 41—224, I.

„Τὸ δικαῖον ὁφειν μόνον ἐλθεῖν, πρᾶγμα λογισθῆναι: επουδῆς ἔξιον“. 1049, D.

<sup>7</sup> აქაც და შემდეგაც ეფრემ მცირის თარგმანის ტექსტს ვიმოწებთ ნ. გოგუაძის დასტული წიგნიდან.

ამ მაგალითებში ოშეარად ჩანს ის თავისებურება, რაც განასხვავებს თეოფილეს ეფრემისაგან. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური პასაუკების როლებისა მეტად მცირეა, ისევე, როგორც მცირეა ეს მონაცევეთები მოცულობითაც.

თეოფილეს თარგმანში ზოგჯერ ვხვდებით სრულიად განსხვავებულ მხატვრულ სახეს, ისეთს, როგორიც არც ეფრემის თარგმანშია და არც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტში.

„Ποιλά μὲν οὖν ιατρῶν τέχνην βιηθῆ γρηγορίμενος, οὐδὲν ἀπόντα πλέον, ἢ τῷ λίγῳ παιξισθαι τῶν ἔλπεων, ἵνα ἡλέγῃ θησαν“. 1065, C<sub>11</sub>—D<sub>2</sub>.

ამის ზუსტი შესატყვისია ეფრემის თარგმანი:

„ფრიადი უკუკ ეკუმია შეწევნაა მკურნალთა კელოვნებისაგანცა, რომელთაგან არარა უმეტესი შეეძინა, თვინიერ მხოლოდ მღერად უძლებებითა სასოებათათა, ვიდრემდის იმხილებოდეს“. 233, 7—9.

თეოფილესთან მშვენიერი მხატვრული სახეა:

„ამისთვისცა დადგა ფრიადი მოსწრაფებაა და ყოველივე ღონე-ყო მკურნალთა მიერისა კურნებისაა, გარნა ცუდად შურებოდა და ამაოდ და ცეცხლსა სროდა ნერწყვთა“. 95r.

ან კიდევ:

თეოფილე

ეფრემი

„პერული წარხეთქა პირსა და ენაა წარ-  
მოაგდო ვითარცა ძალმან“. 114r.

„პეროოდა და ენასა პირით უშუერად  
წარმოაგდებდა“. 245,31—32.

„Ἀφέντε τε τοῖς στόματος ἀπορθέων, καὶ τὴν γῆ-πεπαν, ὡς ἄκοσμον ἔδειν, κα-  
θιεῖς“. 1089, B.

ეს თავისებურება თეოფილეს სტილის დამახასიათებლად რომ არ შეიძლება ჩაითვალოს, ამას შოშმობს საპირისპირო ფაქტების არსებობა. ვგულისხმობთ შემთხვევებს, როცა ეფრემისეულ მხატვრულ სახეს თეოფილესთან არ აქვს შესატყვისი:

თეოფილე

ეფრემი

„მოიწია წმიდად კვრიაკც და ჟამი იგი კურთხევისა და კელთდასხმისა მიხ-  
სად“. 111r.

„მოიწია დედოფალი დღეთად-დღე  
კელთდასხმისა მისისაა“. 243,37—38.

„Ἐπειδὴ καὶ εἰσέλθοις, καὶ μικρόν τι τὸ μεταξὺ διελθὼν, ἢ κυρία τῆς χειροτο-  
νίας παρῆγ“. 1085, C.

თეოფილე

ეფრემი

„ესრეთ უკუკ რომელთა განეყო უზო-  
ნეტარი იგი, ტევილი დაუტევა მათ და  
გულისკლებაა სამარადისოდ“. 111r.

„ესრეთ უკუკ რომელთა განეყო, უზო-  
მოდ სურვილისა ცეცხლი დაუტევა“. 243, 27.

„Οὖτως καὶ τοῖς, ἀφ' ḥν ἐπέστη, θεριὰ ძნέτηξε πόθον“. 1085, B.

საინტერესოა ისიც, რომ ზოგჯერ თარგმანებში გვხვდება განსხვავებული სახეები:

### თეოფილე

„პირველად უკუე ყოვლისა მათ ზე-  
და აღძრა ლმრთივ ქანდაკებული იგი  
ენად მისი“. 114v.

### ეფრემი

„პირველად უკუე მიზეზით თვებისა-  
მთა თანამყოფობასა ზედა უწესოთა  
პირთასა აღძრა მუსიკელი იგი და მალე  
მოქმედი ენად მისი“. 246, 6—7.

„Πρώτων τοίνυν, κατὰ τῶν προφάσεις συγγενείας τὰς συνεισάκτους παρεισαγό-  
των, τὴν εὑθηγητόν τε καὶ μοισιχήν γλωτταν κινεῖ“. 1089, D.

### თეოფილე

„პოვა უკუე უაში ევდოქსია, რახთა მო-  
ინადიროს ნადირი ვნებულებისა თვეი-  
სად“. 144v.

### ეფრემი

„მაშინ ევდოქსია პოვა უაში მძენვარე-  
ბისად და სხვა კნებათაგან ლონე მო-  
რეწისად“. 267, 23—24.

„Η τοίνυν Εβδομέτις καιρὸν ὥπερ ἄγρας τοῦτον εὐθεῖσα, καὶ τοῦ γερίσασθαι τῷ  
აფετέρῳ πάθει“. 1132, C.

ეფრემ მცირის თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს, თეოფი-  
ლეს თარგმანში განსხვავებული მეტაფორული სახეა. რა ასენა შეიძლება ჰქონ-  
დეს ამ მოვლენას? თუ წინა ნიმუშებში ეს ფაქტი მთარგმნელის მიერ მხატვ-  
რული სახის გამოყენების სურვილით შეიძლება აისხნას [როცა დედანში არ  
დატურდება მსგავსი რამ], ამ შემთხვევაში ეს გამორიცხულია: ვერ ვიტყვით  
იძას, რომ თეოფილეს მაინცამაინც სურვილი აქვს თავისი, განსხვავებული,  
მხატვრული სახე შექმნას.

ამავე რიგში განვიხილავთ სინონიმური წყვილების სისშირესაც. რაც თეო-  
ფილეს თარგმანისათვის არის დამახასიათებელი:

### თეოფილე

„ერთი მსახურთაგანი წარჟყვებოდის მას  
თნა სასწავლოდ და სამოძლუროდ“. 82r.

### ეფრემი

„თავს-იდვა მხოლოდ ერთისა ოდენ მო-  
ნათაგანისად თანა მიყოლად სასწავ-  
ლოდ“. 223, 15—16.

„Μόλις δὲ τοῖς γονεῦσι πεισθεῖς ἡνέσχετο τὸ σὺν ἐνὶ τῶν παῖδων ἀπιέναι  
πρὸς τὴν διατριβήν“. 1049, B.

### თეოფილე

„მეტმე ჭმისა მიერ ნელისა და დაწყნა-  
ჩებულისა პრექუ იოვანე“. 84r.

### ეფრემი

„ამისსა შემდგომად იოვანე სიმშედით  
იწყო მიგებად“. 224, 32—33.

„Επειτα მὲ καὶ τὸν Ἰωάννην πράξις τὸν λόγον ოπილავბόντα“. 1052, C.

## თეოფილე

ეფრემი

„ვერ პოვნა იგინი, რამეთუ ჯურლმულ-  
თა და ლაკუათა შინა დამალულ იყვ-  
ნეს“. 154v.

„Оბx ხ̄xოn ბx ეfpeuраn ხa გ̄aр წ̄oan e; ფrეaр aуtoиc ხaმéntes“. 1145, D.

იყვნებს რა თეოფილე სინონიმურ წყვილებს, ამით ის გარევეულ მხატვ-  
რულ ეფექტსაც აღწევს:

„მიიხუნა რად უკუც მან წიგნი იგი, რომელნი თვთ მას შეემზადნეს და  
ჟერმასნენს“. 153v.

ნაცვლად ეფრემის წინადადებისა:

„მიიხუნა უკუც წიგნი იგი, რომელთა თვთ მწერალი იყო“. 274, 9.

„Λεβιών οίνη τούς λιθέλλους, ὃν ἐκείνος πατέρ წήν“. 1145, C.

ამ უკანასკნელი ნიმუშის მიხედვით, თეოფილეს თარგმანში დამატებული  
კი არ არის სინონიმური ერთეული, არამედ წინადადებაა სხვაგვარად იგებული  
[კიდრე ეფრემის თარგმანსა და ბერძნულ ტექსტში], გამოყენებულია სინონი-  
ჟრი წყვილი და საკმაოდ ეფექტურადაც.

სხვა საკითხია, ასეთი კონსტრუქცია თვით დედანშია [რაც ჩვენ სავსებით  
დასაშეებად გვეჩვენება], თუ თეოფილე იყეოთებს ამას. ვიდრე თეოფილე ხუ-  
ცესმონოზონის თარგმანის დედანი არ გვექნება ხელთ, ამ აზრის დადასტურე-  
ბაც ძნელია და უარყოფაც.

თეოფილეს თარგმანის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ  
ეფრემ მცირის [და, შესაბამისად, ბერძნული ტექსტის] ირიბ მეტყველებას  
შეესატყვისება პირდაპირი ნათქვამი, მაგრამ ეს ჩვენ მიგვაჩნია დედნის, და  
ერა მთარგმნელის თავისებურებად.

## თეოფილე

ეფრემი

„ესახაცა იტყვს, ვითარმედ: ულელსა  
შინა და სასწორსა მდებარე არს წყა-  
ლობად ღმრთისად“. 128v.

„ესწავა ღიღისა ესახავსგან, რომელი  
სასწორით და ზომით მიწონასა იტყვს  
ღმრთისა წყალობათასა“. 256, 2—3.

## თეოფილე

ეფრემი

„იპოვნეს უკუც მაშინ მუნ რაოდენნიმე  
მნეთაგან თეოფილესთა, რომელთაცა  
ჰკითხა წმიდამან:

— თუ იცნობენა აწ მოსრულთა მათ  
მონოზონთა?

და მათ ჰკიუეს:

— და ვიცნობთ მაგათ და მეცნიერ ვართ  
და რაოდენი ძრი შემთხვა მაგათ თეო-  
ფილე, ყოველივე კეთილად უწყით“. 156v.

„ვინაჲთგან უკუც მაშინ დაემთხვა ვიეთ-  
იმე თეოფილეს საკუთართა მუნ ყოფად,  
მიუწოდა იოვანე და ჰკითხვიდა, უკუ-  
თუ მეცნიერ არიანა მონაზონთა მათ  
მისრულსა მისსა. ხოლო მათ მიუვეს,  
ვითარმედ იცნობენცა და უწყინ ძვრის-  
ყოფად მათი თეოფილესგან“. 276,  
18—21.

„მშემუნეარც მშემუნეარედ ალუჩნდა კაცა მას ფრიად, რომელი-იგი აბრა-ლებლაცა მას და ეტყოდა:

— სამართალი არსა ესე კაცისაგან, თუ დახუდეს კაცი კაცა შეიწრებულ-სა და ვერაგობისაგან უმთავრესა ბოროტთა შინა შთავრდომილსა და მას რომე-ლი ძალ-ედეს, არა შემწე ეყოს, არცა ლმობიერ იქმნეს ჭირვეულსა მას ზედა და შეწუხებულსა, ვითარ-ეგე აწ შენ ჰქენე და სხუათა მიეც გზად შესლვი-სა წინაშე პატრიარქისა და მე მაჭირ-ებ და მაყონებ ამომთა დრომთა.

ხოლო პროკლე გულსავსე-ჰყოფდა კაცა მას და ეტყოდა:

— ნუ იყოფინ ეგე ჩემდა, რამეთუ არარად არს ევევითარი, არამედ თვინი-ერ გრძნობისა და ცნობისა ჩემისა იქ-ნების საქმე ესე“. 124v.

ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ არის საპირისპირო შემთხვევებიც, როცა თეოფილეს თარგმანში ირიბი მეტყველებაა, ეფრემთან — პირდაპირი:

„კელითა თვეითა გამოსახა მას ზედა სახტი პატიოსნისა გუარისად და უბრძანა განსლვად კაცისა მისგან სულსა მას უკე-თურსა“. 114r.

ან კიდევ:

„მისტირდა უკუც მთავარსა სიმრავლი-სა მისგან დიდისა და ესრეთ ერთპირად აღძრვისაგან ქალაქისა და ალუთქუა მათ, რათა მისცეს თეოფილე ჭელთა მის-თა“. 155r.

ზემოთ მოტანილი ნიმუშები იმაზე მეტყველებენ, რომ აღნიშნული თავი-სებურებაც თეოფილეს კი არ უნდა ახასიათებდეს, არამედ — დედანს.

თეოფილე ხუცესმონაზონს რომ ეფრემ მცირისაგან განსხვავებული დე-დანი უნდა ჰქონდეს, ამას ისიც უმაგრებს საფუძველს, რომ თარგმანებში ჰქონდება სრულიად განსხვავებული პასაკები, რაც სცილდება ენობრივ-სტი-ნ. მრავალთავი, XVII

„მშემუნეარებით მიქცეული მშემარედ ეჩვენა კაცა მას და სამართლად საბრა-ლობელ მისსა შეპრაცხა თავი თვისი, რო-მელი-იგი აბრალობდა, ვითარ კაცა კა-ცობრივთა ძროთა შთავრდომილსა, და უძინა სიძიმისა დაპყრობილსა არა ტკბილ ეპოვა არცა ძალისაებრ თანაშე-მწე, არამედ უფროვალი სხუათა მიპმად-ლა შესავალი იგი წმიდისად და თუთ მი-ენდო მიზეზთა მოპოვნებასა. ხოლო პროკლე დაუმტკიცებდა არარადსა ეგ-რეთ ყოფასა, არამედ თვინიერ მისისა ცნობისა და გრძნობისა ამისსა შემთხუ-ევასა“. 253,3—10.

„კელითა დაპტეჭდა ნიში ჭუარისად და დაპრო: — სახელი წმიდისა სამები-სად, — თქუა, — ბოროტსა ეშმაქსა განსლვად გიბრძანებს“. 245, 35—36.

„ხოლო მთავარი ეტყოდა, ვითარმედ: — ჭერ-არს, რახთამცა მოგეციო თქუენ იგი ფრიადისა ძიებისა თქუე-ნისათვს, უწყოდეთ თუმცა სადა ყოფად მისი“. 275, 13—15.

ლურ განსხვავებათა წრეს. თეოფილეს თარგმანი ხშირ შემთხვევაში დამტკიცებული იყო ფაქტობრივ მასალას შეიცავს, რასაც აგრეთვე ვერ მივაწერთ მთარგმნელის კალამს:

### თეოფილე

„ამისთვესცა თვთ მთავარი და ყოველნივე იგი მის თანა მსხდომარენი აღდგეს მსწრაფლ და პატივით და სურვილით მიეგდნეს მას და მრავლითა ძულებითა შეიწრებული საყდარსა მას საფილოსოფოსოსა მათ თანავე დასუეს და ვითარცა იყო წესი ათინელთამ, ბრძენმთავართათვს მათთა ქნარითა და ებნითა ქებად შეასხეს განცხადებულად ყოველსა შორის ქალაქსა“. 83r.

აქაც და ყველა სხვა შემთხვევაში ეფრემი სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს:

„Αὐτός τε πρῶτος ὁ ὑπαρχος, καὶ οὗσι δὴ συμπαρῆσαν, καὶ ὑπανέστησαν προσάρντι, καὶ πρὸς βίαν ἐπισπασαμενοι, τῆς προεδρίας ἡξίουν, ὅγμοσια τε τοῖς ἐκ λόγων ἐπαίγοις καὶ ταῖς ἀλλαις ἐφιλοτιμοῦντο τιμαῖς“. 1052, A.

### თეოფილე

„ხოლო ანთემიოს ვინავთგან მოევო თავად თვსად და ცნა, თუ ვითარი ბორტი შეემთხვა და თუ ვისგან ანუ ვინად შთავარდა იგი განსაცდელსა მას, ანუ თუ ვინ იხსნა იგი მძლავრებისაგან ბორტისა მის ეშმაკისა, ორა უგუნურად იქმარა მიერთგან სწავლულებად თვსი, ორამედ დიდსა მას შეუვრდა და მას ორწმუნა ყოველივე საქმე თვსი და განზრახვა“ 85r.

„Ἐπειδὴ δὲ οὗτος εἰς αἰσθησιν ἥλιθεν, οἱ κακοὶ γέγονεν, οὐκ ἀποχρῆσαν αὐτούς τὴν θεραπείαν ἥγησατο, ἀλλὰ καὶ τὴν αἰτίαν, διὸ ἡνὶ εἰς τοῦτο συμφορᾶς ὄλεσθεν, ἐδεῖτο θεραπευθῆνας“. 1053, A.

### თეოფილე

„ამისთვესცა იქმნა ყოვლისაგან და უგულებელს-ყო სიყუარული თვსთა და მეგობართამ და დაუტევა ქალაქი და ქებად იგი ქალაქისად და ერის კრებათა

### ეფრემი

„პირველად თვთ ეპარქოზი და ჩაოდენი იყვნეს მის თანა, ზე აღუდგეს შემავალსა მას და იძულებით მიზიდვით უპირატესა საინაკესა ლირს-ყვეს, და საეროდ წარმოთქმასა მისთვის ქებოსა სიტყუათასა და სხუათა ყოველთა პატივთა მიერ პატივისმოყუარებით პატივისცემასა“. 224, 10—12.

### ეფრემი

„ესრეთ რამ თავსა თვსსა მოეგო ბორტისა მიერ გუემული იგი, ორა უქმარ ჰვინა კურნებად იგი თვსი, ორამედ თვთ მიზეზსაცა თვსთა მათ ბორტთ შთავრდომილებისასა წმიდასა მას განკურნებად ევედრებოდა“. 225, 19—22.

### ეფრემი

„და ესე რამ ესრეთ აქუნდა გონიბასა, იძია ჟამი მარტვე და ყოველსუე პრეზა „გიხარდენ“ — სახლეულოა, ნათესავთა, მეგობართა, ტყუელვათა ქა-

მისლვად და მიმძლავრებულთა შეწევ-  
ნაა“. 89v.

ლაქისათა, მაჩუენებლობათა და ამავტოლ-  
ველსა თანა სიტყვთ კელისაპყრობასაცა  
დაწუნებულთასა“. 228, 37—40.

„Οὐτως ἐπὶ νοῦν ἔχων, τὸν ἐπιτίθεσιν φιλάξεις καιρὸν, πᾶσι χαῖρειν φθεγκά-  
μενος, οἰνείοις συγγενέσι, φίλοις, κρότοις, πολιτικοῖς, ἐπιδεῖξει, πρὸς δὲ καὶ τῷ  
τοῖς ἀδικουμένοις νοῖς συνηγορεῖν, καὶ μήτε μητρὸς χαῖρειαν εἰς νοῦν λαβὼν“. 1060, A.

ციტირებულ ტექსტებს არაფერი აქვთ საერთო გარდა ძალიან შორეული  
აზრობრივი ნათესაობისა. ასეთი ნიმუში კი საქმოდ ბევრია, რომ არაფერი  
ვთქვათ ისეთ პასაკებზე, რომლებიც საერთოდ არ არის ხან ერთ, ხან მეორე  
თარგმანში; მაგ., თეოფილეს ეს ფრაზა, რომელიც გამოიჩინება თავისი მხატვ-  
რულობით, არ არის ეფრემთან (შესაბამისად, არც ბერძნულ ტექსტში):

„განძსა შეკრებად და აღშენებად დიდ-დიდთა ნაშენებთა მოსწრაფე იყვ-  
ნეს და იგავისა მისებრ თავსა თაფლითა იცხებდეს“. 115r.

„ოვანე აქროპირის ცხოვრების“ თეოფილესული თარგმანი რედაქცი-  
ულად სხვაობს ეფრემ მცირის თარგმანისაგან, რომელიც, თვის მხრივ, ბერძ-  
ნული ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს. თეოფილეს თარგმანის  
დედანი საძებნელია, დედანი, რომლისგანც არც თუ ძალიან უნდა იყოს და-  
შორებული. ამაზე მეტყველებს ბევრი ისეთი ფაქტი, რომლებიც ტრადიციუ-  
ლად მოგვაქვს აღვუმენტებად ბერძნულის გავლენის საილუსტრაციოდ. ეს  
არის ენობრივი კონსტრუქციები, სიტყვაწარმოება, საკუთარი სახელების გად-  
მოღება. თეოფილე ხუცესმონაზონიც რომ ბერძნულ დედანს საქმაო ერთ-  
ნულებით მისდევს (სხვა საკითხია, რომ კარგი ქართულით გადმოაქვს), ამტკი-  
ცებს ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების გარდა შემდეგი ფაქტიც: უმრავლეს  
შემთხვევაში -ცა, -ცა ცა ნაწილაკდართულ სიტყვას წინ უძღვის კავშირი და,  
თარგმანში აისახა ბერძნული ხა-ს ორმაგი ფუნქცია (ნაწილაკისა და კავში-  
რისა):

### თეოფილე

### ეფრემი

„ესრეთვე ოვანეს უყუარდა პავლე, უფრომსალი იოვანესცა ქრისტე უყუარ-  
და, რომლისათვის და პავლეცა შე-  
ეყუარა“. 122v.

„ხოლო ოვანე არ უდებ იქმნა, რა-  
მეთუ და ვითარმცა ვინახთვაა  
ცეცხლსა უმჯურვალეს იყო ესევითართა  
ზედა საქმეთა“. 126v.

„ვითარცა და ესახაცა იტყვს“. 128v.

„ესრეთვე და ცოლიცა მისი აქუნ-  
და თანაზიარად ბოროტისა მის“. 133v.

„არა სიტყვთ ოდენ, არამედ და საქ-  
მითაცა“. 178r.

„ვინახთვან უკუ ესოდენ იყვნეს მის  
შორის ქრისტესთვს სურვილი პავლეს-  
ნი“. 251, 28.

„ესწავა დიდისა ესახსგან“. 256, 2.

„ვინამთგან და პავლეცი საპყრო-  
ბილეს წყუდებული იყო“. 188г.

„ვინამთგან პავლეცა საშუალებების  
სა შინა მკვდრობდა“. 298, 13.

„ესრეთვე სახედ და ნეტარიცა  
იგი იქმოდა“. 115v.

უოველივე ზემოთქმული გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გავაკეთოთ  
ჟუმდეგი დასკვნა: „ითანე ოქროპირის ცხოვრების“ ოთვილესეული თარგ-  
ბანი განსხვავებული რედაქციისაა, რაც კიდევ ერთხელ იდასტურებს ჩვენს  
შოსაზრებას, რომ ოთვილე ხუცესმონობონს ხელი აქვს მეტაფრასულ თხზუ-  
ლებათა ეფრემ მცირისაგან განსხვავებული რედაქციები.

Л. Т. АХОБАДЗЕ

## «ЖИТИЕ ИОАННА ЗЛАТОУСТА» В ПЕРЕВОДЕ ФЕОФИЛА ИЕРОМОНАХА

Резюме

Иоанн Златоуст пользуется большой популярностью в христианском мире, в силу чего материал, отображающий житие и деятельность Иоанна, представляет особенный интерес. Все сведения, касающиеся Жития Иоанна, собраны и переработаны деятелем VII в. Георгием Александрийским.

Сочинение Георгия Александрийского «Житие Иоанна Златоуста» имеется и в грузинском переводе. И. Абуладзе выделяет две редакционные группы: ранние (Н 2124, А 1144) и сравнительно поздние (S 384, А 188), которые им рассмотрены как независимые друг от друга письменные документы.

Также различает эти тексты и К. Кекелидзе, однако он рассматривает их как кименические и метафрастические. Метафрастический текст представлен в двух переводах: Ефрема Мцире — S 384, А 188 и Феофила Иеромонаха — Ath 36. Сопоставление этих текстов показало, что перевод Феофила Иеромонаха представляет отличную от перевода Ефрема Мцире редакцию, греческий первоисточник которого по сей день не обнаружен.

## მარა მაჟავარიანი

დაგით ტბელის მთარგმნელობითი მითოდის ზოგი თავისმარჩება

მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში გვხვდება სახელები მოღვაწეთა, რომელთაც დიდად აფასებდნენ თანამედროვენი და რომელთა „ნამუშაკევიც“ ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია. ასეთ მოღვაწეთა შორის არის დავით ტბელიც, რომელსაც ეფრემ მცირე თავის ანდერძში მოიხსენიებს ეპთეტით „დიდი“<sup>1</sup> და კრძალვით ასახელებს ისეთი გამოჩენილი პიროვნების გვერდით, როგორიც იყო ეფთვემ მთაწმიდელი<sup>2</sup>.

ცნობები დავით ტბელის შესახებ მწირია. უძველესი წყარო რუს-ურ-შინის ძეგლისწერა (XII ს.), სადაც დავით ტბელი დასახელებულია სტეფანე სანანოსძესთან ერთად<sup>3</sup>. ეფრემ მცირის ნაშრომის „მოსახსენებელი მცირე სკმერონისათვე ლოლოთეტისა...“ მიხედვით დავითმა და სტეფანემ თარგმნეს რამდენიმე მეტაფრასული თხზულება<sup>4</sup>. ტბელს ასევე მოიხსენიებენ XVI ს. ძოლვაწე ბაგრატ ბატონიშვილი ნაშრომში „მოთხრობა სკულთა ულმრთოთა ისპაიტელთად“ და XVIII ს. მწიგონბარი ზაქარია გაბაშვილი<sup>5</sup>. აქაც დავით ტბელთან ერთად სტეფანე სანანოსძეც არის დასახელებული: როგორც ჩანს, ისინი თანამედროვენი იყვნენ. წყაროების შესწავლის შედეგად აკად. კ. კეპეველიძემ დაადგინა, რომ დავით ტბელმა და სტეფანე სანანოსძემ მეტაფრასული თხზულებანი თარგმნეს სვიმეონ ლოლოთეტის სიცოცხლეშივე: ამდენად, ისინი მოღვაწეობდნენ X ს. დასარულსა და XI დასაწყისშირ.

ცნობები დავით ტბელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, გარდა იჯრემ მცირის ნაშრომისა, შემორჩენილია ავტოთვე ზოგიერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში. აკად. კ. კეპეველიძემ ამ მონაცემების მიხედვით შეადგინა დავით ტბელის მიერ თარგმნილ თხზულებათა სია; მას გადმოუქართულებია სამი კიმენური რედაქციის ნაწარმოები, სამი მეტაფრასული თხზულება და გრიგოლ ნაზიანზელის 13 სიტყვა<sup>6</sup>. საინტერესო მასალას დავით ტბელის, რო-

<sup>1</sup> ხელ. A 292, 215v: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა; ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურჩოთ თამარ ბრეგაძემ. თბ., 1988, გვ. 171.

<sup>2</sup> ხელ. A 292, 329r; იქვე, გვ. 182.

<sup>3</sup> კ. კეპეველიძე. ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 179.

<sup>4</sup> კ. კეპეველიძე. ერთულები ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ., 1957, გვ. 225.

<sup>5</sup> კ. კეპეველიძე, ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 179.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 180.

<sup>7</sup> იქვე, ტ. I, თბ., 1980, გვ. 181—182.



გორც მთარგმნელის, შესახებ იძლევა მისი თარგმანების შედარება ბერძნულება  
ორიგინალებთან. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა დავით ტბელის მთარგმნელო-  
ბით პრინციპების წარმოჩენა მის მიერ თარგმნილი ორი თხზულების დედ-  
ებთან შედარების საფუძველზე. ეს თხზულებებია გრიგოლ ნაზიანშელის  
პიმილია „შესხმად და ქებად მღდელმოწამისა კვპრიანესი“ და სკიმეონ შეტა-  
ფრასტის ნაწარმოები „წამებად ათთა კრიტეს მოწამეთად“.

### I. გრიგოლ ნაზიანის 24-ი პომილია „შესხმად და ქებად მღდელმოწამისა კვპრიანესი“<sup>8</sup>

გრიგოლ ღმრთისმეტყველის 24-ე პიმილია ქართულად ითარგმნა ორჯერ.  
პირველად ეს ნაწარმოები X ს. თარგმნა დავით ტბელმა, ხოლო მეორედ —  
ეფრემ მცირემ XI ს. ბოლოს<sup>9</sup>. ეფრემ მცირის თარგმანი სიტყვა-სიტყვით,  
უცდმიწევნით ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს და მისი გამოყენება საშუა-  
ლებას გვაძლევს უკეთ წარმოვაჩინოთ დავით ტბელის თარგმანის თავისებუ-  
რებანი.

გრიგოლის თხზულების ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებამ გვი-  
ჩვენა, რომ დავით ტბელი საჭაოდ თვისიუფლად თარგმნის ორიგინალს; ქარ-  
თული ტექსტი ბერძნულს ზუსტად არ მისდევს, ბევრია მატებისა და კლების  
უმოთხვევები, ზოგჯერ თარგმანი შინაასობრივად განსხვავდება ორიგინალის  
შესაბამისი ნაწილისაგან. მრავლადაა მაგალითები, როდესაც ცალკეული ბერ-  
ძნული სიტყვები თარგმანში გამდმოტანილია რამდენიმე შესატყვისით და სხვა.

გრიგოლის პიმილის ტბელისეულ თარგმანში ყველაზე დიდი რაოდენო-  
ბათაა ქართული ჩანართები — ფრაზები და სიტყვები, რომელთაც ბერძნულ  
ტექსტში შესატყვისები არ ეძებნებათ. ქართულ ტექსტში გავრცობილია ორი-  
ვნალის პრაქტიკულად ყველა წინადადება, მაგრამ ჩანართები ვრცელი არ  
არის; უმეტეს შემთხვევაში დამატებულია ცალკეული სიტყვები, ხოლო ყვე-  
ლაზე დიდი ჩანართის მოცულობა არ აღმატება არ წინადადებას. დავით  
ტბელი ცდილობს ყოველი წინადადების თარგმანი გამართოს ქართული ენის  
გრამატიკული ნირშების მიხედვით და ასე გაუადვილოს ქართველ მკითხველს  
გრიგოლ ნაზიანზელის მეტად შეკრული სტილის აღქმა. მისათვის ტბელი  
თავის თარგმანში ბერძნულ წინადადებას ხშირად უმატებს ზმნა-შემასმენელს,  
ქვემდებარეს, წინადადების სხვა წევრებს, პასიური კონსტრუქციები მეტწი-  
ლად გადმოაქვს ზმნის პირიანი ფორმებით. მაგალითად:

Δεῖτερον δὲ ὁ καὶ μέγιστον, τὸ μὴ κατόπιν ἐδότην δραμεῖν μηδὲ μαρτύρων μι-  
σταγωγίας ἀπολειφθῆναι καὶ τῆς ἐντεύθεν ἥμιν τρυφῆς τε καὶ ἀναψύξεως (44;  
3,4—6)

<sup>8</sup> ბერძნული ტექსტის სათაურია Eἰς Κυπριανόν, გამოცემულია Sources Chretiennes, Gre-  
goire de Nazienze, Discours 24—26, introduction, texte critique traduction et notes par  
Justin Mossay, avec la collaboration de Guy Lafontaine, Les Éditions du Cerf, Paris,  
1981. ქართული ტექსტები გამოცემული არ არის და ჩვენ გამოვიყენეთ დავით ტბელის მ. დო-  
ლავიძის მიერ და ეფრემ მცირის მ. რაფაელს მიერ გადაწერილი ტექსტები, რომელებიც დადგინ-  
და შემდეგი ხელნწერების მიხედვით. დავით ტბელი: A 1, 845—875; ეფრემ მცირე: A 109;  
228T—235V; ტექსტს ცემოთებთ დავთრების პაგინაციის მიხედვით.

<sup>9</sup> კ. კეკელიძე, ერიულები... ტ. V, თბ., 1957, გვ. 37.

ხოლო მეორე, რომელი დიდე არა ხურგით მსრბოლობად დღესასწაულისა, არცა დაკლებად მოწამეთა მესაი-დუმლობებისაგან და მიერ შექმნადისა ჩუენდა შუებისა და განსუენებისა (29, 6—10).

ხოლო მეორე და დიდი ესე არს; რათა არა შემდგომად დღესასწაულისა იყოს სრბად ჩუენი და არცა მოწამეთა საიდუმლოვანი იყოს განჯუებად ჩუენი, და რად-იგი ამის გამო იქმნების ჩუენდა სარგებელ და საშუებელ, მის-გან დაკლებად ჩუენი (10, 4—8).

იმ ჩანართების გარდა, რომელთა არსებობაც თარგმანში გაპირობებულია ქართული ენის თავისებურებებით, ტექსტში გვხვდება ისეთი სახის მატებაც, რომელიც ნათელყოფს ორიგინალის შინაარსს და აზუსტებს მას. ასე მაგალითად, ჰომილის ერთ ნაწილში გრიგოლი წერს, რომ კვპრიანეს სიბრძნეს „სი-ტყუანი მისნი წამებენ“, იმავე მისნი ასე ასეთი ტექსტი მოიხსენის ერთ ნაწილში გრიგოლი წერს, რომ კვპრიანეს სიბრძნეს „სი-ტყუანი მისნი წამებენ“, იმავე მისნი ასე ასეთი ტექსტი მოიხსენის ერთ ნაწილში გრიგოლი წერს. (50; 7, 1—2).

## ეფრემი

## დავით ტბელი

რომელთა მრავალთა და ბრწყინვა-ლეთა იგი ჩუენთვს დაასრუედა (34, 4—5)

რომელნი მრავლად და ბრწყინვა-ლედ ჩუენთვს მან აღმოთქუნა (დასა-მტკიცებულად მორწმუნეთათვს და და-სამჯობელად ურწმუნოთათვს) (14, 9—10)

სხვაგან კვპრიანეს „პირველი“, ცოდვილი ცხოვრების ხსენებისას გრიგოლი წერს: *Μνησθήσουμαν δὲ τοῦ προτέρουντίου καὶ ηὗτις αὐτῷ γέγονε σωτηρίας δόδός καὶ τίς ή κληρικός καὶ ή προς τὸ κρεῖττον μετάθεσις.* (52; 8, 1—3).

## ეფრემი

## დავით ტბელი

მოვიყსენო უკუე პირველისაცა ცხო-რებისა და რად-იგი მას ექმნა გზა ცხო-რებისა და რად წოდება და უმჯობესთა მიმართ შეცვალება (35, 5—8)

ხოლო მოვაწენოთ პირველი ცხო-რებად მისი და თუ ვინაა იქმნა მიზეზი ცხორებისა მისისა და თუ ვითარ იყო წოდება მისი და უმჯობესისა მიმართ შეცვალება (და პოვნაა გზისა მის ჭეშ-მარიტისა) (15, 11—14)

ორიეე შემთხვევაში ტბელისეული ჩანართები წარმოაჩნს აზრს, რომელ-საც გრიგოლი გულისხმობს თავისი ლაქონური სტილის მიღმა. პირველ მაგალითში საუბარია იმ სიტყვებზე, რომელიც კვპრიანემ წარმოთქვა გაქრისტიანების შემდეგ. რასაკეირველია, ისეთი დიდი ქრისტიანი მოღვაწე, როგორც შეიქმნა კვპრიანე წარმართობის დაგმობის შემდეგ, ყველა თავის სიტყვას წარმოთქვამდა „დასამტკიცებლად მორწმუნეთათვს, და დასამჯობელად ურწმუნოთათვს“. მეორე მაგალითში ცხადია, რომ „წოდების“ მერე კვპრიანე-სათვის უმთავრესი იყო ჭეშმარიტი გზის დანახვა და პოვნა, რათა კვლავ ბორტ ძალას არ დამონებოდა. ორივეგან ეს აზრები მინიშნებულია, დავითი



ტბელმა კი ეს მინიშნებები თარგმანში გაშალა, რათა ტექსტი უფრო უძლიერი გადასცვისათვის.

ამგვარი ჩანართების გარდა, გვხვდება ისეთი დამატებანიც, სადაც ჩნდება შთარგმნელის პირადი დამოკიდებულება თხზულების ამა თუ იმ აღვილისადმი. ამ ჩანართებიდან ზოგიერთი შეიძლება მივიწიოთ ერთგვარ მთარგმნელის უცლენი კომენტარია: „მაგალითად, თხზულების ერთ ადგილს გრიგოლი ამბობს, რომ ქრისტიანეთითვის „ფრიად მრავალ არიან სათხოებისა მიმართ მწურათელნი... სიტყუა, წინაასწარმეტყულნი, მოციქულნი, თვით თავადისა ქრისტეს ვნებანი“ (ტბელი, II, 20—21) და აღწერს ქრისტეს დამსახურებას კაცობრიობის ჭინაშე. ამის შემდეგ, ახალი აზზაცის დაწყებამდე, დავით ტბელი თაოქოს აჯამებს ზემოთქმულს და წერს: „ეს კუცელი „არს სოდუმლო ქსნისა ჩუენისა“ (12, 2—3). სხვაგან გრიგოლი მმობს, რომ მან ასარ იცის, როგორ ვანაგრძოს თხრობა კვპრიანეს შესახებ ისე, რომ ყოველივეს თქმაც შეძლოს და სიტყვაც ზედმეტად არ გაუგრძელდეს, „რამეთუ“, განავრცობს გრიგოლის აზრს დავით ტბელი, „უამი შემოკლებასა ითხოვს, ხოლო წერი თვსა ეძიებს“ (14, 17—18). მოყვანილი მაგალითებიდან არცერთს დედანში შესატყვისი არ შევძევება (იხ. ბერძნ. ტექ.: 46; 4,7 და 52; 7, 8). ორივე შემთხვევაში ჩანართი ფრანგები წარმოადგენს კონტექსტის შინაარსის შეჯამებას, მის გარკვეულ სუბიექტურ გადასწრებას, რაც სხვა მაგალითებშიც, ისევე როგორც აქ, ეფექტობთ, არ ეწინააღმდეგება თვით ფრთხოის აზრს.

გრიგოლის პომილიის ტბელისეულ თარგმანში ორიგინალის გავრცობას, შინაარსის დაზუსტების გარდა, კიდევ ერთი საინტერესო ფუნქცია ენიჭება: დავით ტბელი ქართული ჩანართებით ბერძნულ ტექსტს მატებს გამომსახურელობას, გავრცობის შედეგად თხზულების ზოგიერთი მონაკვეთი უფრო შთამბეჭდავი ხდება. ასეთი დატვირთვა აქვს დამატებების იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს გარკვეულ ემოციურ მომენტს, წარმოაჩენს თხზულების ზოგიერთ ადგილთან დაკავშირებულ მთარგმნელის ემოციურ განცდას. მაგალითად, გრიგოლი პომილიის დასაწყის ნაწილში წერს, რომ იგი „არაოდეს განძლების“ დიდებითა და პატივითა მოწამეთა. შემდეგ ის აგრძელებს:

...მასთან ჩართ ის შემის აკა თი ხრავენ, ჰყის ბე ის ასეჭავის. Τοσონταν προσპექტ ზე მინიჭავ აკა ისრა ისხეიმა თა კათომართა. (46; 3, 22—24)

### ეფრემი

### დავით ტბელი

სხუათანიცა სადმე მოღუაწებანი და მძლეობაა, ხოლო ჩემ გვრგვენი. ეს-ოდენ წინამივიტაცებ კეთილდიდებულებასა და ესრეტ განვიკუთნებ წარმართებათა (30; 12—15)

სხუათანი არიან ღუაწლი და ძლევაა, ხოლო ჩემ გვრგვენი მათ მიერ. ესოდენ (მხარულ ვარ და) წინაასწარ ალვიტაცები დიდებითა და ესრეტ (სურვილისა მისაგან მათისა უსამოსა) შევითესებ წარმატებათა მათ მათთა (II, 7—12).

ტბელის ჩანართები ამ მონაკვეთს თავისებურ ელფერს სძენს. წინადაღება „ეს არს უსაკურველესი“ თითქოს მიგვანიშნებს იმ გაოცებასა და მოწიწებაზე, რომელიც ეუფლება მთარგმნელს ამ დიდი ფაქტის ჭინაშე — „სხუანი არიან ღუაწლი და ძლევაა, ხოლო ჩემ გვრგვენი“. მეორე წინადაღებაც იგივე გრძნობითაა გამსცვალული.

ზოგიერთ შემთხვევაში დავით ტბელი ავტობს და მცირედ კიდევპირ ასევე მახვილებს თარგმანს, რათა ორიგინალის შესაბამის მონაკვეთს მეტი გამომახვილობა მიანიჭოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პომილის იმ დღილის თარგმანი, სადაც გრიგოლი აღწერს, თუ როგორ „თანაიღუშიდა“ სხვა ქრისტიანებთან გადასახლებაში მყოფი კვპრიანე და მათ განსამხნევებელ ქისტოლებს სწერდა. გრიგოლი მოგვითხობს: „*Ἄλειπτης ο περίεργος γίνεται, τοις ερατερεσιούσις συγγραφών*“ (72; 15,3—4).

### ეფრემი

გარნა რამეთუ ექ्सორიაქმნელი მცხებელ იქმნებოდა, მაწუეველობითა ასწერდა (47, 8—10)

### დავით ტბელი

მ, ვითარდა მასწავლედ და მაწუელ კეთილისა იქმნების უოველთა შორელი იგი ვითარცა მახლობელი! წერნუავე დაუცხრომელად თვესუსად თვისაგან (25, 24—26)

აქ დავით ტბელმა ორიგინალის თხრობითი კილო შეცვალა აღმატებითი განწყობის ძახილის წინადადებით და ასე უფრო მყაფიოდ გვაგრძნობინა. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო უსასოდ დარჩენილ ქრისტიანეთათვის შორსმყოფი კვპრიანეს დამტოვებლური ეპისტოლები.

დავით ტბელის თარგმანში მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოა ასე-ჯ წინადადებათა ცალკეული მონაკვეთების, ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის გავრცობა. მაგალითად:

a) *?Εκείνες δὲ καὶ πλήρεις ἔχω (44; 3,19—20)*

### ეფრემი

ხოლო მისი ფრიადცა უძლებად მაქსუ (30,8—9)

### დავით ტბელი

ხოლო მე მსურის მარადის და ორა-ოდეს განვძლები (11,5)

b) *ἀπληπτίς αὐθικάτος (54; 8,21—22)*

### ეფრემი

უძლებებად სხეულთად (36,13—14).

### დავით ტბელი

უძლებებად გუამისად და ტრაფილებად გუამთად (16, 22—23)

ასეთი გავრცობა ტბელის თარგმანში ბევრია, ჩანართები მატებს ორიგინალს ხატოვანებას, გამომსახულობას; ისინი მეტად საინტერესოა მთარგმნელის თხზულებისადმი დამკიდებულების თვალსაზრისით, რადგან მატებები ჟიჩენებს, თუ სათარგმნი ნაწარმოების რომელი ეპიზოდი, სახე თუ მომენტი არის ქართველი მთარგმნელისათვის უფრო მნიშვნელოვანი.

პომილის ტბელისეულ თარგმანში ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც დედნის ერთი სიტყვა ქართულ ტექსტში გადმოტანილია ორი ან მეტი შესატყვევისით. ც. ქურციკიძემ ასეთი შემთხვევები გამოავლინა ბასილი კესა-ჩელის „*სწავლათა*“ ეფომეტ ათონელის თარგმანშიც: აქ ეფომეტს ცალკეული



შერძნული სიტყვები გადმოაქვს სინონიმებით<sup>10</sup> ან ჰენდეადისებით<sup>11</sup> შესატყვისით გადოტანა დაბახასიათებელი იყო არა მხოლოდ ეფთვმესა და დავით ტბელის-ოვის, არამედ იმ ეპოქის სხვა მთარგმნელებისთვისაც. ამას შეიძლება ადასტურებდეს ის გარემოებაც, რომ შესატყვისთა სიმრავლე გვხვდება ტბელის თარგმანის იმ მონაკვეთებშიც, რომელთაც ორიგინალში შესაბამისი ადგილი არ ეძებნებათ. ასე მაგალითად, კვპრიანეს გვამის შესახებ გრიგოლი მოგვითხრობს: „თუ აშკა მას აზავას ჩე (76; 17, 10—11); ეფრემი: „ხოლო გუამი უჩინო“ (50; 14—15). ტბელი კი თარგმნის „ხოლო გუამი იგი (წმიდა და ღუაწლით შემოსილი) დაფარულ იყო“ (28, 15—16).

ორიგინალის ცალკეული სიტყვების რამდენიმე შესატყვისით გადმოტანის ზემთხვევები გრიგოლის პომილის თარგმანში მეტად მრავალფეროვანია და შათში შეიძლება რამდენიმე გვუფი გამოვყოთ. ყველაზე ხშირია ბერძნული სიტყვების სინონიმებით ან ჰენდეადისებით გადმოცემა:

სინონიმები:

ისბჭ აზფარეთან იშმავთ ჩახლო თუ აზავა მარა ხანგარება (72; 14,20)

ეფრემი

დავით ტბელი

არცა უშიშროებასა კორცასა უფ-  
როსლა უპატიონებასა გონებდა (46, 10—21)

პატივი კორცა უმეტესოდა უპატი-  
ონებად და შეურაცხებად შე-  
ერაცხა (25, 13—14)

ჰენდეადისები: ასპერ აბათ ა: თან თესტო ჰპირებო (54; 8,10—11)

ეფრემი

დავით ტბელი

ვითარცა სხუად რამე პატიო-  
სანთა შესწავებათაგანი (35,20—21)

ვითარცა სხუად რამე პატიოსა-  
ნი და საჩინო სახელი იყუშია  
(16, 1—2)

პომილის თარგმანში გვხვდება ბერძნული სიტყვების გადმოტანის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტბელი ყოფს სიტყვის მნიშვნელობას ორ ან მეტ შესატყვისად: მაგალითად, წინდებულიანი ზმნის გადმოტანისას ერთი შესატყვისი მოიცავს მხოლოდ წინდებულის შინაარსს, მეორე კი, —ძირისას. აღსანიშნავია, რომ სიტყვის მნიშვნელობის განაწილება ორ ან რამდენიმე შესატყვისზე გვხვდება მხოლოდ კომპოზიტების გადმოტანის შემთხვევებში:

ა) თუ კახემავთ მას პატი აზა აზავა მარა ხანგარება (72; 15,1—2)

ეფრემი

დავით ტბელი

სულითა მოსრულ იყო და თანა-  
იღუ წილ და მოლუაწეთა (47, 5—6)

სულითა მახლობელ იყო და მოლუა-  
წეთა მათ ქრისტესა თანაშეეყო  
და იღუ წილ და (25, 24)

<sup>10</sup> ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფრემე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად შეამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურუკიძემ. თბილისი, 1983, გვ. 60.

<sup>11</sup> ევვლა, 83, 62.

ბ) თბ. ტეს ჭურა ეს გენეს მაგმისას თუ პერი თანთა მაკრიფეცია (447 გვ. 3, (17—18))

### ეფრემი

### დავით ტბელი

სულისა ტომ კეთილობისა გან-  
შეჩნელთა ამათ შინა კნინ შუენიერე-  
სითა (30, 5—7)

სულისა სიკეთისა და აზნაუ-  
რებასა და დიდებასა განხრწ-  
ნიან უშუერებითა (11, 1—2)

შეიძლება გამოვყოთ ისეთ შესატყვისითა ჯგუფი, სადაც თითოეული  
შესატყვისი წარმოადგენს არა ცალკე სიტყვას, არამედ მსაზღვრელ-საზღვრუ-  
რულს (მაგ.: „საქმი საქებელი“) და ეს შესატყვისები ერთმანეთს მხოლოდ  
აზრობრივად უკავშირდება (ერთის არსებობა ასოციაციით იწვევს მეორის  
გაჩენას). მაგალითად, ამქვეყნიური ცდუნებების ჩამოთვლისას გრიგოლი  
სახელებს ასევე ახრის ტ მარტინ ბერძას (44; 3, 11 — ეფრემი: „სიმაძლრე,  
სამად გინებისად“ 29, 16—17). ტბელი ამას თარგმნის — „სიმაძლრე მეტი,  
სამად გინებისად“ — და უმატებს კიდევ ერთ ეპითეტს — „და მომზოვნებელი  
ქნებათად“ (10, 16), რომელიც მხოლოდ აზრობრივად, ასოციაციით უკავშირ-  
დება წინა განსაზღვრებას, უფრო განავრცხბს მას.

ბერძნული სიტყვების რამდენიმე შესატყვისით გადმოტანის მაგალითებში  
გამოიყოფა კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ჯგუფი, რომელიც გვიჩვენებს,  
თუ როგორ ესმის დავით ტბელს ლვოთისეტყველის ჰომილიის ესა თუ ის ად-  
გლი; ამგარ შემთხვევებში ტბელის თარგმანში მოტანილია ბერძნული სიტ-  
ყვის არა რომელიმე კონკრეტული სალექსიკონ მნიშვნელობა, არამედ რამ-  
დენიმე შესატყვისით გადმოცემულია აზრი, რომელსაც მოიცავს ეს სიტყვა  
მოცემულ კონტექსტში. ასე მაგალითად, ჰეშმარიტ ქრისტიანეთათვს აუკი-  
ლებელი თვისებების ჩამოთვლისას გრიგოლი სხეათა შორის ასახელებს  
რასამირავია (68; 13, 19; ეფრემი: „კაცომოყუარეობად“ 45, 1) და ის პასიათ  
რი მუთაბისა (80; 18, 21, ეფრემი: „მდიდართა მიმცემლობად“ 53, 9—10).  
დავით ტბელს ასეთობით გადმოაქვს როგორც „ყოველთათვს თხოვა წყა-  
ლობისად“ (23, 21—22) და ის პასიათ თუ მუთაბისა როგორც „მდიდართა მო-  
წალებად და ქველის საქმი“ (30, 6). „კაცომოყუარება“ მრავლის მომცემი  
ენდაა, მაგრამ, ჩანს, დავით ტბელს კაცომოყუარეობის გამოვლინების უმაღ-  
ლეს ფორმად მიაჩნდა „ყოველთათვს თხოვა წყალობისად“. ქრისტიანული მო-  
ასლის მიხედვით მდიდარი მხოლოდ მაშინ დაიმკვიდრებს სასუფელელს, რო-  
გესაც მოელ თავის მონაგებს გლახავთ გაუნაწილებს, ამიტომ აქაც „მიმცემ-  
ლობა“ სწორედ „მოწყალებასა და ქველ საქმეს“ უნდა გულისხმობდეს.

გრიგოლის ჰომილიის თარგმანში მატებასთან ერთად გვხვდება კლების  
შემთხვევებიც: ორიგინალის მთელი ფრაზები, წინადადებები და ცალკეული  
სიტყვები ტბელისეულ თარგმანში გადმოტანილი არ არის. მაგალითად, თხზუ-  
ლების ბოლოს გრიგოლი ქებას ასხამს კვპრიანეს და ამბობს: თითო ია: καὶ  
τὸν λόγιον γέρας καὶ τῆς ἀθλήσεως οὐ κίτινος ὀλυμπιακός, οὔτε μῆλα δελφικὰ παίγ-  
νια, οὐδὲ ἵστημική πίτια, οὐδὲ Νεμέας σέλινα, δίῶν ἔφηθις διστυχεῖς ἐτιμήθησαν  
(82; 19, 21—84; 19, 21) — (ესე შენ სიტყვათაცა სანიჭ და ლუაწლსაცა არა  
კორინთ ულვებიური, არც ვაშლი დელფური სამღერელნი, არც ისთმიელთა

ჰიტკა, არცა ნემებასა ნიახური,, რომელთაგან პატივ-იცნეს ძნელბეჭდულებულ  
გამონია” — ეფრემი, 55, 4—8). ეს მონაკვეთი ტებელის თარგმანში გაღმოტა-  
ნილი არ არის (იხ. 31, 10).

კლების მაგალითებში გამოყოფა ერთი შემთხვევა, როდესაც ორივინა-  
ლის მონაკვეთი არ არის შეტანილი არც ერთ თარგმანში; ეს არის კვპრიანეს  
სატრაფოს აღწერა. ვრჩიოლი წერს: Περιθένας τις ზე კასის περιβιτεποῑ თუ ეს კა-  
რებონ [καὶ κοσμίων εὐπρεπής μὲν ὥραν τὸν σώματος ξῆλωτὴ ὃς πρόπον τὴν τε γάρ  
μαρφήν ἀξιέραστος ზην καὶ φυκῆς ἀρετῆς ἀξιέραστος. Ταῦτα γὰρ ἡ φήμη διγέγελεν  
καὶ τὸν νεανίν ἐξέπληξεν ὅρωντα μὲν κάτιλος ἔξαιτεν ἀκούοντα δὲ πρόπον ἐφρύμιλλαν.  
(56; 9,4—9) (იყო ქალწული ვიზე, დიდებულთაგნი და უმანგი, მშვენიერე-  
ბით გამორჩეული. ის იყო თავისი ახალგაზრდობის აყვავების ხანაში და სა-  
მაგალითო ყოფაქცევის. გარეგნულად მომხიბლელი. მისი ქველი სული ვან-  
ციფიურებას იწვევდა. ყველა მის შესახებ ლაპარაკობდა და ახალგაზრდა კაქ-  
შისმა სილამაზემ თავბრუ დახხია, ხოლო მმავი ქალწულის სამაგალითო  
ცეკვის შესახებ მას ბოროტ ზრახვას აღყერავდა). კავებით გამოყოფილი ნა-  
წლი, როგორც უკვე ითქვა, არ ვკვედება არც ეფრემთან (იბ. 37, 3), არც  
დავთ ტბელთან (იბ. 17, 1). აღსანიშნავია, რომ ეს მონაკვეთი გადაწყრისას  
ხშირად თავად ბერძნებსაც არ შეპქნენდათ თავიანთ ნუსხებში. კლების სხვ  
არც ერთი შემთხვევა არ შეინიშნება ეფრემის თარგმანში. მითომ. საკარაულო,  
ომ ეს აღწერა არ იყო იმ ბერძნულ ნუსხებში, რომლითაც სარგებლობდნენ  
დავთ ტბელი და ეფრემ მცირე, და ამის გამო არც ერთ მათგანში არ არის  
შეტანილი.

გრიგოლის ჰიმილის ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებაზ გვიჩვენა, რომ დავით ტბელის თარგმანში, მატებისა და კლების გარდა, გვხვდება ორიგინალისაგან შინაარსობრივად განსხვავებული აღგილებიც; ტბელი ასხეულერებს დედანს, ზოგჯერ ცვლის ორიგინალის ცალკეულ ეპიზოდებს.



γωγίας, θυσίαι τε καὶ σπονδαὶ καὶ ἡ δὲ αἵματων καὶ κνήσης εἰκεῖωσις. τοῦτο  
τους γάρ ἔδει μεταθέσιν εἶναι τοῖς τὰ τοιαῦτα χαριζομένοις (58; 10,5—8— „Δα  
(58; 10,5—8— „Δα σεληνοφόρῳ θεῷ προσεύχεσθαι, σεληνοφόρῳ, σεληνοφόρῳ Δα  
ιστελλεῖται Δα κυριολεξιαθεόρην σεληνοφόρῳ, λαμπτεῖται σεληνοφόρην οὐκέτι  
σεληνοφόρῳ φαστούσῃ σεληνοφόρητα μονόματον προσεύχεται“, εφέρεθι, 39, 1—4).

ეს მონაკედლი დავით ტბელის თარგმანში საქამაოდ განსხვავდება ორიგინალისაგან. თუ დენდის მიხედვით წმინდა ქალწულს განსტადიდა ბოროტი ძალა, ეშმაკი. მატევა, როგორც მას გრიგოლი უწოდებს, დავით ტბელის თარგმანში ვკითხულობთ: მან, ვინც „თავადისა და მეუფისა ყოველთამას კადნიერებინა“, „დედაყაცი ვინმე პოვა ძეული, ბოროტთა დღეთა დაძულებული, ძგრძნებავი, და ეშმაკთაგანიცა გემოთმოყუარეთად და მახვლთა ცოდვისა მიძართ“ (18, 15—16).

დავით ტბელის თარგმანში ეს მონაკვეთი გადმოტანილია შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე, აյ მხოლოდ ჩამატებულია ცალკეული სიტყვები იმის სასაზღვრებლად, თუ ვინ მოქმედებს ან ვისთვისა გამიზნული ზრით გამო-სატული მოქმედება: „სძლევს ჭალწული, იძლევის ეშმაკი, გამომცდელი იგი მოუქდების ტრფიალსა მას, აღიარებს ძლევასა მას თვისსა, (ჭალწულისაგან), შეურაცხემნების (ზუავი იგი) და წუხს ფრიად შეურაცხებისათვის, შურისგე-ბად განამზადების (შეურაცხისმყოფელსა მას ზედა). ხოლო რამე არს შურის-გებად იგი? რამეთუ შეუჯდა გუემად (ეშმაკი იგი უა ერთ) მსახურსა მას თვისსა, რადთა ძვრითა ძვრი განქარდეს და სიცოფც სიცოფისა მკურნალ იქმნას“ (20, 24—21, 5). აქ, ტბელის თარგმანის ზემომყვანილი მონაკვეთისაგან გან-სხვავებით, განმცდელად გვევლინება არა მკრძნებავი დედაკაცი, არამედ, ორი-გინალის მსგავსად, ეშმაკი.

კვპრიანეს მოქცევასთან დაკავშირებული ეს ეპიზოდი ჰომილიაში ერთ-გვარი უკმარობის გრძნობას ტოვებს. ავტორი არ ამხელს ქალწულის ვინაობას, აյ არ ჩანს, თუ რა სახით მოვლინა ეშმაკი კვპრიანეს სატრფოს და როგორ გამოცდიდა შეს. ამიტომ ეს მონაკვეთი, აღმართ, თვით ბერძენი მცითხველისათვისაც რამდენადმე ბუნდოვანი იქნებოდა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად დავით ტბელმა ქართულ თარგმანში უსხეულო ბოროტი ძალა დედაბრად ქცია და მას ფიზიკური სახე მისცა. დედაბრება შეიძინა ის თვისებები, რაც შერძნეული ორიგინალის მიხედვით, ეშმაქს ახასიათებდა, — „ეშმაქთაგანი“, „გე-მოთმოყუარე“ და, რაც მთავარია, მას მიერიშა ის „ლირსება“, რისთვისაც ფასობდა ეშმაქის დახმარება, — მაღლობა, მახვლობა ცოდვის მიმართ. გან-



დაგომილებითი და მოშურნე ძალა „სასყიდელ მატყობისა“ მსხვერისაც წირვასაც საჭიროებდა, მაგრამ ეშმაკი დედავაცად განსხვულდა და, აღმათ, აზიტომ სამადლობელი მსხვერპლის აღწერაც ტბელმა თარგმანიდან ამოილ.

გრიგოლის პომილის თარგმანში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქართული ტექსტი შინაარსობრივად მისდევს ორიგინალს, მაგრამ განსხვავდება დედნისაგან სიტყვიერი გაფორმებით; ორიგინალისა და თარგმანის შესაბამისი შენაკვეთები ეხება ერთსა და იმავე თემას, მაგრამ ეს ერთი აზრი ორიგებან სხვადასხვანაირად არის გადმოცემული. მაგალითად, კვპრიანეს განსწავლულების აღწერისას გრიგოლი მმბობს: ას ყაჩას უნ თბ პიაჩას უ თბ აზრო ეს ერთო შასუმავათა; ყაჩას უნ თბ ენბია: ეს ერთო უ თბ პერი პარა ჭიამაშესა უ თბ, ნა მის თავშესრუ, თუ მან თბ პიაჩას, თუ მან უნ თბ აზრო, ხას მა მაფოტერია; პარი მა პარათო ერატა: (50; 6,10—14).

### ეფრემი

### დავით ტბელი

ვიდრემდის უფროოს მრავალსწავლულების სრულებისასა თითოფერობად, ვიდრედა თითოეულსა შინა სრულება საკურველ არს უფროოსმდრო თითოეულსა შინა სწავლისმოყუარებისასა, ანუ რადთა უცხადრესადრე განვყო პირველისა მის თითოფერობად, ხოლო მეორისა სრულებად არს რდესმე, რომელ რომლითამე თრთავე შინა და ყოვლითავე ყოველთა სძლევდა (33, 15—34,3).

გინა თუ მრავალგუარობა მეცნიერებათა მისთავ, გინა თუ უცომელობა არს ლირს საკურველებისა და უმეტეს ყოველისა პირსა საქმეთა წულილად და დაუშთომლად მეცნიერება მისი დიდი და მაღალი, და რადთა შემოკლებული და შემოკრებულად ვთქუა, ყოველთავე მეცნიერებითა და სიბრძნითა ყოველთა უაღრეს იყო და ყოველთა სძლევდა (14, 1—6).

აღსანიშნავია, რომ დავით ტბელი თავის თარგმანში ზოგჯერ ცვლის ცალკეულ სიტყვებსაც; ასეთ მაგალითებში ეფრემს გამოყენებული აქვს პერძნული სიტყვის ყველაზე გავრცელებული სალექსიკონმ მნიშვნელობა, დავით ტბელი კი წარმოგვიდგენს იმ შესატყვისს, რომელიც მისი აზრით, ყველაზე უკეთესად ესადაგება კონტექსტს, რომდენადმე კიდევაც განმარტავს მას და, ამასთან ერთად, შეიძლება საერთოდ არ შედიოდეს მოცემული სიტყვის ცნობილ სალექსიკონმ შეიძნელობებში. მაგალითად:

ა) εἰς καλὸν ὑμιν ἐπανήκομεν, καὶ καλοὶ μέτροις θεοῖ (42; 1, 13—14)

### ეფრემი

### დავით ტბელი

კეთილად უკუმოვიქცევით თქუენდა კასალსაზომებითა, ღმრთისათა (28. 1—2).

ბ) τινα τρόπον სისტა თა თუ ჩართავ (48; 5,5—6)

### ეფრემი

### დავით ტბელი

მებითა (32, 4—5).

სახითა რამომე შენ თანა ვარ მოწა-

გონებითა შენ თანა ვარ წამებასამას შენსა (12, 17—18).

ამგვარად, გრიგოლი ნაზიანზელის ჰომილის ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ თხზულების თარგმნისას დავით ტბელი ცდილობდა რაც შეიძლება ნათლად და გასაგებად გადმოეტანა შინაარსი და შესაბამისად ორიგინალი შედარებით თავისუფლად თარგმნა: განავრცო დედანი, ზოგი რომ დაუმატა, ზოგიერთი ადგილი ამოიღო ან შეცვალ და სხვა. მაგრამ ამასთან ერთად თარგმანი თითქმის ზუსტად მისდევს ბერძნულ დედანს და ტბელი ორიგინალს ცვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია შინაარსის დასაზუსტებლად ან ზოგიერთი ადგილის გამომსახველობის გასაძლიერებლად.

გრიგოლის თხზულების ორი თარგმანის შედარებისას გამოვლინდა ერთი, შეტად საინტერესო შემთხვევა, როდესაც დავითი და ეფრემი ჰომილის ერთსა და იმავე ადგილს უკავშირებენ სახარების სხვადასხვა ეპიზოდებს; ქრისტეს ოვაწლის აღწერისას გრიგოლი სხვათა შორის აღნიშნავს ასევე კანონიაზ: ეპასტიაზ (60: 10, 18). დავით ტბელს ეს მონაკვეთი გადმოაქვს შემდეგნაირად: „სულთა ბოროტთა შეპრისხნების“ (19, 14). ასეთი თარგმანი მიგვანიშნებს ითხოვასი იმ ეპიზოდებზე, სადაც აღწერილია ბოროტი სულისაგან უდაბნოში ქრისტეს გამოცდა (იბ. მათე 4, 1—11; ლუკა 4, 1—12) და ქრისტეს მიერ სწეულთაგან ეშმაკის განდევნა (შდრ.: „და ვითარცა მოჯვარეს, შეპრისხნა მას იყსო, და განვიდა მისგან ეშმაკ“, მათე 17, 18)<sup>12</sup>. ეფრემს კი იგივე ადგილი გადმოაქვს ასე: „ქართაცა შეპრისხავს“ — ამგვარი თარგმანი უკავშირდება ახალი აღთქმის იმ მონაკვეთს, სადაც გაღმოცემულია ქრისტეს მიერ ქარიშხლის დაწყნარება: აღლუვებულ ზღვაში მოწაფენ შეველას ეველრებიან ქრისტეს. „და თავადმან პრქუა მათ: რასა შეშინდებით, მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღსტგად, და შეპრისხნა ქართა მათ და ზოუათა, და იქმნა მეყსეულად დაყუდება დადი“ (მათე 8, 26)<sup>13</sup>.

## II. სპილონ ლოლოთეტი

„ზამთად ათთა პრიტის მოზავთად“<sup>14</sup>

სვიმეონ ლოლოთეტის თხზულების ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ მსვანესად ჰომილის თარგმანისა, შეტაფრასის ქართული ტექსტი ბერძნულს ზუსტად არ მისდევს: არის როგორც მატების, ასევე კლების შემთხვევები. მთარგმნელი შეძლებისდაგვარად იყავს ქართულისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ და სტილისტურ ნორმებს და მისი ენა ადვილი აღსაქმელია. ორიგინალის ცალკეული სიტყვები თარგმანში ხშირად გადმორჩნილია ორი ან რამდენიმე შესატყვისით.

ისევე როგორც გრიგოლ ლმრთისმეტყველის ჰომილის თარგმანში, მეტაფრასის ქართულ ტექსტშიც მატების შემთხვევები სკარბობს კლების მაგალითებს. თარგმანში გამოიყოფა ფრაზები, წინადადებები, ცალკეული სიტყვები. რომლებსაც ორიგინალში შესატყვისები არ ექვებათ. აქაც ქართულ

<sup>12</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩიუნისა იყსო ქრისტესი, წმიდა სახარება, გამოცემა ბრიტანულ და უცხოელენისურ ბიბლიურ საზოგადოებათა, ტფილ., 1907, გვ. 47.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>14</sup> ბერძნული ტექსტის სათარია: *Martirologus τῶν ἁγίων δέκα μαρτύρων τοιν ἐν Κρητῇ*, გამოქვეყნებულია: Migne Patrologia Graeca, ტ. 116, 565—574; ქართული ტექსტი დათვენილია ჩვენს მიერ ხელნაწერის მიხედვით. ესენია Ier. 50; A 90; Ath. 2; K 5 და K 6.



ჩინართებს რამდენიმე ფუნქცია ენიჭება: ქართული ენის ნორმები და ლისტინებით თარგმანში აღდგენილია შემასმენელი, ქვენდებარე, წინადაღების სხვა წევრები:

ა) შემასმენელი ემატება ბერძნულ უშემასმენლო წინადაღებებს:

უ ო ყანას ჩი ჩი მარა, მალა კა პერესი ჰე-  
მასინება (569, 19—90)

არა თუ დედათა ხოლო (შემაგინებელ  
არნ იგი), არამედ მამათაცა ფრიადითა  
სასტიკებითა იყო იგი ტრიალ და გან-  
მხრწნელ (100, 3—7).

ბ) აღდგენილია ქვემდებარე:

ის მა პრე თბ խარებითა ჩასლოν თუ ჰე-  
რო ნიკოლოზ (572; 3—4)

და სხუანი კუალად მისთვა, რამთამცა  
პბასრობდეს მოთმინებასა მას მათსა  
(ურწმუნონი იგი და ულმრთონი) (105,  
3—5).

მეტაფრასის ქართულ ტექსტშიც გვხვდება ისეთი სახის მატება, რომელიც  
აუსტებს ორიგინალს. მაგალითად, კრეტელ მამათა შეპყრობის ეპიზოდში  
ციმიერნი აღნიშნავს მათ წარმომავლობასაც:

ას თას ჩენ ჩ ჩეგისთხ პასტა თან ჰევ  
პარენე პილი, ის მა ასე ჩენ ჩ ჰალენ  
ტერთი (568: 18—20)

რომელთაგანნი რომელიმე დიდისა მის  
ქალაქისანი იყენეს, (რომელი-იგი მენ  
სხუათა მათ უმთავრესი იყო).. სხუანი  
კუალად სხუათაგან ქალაქთასა იყენეს  
(მისივე ჭალაქისაგან) (87, 14—17; 20—  
22)

ტბელი კი ამ აღნიშვნას განავრცობს და აქონკრეტებს.

ისევე როგორც გრიგოლის ჰიმილიის თარგმანში, სვიმეონის ნაწარმოების  
თარგმანშიც დავით ტბელი იყენებს ქართულ ჩანართებს, რათა ორიგინალს  
შეტყი გამომსახველობა და შთამბეჭდაობა შესძინოს, გამოკვეთოს ცალკეული  
სახეები, მომენტები. მაგალითად, დიდ სამსჯავროზე ანთიპატოსი მოსთხოვს  
წმინდანებს: „უგეთ, უკეთ მსწრაფლ. უკუეთუ არა, — (და კუალადცა მეორედ  
დაძინა მან იგივე სიტყუად უკეთურებისაც), — ამისსა უმეტესსა არღიას  
ვიტუკ“ (93, 7—10). ჩანართი, ფრაზა, რომელიც ამკვეთრებს ანთიპატოსის  
მუქარას, ბერძნულში არ გვხვდება: „თუ თავ... მ მა ჩენ, მალ ჰევ ჩენ  
ისძღვ პლეი ერთ“ (568; 43—44).

სამსჯავროს მონაკვეთში წამების აღწერის შემდეგ სვიმეონი წერს: „ხო-  
ლო ვითარცა იხილა დეკეოს, მყურვალემან მან მსახურმან ეშმაკისაგან, რომელ  
ჯოველივე შეურაცხ იყო სატანჯველი მისი წინაშე მათ წმიდათა, (ყოვლითურთ  
დიელივნეს მას ღონენი, და) იძულებასა მას ამაოსა განეყენა“ (107, 8—14) —  
„Ως ას პჭათა თან ჩატარო მარტერა ზე ბ პას პრემიას სულემანის თან სათანა  
დასიას, აპასოს კა თბ პასმას ზე კა თბ ბაჯენება (572; 19—21). თარგმანის  
გამოყოფილ ნაწილს ბერძნულში შესატყვისი არა აქვს, ქართულ ტექსტში

კი იგი ომაფრებს ანთიპატოსის უძლურებას მოწამეთა სულიერი სიმტკიცის  
წინაშე.

ღმრთისმეტყველის ჰომილის თარგმანის მსგავსად, დავით ტბელი მეტა-  
ფრასის თარგმანშიც ავრცობს ხოლმე ბერძნული ტექსტის ცალკეულ მონა-  
ვეთებს, რათა მეტი ხატვანება და გამომსახველობა შესძინოს მათ. ამ მხრივ  
გამოირჩევა მოწამეთა საფლავის გახსნის აღწერა:

καὶ τὴν ἐπιεικέμενην ἀφελῶν τοῖς λειψά-  
νοις γῆν, εὐπίστει ταῖτα, χριστὲ βασιλεῦ.  
ζῶσιν ἐπικότα καὶ φθορᾶς; κρείττονα κα-  
θάπερ ἐνοήσῃ ἔτι πνοιῇ νοτίδος τέ αὐτο-  
νος οἷα δὴ δρόσον ἐπικαθημένην ἐωθινῆς (573, 10—14).

და მყის მიწად იგი, (რომელსა ქუეშე  
ყოვლი იყვნეს წმიდანი იგი), ძოქვადა  
მათ ზედა და პონა იგინი ვითარცა  
ცხოველი. (ეპ., ძალი) ქრისტეს მეუ-  
ფისა ((გმოუთქუმელი), რმეთუ უალ-  
რეს ყოვლისა ხრწნილებისა იყვნეს იგი-  
ნი, ვითარცა სულიერთა ყოფილიყვნეს;  
ცუარი პირთა მათთა ზედა წმიდათა ვი-  
თარცა ცისკრისა მყოფ იყო (მდგომარე  
კოკობად). (115, 5—14).

როგორც ვხედავთ, დავით ტბელისეული აღწერა ბერძნულ ტექსტზე უფ-  
რო ექსპრესიული და შთამბეჭდავია. ასევე ხატვნად არის აღწერილი წმინ-  
დათა წამების სანახავად ხალხის შეგროვება:

Συνέρχεσθαι διὸν ἐπ' αὐτοὺς παντες (569, 57)

ხოლო სიმრავლე იგი ერისა მის, (ვი-  
თარცა მდინარე წყლისა დაუწყუდე-  
ლი), მიღიოდა ხილვად მათდა (104,  
11—13).

აქ მეტაფორა დავით ტბელს ბერძნულმა ზმნამ უკარნახა: თარჯობა — მი-  
ვეღინები.

ისევე როგორც გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილის თარგმანში, მეტაფრასის  
ქართულ ტექსტშიც ბევრია შემთხვევები, როდესაც ორიგინალის ერთი სიტყვა  
თარგმნაში გაღმოტანილია ორი ან რამდენიმე შესატყვევისთ. მსგავსი მაგალი-  
თები გვხვდება თხზულების თარგმანის იმ მონავეთებშიც, რომელთაც დე-  
დანში შესაბამისი ადგილი არ ექცებება.

მეტაფრასის ქართულ თარგმანში ყველაზე ხშირია ბერძნული სიტყვების  
სინონიმებით ან ჰენდეადისებით გაღმოტანა:

ა) სინონიმები:

μηδεν ձევενές ὑποτάξις ἐκ τῆς τιν შპლოν  
θέας, ამაგ კაὶ πολύαθλος οὐτως ἐπιεικώς  
γενόμενος διὰ τοῦτο (572, 34—36)

რომელმან არც ერთი რამ აჩუენს ხილ-  
ვითა შექნინებად და შიში, არამედ უმე-  
ტეს ეს იყოს მენე და ლუაწლმრავალ  
სხუათა შორის (109, 1—4).

ბ) ჰენდეადისები:

ώς μὴ τὸ ὑμιν მრάσος ն' αἵτων συνταλ-  
χαὶ μόνον (569, 6)

რომელთა მიერ არა თუ თქუენი ეგო-  
დენი სიცხარე და კადნიერებად დასცხ-  
რეს (98, 10—12).

სვიმეონის თხზულების თარგმანში გვხვდება ასევე რამდენიმე აზრობრივი  
ტესატყვევისც:

6. მრავალთავი

ეს მოპერ თუ კირიკების მიზნი თუ ის ტერიტორია არა გრძელი გადმოტანილი არ არის. მაგალითად, დიდ სამსჯავროში წმ. მამათა ტანგვის აღწერისას სვიმეონი წერს, რომ მის მოსმენა კეთილ ძალიანთვეს „სამაურევ არს“ და შემდეგ აღმიერებს: „Επει მოპერ კა ჩენ თასთა თეს სუ-  
სამიერეიς ის ფირთი, ისთა კა თე ხათა მერიς მიეჩენას თე კა ახანის პერ  
ასთან ის მარტის ბენარები (569, 49—52), (არა მარტო მის დანახვა არის აუტა-  
ნილი მოწყალე ადამიანთათვეს, არამედ ამ ტანგვათა ზომიერი თხრობა და  
გაგონებაც კი უზომო ტკიფილის მომანიჭებელია). ეს წინადადება თარგმანში  
არ გვხვდება (იხ. 104,3).

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც გრიგოლის ჰილიონის ტარგმანში,  
მეტაფრასული თხზულების თარგმანშიც გამოტოვებულია მონა-  
კვეთი, სადაც მოყვანილია ანტიკურ ეპოქასთან დაკავშირებული ცნებები; ესაა  
დიდი სამსჯავროს თარიღი (ზერგა თუ არა ისპონ არა ასთან  
568, 30—33 — იანვრის კალენდებამდე ათი დღით ადრე) და წმინდანთა წა-  
შების ოლიმპიურ თამაშობებთან შედარება (Επει ბე შე თასთა კა თე კუკ-  
ა ტრამის მისამართ გადასახურო, ფრთ. 568, 30—33) — მათ (ე. ი. მოწა-  
შებს დანიშნულ დროს დიდ ოლიმპიურ შეჯიბრებებზე გასვლა მოელოდათ,  
ამ ტანგვის ოლიმპიურ შეჯიბრებებს უგულისხმობ). ორივე თხზულების თარ-  
გმანებში ისეთი მონაკვეთების გამოტოვება შემთხვევით არ უნდა იყოს.  
უფრო მომდევ, იგი არ არის გამოწვეული ბერძნულ ხელნაშერთა ვარიანტული  
განსხვავებით. სავარაუდოა, რომ დავით ტბელმა თავი აარიდა თარგმანებში  
წარმართული სამყაროს რეალიების შემოტანის და მიტომ ორივე თხზულების  
შემთხვევაში ეს ადგილები ამოილო.

ასეთი სამავსების გარდა, სვიმეონ ლოლოთეტისა და გრიგოლ ნაზიანწე-  
ლის თხზულებათა თარგმანებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც.  
მეტაფრასის თარგმანი უფრო ზუსტად მიყვება ორიგინალს, ვიდრე ჰილიონის  
თარგმანი ზემოთ აღნიშნული ყველა თავისებურებაც გრიგოლის ჰილიონის  
თარგმანში. მეტაფრასის ქართულ ტექსტთან შედარებით, გაცილებით მეტი  
რაოდენობითაა. გრიგოლის თხზულებას თარგმანში გამოყოფილი ქართული  
ჩანართები და ცალკეულ სიტყვათა შესატყვისები იმდენად მრავალიც ცხვა-  
ნი და მრავალფეროვანია, რომ შესაძლებელი ხდება მათ ხუთ-ექვს ჯგუფად  
დაყოფა. მეტაფრასის თარგმანში კი ჩანართების და შესატყვისთა მნიშვნელ-  
ობისამი ჯგუფი თუ გამოიყოფა: აქ სულ არ არის ისეთი ჩანართები, რომე-  
ლიც მიგვანიშნებდა მთარგმნელის პირად განშუბობაზე, თხზულების ამა თუ იმ  
ჰილენტან დაკავშირებულ მთარგმნელის ემოციურ განცდაზე, არ გვხვდება  
შესატყვისთა ისეთი მაგალითები, როდესაც ბერძნული სიტყვის მნიშვნელობა  
დაყოფილია არ ან რამდენიმე შესატყვისად, არ არის ასევე თხზულების ცალ-  
კეული მონაკვეთების კომენტირების შემთხვევები და სხვა.

ამგვარი სხვაობა, უფრო მომდევ, გამოწვეული უნდა იყოს ამ ორი ნაწარმო-  
ების სტილის თავისებურებით. გრიგოლს ჰილიონის სტილი ხასიათდება არა-  
კონკრეტულობით, ერთგვარი ბუნდოვანებითაც. თავის თხზულებაში გრიგოლი

შოგვითხრობს კვპრიანეს შესახებ და არ ასახელებს მისი ცხოვრების თუ მოღვაწეობის თითქმის არც ერთ კონკრეტულ ფაქტს; არ მიუთითებს არც წარმომავლობას, არც იმას ამბობს, თუ რა სიტყვები და ეპისტოლეები დაწერა კვიპრიანემ, სად გადასახლეს მღვდელმოწამე და როდის მოკვეთეს თავი. ასევე ბუნდოვანია კვიპრიანეს სატრფიალო თავგადასავლის ეპიზოდიც (აღსა-ნიშანებია, რომ გრიგოლი ყველგან იყენებს განუსაზღვრელობით ნაწილაკს ას, რაც (ვინმე) — პარმინი ას, ყოვათ ას, მაიმროვ ას — ... რათ უფრო განაზოგადოს ეს სახეები). ყოველივე ეს ბურუსივითა მოცული. გრიგო-ლისათვის მნიშვნელოვანია არა თვითონ ფაქტები, არამედ მათგან მომდი-ნარე შედეგები: დეკიონისაგან მღვდელმოწამის დასჯა და მასთან დაკავ-შირებული დეტალები მეორეხარისხოვანია, მთავარია ის, რომ ამ „სასჯელის“ შედეგად კვპრიანემ საუკუნი სასუფეველი დამკვიდრა. ყურადსალებია მხო-ლოდ სულის საქმენი და მისი განვითარების გზა. ცხოვრებისეული, რეალური სინაზდევილის მომენტები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იქ ასახება დამაზანის სულის ამაღლება ან დაცემა. სწორედ ასეთი წარმოდგენები, ჩვენი აზრით, უნდა განაპირობდებდეს გრიგოლის სტილის არაეონქრეტულობას, გან- ყენებულობასაც კი. ცხადია, რომ ამგვარად დაწერილი თხზულება მკითხვე-ლისათვის და, მით უმეტეს, მსმენელისათვის ძნელი ასაქმელი ხდება. გრი- გოლის ჰომილის ქართული თარგმანის შესწავლამ გვიჩვენა, რომ დავით ტბელის მიზანი იყო ეთარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის ეს თხზულება მაქსიმა- ლურად გასაგებად ტექსტისაგან მნიშვნელოვანი დაცილების გარეშე. მან წარ- დატებით გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას: გრიგოლის ჰომილის ქართული თარგმანი ძირითადად მისდევს ბერძნულ ტექსტს, ტბელი ქართული ჩანარ- თებით აზუსტებს ზოგვერ ან განმარტავს ორიგინალის ცალკეულ ნაწილებს, შატებს დედანს გამომსახველობას. ამასთან ერთად, ყველაზე გრცელი ქარ- თული ჩანართი არ აღმატება ორ წინადადებას, — გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილის ტბელისეული თარგმანი გვევლინება როგორც ძველი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში.

„ათო კრიტელთა წმიების“ მეტაფრასული რედაქცია შექმნილია ამ თხზუ- ლების კიმენური რედაქციის გადამუშავების შედეგად. ნაწარმოების ორი რე- დაქციის ურთიერთმიმართების კვლევამ გვიჩვენა, რომ სვიმეონის მიზანი იყო წამების არა დაწვრილებითი და დამაჯრებელი გადმოცემა (რაც განხორცი- ელდა კიმენურ რედაქციაში), არამედ კრიტელი მოწამებისათვის ხოტბის შესხმა, კიმენში მოცემული ინფორმაციის განხოგადება და ენის გაეთილშო- ბილება. ამ ამოცანათა შესაბამისად სვიმეონმა შეამოკლა „ათო კრიტელთა წმიების“ აღრინდელი ვარიანტი, უკულებელყო წმიების კონკრეტული ისტო- რიული გარემო და თავის ნაწარმოებში გამოიყენა კიმენური რედაქციის მხო- ლოდ ძირითადი სიუჟეტური ხაზი. სვიმეონმა შეცვალა თხზულების სტილი, შემოიტანა რიტორიკული ელემენტები და აღრინდელი რედაქციის ზოგიერთი შენაკვეთი კიდევაც განავრცო, რათა წარმართულ სამყარისათან დაპირისპი- რებით კიდევ უფრო გამოკვეთილიყო წმინდანთა ღვაწლის მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, სვიმეონი, გრიგოლის მსგავსად, ძველი რედაქციის გა- დაშვაცებისას ყურადღებას აქცევს არა ფაქტების ზუსტ გადმოცემას, არამედ მოწამეთა სულიერი განვითარების ჩვენებას. მაგრამ სვიმეონის მეტაფრასი შამათა წმიების კონკრეტულ მიზანს მაინც დიდად არ სცილდება, თხზულების ესა, გრიგოლის ენასთან შედარებით, მარტივი, აღვილი გასაგებია და განმარ- ტებას არ საჭიროებს. ამის შესაბამისად დავით ტბელი მეტაფრასის ტექსტს

კი არ განმარტავს, არამედ ცდილობს შეძლებისდაგვარად კარგად გადმოგვცეს სვიმეონის სტილი, თხზულების მხატვრული თავისებურებანი, რისთვისაც თარ-ჯანმი შემოაქეს მეტი რაოდენობით პასიური და მიმღეობური კონსტრუქციე-ბი, იყენებს სხვა ლიტერატურულ ხერხებს; იგი აძლიერებს ცალკეული ადგი-ლების გამომსახველობას, ამაფრებს დაპირისპირებას ანთიპატოსისა და წმინ-დანებს შორის, უარყოფს ზოგიერთ დეტალს, — ყოველივე ეს საშუალებას აძლევს დავით ტბელს ქართველ მკითხველთან ანლოს მოიტანოს სვიმეონ ლოლოთეტის თხზულების საერთო სულისკვეთება.

М. Д. МАЧАВАРИАНИ

## НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ МАНЕРЫ ПЕРЕВОДА ДАВИДА ТБЕЛИ

Резюме

Сравнение двух грузинских текстов — 24-ая проповедь Григория Назианзина «Во славу св. мученика Киприана» и «Мученичество десяти критских святых». Симеона Метафраста с их греческими оригиналами дало возможность выявить особенности манеры перевода Давида Тбели, малоизвестного в научной литературе деятеля X—XI вв.

Стиль изложения греческих текстов определил характерные черты данных переводов.

В переводе скжатой, предельно лаконичной по своему изложению проповеди Григория Назианзина, создающей трудности для ее понимания, обращает внимание расширение отдельных эпизодов и подмена различных слов, способствующие усилению выразительности и образности отдельных ситуаций, уточнению или пояснению текста. При этом перевод исполнен без существенных отклонений от текста.

В переводе сочинения Симеона Метафраста Тбели с большей точностью воспроизводит стиль этого произведения, что по-видимому, определено не требующим дополнительных пояснений сравнительно ясным и простым изложением текста в оригинале (Симеон, как и Григорий Назианзин, отbrasывая конкретные исторические детали, сопутствующие мученичеству и акцентируя идею духовного совершенствования святых, тем не менее, в большей степени сохраняет связь с ранней редакцией). Используя большое количество пассивных и причастных конструкций, а также других литературных средств, Давид Тбели усиливает экспрессивность отдельных ситуаций, обостряет противопоставление святых их мучителю, тесно сближая грузинского читателя с общим духом сочинения Симеона Логофета.

Оба текста являются яркими образцами древнегрузинской переводческой литературы, характеризуя Давида Тбели в качестве выдающегося деятеля своего времени.

## მარა რაცაბა

„თარგმანთაგანის“ და „%დადართულის“ გამოგენისთვის გრიგოლ ნაზიანზელის შესავალსა და მიმღების შემიღების შესახებ თარგმანების მიმღების შესახებ.

გრიგოლ ნაზიანზელის პომილიებზე დართულ ორიგინალურ შესავალსა და ანდრეძებში ეფრემ მცირე მრავალ საყურადღებო საკითხს ეხება ნაზიანზელის პომილიათა ქართული თარგმანების ისტორიისა და მათი თავისებურებების შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა ეფრემის ული თვალსაჩრისი ეფოვა-შე მთაწმიდლის თარგმანების ხასიათის შესახებ. თარგმანების შესწავლამ და-ადასტურა ეფრემის თეორიულ შეხედულებათა უტურარობა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ შესავალში მოცემულია ის კრიტერიუმები, რომ-ლითაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ თარგმანების ტექსტოლოგიურ-ფილოლო-გიური შესწავლის პროცესში.

წინამდებარე წერილი ეხება ეფოვიმე მთაწმიდლის თარგმანის ერთი თა-ვისებურების ანალიზს, რომელიც მითითებულია ეფრემის შესავალში. ეფრემ ცირი წერს: ეფოვიმე მთაწმიდელმა „სიტყუა-სიმოკლე მოძღვრისა“ (ე. ი. ნაზიანზელისა — მ. რ.) განაცრის ლიტონისა ერისათვეს, რამეთუ მაშინ ჩერნი ხათესავი ლიტონ იყო და ჩერნ მისდამდი. მისითვს რომელიმე თარგმანთაგა-ნიცა წმიდასა სიტყუათა შინა განეხვა, ხოლო შენ... მას წადიერ იქმნ, რავ-ა ჟედადართული ყოველი და თარგმნისაგან ჩართული დაუტეო და თკო წმიდასა ლოგნ სიტყუანი მარტოდ ვთარგმნე“ (Ier 43, 3v).

ეფრემი გვაუწყებს, რომ ეფოვიმე მთაწმიდელს ნაზიანზელის ტექსტი ვანუვრცია. ტექსტების შესწავლამ ეს საცხებით დაადასტურა.

ეფოვიმეს მიერ ტექსტის გავრცება ემსახურება იმ მიზანს, რომ ნაზიან-ზელის პომილიების თეოლოგიურ-აღმსარებლობითი შინაარსი გასაგები გახა-ლოს ქართველი მყითხელისათვის. ნაზიანზელის სპეციფიკური, ლავონური, გარკვეული რიტორიკული სტილით გამოხატული აზრი მარტივი, ჩვეულებრივ-ყოფითი სამეტყველო ენით გადმოსცეს. ამ მიზნის გამო ეფოვიმე საკმაოდ ავისუფლად ეკიდება სათარგმნ მასალას. იგი ავრცებს ტექსტს, უმატებს აზრის გაგებისათვის საჭირო სიტყვებს, რომლებიც ორიგინალში არა. ეს შე-ტონბანი ზოგადი მნიშვნელობისაა, აზრის მეტი სიმკვეთორისა და გამარტივების-ცეის მოხმობილი, ან გარკვეული ისტორიული, სარწმუნოებრივი და სხვა კონ-კრიტული ინფორმაციის შემცველა. ეს გავრცებანი ხშირად ეფოვიმეს შემოქ-შედებითი ნაყოფია, მისი ორიგინალური ნაზიანები<sup>1</sup>. მაგრამ არც თუ იშევათია

<sup>1</sup> საკითხი შესწავლითი ნაზიანზელის ერთი პომილის, Or 21 — „სიტყუად დიდისა ათა-ხასიათებს“, მიხედვით.

<sup>2</sup> ნაზიანზელის პომილიების ქართული თარგმანების ზოგი სპეციფიკის შესახებ ის. ნ. მე-ლაქიშვილი, რამდენიმე დაკირვება ეფოვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით შეთოლდე, მაცნე, ელს, 1987, № 4.



გავრცობათა ისეთი მაგალითები, როდესაც ეფთვიმე რაღაც წყაროებიფრთხოების ლობს, მათზე დაყრდნობით აერცობს ტექსტს.

ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ სწორედ ისეთ მეტობებზე, რომლებიც გარკვეული წყაროებიდან აქვს ოლებული ეფთვიმეს. მათი გამოვლენა მოხერხდა ეფრემ მცირის თარგმანებთან, განსაკუთრებით ეფრემისეულ კრებულებთან, შედარების საფუძველზე.

რა წყაროებია ესენი?

როგორც ცნობილია, გრიგოლ ნაზიანზელის ენა და სტილი სრულიად გან-სკუთრებულია, მოკლე, ლაკონური, შეკუმშული, მხატვრულ-რიტორიკული ფორმებით შეკრულია.

ცხადია, ამის გამო როგორც თანამედროვე, ისე მომდევნო ხანის პიზან-ტილ მწერალთათვის ნაზიანზელის ორივინალი გამოიჩინდა, ეფრემ მცირის ზესტი დახასიათებით რომ ვთქვათ, „ღმრთისმეტყუელებისა სიტყუათა მითა-რულებით“ (Ier 43, 3v).

ამის გამო გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებს, ისევე როგორც მის პოე-ზიას, პიზანტიურ მწერლობაში აღრევე გამოუჩნდნენ კომენტატორები. ბერძენ კომენტატორთა რიცხვი საკმაოდ მრავალია. ბერძნული კომენტარების (გარ-კეული ნაწილის) აღწერილობა გამოქვეყნებულია<sup>3</sup>, მაგრამ თვით კომენტა-რების ტექსტების პუბლიკაცია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, გერ-გერობით განხორციელებული არაა.

ქართულ სინამდვილეში, ე. ი. ნაზიანზელის ჰომილიათა ქართულ თარ-გმანებში, კომენტარები სისტემატურად ახლავს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ 16 ლიტერატურულ სიტყვას.<sup>4</sup>

რაც შეეხება დანარჩენ ქართველ მთარგმნელებს, მათ თითო-ორი ჰომი-ლის კომენტარი უთარგმნიათ. ხელნაწილებში ეს კომენტარები დამოუკიდე-ბელი სახით ერთვის იმ ჰომილიებს, რომელთა კომენტარსაც ისინი წარმოად-გენენ.

გრიგოლ ოშეელს ეკუთვნის Or 27-ის კომენტარი — „თარგმანებად ზემო-შერილთა მათ რიცხუეულთა ძნიად გულისჯმისსაყოფელთა სიტყუათად“.

დავით ტბელს — Or 9-ის კომენტარი: „თარგმანებად ძნიად გულისჯმისსა-ყოფელთა სიტყუათად“.

ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია Or 38 და Or 43-ის მაქსიმე აღმსარებ-ლისეული კომენტარები. ასევე კომენტარები ახლავს მის მიერ თარგმნილ Or 39-სა და Or 48-ს სათაურით: „თარგმანებად ძნიად გულისჯმისსაყოფელთა სიტ-ყუათად“.

მტრივად, ეფთვიმე მთაწმიდელს სულ ოთხი ჰომილის კომენტარი აქვს თარგმნილი. მაგრამ ეს არ ნიშანავს იმას, რომ მისთვის უცნობი იყო ნაზიანზე-ლის ჰომილიათა სხვა კომენტარები.

<sup>3</sup> Hellénisme et christianisme saint Grégoire de Nazianz et son temps, par E. Fleury, Paris, 1930, ვ. 84—87.

<sup>4</sup> I. Sadiak, Historia critica scholastorum et commentatorum Gregorii Nazianzeni, p. I. Cracoviae, 1914.

<sup>5</sup> მტრივად დაწყებულია ნაზიანზელის ჰომილიათა კომენტარების ქართული თარგმანების შესწოვლისა და პუბლიკაციის საქმე, რომელსაც ახორციელებს ხელნაწილთა ინსტიტუტის მეც-ნობრ თანამშერმებელი თ. ოთხმეტესტ.

<sup>6</sup> თ. ბრევგარე, გრიგოლ ნაზიანზელის თხსულებათა შემცველ ქართულ ხელნაწილთა აღწერილობა, თბ., 1988, ვ. 58—60.

იმ ფაქტზე, რომ ეფთვიმე იცნობდა ბერძენ კომენტატორთა შრომებს და გამოყენებულიც აქვს თავის თარგმანებში, მიგვანიშნებს ეფრემ მცირის სიტყვები: „რომელიმე თარგმანთაგანიცა წმიდისა სიტყუათა შინა განეხავა“, და კადეც: „ზედადართული ყოველი და თარგმნისაგან ჩართული დაუტეო“ ციტატის მიხედვით ჩანს, რომ ეფრემი გულისხმობს ორი ხასიათის ჩამატებას, რომელიც ეფთვიმეს თავის ტექსტებში ჩაურთავს: ერთია „თარგმანთაგანი“ და მეორე — „ზედადართული“.

ამ სიტყვებში უნდა იგულისხმებოდეს ეფთვიმეს ორნაირი გავრცობა-ჩამატება: ერთი, მისი საკუთარი ნაზრევი და მეორე, გარკვეული წყაროებიდან აღებული. ამ ეტაპზე ძნელია, გამიჯნო, რომელს გულისხმობს „თარგმანთაგანი“ და რომელს — „ზედადართული“. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი აშეარად ბერძნულ კომენტარებზე ანუ „თარგმანებაზე“ რომ მიუთითებს, დაადასტურა ეფ-თვიმეს გული ტექსტების შესწავლი.

ეფრემ მცირის მითითება იმის შესახებ, რომ ეფთვიმემ „თარგმანთაგანი“ (რომელიც ჩვენი აზრით, კომენტარებს უნდა ნიშნავდეს), თავის ტექსტში ჩართო, ცხადია, ნებისმიერ მკვლევარს იღუძრავდა სურვილს, ეფთვიმეს თარგმანის გავრცობილ ადგილებში ეძებნა ისინი. ჩვენც ეფრემ მცირის მითითებით ვიხელმძღვანელეთ.

ეფთვიმეს ტექსტში დადასტურებული ყველა მეტობა შევუდარეთ იმ კო-შენტარებს, რომლებიც არშიებზე ახლავს ეფრემის თარგმანებს. აღმოჩნდა, რომ ეფთვიმეს ტექსტის ზოგიერთი გავრცობილი ადგილის წყარო ეს კომენტარებია. ეფთვიმე მთაწმიდელი ტექსტის ზოგი ადგილის განმარტებას, ინტორმაციას აღნიშნული კომენტარებიდან იღებს.

კომენტარებით სარგებლობა განსაკუთრებით საგრძნობია იმ შემთხვევებში, როცა ეფთვიმეს ტექსტში, ჰომილის ბერძნული ორიგინალისა და ეფრემის თარგმნისაგნ განსხვავებით, ჩართულია ისტორიული პირების — ცეცეცებისა და ერესიარქების სახელები.

გრიგოლ ნაზიანელის პროზის სტილის თავისებურებად სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტიც არის მითითებული: გრიგოლი მეორე სოფისტიკური სკოლის სტილის შესაბამისად, რიტორიკის წესების მიხედვით, საკუთარ სახელებს ხშირად პერიფრაზით, ზოგადი მითითებით გადმოვცემს, იგი არ ასახელებს ამ ისტორიულ პირებს<sup>97</sup>.

აღნიშნულ ადგილებში ეფრემ მცირე ზუსტად იმეორებს ბერძნული ორავინანდის წაკითხვას. ხოლო ეფთვიმეს თარგმანში დროდადრო დასახელებულია ის ისტორიული პირი, რომელიც ბერძნულ ორიგინალსა და ეფრემის თარგმანში ან რაიმე ეპითეტით არის მოხსენებული, ან იგულისხმება მთლიანი კონტექსტის მიხედვით.

რე: „გამოჩნდეს... თეოფილე პინდოდ და აეტი და ევნუმი, რომელთაცა კელოვნებად უშესებისად შემზადეს“

ყ: „მითუალეს რა და სხუათაცა სენი მისი, დაპხადეს კელოვნება (XIII, 63)<sup>98</sup>.

<sup>97</sup> Grégoire de Nazianze, Discours 20—23, par I. Mossay, Sours Chrétien, 270, Paris, 1980, გვ. 128 (სქოლი).

<sup>98</sup> ც-თი აღნიშნულია ეფთვიმე მთაწმილის თარგმანი, ყ-თი—ეფრემ მცირისა..

<sup>99</sup> რომაული ტიტრი მიუთითებს ბერძნული გამოცემის პარაგრაფებს, (Migne, PG, 35), ხოლო აზაბული ამ პარაგრაფის შიგნით ქართული ტექსტის მუხლებს.

ის, რაც ეფრემის თარგმანში მითითებულია სიტყვით, „სხუათაცქ“, უძურვებ  
შეს თარგმანში შეცვლილია კონკრეტული ისტორიული პირების დასახელებით,  
„თეოფილე პინდომ და ეტი და ევნუმი“.

საიდან განხნდა ეს ანთროპონიმები ეფთვიმეს თარგმანში? ამ ადგილას  
ცფრემის თარგმანს ახლავს მის მიერ თარგმნილი ბერძენი ავტორის კომენტა-  
რი, რომელიც ეფრემის ტექსტის არშიაზე წერია: „თეოფილე პინდომისათვეს  
იტყვს და ეტის და ევნუმისა, უმსგავსობის მეტყულათა“ (A 109, 126v)<sup>10</sup>.

სრულად ნათელია ანალოგია ეფთვიმეს თარგმანის მეტობასა და ამ ად-  
გილის ბერძნულ კომენტარს შორის. ეფთვიმემ კომენტარებში არსებული ის-  
ტორიული პირების სახელები შიგ ტექსტში ჩართო.

ც: „მიიცვალა ცხორებისა ამისგან შეფე კოსტანტი“

ყ: „იცვალა ცხორებისაგან“

ც: „მჯეცებრივისა მწყემსისა გორგისი“

ყ: „ღმრთისწინააღმდგომისა მწყემსისა“

ც: „ბოროტი და ხენეში ივლიანე“

ყ: „ბოროტად თავმდებელი“ [XXVI, 137]

ყველა ხაზგასმული საკუთარი სახელი (მეფე კოსტანტი, ერესიარხი გიორ-  
გი, იმპერატორი იულიანე), რომელიც ეფთვიმეს თარგმანში მეტია ორიგინა-  
ლისა და ეფრემის სათანადო ადგილებთან შედარებით, დასახელებულია ამ  
ადგილას დართულ კომენტარში, იხ. A 109, 133r.

ც: „შეესაკუთრა მარტივობასაცა მეფისა კოსტანტისა, რომელ იყო ძე  
დიდისა კოსტანტინები“

ყ: „შეესაკუთრა მეფისაცა სიმარტივესა“ [XXI, 107]

ამ ადგილის კომენტარში წერია: „აქა სისუბჟექტისათვის აბრალებს კოსტან-  
ტის ძესა დიდისა კოსტანტინები“, იხ. A 109, 130r.

ც: „წიგნი ღმრთისმსახურსა მას მეფესა ივბიმიანოსს მიუძლუანნა... მაშინ  
უვალრეს გამოჩნდა მეფე ივბიმიანე მეფისა კოსტანტისა“

ყ: „მეფესა მოართუა წერილი... მეფესა მეფე... განეშვობვოდის“  
[XXXIII, 180].

კომენტარში ორივე მეფე თავიანთი სახელებით არის მოხსენებული, რო-  
გორც არის ეფთვიმეს თარგმანში და არა ზოგადად მეფედ, როგორც არის  
ორიგინალსა და ეფრემის თარგმანში. იხ. A 109, 137r.

ც: „პირველი ბრძოლად შეემზადა ძნელი კაბადუკიელისა ვისგანმე გორგ  
წოდებულისა“

ყ: ერთსა უკუ კუეთებათა მათ უმძველესისა [XIV, 73].

ამ ადგილას ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ათანასე ალექსანდრიელმა პირ-  
ველი ბრძოლა, სხევბთან შედარებით უფრო მწვავე, მიიღო ერესიარხს გიორგი  
კაპადიუკიელისაგან. იგულისხმება ის ბრძოლა, რომელიც წარმოებდა ათანასე  
ალექსანდრიელსა და არიანელ ეპისკოპოს გიორგი კაპადიუკიელს შორის სამების  
ვეორე წევრის, ძე ლმერთის, ბუნებისა და პიბოსტასის საკოთხებზე. ეფრემ  
შცირის თარგმანში, ისევე როგორც ბერძნულ ორიგინალში, მთლიან კონ-  
ტექსტში იგულისხმება გიორგი კაპადიუკიელი, იგი დასახელებული არაა, მი-  
თითებულია ზოგადად, რომ ათანასეს ვილაცასთან პოლემიკა ჰქონდა. კომენ-  
ტარი განმარტებას იძლევა, რომ ამ ერესიარხის ქვეშ იგულისხმებათ გიორგი

<sup>10</sup> კომენტარებს ყველან კომენტარში A 109 ხელაწერის მიხედვით.

კაპადუკიელი. ეფთვიმე მთაწმიდელმა კომენტარის შენიშვნა ნაზიანზე დარექსტრი შეიტანა: „კაპადუკიელისა ვისგანმე გორგ წოდებულისა“.

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი ჰომილიათა ტექსტში ურთავს იმ ანთროპონიმებს, რომლებიც თვით გრიგოლის ბერძნულ ორიგინალში დასახელებული არა და მხოლოდ მათ კომენტარებშია მითითებული.

ჩვენს მიერ საანალიზოდ აღებულ ეფთვიმეს თარგმანში ერთადერთხელ დადასტურდა, რომ ანთროპონიმს ასახელებს ეფთვიმეს თარგმანის შემცველი ერთაღ-ერთი ნუსხა, კერძოდ, G ლიტერით აღნიშნული S 1696 ხელნაწერი.

ამ ადგილას ლაპარაკია ისევ არიანულ თუ ნახევრადარიანულ მწვალებლობაზე:

„ეს ყოველი ქმნა მეგობარიმან მან უკეთურისა ეშმაჭისამან“. ტექსტში, როგორც ბერძნულში, ისე ორსავე ქართულ თარგმანში, დასახელებული არაა, ასე ვისწერა ლაპარაკი, და აი, ეფთვიმეს თარგმანის შემცველ G ნუსხაში კიდევ არის მინაწერი: „გორგს იტყვს“. ცოტა ქვემოთ ტექსტში წერია: „ხოლო იკა კელისაბმყრობელ იყო თვისისა მის კრებულისა ოქროვთა“. იქვე G-ში მინაწერია: „ევსევის იტყვს ნიკომიდიელსა“.

ზუსტად ამ ადგილებში, A 109-ს კომენტარებში იგრივ იყითხება: „გორგს რტყეს, „ევსევის იტყვს ნიკომიდიელსა“, იხ. A 109, 130v.

ირკვევა, რომ ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანების შემცველ ქართულ ხელნაწერთაგან მხოლოდ G ნუსხა ეფთვიმეს თარგმანისა იმეორებს კომილიანების ანთროპონიმებს: გორგს და ევსევი ნიკომიდიელს. ეს ძალზე საყურადღებო ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რომ გრიგოლის პოულიის აღნიშნულ ადგილებში ნაგულისხმები ისტორიული პირების ვინობა საცილობელი ყოფილა ბიზანტინისტიკაში.

გ. მინის შენიშვნით, ზოგნი (იგულისხმება კომენტატორები) ამ ადგილას [XXI, 107—110] ევსებიოს ნიკომიდიელს გულისხმობები, ზოგნი კი ევსებიოს პატფილელ ეპისკოპოსს<sup>11</sup>. გ. გალეოც აღნიშნავს, რომ საცილობელია, თუ ვინ იგულისხმება პომილიის ამ ადგილას: ავაყი კესარიელი, ევსებიოს ნიკომიდიელი თუ ევსებიოს კესარიელი<sup>12</sup>.

ამჯრად ჩვენ ვერ გმოვუდგებით იმის კვლევას, თუ აზრთა ასეთი სხვა-დასხვაობის ვითარებაში რომელი მათგანი ასახავს ისტორიულ ჭეშმარიტებას. ეს ჩვენი ინტერესების სფეროს სცილდება.

ჩვენთვის მთავარი და საყურადღებო ისაა, რომ ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანის შემცველ G ნუსხაში პომილიის ტექსტში ჩართულია კომენტარებში გრიგოლ ნაზიანზელი პომილიის აღნიშნულ კონტექსტში ევსებიოს ნიკომიდიელს გულისხმობს. ცხადია, G ნუსხის წყარო ბერძენი ივ. ტორის კომენტარია. მაშასალამე, ეფთვიმე მთაწმიდლის გარდა, პომილიათა კომენტარებით ქართული ხელნაწერის გადამწერსაც უსარგებლია, ოღონდ განსხვავებით ეფთვიმესაგან, რომელიც შეიგ ტექსტში რთავდა კომენტარებიდან აღებულ ცნობას ამა თუ იმ ისტორიული პირის შესახებ,

<sup>11</sup> G. Migne, PG 35, col. 1106 (სქოლო).

<sup>12</sup> Grégoire de Nazianze, Discours 20—23, par I. Mossay, Sources Chrétiennes, 270, Paris, 1980, გვ. 154 (სქოლო).

ც ნუსხის გადამწერმა, ან რედაქტორმა არშიაზე მიუთითა კომენტარიზე და ბული ანთროპონომი.

გარდა ანთროპონიმებისა, ეფთვიმეს თარგმანში გაერცობილია ის ადგილები, სადაც რაიმე ოეოლოგიური დოქტრინის შემცველი აზრია გატარებული, ან რომელიმე ერესის არსია განხილული. მაშინ, როცა ეფრემ მცირე ბერძნული ორიგინალის ანალოგით მხოლოდ ასახელებს, მოკლედ, შეკუმშულად აღნიშვნას დაქტს, ეფთვიმე მთაშმიდელი საკმაოდ კრიულად მსჯელობს ამ ფაქტის არსებით ხასიათზე, მის შინაარსს განმარტავს, გაშლის. ყოველ ცალკეულ შესტევევაში ძნელია იმის დადგენა, ეფთვიმე თვითონ ივრცობს ამ ადგილებს, საკუთარ აზრებს გადმოსცემს, თუ იგი რაღაც სხვა წყაროთი სარგებლობს.

რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა იმისა, როცა ამ ხასიათის გაერცობაც ეფთვიმეს ბერძნული კომენტარების მიხედვით უწარმოებია. კომენტარის ტექსტს ეფთვიმე გარკვეული პერიფრაზირებით ჩართავს ჰომილის ტექსტში.

ერთ ადგილას [XX, 64] ლაპარაკია სექსტ ემპირიკოსისა და პირონ ფილოსოფოსების მსოფლმხედველობაზე. სექსტ ემპირიკოსსა და პირონს ურთიერთ საწინააღმდეგო გნოსეოლოგიური შეხედულებები შექნდათ სამყაროს არსებობისა და მისი შეცნობის შესაძლებლობის შესახებ. პირონი უარყოფდა სამყაროს გონების ძალით წვდომის შესაძლებლობას, სექსტ ემპირიკოსი საწინააღმდეგო აზრს ავითარებდა. ეფთვიმეს თარგმანში კვითხულობთ:

„მარტივი იგი და პატიოსანი სიტყუად სარწმუნოებისად საწადელ იყო და ღრმულისმასურება ჭეშმარიტ ეწოდებოდა. ვინათოგან კულა სექსტოს და პირონისებრ წარმართთა ფილოსოფოსთა, რომელთაგანი ერთი იგი იტყოდა, თუ ცოცელნი საქმენი, რაოდენ არიან, სოფელსა შინა მიუწოდებოდა არიან და გამოუყოლეველ. მეორე იგი იტყოდა, ვითარმედ: ყოველნივე, რაცცა არიან, უწყებულ არიან და ცხად არს ცნობად მათი. და ამას პირსა ზედა მარადის ურთიერთა უკლებოლეს და ებრძოდეს. ვინათოგან ჩუენ შორისცა შემოერია ესევითარი საცოტო და ენანი იგი წინააღმდეგომნი, ვითარცა სენი რამე ბოროტი და ძრისურახება მავნებელი ეკლესიათა შეუქდეს.“

იგვე აზრი ეფრემის თარგმანში გაცილებით მოკლედ იყითხება:

„ხოლო მარტივი და აზნაურებითი სიტყუად კეთილმსახურებად შერაცხილ იყო. ვინათოგან უკუე სექსტონი და პირონნი და წინააღმდეგომი ენად, ვითარცა სენი რამე მძვნევარე და პავიტულებად, ეკლესიათა ჩუენთა შემოიხრწნეს.“

ბერძნულ ორიგინალში ზუსტად ისე იყითხება, როგორც ეფრემის თარგმანში. ეფთვიმეს თარგმანში მეტია ფრაზები, რომლებშიც სექსტ ემპირიკოსისა და პიროსის შეხედულებებია განხილული; მეტია ის ფრაზაც, რომ ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ; მეტია ფრაზა, რომ ჩუენ შორისაც შემოერია მათი მსგავსი საცოტოებაო.

შეიძლებოდა გვეიფრა, რომ უკანასკნელი აზრი: ჩვენს შორისაც შემოერია მათი მსგავსი საცოტოი — ეფთვიმეს შეეძლო ეთქვა. მაგრამ ბერძნული დედნისა და ეფრემის თარგმანის მომდევნო სიტყვები: „ეკლესიათა ჩუენთა შემოიხრწნეს“ — უეჭველს ხდის, რომ აქ „ჩუენი“ ეფრემის სიტყვა არაა და მის ქვეშ ქართველები კი არ იგულისხმებიან, არამედ გრივოლ ნაზიანზელი გიზანტის მართლმადიდებელ ეკლესიას გულისხმობს.

მთლიანად, ეფთვიმე მთაშმიდლის კრიული ტექსტი ამ ადგილას იმეორებს იმას, რაც ზედდართულ კომენტარშია. იხ. A 109, 126r.

ერთგან ვრცელი მსჯელობაა სამების წევრთა ბუნებისა და პიპოსტასების შესახებ.

ც: „ესენი იტყოდეს სამთა გუამთა და ერთსა არსებასა. შათ სახელი გუამთა თა არა აქუნდა ენასა მათსა და იტყოდეს სამთა გუამთა წილ სამთა პირთა — ერთარსებასა და ერთსა ბუნებასა ღმრთებისასა, და არცა ერთი რა იყო წვალებად მათ შორის. ამისთვიცა გონიერმან მან და სარწმუნომან მონამან ღმრთისამან ცილობად მათი განაქარვა და სარწმუნოებად მათი შეართო, ერთი ურიცხუნი ერთობად და სიუჟარულად მოიყვანნა“.

კ: „ესე გრძელთა მათ ღუაწლთა და სიტყუათა უსრულეს არს, რაოდენთა, ამა, ეგერა ყოველნი სიტყვისმწერლობენ, რომელთა პატივისმოყუარებაც არა რამე თანაშეულლებულ და ნუუკუე და ამისთვის გარდაერევიან რასმე სიტყუათათვს“ [XXVI, 193].

აღნიშნულ კონტექსტში ბერძნულ ორიგინალსა და ეფრემის თარგმანში ძალზე ლაკონურად, პირდაპირი მითითების გარეშე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მავანნი და მავანი, პატივისმოყუარეობას აყოლილნ პირნ, სიტყვისმწერლობენ და სიტყვების გამო ედავებინ ერთმანეთს. თუ რა სიტყვები იგულისხმება ნაზიანზელის ფრაზაში, განმარტებულია ეფთვიმეს თარგმანში. ესენია: არსება და გვამი. ეფთვიმეს ტექსტში ასეთი აზრია: ესენი მმბობენ სამ გვამს და ერთ ბუნებას, ხოლო იმათ გვამის სახელწოდება არ ჰქონდათ. ამიტომ ისინი სამი გვამის ნაცვლად მმბობენ სამ პირს — ღმრთების ერთარსებას და ერთ პუნებას. არც ამათ სიტყვებში არის რაიმე მწვალებლური და არც იმათ სიტყვებში. ამიტომ გონიერმა და სანდო მამამ მათი პაექრობა დააცხრო და ორივე სარწმუნოება გაერთიანა.

ვინ არიან ესენი და ისინი? და საერთოდ რაზეა საუბარი აღნიშნულ კონტექსტში? ამ ადგილას ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ათანასე ალექსანდრიელმა დიდი როლი ითმაშა აღმოსავლეთის ეკლესიისა და დასავლეთის ორთოდოქსიის შერიცების საქმეში. საქმე იმაში იყო, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა შორის სხვაობა ერთარსება სამების ღოქტრინალურ გაგებაში აღმოცენებული იყო წმინდა ენობრივ-ტერმინოლოგიურ ნიადაგზე და არა სარწმუნოებრივ უთანხმოებაზე. როგორც გრიგოლ ნაზიანზელი წენიშნავს, დასავლეთის ორთოდოქსის „გვამის“ ცნების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი არ ჰქონდა და ამიტომ პრეცესი ცნებისთვის იყენებდნენ ტერმინი „პირს“ — პრეცესი, რაც დიდ გაურკვევლობას ბადებდა და დავის საგანი იყო, რადგან „პირში“ შესაძლოა არსებაც დაენახათ და ამდენად, გვამი და არსება არ იქნებოდა სათანადოდ გამიგნული. ათანასე ალექსანდრიელი ჩარეცალა ამ დავაში, იგი შეეცადა ორივე მოპავჭრე მხარისათვის დაემტკიცებინა, რომ გაუგებრობის მიზეზი მხოლოდდამხოლოდ ტექნიკურ-ტერმინოლოგიურ აღნიშვნაში მდგომარეობდა.

ეს ვრცელი განმარტებითი ხასიათის ტექსტი ეფთვიმეს თარგმანის მეტობას წარმოადგენს. მისი გაცნობის გარეშე ეფრემის თარგმანისა და ბერძნული ორიგინალის შესაბამისი ადგილის გაგება გაგვიჭირდებოდა. გაირკვა, რომ ეს შეტობა ეფთვიმეს არ ეკუთვნის, ანალოგიური შინაარსის ტექსტი დასტურდება ამ ადგილას არსებულ კომენტარში, ე. ი. რომელიღაც ბერძენ კომენტარს განუმარტავს პომილის ეს ადგილი და ეფთვიმეს ამ კომენტარით უსარგებლია. იხ. A 109, 138r.

ეფთვიმეს თარგმანში ერთგან მეტია მთელი მუხლი (II, 5). ამ ადგილას ლაპარაკია არიანულ ერესზე, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დარ-

ლევაულია ძე ღმერთის მამასთან ერთარსებობის დოგმა. ეს ტექსტიც უდაცირკუ-  
დება ამ ადგილის კომენტარში, იხ. A 109, 131г.

და კიდევ,

„არამედ უძვრესი ესე იყო, რომელ ყუედრებდესცა და არა განახეს“  
[90]. შედრ. კომენტარი: „ესე იყო უძვრესი, რამეთუ ნუგეშინისცემად...“ A 109,  
128v. ეფუფიმეს თარგმანის მეტობა (ხაზგასმული სიტყვები) და ამ ადგილის  
კომენტარი ერთიდაიმავე სიტყვებით იწყება.

ჩვენს მიერ განხილული მასალის საფუძველზე ნათლად გამოვლინდა, რომ  
ეფუფიმე მთაწმიდელი ჰომილიათა თარგმნისას კომენტარებითაც სარგებლობ-  
და და გრიგოლის ჰომილის ტექსტს მათგან აღებული განმარტებებით ვერ-  
ცობდა.

ამრიცად, ნაზიანელის ჰომილის საფუძველზე კიდევ ერთხელ დადას-  
ტურდა ეფუფიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნის პროცესში დამატებითი შეართ-  
ებით სარგებლობის ფაქტი.

М. А. РАПАВА

## К ПОНИМАНИЮ КОММЕНТАРИЕВ («targmantagani» И «zedadartuli») К ГОМИЛИЯМ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА ПО ПЕРЕВОДУ ЕФИМИЯ МТАЦМИНДЕЛИ

### Резюме

Основываясь на результаты изучения грузинских переводов гомилий Григория Назианзина, в статье дана попытка выявления одной специфики перевода Ефимия Мтацминдели.

Сличение грузинских переводов с греческим оригиналом дало возможность уточнить смысл слов *targmantagani* и *zedadartuli*, употребленных Ефремом Мцире при характеристике переводов Евфимия Мтацминдели. Выяснилось, что под этими словами подразумеваются вставки, которые были внесены Ефимием в текст, с целью пояснения некоторых труднопонимаемых мест оригинала.

Часть этих вставок принадлежит переводчику, другая же — заимствована им из других источников, в частности из комментариев греческих авторов.

## ჩითებან გაზარაჟვილი

### გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია წარმოადგენს გრიგოლის გნომური ოთხმცულების (გამოისაზრისთვის — PG 37, c. 1, 2, n. 33, col. 927) ნიკიტა პაფლალონელისეული ვრცელი კომენტარების მიხედვით შედგენილ მოკლე განმარტებებს (ქართული ტექსტი ბერძნულის მესამედია)<sup>2</sup>. ეს „თარგმანება“, ისევე როგორც საერთოდ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური ქართული თარგმანი, მოღწეულია მხოლოდ XVIII—XIX სს. ხელნაწერებით (S 2568, C9 (ს. პეტერბურგის დღმოსავლეთ-ცოდნეობის ინსტრუმეტი), H 1737, S 348, S 379). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა<sup>3</sup>. ოთხტავპედის ანონიმურ თარგმანს ეფრემ მცირის მიერ გრიგოლის ლექსისაგან შედგენილ „ასეულ იაბიკოსთან“ მიმართებაში მოკლედ შეეხო ე. ნიკოლაძე. მათ შემთხვევაში მან აღნიშნა, რომ ოთხტავპედი კომენტარებითურთ ზედმიშვენით, სიტყვასიტყვითი თარგმანის გამო შესრულებული უნდა ყოფილიყო პეტერბულ სალიტერატურო სკოლაში და დაასახელა სავარაუდო მთარგმნელიც — პეტრე ჯელათელი. ქვევე იგი მოკლედ შეეხო ოთხტავპედის განმარტებებს და აღნიშნა, რომ იგი ბერძნულთან შედარებით შემოკლებული და პარაფრაზირებულია. სპეციალურად კი მას ბერძნულისათვის არ შეუდარებია და სტილისტური თვალსაზრისით არ შეუსწავლია იგი. გარდა ამისა, ე. ნიკოლაძისათვის ცნობილი იყო მხოლოდ ორი გვიანდელი და ყველაზე უმნიშვნელო ხელნაწერი: S 348 და S 379<sup>4</sup>. ოთხტავპედი კომენტარებითურთ აღმოჩნდა კიდევ სამ უფრო მნიშვნელოვანი გვიანდელი გვარის გვარების შემთხვევაში (XII ს. — ის. ნიკიტა კომენტარებთან ერთად — Venet. 1563), ზოგი მონაცემით კი — ნიკოლაოს დოქსომატროს (XII ს.). ის. ლიტერატურა მის შესახებ: ქ. ბეზარა აშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ეკრანიზაცია (ეფორმე ათონელის „სწავლითი სულიერნი“), შენიშვნა 3. მრავალთავი, XVI, 1991, გვ. 59.

<sup>2</sup> ეს მხრივ კომენტარების ანონიმური ვერსია უფორმი ათონელის განმილული ვერსიის მსგავსია (განსხვავებით ეფრემ მცირის ვერსიისაგან — ის. კრ. „გულანი“, თბ., 1989, გვ. 116—159).

<sup>3</sup> ოთხტავპედის თარგმანების ეტორს — ნიკიტა პაფლალონელს კ. კეკელიძე აქტე ნიკიტა სერონელათნ აგილებს (ძევლი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 613. უცხო ავტორები... ერთიანები, V, გვ. 38) K. Krummbacher-ის Geschichte der byzantinischen Literatur-ის (I, გვ. 137, 211) მიხედვით. ნიკიტა პაფლალონელისა და სერონელის ზოგიერთ ლიტერატურში გაიგივებიათ თუ სხვადასხვაობის შესახებ ის. ზემოთ დასახ. შრომები: ეფთვამე ათონელის ვერსიაზე (შემ. 19, 30), ეფრემ მცირის ვერსიაზე (შემ. 35).

<sup>4</sup> ე. ნიკოლაოს ეტორს — ეფრემ მცირე — მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959, გვ. 49—57. მითავ გამოიცველია მ. ხელნაწერების გადამწერთა შეცდომების მთარგმნელისადმი მიკუთვნება მკვლევარის მიერ (იქვე, გვ. 52. უკავშირობა — განსტრუმენტ თუ (S 2568/განსტრუმენტი თუ (S 348, S 379). ოთხტ. 2.6—7).



წელოვან ხელნაშერმი: S 2568, C 9, S 1737. იმ ტექსტს ნაკლულად მიჰყავთ მას  
დ. ნიკოლაძე<sup>5</sup>. დაკლებული სტროფები კომენტარებითურთ ფურცელთა აღ-  
რევის შედეგად ჩართული აღმოჩნდა გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონი-  
შურ თარგმანთან მოთავსებულ ითან სინელის „კლემაქსის“ გალექსილ უცნობ  
რედაქციაში. ფურცელთა აღრევა S 2568-დან მომდინარეობს და ექვედან პე-  
ტრიშული სკოლის ტექსტი სკოლი სახით გადავიდა სხვა ხელნაშერმებშიც.

ნიკიტასეული კომენტარების ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარებისას  
ჰეტად არაერთგვაროვანი სურათი წარმოჩნდა<sup>6</sup>. დავიწყოთ ჯერ სათაურით.  
შერძნული ტექსტის სათაურში, ბუნებრივია, მოხსენიებულია ავტორი და  
ოთხშულება, რომელსაც განმარტება ეძღვნება. ავტორის მოხსენებას ქართულ  
თარგმანში მხოლოდ ტექსტის დასასრულს ვხვდებით: *თუ ასთა N : ჯრა თა  
ჯრა და ასთა გურა ხრისთ თუ მ : ია დი ერთეულია თუ თევრათევ  
თუ ავს გრეგორი თუ მეოლერო... „შეწევნითა ღმრთისათა დასასრული ოთხ-  
მუკლთა ღმრთისმეტყუელისათა ა. ხოლო არს ფრიად სარგებლიანი თარ-  
გმანებად სწავლანთა ოთხმუკლთა ღმრთისმეტყუელისათა ნიკიტა პაფ-  
ლალონე ლისა ამ.*

ამგვარად, ქართული დასასრულიდან ჩანს, რომ ქართველი მთარგმნელი  
ცენობს ნიკიტას კომენტარს. გარდა ამისა, მას ხელთ უნდა ჰქონოდა ისეთი  
ბერძნული ტექსტი ოთხტავებისა, რომელსაც თან ახლდა ნიკიტას კომენტა-  
რები ყოველი სტროფის შემდეგ ისე როგორც ეს ე. დრონქეს გამოცემაში  
არის წარმოდგენილი<sup>7</sup> (შდრ. ითან პეტრიშის განმარტებანი — ტექსტი, კო-  
მენტარი; ტექსტი, კომენტარი). როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ და როგორც  
ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცნობილი, ნიკიტას კომენტარები  
ქართულად შემოკლებული და პარაფრაზირებულია. ე. ნიკოლაძე ამის ცხად-  
სოფს ერთი ტიპიური მაგალითით (იხ. ქვემოთ გვ. 95), რაც სრულიად სკ-  
მარისია ოთხშულების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ ჩვენ მა-  
ინც ვეცდებით უფრო დაწვრილებით განვიხილოთ კომენტარების ტექსტე-  
ბი, წარმოვადგინოთ ბერძნულ-ქართულ ტექსტთა მიმართების ცალკეული  
შემთხვევები და ვაჩვენოთ, თუ როგორ სარგებლობს ქართველი მთარგმნე-  
ლი ბერძნული ტექსტით. ბერძნულ-ქართულ კომენტართა მოცულობაში:  
რამე თანაფარდობა დაცული არ არის. მაგ., ბერძნულში ყველაზე პრცელი  
კომენტარი 53-ე სტროფისა ქართულად ყველაზე მოკლედა გადმოცემული-  
ამგვარად, ქართველი მთარგმნელი სიტყვასიტყვით კი არ მისდევს ნიკიტას  
ტექსტს ანდა ამოკლებს მას, არამედ მხოლოდ იყენებს მას და ქმნის თითქმის  
დამოუკიდებელ კომენტარებს. მაგრამ მასში, ასე თუ ისე, მაინც ჩანს ნიკი-  
ტასეული ტექსტის კვალი, არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვებში და ფრაზების

<sup>5</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>6</sup> იხ. ქ. ბერძნარაშვილი. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ შეტარებაში,  
მაცნე<sup>8</sup>, ელს. 1986, № 3, გვ. 91.

<sup>7</sup> შეარგებლობთ ე. დრონქეს გმოცემით: S. Gregorii Nazianzeni carmina selecta. Accedit Nicetae Davidis paraphrasis... cura E. Drönke. Gottingae. 1840, p. 131—188. ქარ-  
თული ტექსტი მოყვანილია S—2568 ხელნაშერმის მხედვებით: 38r—40r, 72r—v, 40r—49r.

<sup>8</sup> E. Drönke-სა და G. P. Migne-ს გმოცემებში გამოცემებულია codex bibliothecae  
Cusanae (იხ. აქვე სხვა ხელნაშერმა და გამოცემათა მიმოხილვა—E. Drönke, დასახ. გმოც.  
გვ. III—X; PG 38, col. 681—686).

დამთხვევაში, არამედ იმაშიც, რომ მთარგმნელს ნიკიტას ული ტექსტი მთლიანი მიზანისად აქვს გააზრებული და ზოგიერთ ტერმინს ხმარობს მისგან გამომდინარე, შაგ, „....მათ შეპრისხას მამა დუ მი ლა დ, ხოლო გარეშე სიტყვასაც მოქმედთა სათნოებისათა შეიწყნარებს“ (ოთხტ. 6 კომ.) — ... ასები ჩა თ ა შ ა ფ ა შ, ფრანს ე შეის ბენარების... (თერ. 4 ერთოვენა).

ქართული ტექსტი უფრო ბერძნულისაგან გამოკრებილის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არა ყოველთვის<sup>9</sup>. ტიპიური ნიმუში ამგვარი შემოკლებისა არის 42-ე სტროფის კომენტარი, რომლის ბერძნულ ტექსტშიც ბოროტებისა და სათნოების ჩამოთვლა უფრო ვრცელია თავისი განმარტებებით. მოვიყანთ ბერძნული კომენტარის ჩვენებულ თარგმანს და პარალელურად ინონიმურ ქართულ ტექსტს: ამბობენ, რომ ძირითადად ოთხია უგნუნურების, გონების შემეცნების, უარესისკენ მიღრების და შეცომის სახე: სხეულთა ტრფილება, ძეწიერი, თავშეუკავებელი და უგონი; სიმთვრალე და სხა და მასთან ერთად ღმოლუსკელი შერი, რომელიც არის რისხების აღგზნება და ბორგვა. რამდენადაც შეტად უკუცვაგდებთ კეთილს, იდენად შევიკვრით ეშმაკი, რომელიც მოსწრავეობს და იდუმალ იტაცებს (აცდუნებს) გონებას, თავს ესხმის მას და ართმევს შართალ სიტყვას. რა არის ამათი წამალი და კურნება? სხეულის გვემა, მარხვა და მღვიძარება უკიდურესობამდე, გამულმებული ლოცვა და ხელაპყრობა უფლის მიმართ, ცრემლი, წმინდა და უბრიზ გულითადობისა და სინაულისა, დადგნილი თვალთაგან. ესენია ჩემი ავადმყოფობის წამლები, ხსნა, და გულის სიბირეთაგან დაცვის საშუალებანი. შდრ., ოთხტ. 42 კომ.: „სწორად თქუნა სიბოროტისა სახენი მბრძოლინი: მთრვალობამ, შერი და ტრფიალებად და თვთივი ეშმაკეულებამ, რომელთა კურნებად და წამლი აჩსო. — იტყვის: ლოცვაა და მარხვა და მდინარე ცრემლთა, რამეთუ ეს არს კურნებად ამათ ვნებათავ“. შდრ. თავად ოთხტაცედის ტექსტი: „სიტრფე, მთრვალობა, შერი — სწორ და ეშმაკი // სარა მივიღე, წარჩლუნიან გონებასა // . მარხვა და ლოცვა, ცრემლი — წამალ ამათდა // ეს კურნებად უწყი ჩემთა სენათვეს“.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ტიპიურ მაგალითს (ე. ნიკოლაძის დისერტაციიდან) — 1 სტროფის კომენტარი: კიბის ორი საფეხურიდან, რომლებსაც ავყავართ გინებით ღმერთთან, ვერც ერთს ვერ მივცემთ უპირატესობას — ორივე მათგანს სკირდება ერთმანეთის დახმარება. საქმეს მივყავართ კვრეტისკენ და კვრეტა საქმის ფუძეა. ვერ გახდები სრულყოფილი, თუ შენ არ ხარ საქმით სრული, მაგრამ ყველა წმიდა კაცი ვერ განთქმული არიეთი. კვრეტა სრულყოფილთა საქმეა, მაგრამ საქმით განწყობილიც გამზღვარან ღვთაების ღირსი. საქმე მრავალთა და კვრეტა სრულთა ერთნაირად აღწევს მიზანს. ღვთისათვეს ორივეა სათნო და სასიმონო და ორივეს გააჩნია მაღალი დანიშნულება. კველა თავისი მოღვაწეობით ვერ მიაღწევს იმ საფეხურს, რომ ერთნაირად ერგოთ წყალობა, მაგრამ ერთიც და მეორეც მას მიაქცევს ყურადღებას, რომლის კენაც უფრო მეტი მისწრაფება აქვს. რასაც უფრო მეტად ელტვი, იმისკენ შეიქცევი — საქმე იქნება, თუ კვრეტა<sup>10</sup>. შდრ. ოთხტ. 1 კომ.: „მრჩობლნივი ვიღრემე არიან თანად ხედვა და საქმე, საბელნი და საყუარელნი, გარნა თვო-

<sup>9</sup> აქ შეიძლება გაჩნდეს ორი ვარაუდი: შესაძლოა, თავად მთარგმენტი მოკლებდა ცალკეულ კომენტარულ თხრობებს და ასე გადასჭირდა ქრონიკაზე ანდა ხელო პერნდა მოკლე ძეგლნული რეადცეცა. მაგრამ ამგვარი შედეგენილობის შემოკლებული ბერძნული წყარო ჯერეგიობით არაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურში.

<sup>10</sup> ე. ნიკოლაძე კრებული, მცირე როგორც მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან გართულ ენაზე მთარგმნელი, სადისერტაციო ნიშრომი, თბ., 1956, გვ. 67—68.



თოვეულნი, რადგაცა მიმართ მარჯუე იყოს, მას შეუდეგინ“. შდრ. თავისტული ტექსტი: „საქმეს პატივ-ეც პირველ, ვიღრე ხედვასა//. ხედვას სრულ-ია// საქმე, ხოლო იგი მრავალთა//მარჯუე ვიღრემე და საყუარელ მრჩობლნი-ვი//გარნა რომლისადმი ხარ შეე, ისრბე უმეტეს“.

ასევე ოთხტ. 21-ე და 25-ე სტროფების კომენტარები თითქმის მთლიანად ემთხვევა ნიკიტასეულ ბერძნულ ტექსტს, მხოლოდ უფრო შემოკლებული ფრაზებით:

„შეენირებაა კეთილ არს, გონებისა შექმობილებაა, არა მხატვართა, გინა მეძავთა დედათა მიერი დახატულებაა, რომელნი განლეულნი უჩინო-იქმნებიან, არამედ უფროსსლა იგი, რომელი იცნობების თუალითა გონებისა წმიდისათა, ესე იგი არს ხედვითა და კუალად ეგრეთვე უშეერებად ჰგონე უმქობელობაა და უწურთელობაა გონებისა“ (ოთხტ. 21 კომ.).

... κάλλος γάρ ἀληθικός καὶ κυρίως καὶ ἔστι καὶ ἀνδρασταῖς ἡ εὐκοσμία τῶν φρενῶν... καὶ ἡ εὐπρέπεια τοῦ νοῦ. ἀλλ' οὐ τοῦτο κυρίως ἢ ἀνομασθείη κάλλος, διὸ καὶ ἀνθρώπου διαιρράφωσιν ἡ διατυποῦσι—φθαρτὸν γάρ—ἀλλ' οὐδὲ ὅ φύσις ἐμόρφωσεν ἡ διέπλασε—μητέρόν γάρ καὶ εὐπάραντον, χρόνῳ λιθένον καὶ εἰς κοδιν ἀπαντίζομενον—εὖδος διπερ ὁφιταλμὸς γηρενοῦς διὰ ἐξωθεν ῥέπων διαχρίνει ὃς καλέν, ἀλλ' διπερ σάφοντις νοῦ θεωρίᾳ πιεθίματι φωτικῷ ἐνῷ θεῖψι κατανοεῖται καὶ γνωρίζεται..... ἀνωμαλία τῶν μελῶν τοῦ σωματος, ἀλλ' ἐν τῇ τῆς διανοίας ἀκαταστατίᾳ καὶ ἀφροσίνῃ κριθήσεται τοῦ νοῦ.

ზოგჯერ ბერძნულ-ქართულ ტექსტთა მხოლოდ დასაწყისები თანხვდება ერთმანეთს (რა თქმა უნდა, ისევ პერიფრაზირებული), მაგ., ოთხტ. 55, კომ.:

„შეპრაცხე ბედნიერობისა და წარმართებულებისაგან უმტკიცეს ყოფად და უუცომელეს გონიერებისამ, რამეთუ ბედნიერობაა მოლება რამებ არს ჭდვილი საქმისაგან, ხოლო გონიერებაა საპესა მიემსგავსების, კეთილად მმართებელსა ნავისასა, რომლისათვესცა ნურარაა შეგირაცხის ცხორებასა ამას შინა უწენებეს-ყოფად გონიერებისა“.

Τόχη μὲν τὸ αὐτομάτως οὕτως καὶ λόγῳ χωρὶς συμβιτῶν ἐπεκλήθη, φρόνησις δὲ τὸ μετὰ λόγου ὄρθιος καὶ συνέτεις γινόμενον, ἐν ᾧ καθίπερ πλοῖον ἐν θαλάσσῃ τῷ οἴκῳ πηδαλιουχεῖται καὶ τῷ λιμένι προσορμίζεται, οὗτος ὁ νοῆς ἐν -ῃ φρονήσις τὰ ἔθη διακιβερνῶν τῆς θυγῆς καὶ οἰκιζων πρᾶς τὸν ἄνω λιμένα κατευθίνετ.... τόχη καὶ τῇ κούφῃ .... οὐδὲν τε οίκο-δομάς..... εἰπεῖν

ზოგჯერ ბერძნული კომენტარის დასაწყის-დასასრულს ქართული ერთ მთლიანობაში წარმადგენს, მაგ., ოთხტ. 52 კომ.:

„ნუ ყოველსავე უბადრუქსა მტერსა ვაბრალებთ, მარალის მქონებელნი თვთ-წელმწიფებისანი, არამედ თავისი თვისი-სად ვპრაცხდეთ ყოველთავე ნაცოდვებთა, ანუ უმეტესსა, რამეთუ გულის-

“Οτι οὐ γρὴ πάντα ερόπον τὸν διατάγμαν αὐτιᾶσθαι σατανὸν ὃς τῆς ἐν ἡμῖν ἀμφιτίας τὸ δίον αὐτὸν αἰτιον ὑπάρχοντα.... ὃς τὸ πυρ μὲν τοῦ θυμοῦ καὶ τῆς ἐπιθυμίας παρ' ἡμῖν καὶ τῆς ἡμιετέρας φύσεως, ἀπερ ἐν

τῷ αὐτοκράτορι κεῖται λογισμῷ..... οὐδὲ πολλούς  
ὅ ἔχθρος ἐμφυσᾷ παρών καὶ εἰς τεργάληγην  
τοῦτο πολλάκις ἀναρριπίζει φλόγα....  
(καὶ γε τοῦτο μαρτυρῶν ταῖς πρὸς  
τὸ οὐράνιον πύρ τοῦ νοῦ ἀναγωγίᾳ, αὐτὸς  
τε ὁ ἔξανάπτων ἀπόλιτος διεσμενῆς καὶ  
ημετές ἐλευθερούμεθα).

ზოგჯერ ქართული ტექსტის დასაწყისი და დასასრული თანხვდება ბერძნულის დასაწყისსა და დასასრულს, მაგ.: ოთხტ. 39 კომ.:

დასატყისი: „...რადგან არა უფრო ძლიერ იუსამართლოებით, არამედ თქუნენ უსამართლოებთ და დააკლობთ სხვათა...“

“Ο舅περ οὐκ εἰδί πάντα οὐδὲ ἀεὶ τὸ νικᾶν ἐπαινεῖσθν, ἀλλ οὐδὲ τὸ νικᾶσθαι,—νικᾶν γὰρ ἐν τῷ ἀγαθῷ τὸ κακόν, ἀλλ οὐ νικᾶσθαι: ὑπὸ τοῦ κακοῦ παραγγειλόμεθα....

დასასრული: „...ცეცხლსა მოაწევ ნივთსა ზედა, ანუ სხეულსა ზედა სენსა“.

...πλήγη μὲν τῷ πυρὶ τῆς θείας ἀποθησα-  
υρίζουμεν ὥργης, νόσου δὲ τῷ σώματι διὰ  
τῆς ἀμετέριας ἐνταῦθα προξενοῦμεν.

ଶୋଭାର ପାଇତ୍ତୁଳି ରୂପୀରୁଷ ମହିଳାଙ୍କ ଦ୍ୱାରା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନ କରିବାକୁ ଆଜିର ଦେଖନ୍ତୁଲିଏ ଫାର୍ମିଲୋ, ମାଧ୍ୟମରେ ଅନ୍ତରେ 36 ମୁଦ୍ରାମଣିରେ ପାଇବାକାମ ହେଲା.

„...ვითარ-იგი უმჯობეს არს კუალად  
თუ თავით თვესით კეთილყოფა, ვიღრე-  
ლა კეთილთავან ქონებად თასობრისაა“.

...πεπερ καὶ τὸ αὐτὸν εἶναι καλὸν καὶ ἀγαθόν δί' εὑσεβείας πάσης καὶ ἀρετῆς ἐπίσημον κτιθεντηκότα ποιὸν βέλτιον καὶ τιμιώτερον ὃ τὸ ἑκάτην καὶ καλῶν βεβίλεστηκότα μὴ τοιούτον εἶναι.

ნიკიტას კომენტარებში პერიფრაზირებული ბიბლიური წყაროები ასევე პერიფრაზირებულია ანონიმი მთარგმნელის მიერ. ეს კიდევ ერთხელ ცხად- ყოფს ანონიმის ნიკიტას ტექსტზე დამოკიდებულია:

„მერონსა ვერ შეიწყნარებს ხენეში  
კურტელი“ (კომ. 2). შდრ. მთ. 7, 18;  
9, 17; მრა. 2, 22; ო. 5, 37.

...σκεύει γάρ ἐνσωδίας ἀπόλοντι καὶ μεμι-  
σμένῳ καὶ σαπρῷ οὐδεὶς ἀν τὴν τοῦ μόρου  
τιμαλφεστάτην καταπιεσμένην εἰναι.

„უფროისაღა ბრწყინვლინ ნათელი  
თქუენი სათნებისა მიერ, რამე-  
თუ უკუთუ ესენი ბნელებრნი იყვ-  
ნენ, რავდენ სადამე იყოს ბნელ ერის-  
აუთა?“ (თმ 5)

...μὴ ὄφθαλμοι πεπληγμένοι σκότους, ἀλλὰ πλήρεις γίνεσθε φωτός· εἴπερ οὖν φησιν ὁ φῶς εἶναι καὶ δοκεῖν ὄφθαλμὸς τὴν ἑπτά χειρα πάγτων ἐν σκότῳ πορεύεται, κύντος ὁ ἀεὶ τοῖς κακοῖς ἐνισχυμένος λαδὸς πόσφι μᾶλλον τῇ κακίᾳ κατακρατηθῆσεται; Μτθ. 6,23: ἐὰν δὲ ὁ ὄφθαλμός σου πονηρὸς ἦ, ὅλον τὸ σώμα σου σκοτεινὸν ἔσται. Καὶ οὖν τὸ φῶς τὸ ἐν σοὶ σκότος ἔστι, τὸ σκότος πόσαν:

„ნუ რომელსა მათგანსა აღუთქუამ ღმერთსა, რომელნი მივიხუმიან, რამე-თუ ყოველნივე მის მიერ მონიჭებულ არს შენდა“ (კომ. 8).

...ταῦτα γάρ πάντα, οὐα γημέτεραι μέσοις μηδεπέχειν, πρὶν ἡ τίμης λαβεῖν πάρ μητοῦ ἔκεινον παρ τίμων δρυολογούμενως ἴπαρχει τοῦ θεοῦ ως τῷν ὅλῳν δημιουργοῦ καὶ γεργ- γοῦ...

შდრ. რომ. 11, 35—36: „ანუ ვინ წინაა-  
სწარ მირაბე—სცა მას (ლმერთს — ქ. ბ.)  
და კუალად მოეგო მას? რამეთუ მის-  
გან და მის მიერ და მისა მიმართ ას-  
ყოველი“ (შდრ. აგრძელებ. გ. 13, 3).

Πρωτ. 11,36: ἵνα τις προέδωκεν αὐτῷ, καὶ ἀνταποδοθήσεται αὐτῷ; Εἰτι δὲ αὐτοῦ καὶ δι’ αὐτοῦ καὶ εἰς αὐτὸν τὰ πάντα.

ზოგვერ ქართველი მთარგმნელი ზუსტად თარგმნის რომელიმე ბერძნულ ფრაზას და ამავე დროს ავრცობს მას, მაგ., „რამეთუ რაა სარგებელ არს პი- თოვასა, უკუეთუ ლომად საგონებელ იყოს, არა ლომ მსა ზნეთა მ გ თ- ნებელი“—ტ. ყაბა ხერია: πιθήκω ἣν λέων νόμος θηγ (ოთხტ. 24 კომ.). (ექ ფრაზა გავრცობილია განკერძოებული განსაზღვრებით) და სხვ. მსგავს მთარ- გმნელისეულ ჩანართებად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე „ვიტუკ“ სიტყვ- ვანი და „ესე იგი არს“ კავშირიანი დანართების შემცელი ფრაზები (იხ. ქვემოთ). მსგავსი ფრაზები შეიძლება მთარგმნელისეულ ჩანართებად მივი- ჩნიოთ იმდენად, რამდენადც ისინი განმარტებითი ხსიათისაა და ბერძნულ დედანში არ იძებნება, თორემ, საერთოდ, როგორც აღვნიშნეთ, თარგმანი- ზუსტად არ მისდევს ბერძნულ დედანს და ყოველთვის აღვილი გასარკვევი არაა, თუ რაა დედანისეული და რა — მთარგმნელისეული.

როგორც ჩანს, ქართული კომენტარები შეიცავს მხოლოდ მცირე აუცილებელ განმარტებებს ამა თუ იმ ცნებისა, ანდა კიდევ წარმოადგენს ქართულად თარგმნილი ლექსის ტექსტის ბერძნულთან ზედმიშვევითი სიახლოვის გამო გამოწვეული გაუგებარი ადგილის ქართულისათვის უფრო ბუნებრივი წყობით გარდათქმას (რასაც ქვემოთ განვიხილავთ), დედნის ვრცელი განმარტებანი კი მასში გამოტოვებულია (მაგ., ოთხტ. 44 კომ., ვნებანი ქრისტესნი). აგრეთვე ითხტ. 34 კომ.; ყოველი ესატონ და სხვ.).

კომენტარების ქართული ვერსიისათვის დამახასიათებელია სინონიმური წყვილების და ჰენდიადისების ხშირი ხმარება ბერძნული დედნის კვალდაკვალ თუ მისგან დამოუკიდებლად. ამ რიტორიკული ხერხის — პლეონაზშის ხმარება დამახასიათებელი იყო ეფთვიმე და გიორგი ათონელებისათვის, ეფრემ მცირისათვის და იმანე პეტრიწისათვისაც<sup>11</sup>. იმანე პეტრიწთან იგი ეპოქის მშერლობის საერთო დამახასიათებელი თავისებურების შესაბამისად ტრაფარეტული სტილისტური ხერხია და ემსახურება ერთი სიტყვის მეორეთი განმარტებას. ასევე აჩვენებს მეგლშიც. ა) ქართული სინონიმური წყვილი და ჰენდიადის ბერძნულის ფარდია, მაგ., ჯიხამია ხას ანამალია — უმკოდელობა და უწურთელობა (ოთხტ. 21 კომ.), იხილების და მერისთა — მონაწილე და გმილმყოფელი (29), ხრატესთა ხას რიხაზთა — ძლევა და მთავრობა (38), ჯგუფის ხას გრეთას — სახიერი და ტყბილი (21), ენძენა ხას ნეირა — ბეღინირობა და სიმრთელე (33), აუზ... თემუ, აუზ მიარესას — განყოფა და განჭრა (34). ბ) ბერძული სინონიმური წყვილი ქართული მხოლოდ ერთი ცნებით გადმიადის: აჩას თე ჯავამბა — ეფთოლი (47), აჩას მიოურთა ხას აბესა სილისემრენა — კეთილი და საქებელი და ცხრილებული (28), თე აჩას თე აბესა — აგაზონ — კეთილყოფა (56), რეაქცია ხას ჯალა — ლელვა (27), გრემათა ხას კურმათა — საქმარი (29), კათანისთა ხას ყვარისთა — იცნობების (21). გ) ერთი ბერძნული ცნების შესატყვისად ქართულში პენდალის ან სინონიმური წყვილია: παροικός — მეგური და უწესოვა (20), კათეფის — მწუხარე და შეკმუნებული (20), თემრუმენის — აღზავნებული და ლალი (20), ფასლე — ბოროტი და მძლავრებრივი (34), კათამაზანე — განზრაბი და მასწავლელი (46). დ) ზოგჯერ ეს წყვილი ბერძნულისაგან დამოუკიდებელია: განსხვაბილი და განწმენდილი (39), წყვია და მოკულინება (56) და სხვ.

გარდა ზემოთ დასახელებული მაგალითებისა, გვხვდება კიდევ ისეთი შემთხვევები, როცა ერთი ბერძნული სიტყვის ფარდად ტექსტსა და კომენტარში გვაქვს სხვადასხვანაირად გაფორმებული წარმოქმნილი სიტყვები, რომელთაგან უფრო ბუნებრივი და ხშირად ხმარებული ფორმა კომენტარშია ანდა კიდევ ძირითად ტექსტში და კომენტარში ერთი სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობათაგან ორი მნიშვნელობაა მოხმობილი. საერთოდ კომენტარებში შეიმჩნევა ტენდენცია სხვა სიტყვით შეცვალოს ძირითადი ტექსტის რომელიმე სიტყვა. ასე იქმნება ერთმანეთს დაშორებული სიტყვათა წყვილები ტექსტსა და კომენტარში: მს ასახისთავის — არ მეტყუდა (ოთხტ. 6,4), არა მეტყუდი (კომ.); ასახისთავის — მიმღები (19,1), მიმღებელი (კომ.); ბრილის — მეტყვი (48,2), მეტყველი (კომ.); პროცესმენის — წინმდები (10,1), წინამდებარე (კომ.); მერისთავის — მეტყველე (29,2), თანმონაწილე (კომ.); ის ერთს — სიტრიფი (ოთხტ. 42,1), ტრაფილებამ (კომ.); უ პროფესია — ურის-ყოფა (59,1; 43,3), ურის-ყოფა (კომ.); პროფესია — უსამზ (6,1), არა

<sup>11</sup> ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე თონელისეული თარგმანი, ც. ქურუკიდის გამოცემა გამოცემელის თა., 1983, გვ. 060, 062. დ. მელიშვილი, იმანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 154.

მაქედო (კომ); პილიცია—უსისონგ (11,1), წარიკვეთ სასოფტოსა (კომ.); შეცხი—  
ესევედ (3,3), წალიქი იყვა (კომ.); ნითათა—მდგომაბენ (14,4), მარადის სიმტკიცესა  
მქონებელ არს (კომ.); ჰისუნა თანტო—ერიბდ შენთა (14,1), იხილე თავი თქსი  
(კომ.); თბ არის—სიხენეშე (21,4), უშეურება (კომ.); კავთესმზ—ძლეულება  
(38,2), სხვათა მიზრ მთავრებულება (კომ.); წ წილ(ისას)—ძლევად (38,2), სხვათა  
ზედა მთავრობად (კომ.); წრავა ავაზ—ბრძანება (უბრძანებდ) (3,3), სხვათა ზედა  
მთავრობა (კომ.) უკროსობა (ძეც)<sup>12</sup>; არაცენა—ბრძანებ (3,1), წინაგანმწყობ ხირ  
(კომ.); პალის—განტების (3,4), განწყვების (კომ.); ბიბისხის—სწავლის (4,3), წარ-  
მართებს (კომ.); ატენისის—მწურითვლი (46,3), მასწავლელი (კომ.); ვის ახალყადან—  
საგიობელიდ (26,2), ღირს გმობისა (კომ.); პარე—მრწყმი (7,3), გლახია (კომ.);  
ისიბოსის—მწერები (34,3), მონა (კომ.); ბ ჩის—ცხონიბა (9,1), საწუთოა (კომ.);  
წ პარეგურის—ქრება (9,1), ვაკრობა (კომ.)<sup>13</sup>; შრო. სავაჭრო (ეფთომი ათონელი  
„სწავლინი“ 62;87); ბ პირი—ტკიილი (11,4), შრიომა (კომ.); იტაც—გიჩნს (55,4),  
შეგირიატხის (კომ.); წ ფრე—ცნ.იბა (21,14), გონება (კომ.); წ დრ წ—ცნობა  
(53,4), გულის-სიტყვადა (კომ.); წ დრინება—სიბრძნე (55,1; 23,1),  
გონიერება (კომ.); ჯარის—ბოროტად (38,2), უსახურებით (კომ.); ბასევიჩს—მტერი  
(16,4), ეშმაკი (კომ.); წ ცალე—შფოთი (45,2), განსაცდელი (კომ.); წ საცა—განცს-  
ნაა (58,2), განსლვად (კომ.); წ ყვითა—მასლობელი (51,2), ნათესავობა ზონგბრიუფ  
(კომ.); აუგენეს—ტომი (56,3), ნათესავობა (კომ.); აფრავსთერი — უსულელესი  
(57,2), უგუნური (კომ.); ბ გეოზა—ბერი (57,1-2), მოხუცებული (კომ.); თბ ყევა—  
მკვე (58,4), შემკოვნებული (კომ.); წ ხუსის—სახე (4,4), მაგლითი (კომ.); წ ასა-  
ლეის—სამეფო (30,3), სასოფტოდი (კომ.).

ოთხეტავედის ტექსტისა და კომენტარების მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს, ისიც, რომ ლექსის ტექსტში მარტივალთა რაოდენობის გამო დაკლებული სიტყვა მთელ ფრაზასთან ერთად აუცილებლად გვხვდება კომენტარში ან კიდევ ძირითად ტექსტში სხვაგვარად თარგმნილი სიტყვა კომენტარში აუცილებლად ზუსტი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი, ანდა ტაეპის შერძნიშიმი კომენტარში ქართულისათვის სუფრო ბუნებრივი წყობით არის შეცვლილი. ასე რომ, კომენტარებში გვხვდება მთარგმნელისუული ლექსიკური, გრამატიკული, ტექსტოლოგიური ჩანართები.

მთარგმნელი კომენტარში აღდგენს ძირითად ტექსტში მარცვალთა რაოდენობის გამო გამოტოვებულ სიტყვას, რომელიც კომენტარის ბერძნულ ტექსტშიც არის, მაგ., „რად პითიკისა ლომად საგონებლობად“ (ჩ. ყპრ კიმურა ხერხის კ. ბაზევ ჩავთ — 24,4), შედრ. კომ.: „რამეთუ რა სარგებელ არს პითიკისა, უკუთუ ლომად საგონებელ იყოს“ (% ზ. ყპრ. ხერხის კიმურა, პა ჩავთ). აღდგენილია ახრან-სარგებელი. ასე აღდგენილი მასლო — უფაფოლებაზი (28,3); ჯალი— უთოლ (მასურუბა) (38,2); ჯარი— ყოვლისა (54,1). ზოგჯერ

<sup>13</sup> A Patristic Greek Lexicon, ed. by G. W. H. Lampe, Oxford, 1968, s. v. η πανήγυρις.

აღდგენილი სიტყვა არ გვხვდება კომენტარის ბერძნულ ტექსტში. მაგ., მათ ამავე სიტყვა უდიდებებადა (22,2).

კომენტარში უფრო ზედმიწევნითი თარგმანია მოცემული, ვიდრე ძირითად ტექსტში. ასეთ შემთხვევებში ძირითად ტექსტში ზოგჯერ უფრო ხატოვან გამოთქმას აქვს უპირატესობა მინიჭებული, მაგ., „რად მტერსა მარად უბალრუსა გაბრალებთ“ (ჩ. πάντα τὸν δύστηγον αἰτιωμένη — 52,1). შდრ. კომ.: „ანუ γαγρεლს ავე უბალრუსა მტერსა გაბრალებთ“. πάντα-ს (ყოველსაც) ძირითად ტექსტში სიტყვა „მარად“ ცვლის. სეზოვეა: πανεπιστήμιαι — წინამდებარე (შდრ. 54, 1 ჰყავ), შესრი — განათავისუფლნა (შდრ. 35,4 უფალ-გურ), არმის — სარგბელი (შდრ. 39,1; კეთილად), ახა: შე — მდებარე (შდრ. 50,2 იყავნ), უკავა — მიუმთხუჯელობა თხოვისა (შდრ. 31,1 — (წარვიდა (მრწემი) დალიერი), უკავას — უსამართლოებით (შდრ. 33,1 სიცრუფით), უკავ ბისა — ნიკე კეთილი (შდრ. 50,4 — სახიერება), უკა ის — კეთილი (შდრ. 30,1 — ნათელი), უკასთავ — რეეფლი (შდრ. 7,1 „კეთილი“ ოჯგრად გამტორებული მარცვალრაოდენიბისათვის). ერთგან იდიომური გმირთვა (მუგობარია ის, რომელმაც თავი გჩჩვნია არა ლიხინში, არამედ ჭირში) სტროფის თარგმანში ისევე იღიომურალა წირმოდევნილი („არმელ აჩუქნა ფამთა შეფოთმან, არ სუმამან“ — ბა არა უკეთეს შემარტე, კარინ შე ჭილა — 45,1 — 2), კომენტარის წართულ ვერსიაში უფრო სიტყვასიტყვითაა თარგმნილი: „მოყუარესა მას ვიტყვა..., რომელ არასადა საწარევემან მისმურობისამან აჩუქნა, არამედ განსაცელმან ვამთამან“ (ბ არათე — „საწლე“ არის ნიკიტას კომენტარშიც: ... ინდა (უსიარეს — ქ. ბ.) კარტი: ბ ას ვაპავეა უ სუკიას: არა ასახეს ასახეს ასახეს — ას კეთილი). ასევე კომენტარში მოცემულია ბერძნულის ფარდი გრამატიკული ფორმა, როცა ძირითადი ტექსტის თარგმანში იგი სხვა გრამატიკული ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ., სლეია — უმეტესი (შდრ. 10,2 დიდი), უდ კარგ — ბოროტისაგან (შდრ. 54,4 ბოროტთაგან — შრ. რ.). ასევე მაგ., ბერძნული ტექსტისა და კომენტარის პასიური ფორმა (ყვარეცხავი), ტაეპის ქართულ თარგმანში აქტუური ფორმით შეცვლილი (ხედავს — 21,3), კომენტარში ისევე პასიური ფორმითაა წარმოდგენილი (იცნობების). ასევე მაგ., თამატეთა — დიდწონება (შდრ. 40,4 — წონს), უკანი პარ' ამინდა; უკითხო კრიკონ პამყა — „ნუ ოდესმე ინგებებ მზაკუვარისა კაცისგან კეთილის-ყოფასა“. შდრ. 48,3: „ბოროტმან დაცმან არობეს კეთილ გიყოს“. კომენტარის ფრაზის წყობა ქართულისათვის უფრო ბუნებრივ ელფერს იძენს, როცა მაგ., ბერძნული უშემასმენლო წინადადება, ტაეპის ქართულ თარგმანში ასევე უშემასმენლო თარგმნილი, კომენტარის ქართულ ვერსიაში შე-სკელზნიანი ფორმით გადმოდის: „ესლი კელისა, ფერზი ფერწისა მოქენე“ (ას კიბ კეთილი კიბისათვის — 46,4). შდრ. კომ.: „მარჯვენე გელი მოქენე არს მარცხნისა და კუალად ერთი ფერზი სხვა მეორისა მოძაოვიბისა მიმართ“ (უშემასმენლო კომენტარის ბერძნული ტექსტიც); „არ შეტყუთა მადლი, კეთილად ცხორებულთად“ (ის ყველა კიბისათვის, ეს წარუთავ ბ' უკავა — 6,4). შდრ. კომ.: „რამეთუ არა მეტყუელთა მარტივად, არამედ კეთილად ცხორებულთა საქმე შესაწყნარებელ არს“. ბერძნული ინფინიტივი (ბერძნება), რომელიც ტაეპის ქართულ თარგმანში მასდარით არის თარგმნილი (ყუდრება), კომენტარში პირიანი ფორმით იცვლება, როცა კომენტარის ბერძნულ ტექსტშიც ინფინიტივია: „ერთი უცოომი, არა ყუდრებად ბედთავ (მს' ას-ფაქა: უკა ბერძნულ ტექსტშიც — 27,4). შდრ. კომ. „ერთი

პროცესი დაიმარხება, რათა არა აყვედრებდე მახლობელსა, რომლის განვითარება ფარისეველიცა დაისაჭა, მაყუედრებელი მეზუერისაც“. ასევეა ოთხტ. 26, 1; 36, 1. კომენტარების ქართულ ვერსიაში ასევე პირიანი ფორმით იცვლება მიმღეობა, რომელიც ბერძნულ ტაეპშიც და კომენტარშიც ერთი და იმავე ფორმითაა წარმოდგენილი: „ბასრული“ (გელაშვილი — 47, 2). შდრ., კომ.: „განიბასრო“. კომენტარებში პირიანი ფორმებითა შეცვლილი ტაეპის თარგმანში მასღარით და მიმღეობით გადმოცემული ბერძნული ინიციიტივი და მიმღეობა. ამით ქართულისათვის არაბუნებრივად შეკუმშული წინადაღება უფრო გამართული ხდება: „არად გილის თქმად მექმას, რომელთა ჯერ არს“ (წერო მიერთ თან პერია, პრეზავა დ ბეტ — 4, 3). შდრ. კომ.: „რამეთუ რომელთა იტყვს, უკუთვ არა იქმოდის მათ, ვითარცა ჩვალი მკონბელი შეირაცხოს...“ ბერძნულ ტართული ტაეპის აღწერითი წარმოება კომენტარში ბერძნულის დარღვეულიანი ფორმითა შეცვლილი: „არს შემწე“ (სახეობის ჰერ — 54, 2), შდრ., კომ.: „შეეწოდის“ (სახეობისათვის). ასეთივე „ხარ... შემნდობელ“ (წმ: საყაზირის — 40, 2), შდრ. კომ.: „მიუტევებ“. იხ. აგრეთვე 54, 3—4; 36, 4 და სხვ.

ამრიგად, განსხვავებით ლექსის ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნისაგან და ამ სკოლისათვის დამახასიათებელი ბერძნიშმების სიხშირისაგან, კომენტარების თარგმანი ქართულისათვის უფრო ბუნებრივი წყობითა შეცვლილი, ასე მაგ., უშემასმენლო წინადაღებები ხშირია საკუთრივ ბერძნულიდან ნათარგმნ ნაწილში, ოთხტაეპედის ტექსტში, ხოლო მისი კომენტარების ქართულ ვერსიაში, რომელიც ბერძნულ ტექსტშე ნაკლები დამოკიდებულების კვალს ძევდავნებს, ასეთი სინტაქსური ბერძნიშმი არ გვხვდება. უფრო ხშირია ამ ტექსტში სხვა სინტაქსური ბერძნიშმები, მაგ., მიმღეობური კონსტრუქციები, რაც შედარებით ნაკლებად ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას, მაგრამ მათი ხშირი ხმარება საერთოდ დამახასიათებელია პეტრიშული სკოლის თხზულებებისათვის<sup>14</sup>. მართალია, ჩვენი ძეგლისათვის არა დამახასიათებელი ისეთი რთული სინტაქსური კონსტრუქციები, როგორც ითანე პეტრიშის ფილოსოფიური თხზულებებისათვის<sup>15</sup>, აღმართ ჩვენ ძეგლის შინაარსიდან გამომდინარე<sup>16</sup>. მაგრამ კომენტარების ქართულ ვერსიაში მაინც განსაკუთრებით ხშირია დამოკიდებული წინადაღების შემცვლელი განკერძობულგანსაზღვრებიანი წინადაღებები. როგორც ვთქვით, ნიკიტა კომენტარები ქართველი მთარგმნელის მიერ შემოკლებული და პარაფრაზირებულია, ამდენად, ამგვარი მაგალითებიდან ზოგი აქ ბერძნული დედნისაგან დამოკიდებელია და თავად მთარგმნელს ეკუთვნის. მთარგმნელის მიღრეკილება მიმღეობური კონსტრუქციებისაეკნ განსაკუთრებით ჩანს ისეთ შემთხვევებში, როცა ბერძნული დამოკიდებული წინადაღება მას განკერძობული განსაზღვრებით გადმოაქვს ან

<sup>14</sup> ღ. მელიქი შვილი, ითანე პეტრიშის ფილოსოფიურ შრომათ ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 185, 191. ამინიონს ერთ მისი თხზულებები ქართულ მწერლობაში, მ. რაფაელ გამოცემა გამოკვლევითური, 1983, გვ. 040; ნ. მელიქი შვილი, ინფორმირები, მასღარი და მიმღეობა იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველთა“ ქართულ თარგმანში, „მაცნე, ელს“ 1983, № 1, გვ. 125—134.

<sup>15</sup> ღ. მელიქი შვილი, დასახ. წიგნი, გვ. 156—170.

<sup>16</sup> თუმცა ამონის ერმისის თხზულებების ანონიმური ქართული თარგმანი, რომელიც პეტრიშულ სალიტერატურ სკოლში შესრულებული, შეუცდავად ამ თხზულებაში გადმოკიდებული რთული ფილოსოფიური აზრებისა, შედარებით მარტივი სტილითა შესრულებული (ამონის ერმისის თხზულებები..., გვ. 053).

საერთოდ, ბერძნული პირიანი ფორმა გადმოიქვეს მიმღებით ანდა როცა იღწე-  
რითი წარმოებები ქართულ ტექსტში ბერძნულისაგან დამოუკიდებელია,  
მაგ., „ესე თვეს-ეყვის მამაკაცსა, მეცნიერსა ნათესავობისას“ (ეპიდოს ზე სუვენირის — ოთხტ. 56 კომ.), „აქა შინა ვნებულთა ქრომათა  
კორცისათა დაცხერობს მამა, თვესმყოფელი ზოგადისა“ (კომ. 16),  
„უფონიმე აღმოქმედ არიან წურთილებისა მიერ სწავლად სათნაბისა, თვით  
არა მოქმედ ნი მისნი (შემცირებული ასტას — კომ. 6). „ჩეცვად  
უკუ არს თითოეულისა კაცისა და მსახული (ბრიტანია) მონებისა და  
უფლებისა თვესებათად“ (კომ. 35). „მარადის სიმტკიცესა მქონებელ არს“  
(კომ. 14). იბ. აგრეთვე ოთხტ. 3, 7, 8, 12, 16, 18, 26, 28, 31, 35, 37, 39, 43, 44,  
46, 50, 52, 55, 59-ე სტროფების კომენტარები. მასდარული და ინფი-  
ნიტური კონსტრუქციებიც უკვე იმდენადაა გათავისებული მსგავსად მიმღეო-  
ბური კონსტრუქციის წინადაღებისა მთარგმნელისათვის, რომ ზოგჯერ იგი ბერ-  
ძნული ინფინიტივის ფარდია. ზოგჯერ კი მისგან დამოუკიდებელი ან ბერ-  
ძნული პირიანი ფორმის შემცვლელი: „სიფრთხილედ გაქუნდინ ნუ ქმნად  
სიბორიოტისად“ (კომ. 56), „ჩეცეულ ვართ არა ცოდვათა შინა მქეცელთა ბო-  
როტად სახელის-დებასა“ (ტოსტოვათა: — კომ. 12), „ნურარად შეგირაცხიეს ცხო-  
რებასა ამას შინა უზენაეს-ყოფად გონიერებისა“ (ჰიკი აგრესით სიახლე: —  
კომ. 55), „წინააღმდეგ არა შემნდობელმან გულის-სიტყვსამან მიღევნებად  
ხილულსა... კომ. 16). იბ. აგრეთვე 3, 6, 7, 11, 12, 22-ე სტროფების კომენტა-  
რები. ასევე ხშირია კომენტარებში პასიური კონსტრუქციის წინადაღებები,  
მაგ., „რასასათვს არა უფროსესლა იუსამართლობით...?“ (ის ასახობათ: — კომ.  
39). იბ. აგრეთვე 16, 18, 28, 31, 38, 39, 59-ე სტროფების კომენტარები. ასევე  
შერძნულისაგან დამოუკიდებლად გვხვდება კომენტარში კიდევ ერთი სინტა-  
ქსური ბერძნიშვილი — „და“ კავშირი და „ც“ ნაწილაკი ერთდღოულად ბერძნული  
კას- შესატყვისად: „ხოლო უკუეთუ და სიტყვასა მიერ ცა კეთილსა მოქმედე-  
ბენ ვიეთნიმე, არა საკვრეველ არს ესე“ (კომ. 6).

კომენტარებში გამოყენებულია ის საკავშირებელი და განსამარტავი სი-  
ცვები, რასაც იყენებდა თავის განმარტებებში ითანებ პეტრიშვილი<sup>17</sup>. ესენია: „ღიტყვა სიტყვიანი დანართი („უკუეთუ ფრიად იდედლები ყნოსათაგან სულ-  
ტელთასა, შეებასა ვიტყვა და სილბოთა...“ კომ. 18. იბ. აგრეთვე 24, 37,  
45, 51, 56-ე სტროფების კომენტარები), „ეს იგი არს“ კავშირიანი დანართი  
(„შეენიერებას... იცნობების თუალითა გონებისა წმიდისამთა, ესე იგი  
არს ხედვითა“ — კომ. 21. „ნათელი სხეულისამ, ესე იგი არს თუალი“ —  
კომ. 56. „ხოლო წყვევად და მოკუდინებად უსიტყუთაცა ცხოველთა შეუდგების,  
ტრიკონსა ვიტყვა ზღვსასა და სკორპიოსა ჭმელისასა, ესე იგი არს

<sup>17</sup> დ. შელიქიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 159—160, 165—169. „ეს იგი არს“ კავ-  
შირიანი დანართი განმარტებით ჩანართებთან ეფთვიმე ათონელის და უფრემ მცირის თარ-  
გაშენებშიაც გვხვდება (თ. ოთხტ. მეცნურისა და უსევოლონების მითოლოგიურ კომენტართა ახალი  
გამოცემისათვის რედაქტირა. მრავალთავი XII, თბ., 1986, გვ. 49, ვისივე, უსევოლონების მითო-  
ლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, მცნობე, ელს, 1985, № 1, გვ. 48; ე. ხინთია-  
ში გვ. 1, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურულ ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 171.  
იგი გვხვდება გრიგოლის პომილების ეფთვიმესეულ თარგმანებშიც (ნ. შელიქიშვილი,  
ამდენიმე დაცვირვება ეფთვიმე ათონელისა და უფრემ მცირის მთარგმნელობით მეოთხე,  
შეცნე, 1987, № 4, გვ. 121) და სხვ. როგორც ჩანს, მისი ხმარება საერთოდ განვიარტებითი  
ტიპის თხზულებებისათვის არის დამახასიათებელი.

როიაკალსა, ვინამთგან ზღვსადცა არს სკორპიონ” — კომ. 56. იხ. უფლებულებები კომ. 11). განსაკუთრებით ხშირია „ვიდრემე“ საკავშირებელი სიტყვა ბერძნული ყრი ნაწილაკის ფარდად ან მისგან დამოუკიდებლად („მრჩინბლივე ვიდრემე“ — კომ. 1. იხ. აგრეთვე კომ. 5, 11, 19, 25, 44, 46, 48, 51, 52). გვხვდება აგრეთვე სხვათა სიტყვის „ო“ ნაწილაკის სმარება<sup>18</sup>, რომელიც ზოგჯერ ბერძნული ჩატვა მიმღებობის ან აზრის<sup>(\*)</sup> ზრდის უსატყვისად თან ახლავს ზმნას „იტყვს“. იგი გვხვდება ტრადიციულადაც (ჭიხადადების ბოლოში) და სტილისტური ფუნქციონაც (ზმნა-შემასმენელთან ყრინადადების თავში), მაგ. „იმსახურებოდით მოწლედ სიმშვდით“ (კომ. 34). „მეძვისა შესახედავმან შემკობილმან აანაწირმარაცაო — იტყვს... ბერძნობა ასე ასე კონკრეტულ და თან ახლავს ზმნას „იტყვს“. იგი გვხვდება აგრეთვე კომ. 31, 42, 43, 48, 49 და სხვ.). ზოგჯერ იგი ბიბლიური წყაროს პერიტრაზირების მაჩვენებელია ნიკატას ტექსტის კვალდაკვალ (იხ. ზემოთ გვ. 97 — კომ. 5).

ზემოთ განხილული მაგალითების მიხედვით შეიძლებოდა გვალიერი, ორმ ქართული განმარტებები სულ სხვა პირის მიერაა დართული. ასეთი ასრი შეიძლება გაჩნდეს იმიტომაც, რომ ფაქტურად ქართული პარაფრაზი კომენტარული უანრის ორიგინალურ თხზულებადაც შეიძლება ჩაითვალოს ბერძნულ დედანზე ნაკლებად დამკიდებულების გამო (როგორც პეტრიშვილი სკოლის ამ უანრის სხვა საწარმო, პრაქტიკული და მეცნიერული დანიშნულებების თხზულებანი)<sup>19</sup>. ამიტომ, მიუხედავად ზოგიერთი ბერძნიშისა (სწორედ ბერძნულ ტექსტზე ნაკლებად დამკიდებულების გამო მასში ბერძნიშმებიც ნაეკუნია), ქართული ენა აქ უფრო ბუნებრივად ყრებს, ვიდრე თავად ოთხტევებდის ტექსტში, ისეთი ძალდაუტანებელია წინადადების წევრთა თანმიმდევრობა. მეორე მხრივ, შეიძლება ისიც ვიუიქროთ, რომ ტექსტისა და კომენტარების მთარგმნელი ერთი და იგივე პიროვნებაა და რომ იგი ცდილობს მაქსიმალურად გადმოსცეს ბერძნული ტექსტი ქართულად და როცა ამისი საშუალება ლექსის საჭიროებათა გამო არ ეძლევა ოთხტევებდის ძირითადი ტექსტის თარგმანის დროს, ამას აკეთებს კომენტარების დართვისას<sup>20</sup> და მიუხედავად იშისა.

<sup>18</sup> ამ ნაწილაკის ხმარება დამახასიათებელი იყო ქველი ქართული მშერლობის ქველებისათვეს როგორც წინადაუდების ბოლოში, ისე თაშიც განსაკუთრებით ხშირია იგი ულულის ათონელის შრომებში სტილისტური ფუნქციით. სტილისტური ნიუანსი აქვს გვას გვინდებული გორგი მთაწმიდლის, ეფრემ მცირის და განსაკუთრებით, იმანე პეტრიშის ნაწერებში. როგორც ჩანს, მისი ხმარება პეტრიშვილი სალიტერატურო სკოლის თხზულებებისათვესაც ყოფილა დამახასიათებელა. მის ვკედებით მონიცის ერმისის თხზულებებს ქართულ თარგმანშიც, იმანე სინელის „კლემაქსის“ პეტრიშვილ თარგმანში და ჩვენს რეგლამიც (იხ. ზ. სარკველა და ერთი სტილისტურ ხერის ისტორიისათვეს. მრავალთავი, IX. თბ., 1983, გვ. 63—66. გვინდებულისათვეს „საშუალება“..., გვ. 052. თ. ოთხ გვ. ურა და ტექსტის მითოლოგიურ კომენტართა ახალი ქართული რედაქცია, მრავალთავი, XII, თბ., 1986, გვ. 49. ღ. მეტა-კი შეიცილი, დასხა. წიგნი, გვ. 178—179. მინიონს ერმისის თხზულებები.... გვ. 068. ქ. ბერძნისა რა შეიცილი, გრიგოლ ნაზარიშვილის პოეზია ქართულ მშერლობაში, მცნე, ელს, 1986 № 3, გვ. 100; ვისივე, იმანე სინელის „კლემაქსის“ ცენობი ქართული ვერსია, მაცნე, ელს, 1987, № 4, გვ. 144).

<sup>19</sup> შტრ. დ. შელიქიშვილი, გვლათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები. თსუ შრომები 267 (ენათმენტიცერება, 10), 1986, გვ. 220.

<sup>20</sup> იხ. ქ. ბერძნისა შეიცილი, გრიგოლ ნაზარიშვილის პოეზია ქართულ მშერლობაში, „მაცნე, ელს“, 1986, № 3, გვ. 87—112. აქვე განხილულია მთხველებების ქართველი მთაწმენელის სკოლის სკოლხი.

რომ ტექსტს ამოკლებს და ზოგჯერ ვრცელ მსჯელობებსაც გამოტოვებული ხოლმე, მაინც ინარჩუნებს ნიკიტას განმარტებების სწავლით, მორალურ ხასიათს და შემოაქვს საკუთარი ჩანართები: ტექსტის საჭიროებით გამოწვეული მცირე გრამატისტული განმარტებანი. გარდა ამისა, ზოგიერთი სტილისტური თავი-ცეცურების მიხედვითაც<sup>21</sup> კომენტარების ქართული ვერსიაც შეიძლება პეტრო-შული სალიტერატურო სკოლის კუთვნილებად მივიჩნიოთ. შესაბამისად, მისი ჰთარგმნელი — ამ სკოლის ერთ-ერთ ჯერ-ჯერობით უცნობ მოღვაწედ, ისევე როგორც ანონიმადაა მიჩნეული საკუთრივ ითხტავებდის მთარგმნელი.

რაც შევხება კომენტარების შედარებით უფრო ბენებრივ, ცოცხალ სა-ლაპარაკო თხრობით-დიალოგურ სტილს (განსხვავებით თავად ტექსტის თარ-გმანისაგან), ეს საერთოდ დამახასიათებელია ითაც პეტრიშის განმარტებების-თვისაც და როგორც ჩანს, მისი სკოლის მოღვაწეთათვისაც, რაც თანაარსებობს ბერძნული ენის შეგნებულ მიბაძვასთან ერთად (რთული სინტაქსური კონსტრუქციები, მეცნიერული ენისათვის დამახასიათებელი მოკლე მიმღეობური და ინუინტიური კონსტრუქციები, რომელთა საშუალებით მიიღწევა განყენებული ფოლადგირ-ულოსოფეური მსჯელობის შეკუმშული, ლაკონური, ოეზისური გადმოცემა). ბერძნულის კალება, ლბათ, ტრადიციულისაგან განსხვავებული ელინოფილთათვის დამახასიათებელი იხალი მთარგმნელობითი მეორედია გამჭვირაზე ენობრივ-სტილისტური ნორმებით და „ბერძნულისა შედარებულობისაგან“ ასესნება<sup>22</sup>.

ეს თანაარსებობა ქართული ენის თავისებურებათა დაცულისა და ბერძნისტებისა აქნალია თავად ითაც პეტრიშის მიერ პროკლეს „კავშირნაც“ ბერძნულ განმარტებათა ბოლოსიტყვაობაში. იგი ამბობს, რომ ქართული ენის თავისებურებათა დაცულისა და ნააძრევის „ლიტონად“ გადმოცემის ცდილობა მანამ, სანომ მეტი სიმარტივით აზრის დარღვევის და დამახინევების საშიშროება არ ჟეიქმნება. ასეთ შემთხვევაში კი ის იყენებს „ენას გალექსებულს და მისხუეს შდაბრიონთაგან“, ანუ სპეციალურ სამეცნიერო ენას<sup>23</sup>. ჩეენს კომენტარებშიც ენის შედარებით სისადაცე, განსხვავებით თავად ითხტავებდის თარგმანის ენა-საგან აისნება, ჯერ ერთი იმით, რომ განმარტება განსამარტავზე „ლიტონა“ (და ეს თითქოს საგანგებოდა ასე მოფიქრებული — იხ. ზემოთ), მეორეც, ეს სამეცნიეროსთან ერთად სასწავლო და პრაქტიკული დანიშნულებისათვის შექმნილი კომენტარებია (როგორც პეტრიშიულ სკოლაში შერჩეული სათარგმანი და განსამარტავი თხზულებები საერთოდ) და როგორც ჩანს, სახელმწიფო ცელოსოფელია განკუთვნილი ამ სკოლის მსმენელებისათვის (შედარებით ჯერ-ლაზე აღრეული კრებული (S. 2568, XVIII ს.), რომელშიც იგია მოთავსებული, გელათის სალიტერატურო სკოლიდან მომდინარე სწორედ ასეთი სასწავლო დანიშნულების კრებული უნდა იყოს). და ბოლოს, ეს ძეგლი ნაკლებად ფილოსოფიურია, განსხვავებით პროკლეს ითაც პეტრიშისეული, ამონიოსის ანონიმისეული და სხვა თარგმანებისაგან. ასე რომ, იქ უფრო მოსალოდნელი „ლიტონა“ ენა. საერთოდ, როგორც დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, ხალხურ შეტყველებასთან პრინციპული სისხლოვე, დიალექტური მოვლენები „მდა-ბრიონთა“ მეტყველებიდან ელინოფილური სკოლის ტენდენციაა<sup>24</sup>. როგორც

21 სიტყვაწარმოების საშუალებებით და ლექსიკერი ბერძნისტებითაც კომენტარები ახლოს დას აონტარებელის ტექსტონ და პეტრიშულ სკოლაში ჩანს შექმნილი (იხ. იქვე).

22 შლ. დ. მელიქიშვილი, გელათის სკოლა... გვ. 229.

23 შლ. იქვ., გვ. 227—229, 220—222.

24 იხ. იქვე.

ითან პეტრიშვის, ისე ჩვენი განმარტებების სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულება განსაზღვრავს მის სასაუბრო-რიტორიულ სტილს და სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელ დიალექტურ ფორმებს: სხვათა სიტყვის „ო“, მიმართვითი ფორმები (მაგ. „წინამდებარე იყავნ შენდა“ — კომ. 54), შესაბამისი დგილის განმარტების მაჩვენებელი („ასწავებს“ — კომ. 37) და სხვ.

აქვე აღსანიშნავია ერთი რამ: ითან პეტრიშვი, რომელიც ძეველ „ულუმ-პეტრია“ მთარგმნელობით მეოთოს გადასინგავს<sup>25</sup>, განსხვავებით ეფრემ მცარისაგან, რომელიც ანგარიშს უწევს წინამორბედი მთარგმნელების, განსაკუთრებით, ეფთვიმე ათონელის ნალვაშს (და ეს გადასინგავა და მთარგმნელობითა შეთოდის ცვლილება მართლაც ხდებოდა ათონური სკოლიდან მოყოლებული შავი მოისა და იყალთო-გელათის სკოლების მოღვაწეობის მანძილზე), ლექსაგს ითან სინელის „კლემაჭსის“ სწორედ ეფთვიმე ათონელისეულ პროზაულ ვერსიას. სხვათა შორის, მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე კაშენტარების შემთხვევაშიც. მაგ., გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების შესწავლისას ასეთი სურათი ჩანს: ეფთვიმე ათონელი იძლევა ნიკიტას კომენტარების პერიფრაზირებას. თითქმის ზუსტად იმასცე კვეთებს ითან პეტრიშვის ერთ-ერთი მიმღევარი, ელინოფილური სკოლის უცნობი მოღვაწე. (ტექსტის ზუსტ თარგმანთან ერთად იძლევა მის პერიფრაზირებულ კომენტარს).

ამგვარად, აღნიშნული კომენტარი შედგენილია არა მხოლოდ თეოლოგიურ ხედვათა სურვილით, არამედ პრაქტიკული საჭიროებითაც (ორივეს საჭიროებაზე საუბარია ოთხტეაპების პირველსავე სტროფში და მის განმარტებაში). გრიგოლ ნაზიანზელის ამ მორალურ-ეთიკური თხზულების პრაქტიკული დანიშნულება სწორედ სარწმუნოებისათვის სამსახურია<sup>26</sup>. ამასცე ისახავს მიზნად მისი კომენტარიც.

К. П. БЕЗАРАШВИЛИ

## АНОНИМНАЯ ГРУЗИНСКАЯ ВЕРСИЯ КОММЕНТАРИЕВ ПОЭЗИИ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА

Резюме

В предлагаемой статье впервые полностью изучается грузинский перевод комментариев Никиты-Давида Пафлагонянина (IX—X вв.) к четверостишиям Григори Назианзина (PG, сагмен 1, 2, п. 33), который находится вместе с переводом самого стихотворения в грузинских рукописях (A: S—2568, XVIII в., L: C—9, 1788 г., B: H—1737, XVIII в., C: S—348, XVIII—XIX вв., D: S—379, XIX в.). Такая же картина и в греческих источниках.

По мнению автора статьи, вышеуказанный комментарий (как и само стихотворение) переведен и перифразирован неизвестным грузинским переводчиком из Петрионской (Гелатской) школы в XII—XIV вв. свойственными этой школе переводческими методами и стилистическими особенностями, а интересы школы Антона I сохранили его (рукописи переписаны в этой школе в XVIII—XIX вв.). По всему видно, что несмотря на перифразирование, грузинская версия вышеуказанного комментария зависит от греческого текста Никиты (издание Е. Дронике, 1840=PG 38 Col. 788—842).

<sup>25</sup> ითან პეტრიშვი, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გმოკვლევა დაურთეს ვ. ნუცუბიძემ და ს. ყაფუჩჩიშვილმა, ტფ., 1937, გვ. 219, 224, 228.

<sup>26</sup> შედრ. დ. მელიქიშვილი, გელაბის სკოლა... გვ. 219—220, 225.

## ლია კიპნაძე

### ვასილ მათეს ძე ჭილაძე — რუსთის აჩაღვენის ლიქსიდონის მთარგმენტი

რუსეთის აკადემიის ლექსიკონი, რომლის გამოცემა განხორციელდა მე-18 ს. ბილის ცნობილი მწერლებისა და მეცნიერების გ. რ. დერჯავინის, დ. ი. ფონ-ვიზინის, მ. მ. ხერასკოვის, ი. ნ. ბოლტინის, ე. რ. დაშკოვას, ი. პ. ელაგინის, ი. ი. ლეპეხინის, ს. ი. რუმოვსკის და სხვათა მონაშილეობით, წარმოადგენს უნიშვნელოვანეს ნაშრომს რუსული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში. ნ. მ. კარაშინი ამ ლექსიკონს მიაკუთვნებდა „იმ ფენომენთა რიცხვს, რომლითაც რუსეთი ავირვებს ყურადღებიან უცხოელებს“<sup>1</sup>, ბ. გ. ბელინსკი კი მის შექმნას „იამდვილ გმირობად“ მიიჩნევდა. ლექსიკონის შესახებ არსებობს ი. ფ. რუდაკოვას სპეციალური გამოკვლევა<sup>2</sup>, რომელშიც მოცემულია მისი შექმნის ისტორია, დახსიათებულია ლექსიკონის მომზადების პროცესში კომისიის მიერ გაწეული შრომა, გამოყენებული წყაროები და ბოლოს ის პრინციპები, რომლებიც დაედო საფუძვლად ამ უნიკალურ ნაშრომს. იქვე შეფასებულია ლექსიკონის მნიშვნელობა იმდროინდელ და თანამედროვე რუსულ ლექსიკოგრაფიაში.

რუსეთის აკადემიის ლექსიკონი ნორმატიული განმარტებითი ლექსიკონია, რომელშიც ასახულია მე-18 ს. II ნახევრის რუსული სალიტერატურო ენა. ის ის დროა, როდესაც მ. ლომონოსოვის 3 სტილის თეორია კარგავდა თავის გავლენას და ჩამოყალიბებას იწყებდა ახალი საერთოლიტერატურული ნორმები. ი. რუდაკოვას აზრით, ლექსიკონის შემდგენლებმა ასეთ როტულ კოთარებაში შეჩნად დაისახეს არც თუ მარტივი ამოცანა — სიტყვის „სტილისტური“ დანასიათება. მათ სალაპარაკო ენის ლექსიკა დაყვეს „სასაუბრო“ და „მდაბიურ“ სიტყვებად და ისინი დაუბირისპირეს „მაღლი“ სტილის სიტყვებს. მართალია, ასეთი დაყოფა ლექსიკისა ბოლომდე თანმიმდევრულად არ არის გატარებული ლექსიკონში, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ შემდგენლების მეთოდი სწორედ ან მახსიათებლით განისაზღვროს.

რაც შეეხება შედგენილობას, ლექსიკონის ძირითადი ბირთვია ნეიტრალური ლექსიკა, ე. ი. ისეთი ლექსიკა, რომელიც გამოიყენებოდა მეტყველების ყველა სფეროში. ნაშრომში ვრცლად არის წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო ს. ტყვები — ცხოველთა, მცენარეთა, წყლის ბინაღართა, მინერალთა, ქვათა სახელწოდებები. იქვე პირველად პირვე ასახვა „ხალხიდან მომდინარე ეთნოგრაფიული პლანის“ ლექსიკაში, იგრძოვე ფრაზეოლოგიურმა ერთეულებმა,

<sup>1</sup> Н. М. Карамзин, Речь произнесенная в торжественном собрании импер. Росс. Ак. 5 декабря 1818 г. соч., т. IX, 1835 г., с. 268.

<sup>2</sup> И. Ф. Рудакова, Словарь Академии Российской 1789—1797 г. Л., 1965 г., автореферат дисс. работы на соискание уч. степени канд. филол. наук.

<sup>3</sup> ი. რუდაკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—19.

артила че́бышев. *Лопе́с де Суарес* — гре́ко-латы́нское слово, означающее «честный, правдивый». *Лопе́с де Суарес* — испанский философ и юрист, один из крупнейших представителей испанской школы философии XVII века. *Лопе́с де Суарес* — автор трактата «О природе и назначении права», в котором он выразил идеи о том, что право есть не что иное, как выражение общественного согласия. *Лопе́с де Суарес* — автор трактата «О природе и назначении права», в котором он выразил идеи о том, что право есть не что иное, как выражение общественного согласия.

*Лопе́с де Суарес* — испанский философ и юрист, один из крупнейших представителей испанской школы философии XVII века. *Лопе́с де Суарес* — автор трактата «О природе и назначении права», в котором он выразил идеи о том, что право есть не что иное, как выражение общественного согласия. *Лопе́с де Суарес* — испанский философ и юрист, один из крупнейших представителей испанской школы философии XVII века. *Лопе́с де Суарес* — автор трактата «О природе и назначении права», в котором он выразил идеи о том, что право есть не что иное, как выражение общественного согласия.

*Лопе́с де Суарес* — испанский философ и юрист, один из крупнейших представителей испанской школы философии XVII века. *Лопе́с де Суарес* — автор трактата «О природе и назначении права», в котором он выразил идеи о том, что право есть не что иное, как выражение общественного согласия. *Лопе́с де Суарес* — испанский философ и юрист, один из крупнейших представителей испанской школы философии XVII века. *Лопе́с де Суарес* — автор трактата «О природе и назначении права», в котором он выразил идеи о том, что право есть не что иное, как выражение общественного согласия.

<sup>4</sup> Дласк. Нашкоди, 23. 11.

<sup>5</sup> Дласк. Нашкоди, 23. 14.

<sup>6</sup> Ильин, 23. 19.

<sup>7</sup> Ильин, 23. 28.

ყვები. ეს გარემოება აძნელებდა სიტყვათა მოძებნას, რის გამოც ყოველ ტრაქიული ტოლოში დაუროეს განმარტებულ ფორმათა ანბანთრიგზე გაწყობილი სიტყვათა დალაგების ბუღობრივი პრინციპი, სიტყვანი გაწყობილია ანბანზე, რაც აიოლებს ლექსიკონის გამოყებას.

რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ზოგადი დახასიათებიდანაც, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ საქმე გვაქვს უნიკალურ ნაშრომთან, რომლის ქართულად თარგმნა დიდი მნიშვნელობის უნდა ყოფილყო საქართველოსთვის მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა სამიროება რუსული ენის შესწავლისა. მაგრამ წიგნებსაც აქვთ თავიანთი ბედი და, სამწუხაროდ, უბედობა თავიდანვე დაპყვა ამ გამორჩეული ნაშრომის ასევე გამორჩეულ (თავისი დროისათვის, რასაკვირველია) ქართულ თარგმანს.

რუსეთის აკადემიის ლექსიკონის ქართული თარგმანი, ე. ი. რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიც ჩაქოვილია უზარმაზარი შრომა და რომლის პარდაპირი დანიშნულებაც იყო ქართველი ინტელიგენციისთვის დამმარტინი გაწევა რუსული ენის დაუფლებისა და რუსულიდან ქართულად თარგმნის საქცეში, მხოლოდ იმ შემთხვევაში შესარულებდა თავის მისიას, თუ დაბეჭდებიდა და გავრცელდებოდა საქართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შიარწევდა თავის მიზანს და დარჩებოდა ოუმკა დიდმნიშვნელოვან, მაგრამ შეინც ისტორიულ ფაქტად ქართული ლექსიკოგრაფის სფეროში. როგორც ადრეც მოეცილეთ<sup>8</sup>, რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდის საკითხი რამდენგრძელე დაისვა რუსეთის მთავრობის წინაშე 1814—1821 წლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, საბოლოოდ უარყოფითად გადაწყდა. ასე დარჩა ხელნაწერის სახით წიგნი, რომელსაც შეეძლო დიდი სამსახური გაეწია რუსული ენის შესწავლელთა და რუსულიდან მთარგმნელთათვის, რომლებიც XIX საუკუნეში ძირითადად რუსული ენის მეშვეობით ახერხებდნენ ევროპული იდეების შემოტანას საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი პირველი რუსულ-ქართული ლექსიკონია, უნიკალური თავისი მოცულობითა და განმარტებების სისუსტით, რომელიც სცილდება თარგმნითი ლექსიკონის ფარგლებს და ბევრ შემთხვევაში თარგმნით-განმარტებითი ხასიათის მაგალითებს გვაძლევს. თარგმნისას გამოყენებული სინონიმური შესატყვისები კი ხშირად საინტერესოა და, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელიც თანამედროვე სინონიმური ლექსიკონის შედგენისას. შაშასადამე, დაბეჭდის შემთხვევაში რუსულ-ქართულ ლექსიკონს შეეძლო შოელი ეტაპი შეექმნა ორენოვანი ლექსიკონების შექმნის საქმეში.

ასეთივე უბედობა დაპყვა თან რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმელს, ე. ი. რუსულ-ქართული ლექსიკონის შემოქმედს, რომლის სახელი თანაშედროვებისთვის კი იყო ცნობილი, მაგრამ მომდევნო ხანში თანდათან დავიწყებას მიეცა და ბურუსით დაიფარა. მის ნაცვლად 150-ზე მეტი წლის ძანძილზე ე. ი. 1984 წლამდე, როდესაც ჩვენი გამოკვლევა გამოქვეყნდა<sup>9</sup>, რუსულ-ქართული ლექსიკონის ავტორად მიჩნეული იყო იოანე ბაგრატიონი. იოანე ბაგრატიონის ავტორობას ადასტურებდა ანდრეძი, რომელიც ახლავს

<sup>8</sup> ლ. კიკნაძე. ახალ იმასალები იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1984, № 4, გვ. 11—15.

<sup>9</sup> იბ. შემოთხასახელებული ნაშრომი.



ლექსიკონის ლენინგრადულ ნუსხას (I ტომი)<sup>10</sup>. იგი მოთავსებულია აზერბაიჯანულ რაის თავფურცელზე და უშუალოდ მოსდევს სათაურს: „...От российского языка на Грузинский переведено от Его Светлости Грузинского Царевича Иоанна Георгиевича и Кавалера...“ ჩვენს ზემონახსენებ გამოკვლევაში გამოქვეყნებულია პირველწყაროს მნიშვნელობის მქონე მასალა, რომელიც შექმნას ჰქონის რუსულ-ქართული ლექსიკონის შექმნის მთელს ისტორიას და ცხადად წარმოგვიღების ამ გრანდიოზული ნაშრომის ნამდვილ შეძლებებს — ვასილ მათეს აკ ჭილაძეს. ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონის ავტორობის სრული კეშმარიტების გარანტიას იძლევა ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილები ეკუთვნის თვით იოანე ბაგრატიონს, ვ. ი. პირვენებას, რომელსაც ანდრეძის მიხედვით მიეწერება რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნა. იოანე ბატონიშვილი თავის წერილებში რუსეთის ბეჭილ ჩინოვნიკებთან რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელად ასახელებს ვასილ მათეს აკ ჭილაძეს და მისი „თავგანწირული და გმირული“ შრომისათვის რუსეთის მთარგმნისაგან თხოულობს მთარგმნელის შესაფერისად თავილდოებას<sup>11</sup>. იგი ხახს უსვამს ვასილ ჭილაძის ჩინებულ ცოდნას ქართული და რუსული ენებისა, საფუძვლიან განათლებას და არაჩვეულებრივ შრომის-მოყვარეობას, რამაც განაპირობა კიდეც დაკისრებული დავალების წარმატებით შესრულება. იოანე ბატონიშვილის აზრით, ვასილ ჭილაძის დიდად სასარგებლო და მძიმე შრომა აღუნიშნავი არ უნდა დარჩეს, რადგან მისი დაგილდოება ვაპლება სტიმული მთარგმნელის შემდგომი შემოქმედებითი წარმატებებისა. იოანე ბატონიშვილი დაბეჭითებით თხოულობს ამ საკითხის სწრაფად მოვარდებას „რომ დროის დაუკარგვად შეიძლებოდეს ამ ჩინოვნიკის სამშობლოს საკეთილდღე სხვა სასარგებლო დავალებებით დატვირთვა“<sup>12</sup>.

იოანე ბატონიშვილის ეს წერილები სრული უაპველობით ამტკიცებენ, რომ რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი ვასილ მათეს აკ ჭილაძე, ბიუტებდავად ამისა, ჩვენ მოვუხმობთ სხვა დამატებით არგუმენტებსაც ვასილ ჭილაძის ავტორობის სასარგებლოდ.

1. რუსულ-ქართული ლექსიკონის თბილისური ნუსხა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2328 ა, ბ) შეიცნობა პირია, ნაწერია ორი ხელით. ქედან ერთი იოანე ბატონიშვილის ხელია, რომლითაც ნაწერია ამ უზარმაშაბაზი ნაშრომის (981 ფურცელი) დასაწყისი ნაწილი (115 ფურცელი), ისიც უმეტეს შემთხვევაში ვადახაზული და ახალი განმარტებებით შეცვლილი მეორე ხელის მიერ. ეს მეორე ხელი კი ძირითადი ხელია ლექსიკონისა და ეკუთვნის ვასილ მათეს აკ ჭილაძეს<sup>13</sup>. ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძველს გვაძლევა ვ. ჭილაძის თარგმანები, რომელთა ერთი ნაწილი ავტოგრაფული ხელნაწერების სახით არის შემონახული როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ხელნაწერთა

<sup>10</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი ჩვენამდე შოლწეულია ორი ნუსხით: ერთი — ორტოშეული, დაცულია საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კევალიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2338 ა, ბ), ხოლო მეორე — ემპსტომეტელი — ლენინგრადში, სალტიკოვ-შეკედვინის სახ. საგარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 272, ა, ბ, ვ, გ, დ, ე).

<sup>11</sup> ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9—10.

<sup>12</sup> ЦГИА России, ф. 733, оп. 118, 1814 г., л. 283.

<sup>13</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ვ. ჭილაძის ხელი უცნობი დამხმარის ხელალა მინიჭული. ამის შესახებ იხ. ჩვენი ზემოთაღნიშნული გამოკვლევა, გვ. 8—9.



საცავებში<sup>14</sup>, აგრეთვე მისი ხელით ნაწერი ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტის სინოდის თბილისის კანტორის პროცესუალური როლის პოსტზე მისი მუშაობის პერიოდში, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე უხვადა დაცული საქართველოსა და რუსეთის არქივებში.

2. ვასილ ჭილაძე საქართველო-იმერეთის სინოდის თბილისის კანტორის პროცესუალური პოსტზე მუშაობის პერიოდში (1814—1828 წწ.) ყველწლიურად უგზავნიდა კანტორის მუშაობის ანგარიშს სასულიერო საქმეებისა და სახალხო განათლების მინისტრ გოლიცინს „უწყებების“ სახით. ერთ-ერთ ანგარიშში (1815 წ. 26 ნოემბრისა) ჩატოტულია ვასილ ჭილაძის წერილი კოლოციონთან<sup>15</sup>. რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი მისი თავგანწირული შრომა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის პროცესში. ვ. ჭილაძის თქმით, ეს დიდი წიგნი შექმნილია „ოფიცია და უზრომო შრომით“. კერძოდ, მისი შექმნის პერიოდში „ამ საერთო-სასარგებლო შრომას ვეწეოდი დღე-ლამეში 18 სათის განმავლობაში აუდგომლად. რის გამოც ამ გამუდმებული ჯდომისაგან არა მარტო ბევრი ავადმყოფობა შემეყარა, არამედ სანახევროდ დავპრმავდი კიდეც...“<sup>16</sup> სხვა სარქვივო დოკუმენტში, სადაც ამ რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვის შესახებ ითანა ბატონიშვილის თხოვნის წერილიც არის, ვასილ ჭილაძე ისევ თავის ლვაწლზე წერს რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის საქმეში: „ამ ლექსიკონის თარგმნაზე ვშრომობდი მხოლოდ მე ერთი, უმნეს დაბეჭდვის გარეშე, გარდა თვით ბატონიშვილისა (ითანებულ ლაპარაკი, დ. კ.), რომელიც ხანდახან მიძებნიდა ხოლმე ზოგიერთ ქართულ სიტყვას...“<sup>17</sup>. ეს ნათქვამი სრულ სიმართლეს წარმოადგენს: თბილისური ნუსხის შესწავლისას მართლაც აღმოჩნდა ითანა ხელით ჩაწერილი სიტყვები ვასილ ჭილაძის ქართულ განმარტებებში (მათი რაოდენობა 200-მდე). აქედან სიტყვათა ერთი ნაწილი საბუნებისმეტყველ სფეროს განკუთვნება (ცხოველთა და მცენარეთა სახელები).

ვასილ ჭილაძის ერთ-ერთ წერილში საქართველოს უგზარქოს თეოფილაქტესთან ნათქვამია, რომ მან ითანა ბატონიშვილის დავალება რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნისა სიამოვნებით მიიღო: ....„შეშმარტი კმაყოფილებით მიიღო მისი დავალება, განუწყვეტლივ ვმუშაობდი და გავათავე კოდეც თარგმნა სასურველი წარმატებით“<sup>18</sup>.

3. 1818 წელს საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ კიდევ ერთხელ დასვა ვასილ ჭილაძის რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვის საკითხი<sup>19</sup>. ეგზარქოსმა მიმართავდა გოლიცინს, რომ მხოლოდ საქართველოს სასარგებლო საქმეებისადმი ერთგულება იძულებდა მას მინისტრის უზრადღება მიეპყრო ვ. ჭილაძის თავგანწირული შრომისათვის, რაც მთარგმნელმა ჩაქსოვა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის საქმეში. „ასეთ შრომას, როგორიც თვე-

<sup>14</sup> ქ. ერკელის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2470, H 2375; გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის № 12943; ლენინგრადის ლმსავლეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების E 14.

<sup>15</sup> ЦГИА России, ф. 796, оп. 96, 1815 г., л. 78.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> ЦГИА России, ф. 797, оп. 2, 1818 г., л. 9085.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> ამ ლექსიკონის დაბეჭდვის მცდელობის შესახებ ვრცლადა საუბარი ზემოდასახელებულ ჩერებს გამოკვლევაში, გვ. 11—15.



დღი ბატონმა ჭილაძემ, აქ ვერავინ ვერ გაუძლებსო<sup>20</sup>, დაბეჭითებიშია უკანასიანი ცენტრია თეოფილაქტე გოლიცინს და თხოვდა ამ მეტად მნიშვნელოვანი შრომის დაწეჭდვას სახელმწიფოს სახრებით.

გორის ეპისკოპოსი დოსითეოსი 1814 წ. იგვისტოს თხოვნაში, რომლის ძირითადი მიზანიც იყო ვ. ჭილაძის სახელმწიფო სამსახურში აღდგენა, ჭილაძის დამსახურებათა შორის ასახელებს მის მიერ რუსეთის აკადემიის ლექსიკნის თარგმნის ფუქტსაც. იგი წერს: „ამას გარდა ჭილაძე ცნობილია თვისი ცოდნითაც, რამეთუ მან თარგმნა რუსულიდან ქართულ ენაშე რუსეთის აკადემიის ლექსიკონი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თვისი თანამემამულებისათვის“<sup>21</sup>.

მაშვალიამე, საქართველოს იმდროინდელმა საზოგადოებამ, ყოველ შემთხვევაში, მისმა ერთმა ნაწილმა მაინც (რომ აღარაფერი ვთქვათ პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრებზე, რომლებიც ოთამზილელები იყვნენ ვასილ ჭილაძის თავეგანწირული შრომისა) კარგად იცოდა რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელის სახელი. და მიუხედავად ამისა, მომდევნო ხანაში ლექსიკონი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა იოანე ბაგრატიონის სახელს, რომ დღესაც კი უჭირთ ძვალ-რბილში გამჯდარი ტრადიციული შეხელულების უარ-უარია და ვასილ ჭილაძის ვეტორობის აღიარება. წინა გამოკვლევაში ჩენ შევცადეთ აგვესნა, თუ როგორ მოხდა იოანე ბატონიშვილის სახელის დაკავშირება ამ ლექსიკონთან: რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის პეტონდში ვასილ ჭილაძე, რომელიც იმუამად არსად არ მუშაობდა, თავისი ოჯახით ცენტრობდა იოანე ბატონიშვილის სახლში პეტერბურგში და სარგებლობდა მისი მზრუნველობითა და ყურადღებით. იოანეს მატერიალური და მორალური დახმარების მაღლიერი ვასილ ჭილაძე არაჩევულებრივი ერთგულებითა და სიცემითო ასრულებს ბატონიშვილის დავალებას, თარგმანის გასრულების შემდეგ კი თავისი უზარმაზარი შრომის ნაყოფი — რუსულ-ქართული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის თარგმნილად გამოაცხადა და წიგნის ანდერტში თვისი ხელით ჩაწერა ამისი დამადასტურებელი სიტყვები. ამდენად, ანდერტი გახდა შუარი საფუძველი მისა, რომ მომდევნო ხანაში შემდგომ თაობებს რუსულ-ქართული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის შექმნილად მიეჩნიათ. ამავე ანდერტმა იოანეს მისცა საფუძველი ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე რუსეთის მთარგმნის მიმართ თხოვნაში იგი თავის ნაღვაწად გამოცემადებინა. ჩენი აზრით, ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ ლექსიკონის დაბეჭდვა შეეძლო შეოლოდ დიდი ავტორიტეტისა და შეძლების პირს, სწორედ ისეთს, როგორიც იყო იოანე ბატონიშვილი (ვასილ ჭილაძეს არც სახელი გააჩნდა და არც სახსრები მის დასაბეჭდად). ამას კარგად გრძნობდა ვასილ ჭილაძეც და გამოთქვა კულეც თავისი აზრი ამის თაობაზე: „მის ბრწყინვალებას სურს... გმოსცეს ეს ლექსიკონი მხოლოდ თავისი სახელით, რასაც მე, ჩემი მხრივ, უუთმობ მას, შეოლოდ ჩემი შრომა არ დარჩეს უყურადღებოდ“<sup>22</sup>. ეს, რასაკვირველია, გულისხმობს, რომ დაბეჭდილი ლექსიკონის წინასიტყვაობაში აღნიშნული ყოფილიყო ვასილ ჭილაძის წვლილი რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის საქმეში. ეს აზრი რომ სიმართლეს შეეფერება, დაგვიდასტურა აჩლახან მიკვლე-

<sup>20</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>22</sup> დასახ. ნაშრონი, გვ. 12.

ულმა დოკუმენტმა, რომელიც ნაწერია ვ. ჭილაძის ხელით და წარმოადგენს რუსულ-ქართული ლექსიკონის წინასიტყვაობას<sup>23</sup>. მოგვყავს მთლიანად:

### ზინასიტყვაობა

ვინახდგან ჭეშმარიტება ესე პირდაუყოფელად მტკიცედ დამტკიცებულ არს ყოველთაგან, რომელ მიზეზი ერთა ბედნიერებისა არს ნიადაგ განათლება მათი და რომელ გავითარება გონიერებისა შეიცუანებს რა მათ კეოილდღეობასა შინა, აღიყვანებსცა ერთბამად თხემსა ზედა კეთილ-სულიობისასა, ამისთვის სიყუარულისა გამო მამულისა ჩემისადმი, ვინახდგან შცირედ არიან სამეცნიერო წიგნი ქართულსა ენსა ზედა არა უგულსმოდ-გინეობითა ერთმექუცვენტა ჩემისათა, არამედ ხშირად დასხმისა გამო ძელთა ღროთა შინა მტერთაგან მჟარესა მას ზედა, წინაგანვიზრახე გარდმოღება რუ-სულიდგან ქართულსა ენსა ზედა რუსულის ლექსიკონისა, რომელიცა შემ-ღგრ არს ექვეთა ნაწილთაგან და არს პირველი საფუძველი ყოვლისა სიტ-ყვერებისა, თანაშეწევნითა უფლისა ნადვორნის სოფერნიკისა ვასილისა ჭი-ლძისათა.

შემრაცხველსა მიუცილებელ საჭიროებად, რათა მომეუუანა თვით მოქმე-დებისადმი ესევითარი წინაგანზრახვა ჩემი აწინდელისა რახსამიშართობისა გამო რუსეთისა საქართულობრივისა თანა, განმიცემის აწ რუსული ლექსიკონი ქართულის თარგმანითა ახლოსა და უმჯობესსა სისტემასა ზედა დაწყობითა ანბანსა ზედა ასხმითა ესევითარსა საფუძველსა ზედა, რათა არლარა უმძიმ-დეს მეძიებლობა მას შინა: 1. ლი. მარტივთა და მით გამო როულთა ზნათა. 2. რე. არსებითთა სახელთა პირველსახეთა და მათ გამო როულთა სახელ-თავე, ვითარ-იგი იყო უწინარეს ამისა, რომლისა მიზეზისამებრ არა მხოლოდ შოსწავლენი რუსულისა ენისანი, არამედ თვით მასწავლებელნიცა ფრიად ხში-რად მიემთხვეოდიან დიდისა სინერესა ღროსა საჭიროებისასა პოვნასა შინა მათ მიერ საჭიროთა ლექსთასა. და რათა ამის გამო შემძლებელ იყვნენ პოვ-ნად თვთეულისა ლექსისა არა პირველისამებრ ლექსის დასაბამისა, არამედ სწორედ ანბანსა ზედა ასხმითა, ვითარ-იგი სხუათაცა ყოველთა უცხოვეყნის ენათა ზედა მიღებულ არს საზოგადოდ სისტემა ესევითართა ლექსიკონთა შინა.

ზემოხსენებულსა ამას შინა მდგმოებს ოუალთისახილველი და უმეტესი სარებლობა ლექსიკონისა ამის და ესე იყო ჩემ კერძოდ განმაღვიძებელი მი-ჭიში მეორედ განცემისა ლექსიკონისა ამის, რომლისაცა მოყუანებისათვის სი-სრულედმდე არა დამიზოვიერ არცა შრომანი და არცავე წარსაგებელნი.

ამის გამო მაქს იმედი, რომ შრომანი ჩემინი არა იქმნენ ამაოდ. ეგრეთვე ესასოებ, რომელ თანასწორებ ერთმექუცვენტა ჩემთათვის არა იყოს უსარ-გებლო წინადაფენილი ჩემგან ლონისძიებაა შემეცნებისა გამო რუსულისა ენისა, რომლისამებრ გაემცნობებიან უმეტესად მათ, რომელთა თანაცა არა მხოლოდ აღიარებენ ერთსა სარწმუნოებასა, არამედ მდგმოებენცა ერთსავე ქუმშეპყრობელობასა და ესევითარითა ხატითა შეერთდებიან მათ უმტკიცე-სითა კავშირითა მეგობრობისათა და სარჩოხსა შემძინებლობისათა.

<sup>23</sup> „წინასიტყვაობა“ გაღმოვვაცა ფალოლოგიურ მეცნიერებათა ღოქტორმა მ. ქავთარიამ, ჩისთვისაც მაღლობას მოვასენებთ.

შრომაზი ჩემინი შემძინებენ მე უსიამოვნესა კმაყოფასა, უკეთუ მდგრადული ცემნებიან თანასწორითა სიმღაბლითა, ვითარცა რუსეთისა ძეთაგან, ეგრეთვე ერომექუცინეთა ჩემთაგან.

სხვებრ შეუტრდებ თავსა ჩემსა სჯასა ქუცშე განათლებულისა საზოგადო-ობისასა და ვითხოვ, რათა მექმნეს მე კეთილმიღრევილად; ვინამდგან საცნაურ არს, თუ რაოდენისა სიძნელისა და უმარჯუცობისა თანა შეერთებულ ასე აბლად განცემა ლექსიკონისა.

უკანასკნელ მსარს, რათა შრომათა ამათ ჩემთა აღმოაჩინონ საზოგადო-ისათვს სარგებლობა იყო, რომელიცა მაქუნდა მე საგნად და საფუძვლიად. თა-ნებდებ ვარ აქვე მოხსენებად, რომელ ვიეთნამე ლექსინი არაბისა, სპარსისა, თურქისა და თათრისა ენისანი, რომელიცა უფროორ პნიშნევნ სახელოთა და თანამდებობათა სამეფო კარისათა და შესამზღვურებისა გამო საქართულო-მა ამა ერთა თანა მოლებულ ყოფილან კმარებად ქართულსა ენასა ზედა, მი-გმარის მეცა ადგილ-ადგილ თარგმანია შინა, რათა ქართულისა მკვიდრნი ლექსინ უამთა ვითარების შემდგომად არა დაკიტყებულ იყვნენ და რათა მო-მავალთა ტრმთაგან სამარადისოდ არა მიფარებულ იყვნენ, მისითვს პარისპირ ითოვეულისა რუსულისა ლექსისა პირველ დამიღვის მკვიდრი ქართული ლექსი და შემდგომად კმარებული ქართულსა ენასა ზედა ნაცვლად ქართუ-ლისა ლექსისა უცხო მკრის მეზობელთა ლექსი, თვინირ მცირედთა რაოდენ-იამე ლექსითა, რომელთაცა პოვნად ყოვლითა ჩემისა მეცადინეობითა ვერ შე-მძლების<sup>24</sup>.

როგორც ვხედავთ, „წინასიტყუაობაში“ ვასილ ჭილაძის წვლილი რუსუ-ლიდან თარგმანში ითანეს „თანა შეუცენით“ ე. ი. დახმარებით გამოიხატება. ეს კი ვასილ ჭილაძეს ლექსიკონის ერთ-ერთ მთარგმენელად წარმოგვიდგენს ე. ი. მისი შრომა „არ რჩება უყურადღებოდ“, როგორც იყო მოითხოვდა. მაგ-რაც ლექსიკონი არ დაიბეჭდა მიუხედავად არაერთგზისი ცდისა, მკითხველის-თვის უცნობი დარჩა მისი წინასიტყვაობაც, ხოლო ლექსიკონის ანდერძში ძრარგმნელად მხოლოდ ითანე ბატონიშვილი ფიგურირებდა და სრულად უყუ-რადღებოდ იყო დატოვებული ვასილ ჭილაძის „საქები გმირობა“, რაც მის შრომას მომავალ თაობებში სრულ დავიწყებას უქადდა. და აი, ბუნებრივია, რომ ვასილ ჭილაძეს თანდათან უძლიერდება სინაულის გრძნობა და იგი ცდი-ლობს ალიდგინოს რუსულ-ქართული ლექსიკონის ავტორობა, რაც ასე დღი-ლად, მართლაცდა ერთი კალმის მოსმით — ანდერძის მეშვეობით — დაუ-შევიდრა ითანე ბატონიშვილს. ექორობის ალიდგინის სურვილისა და რუსულ-ქართული ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე ითანე ბატონიშვილის მცდელო-ბის შედევრია სწორედ ის ვრცელი მასალა, რომელიც მთელი სიცხადით წარმ-აჩენს რუსეთის აქადემიის ლექსიკონის ჰეშმარიტი მთარგმნელის სახელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. ჭილაძეს კუუთვნის აგრეთვე საბუნებისმე-ტყველო რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>25</sup>, რომელიც ასევე ითანე ბატონიშვი-ლის სახელით იყო ცნობილი. მის საფუძველია ანდერძი, რომელიც მოსდევს სითაურს და დაწერილია ვასილ ჭილაძის ხელით: „ბუნებისმეტყუცლება ანუ შეკრება ლექსითა სხვა და სხვათა ბუნებითთა ისტორიათაგან, ანბანსა ზედა ასმითა, რომელიცა შეადგენენ სამთა სამეფოთა ბუნებისათა, ესე იგი: ცხო-

<sup>24</sup> ლენინგრადის სალტიკოვ-შეკრინის სახ. საქართ ბიბლიოთეკის ხელნაშერთა განყო-ფილების ითანე ბატონიშვილის კოლექცია, ფ. 941, ალ. 2. № 118.

<sup>25</sup> დაცულია ხელნაშერთა ინსტიტუტში, S 3986.



ელოთასა, მცენარეთასა და ოლონიკუროთასა, გინა ილექტორთასა ქვებით უკარისი უკარისი ცადითა განმარტებითა თვეშისა, ნიშნებისა და ქმარებისა მათისათა და წოდებითა სახელოთა რუსულსა, ლათინურსა და ქართულსა ენასა ზედა, შრომითა და მოღვაწებითა საქართულოს მეფის გოორგის ძის ოანქესითა სანქტ-პეტერბურგსა შინა 1814-სა წელსა“. ეს ლექსიკონიც, ზემოთვანილი რუსულ-ქართული ლექსიკონის მსგავსად, თავიდან ბოლომდე ნაწერია ვასილ; ჭილაძის ხელით და რუსეთის აკადემიის ლექსიკონის საბუნებისმეტყველო მასალის თარგმნითა მიღებული. განსხვავება ისაა, რომ ეს ლექსიკონი განმარტებითია, ე. ი. რუსულ სიტყვებს მიწერილი აქვს არა მარტო ალექსატური ქართული შესატვისი, აჩამედ რუსულ ლექსიკონში წარმოდგენილი ვრცელი განმარტების თარგმანი. ჩვენ ვარაუდობით<sup>26</sup>, რომ ამ ლექსიკონისათვის საჭირო სიტყვებს ვ. ჭილაძე რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმნის პროცესში ცალკე წიგნში წერდა და დენდისეულ ვრცელ განმარტებებს შეუმოკლებლად, სიტყვა-სიტყვით თარგმნიდა ან მაშინვე, ან რუსულ-ქართული ლექსიკონის გასრულების შემდეგ. ასეა თუ ისე, ორივე ლექსიკონი ერთი და იმავე შემოწმედებითი პროცესის შედეგად შექმნილად და ამდენად, ერთმანეთან მჭიდროდ დაკავშირებულად გვქონდა წარმოდგენილი. ამიტომ არის სწორედ, რომ ვასილ ჭილაძე ამ ლექსიკონს არსად ცალკე არ გმოჰყოფს, რადგან ისიც რუსეთის აკადემიის ლექსიკონის თარგმანია. ამავე გამოყვლევაში აღვნიშნავდთ, რომ საბუნებისმეტყველო ლექსიკონის შექმნაში უფრო მეტი წვლილი აქვს იმანე ბატონიშვილს, ვიდრე რუსულ-ქართულ ლექსიკონში. მას სალექსიკონ ერთეულები მიუმატებია სიტყვანისათვის, ზოგიერთი განმარტინაც გაუყორცა (ორივე ერთად 30-მდე). რუსულის შესატყვისი ქართული სახელწოდებები ზოგიერთ შემთხვევაში დაუზუსტებია, სინონიმებით გაუმდიდრებია და სალექსიკონ ერთეულ მიმდევად თურქული შესატყვისის განმოწმენით შეუვსია. მიუხედავად ამისა იმანეს ლავში არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მთარგმნელად იმანე ბატონიშვილი მიერჩიოთ და არა ვასილ ჭილაძე, რამდენადაც რუსული ლექსიკონის განმარტებების ჭილაძისეული თარგმანები არც ერთ შემთხვევაში არ არის შექმნირებული იმანეს მიერ. აქირაა, იმანე დიდ ნდობას უცხადებს მთარგმნელს და პირდაპირ რომ ვთქვათ, მას არც ხელწიფება ჭილაძის თარგმანის შემოწმება-გასწორება, რომდენადაც მან სუსტად იცის რუსული ენა<sup>27</sup>.

26 დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

27 ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშვნოს შემდეგი: 1986 წელს ვამოწევმლობა „მეცნიერებაში“ ვასილ ჭილაძის ეს საბუნებისმეტყველო ლექსიკონი დასტამბა იმანე ბაგრატიონის აკრონბით (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: გამოკლევა და საძიებლები დაურთეს თინა ცხელიდები და ნანა კინაძემ), თუმცა ჩვენი გამოკლევა უკვე გამოვევყნებული იყო (ახალი შასალები, იმანე ბატონიშვილის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ, ფ. შავნე, ენისა და ლიტ. სერია, 1984, № 4, გვ. 5—23) და გამომცემლებს საშუალება ჰქონდეთ მისი გაცნობისა. გასტონბირი კიდეც, როგორც ლინიშტულია წიგნის ერთ-ერთ სქოლითში, გადამ ასატომლაც არაეთმოარი რეაქცია არ გამოიწვევეთა მათში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დაზუსტებას, როგორიცაა ლექსიკონის აუტორის საკთხო. ვალეგბული კა იყვნენ გამოეხატოთ თავიანთი დამოკიდებულება ამ სიახლის მიმართ, ან მიეღოთ ვასილ ჭილაძე, როგორც აგრძონ ამ ლექსიკონისა, ან საკანონოდ გაეხადათ მისი ატორობა, თუ პერიდათ სამისი არგუმენტები. ასეთი გაუგებარი მოქმედების გამო წააგო წიგნშია, წააგო შეითხველმაც, რადგან მიიჩინა კალევის თანამედროვე ლონეზე მიღწეული შეღევნები, წინასიტყვაობაში კი გამოითქვა მომვალებულ შეხულებებში დამყარბული მოსაზრებები.



ურველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: ითანამდებობის ნიშანის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული და საბუნებისმეტყველო ლექსიკონების, ნამდვილი ზემოქმედია ვასილ მათეს აკადემიუმის მეცნიერებების სამსახურის მივიწყებულ ამ ზემოქმედს ჭროვანი აღილი მიეჩინოს ქართული ლექსიკონის ისტორიაში.

Л. А. კიკნაძე

## ВАСИЛИЙ МАТВЕЕВИЧ ЧИЛАДЗЕ — ПЕРЕВОДЧИК СЛОВАРЯ АКАДЕМИИ РОССИЙСКОЙ

### Резюме

Словарь Академии Российской, созданный в конце XVIII века, уникальный труд в истории русской лексикографии. Он является не только ценнейшим источником, отражающим литературный язык своего времени, но и законодателем ряда лексикографических принципов, использованных составителями последующих толковых словарей, и не утративших своего значения до настоящего времени. Грузинский перевод этого труда — русско-грузинский словарь (дошедший до нас в двух списках), известный в продолжении 150 и более лет под именем Иоанна Багратиони, по данным нововыявленных документов архивов Грузии и России принадлежит Василию Матвеевичу Чиладзе.

В статье приводятся дополнительные аргументы об авторстве Василия Чиладзе. Здесь же впервые публикуется «Предисловие» к изданию русско-грузинского словаря, написанное рукой самого переводчика, т. е. Василия Чиладзе.

ეს ფაქტი შემჩნეული არ დარჩენილა სამეცნიერო წრეში. კერძოდ, პროფ. ალ. ფუცხიშვილი, რომელიც იზიარებს ვ. ჭილაძის ავტორობას, წერილში „ითან ბატონიშვილი თუ ვასილ ჭილაძე?“ (გამ. „წიგნის სამყარო“, 1988, 14. გვ. 2). საგანგებოდ მსჯელობს ახალი მასალების ფონორისების ამ სამწუხარო შემთხვევაში.

## ბირნარ უჩილი

ეპსევის ეპისტოლისა და სახარების „სასწაულების“ შევეღები  
ძართული ვერსიები\*

დღევანდელი ჩვენი შეკრება ქართველთა მონასტრის — ივირონის — ათასი წლის იუბილეს ეძღვნება.

ფრაად მოხარული და მადლობელი ვარ, რომ თქვენი აკადემიის წყალობრივი მემკვიდრეობის შესაძლებელი გახდა ამ დღესასწაულში მონაწილეობა. ოუმცდაბადებით ქართველი არ ვარ, გულით — კი.

ეს იუბილე მარი-ფელისიტე ბროსეს დღესასწაულია ამავე დროს. მარი ბროსე ფრანგი იყო, მეც ფრანგი ვარ. იგი პარიზის სააზიო საზოგადოების წევრი იყო, მეც მისი წევრი ვარ. ის დიდი მეცნიერი იყო. მე დიდი მეცნიერი არ ვახლავართ, მაგრამ მეც, როგორც ბროსეს, ძალიან მიყვარს ქართველები და ქართული კულტურა.

ბროსემ საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის კვლევა ხელნაწერებზე მუშაობით დაიწყო. მისი აზრით, უშუალო კონტაქტი პირველწყაროებსა და ადამიანებთან საუკეთესო გზაა მეცნიერების წარმატებისათვის. ამიტომ იყო, რომ იგი, თეიმურაზის მოწაფე, ჩამოვიდა საქართველოში მეცნიერული მიცვლინებით.

ამ ჩემს ძალიან მოკლე მოხსენებაში მინდა იმავე მეთოდს გამოყენება. შინდა შევეხო ორ საკითხს ექვთიმეს და გიორგის ლიტერატურული საქმიანობიდან. ჩემი მოხსენება მეთერთმეტე საუკუნის ორ ძეველ ხელნაწერს ეყრდნობა.

ახლახანს თბილისში ივანე იმნაშვილის რედაქციით გამოვიდა დიდი შრომა: „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“, ესე იგი ეფთვიმეს და ჯიორგის რედაქციები.

ეფთვიმეს რედაქცია გამოცემულია ორი ხელნაწერის — A ფონდის ნომერი ი-ცდარვა (ურბინისის ოთხთავი) და ეგრეთშოდებული პალესტინური ოთხთავის შეხედვით. პირველის თარიღი ზუსტად ცნობილი არ არის. რენე შეერლინგისა და ილია აბულაძის აზრით, ეს ხელნაწერი მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა უნდა იყოს. მეორე ხელნაწერი გადაწერილია იერუსალიმში ათას ირმოცდარვა წელს.

აჩესბობს კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც სინის მთის მონასტერშია დაცული: ქართული ხელნაწერი ნომერი თექვსმეტი, გადაწერილი მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებში იერუსალიმის ჭვრის მონასტერში.

\* მოხსენება, წაკითხული ივირონის მონასტრის ათასი წლისთავის იუბილეზე თბილისში 1982 წლის 20 ოქტომბერს.

ეს სამი ხელნაწერი ერთმანეთთან ძალზე ახლოს დგას. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

მათე, მეათე თავი, ოცდამეექვსე მუხლი: „ნუუკუე გეშინინ მათგან“, ე. ი. ქრისტიანების მტრებისა. ეს სამი სიტყვა ყლია ჩვენ სამ ხელნაწერს, მერმე ჩაუმატებიათ მხოლოდ პალესტინურ თოხთავში.

მათე, მეორექვსმეტე თავი, მეთერთმეტე მუხლი: „ხოლო ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთამასა“. ასეა ჩვენ სამ ხელნაწერში და ოპიზურშიც, ხან-ჰეტობის გადმონაშთია: „ხეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთამასა“. აქედანაც ჩანს, რომ ეფთვიმეს ხელთ ჰქონია საყრდენად ოპიზური ძველი რედაქცია, შეიძლება თვით ოპიზის ხელნაწერი, ან მისი პირი, როგორც სამართლანად მიუთითა ი. იმანიშვილმა (გვ. 83).

მათე, ოცდამეერთე თავი, ოცდამეერთე მუხლი: „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაა .. ჰქონათ მთასა ამას: აღიფხუერი ამიერ“. მოსალოდნელი იყო: აღიფხუერ ან აღიფხუარ. მხოლოდ ჩვენ სამ ხელნაწერში იყითხება: აღიფხუერი.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მაგალითების დამოწმება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკუმარისია. აქედანაც ჩანს, რომ სინის ნუსხაც ეფთვიმის რედაქციისაა.

ჩემი პირველი დებულება შემდეგია: ურბნისისა და სინის ოთხთავებში, ყოველი სახარების წინ, მოცემულია სახარების მოქლე სარჩევი სათაურით „სასწაული“ (ან თავები) მათეს, ან მარკოზის (და ასე შემდეგ) თავისანი“. როგორც ჩემთვის ცნობილია, ასეთი სარჩევების ძველი რედაქცია სრულად ოთხთავის რამდენიმე ქართულ ხელნაწერში მოიპოვება. ესენია: წყაროსთავის ოთხთავი. A ფონდის ნომერი ოთხმოცდათვრამეტი, მეათე საუკუნის ბოლოს გადაწირილი; მესტიისა და ტბეთის ოთხთავები. მეოთხე ნუსხაა რანერზონისებ ცნობილი ლიტურგიკოლო ერცუკლომეტია, Sin 34. წყაროსთავისა და ტბეთის ოთხთავებში სარჩევები თანივე სახარებისათვის ერთადაა შოცემული ხელნაწერის დასაწყისში, მესტიის ოთხთავები კი — ბოლოს. ეს რედაქცია უფრო მოკლეა, ვიდრე ეფთვიმესეული. მაგალითად, ეფთვიმეს რედაქციაში, მათეს თავისათვის, სამოცდათექვსმეტი სასწაულია, წყაროსთავში — ოცდაოთხი; მარკოზის თავისათვის ეფთვიმესთან ორმოცდაჩვიდმეტი, ძველში — ოცდაორი, და ასე შემდეგ. აღმოჩნდა, რომ ურბნისის ოთხთავის მათეს და ოვანეს თავების სასწაულთა სარჩევი ძველი რედაქციისაა, მარკოზისა და ლუკას თავების სარჩევები კი ეფთვიმეს რედაქციისა. რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ურბნისის ეფთვიმესეული რედაქციის ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონია დეფექტური დედანი, რის გამო სარჩევის ეფთვიმესეული რედაქცია შეუვისა ძველი რედაქციით.

ასეთი სასწაულების სია ძალიან ძველ ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება და, ალბათ, უკვე ცნობილი იყო მეხუთე საუკუნეში. ჩემთვის ცნობილი ამ სიების ბერძნული რედაქცია უფრო ახლოს დგას ეფთვიმეს რედაქციასთან. ჩემი ვარაუდით, ეფთვიმეს მოუცია სასწაულების მის დროს გარცელებული ბერძნული სარჩევის ქართული თარგმანი.

როგორც ჩანს, ეფთვიმეს ნათარგმნია აგრეთვე „განგებად და განწესებად სახარებისად ბერძულსა წესსა ზედა“, რომელიც ხელნაწერების ბოლოსაა მოთავსებული. ამის შესახებ სხვა დროს...

მეორე ახალი ხელნაწერი, Vaticano iberico 1, ულამაზესი ნუსხაა მეორთმეტე საუკუნის მეორე მესამედის ბოლო წლებში გადაწერილი. მასში თავისამდე შემკული საზედაო ასოა. ეს ხელნაწერი უკვე ცნობილია მ. თარ-

ხნიშვილის აღწერილობით, რომელიც გამოქვეყნებულია უზრნალ „ბედი ქართველთა ლისაში“. ჩვენ გვეცანით თვით ხელნაწერის მიკროპირსაც ქალბატონ ნინო სალის ფონდში, ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მ. თარენიშვილის მიხედვით, ეს ნუსხა მეათე საუკუნისაა, მაგრამ არა ათონური ვერსიისა, არამედ უფრო ძველი.

ერთი დაზიანებული ფურცლის გაშიფრვის შედეგად შემდეგი სურათი შეიღება: ხელნაწერი გადაწერილია, როგორც ჩანს, ზავ მთაზე, ჭმინდა სვი-შეონის მონასტერში. ანდერში კითხულობთ: „სახელითა ღმრთისათა... მე-ონებითა ყოვლად ჭმიდისა ღმრთისმშობელისათა...“ და სხვა და სხვა, და ბოლოს: „მეონებითა ნეტარისა სვემონისითა, და ჭმიდისა და სანატრელისა კურთხეულისა დედისა მართავსითა“. ხელნაწერის მოგებელია სვიმეონ. მისი შოძვარნი ყოფილი გიორგი და ოვანე დვალი. ეს ოვანე დვალი კარგად ცნობილი პირია. მან ათასორმოცდათობმეტ წელს გადაწერა ალავერდის ოთხ-თავი (A 484) კალიპოსის მონასტერში, ზავ მთაზე. მა ირი ხელნაწერის პალეო-ვარაფია და შემცულბა გვაიქრძინებს, რომ ორივე ერთ სკრიპტორიუმშია შესრულებული. ალავერდის ხელნაწერის შემდეგ ოვანე დვალს გადაუწერია უფროიმეს ნათარგმნი ბასილი დიდის სწავლათა ტექსტი (Iter. 14). დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა იყოს გადაწერილი ჩვენი ხელნაწერიც.

ამ ხელნაწერის ტექსტის შესწავლამ გამოიმულავნა, რომ ეს ოთხთავი გი-ორგის რედაქციისაა.

ვატყიანის ხელნაწერს ერთვის ეფთვიმეს რედაქციის სასწაულების სია, გადამუშავებული გიორგის მიერ. მასთანავე ერთვის „განგებად სახარებისად“ და დასაწყისში მოეპოვება „ეპისტოლე ევსებისი კარპიანეს მიმართ“, რომელ-შიც კანონების განმარტება მოცემული. ასე რომ, როგორც ჩანს, საჭირო გა-მხდარა მისი მოთავსება კანონების წინ.

ეს ეპისტოლე, ჩანს, ქველადა თარგმნილი. იგი ვატყიანის ხელნაწერის გარდა გიორგის რედაქციის ბევრ სხვა ნუსხაშიც გვაქვს. სხვათა შორის, ალა-ვერდის [S 962/1054 ჭ./, A 845/(ზავი მთა, XI ს.], გელათის, ბერთის, ვანის, ტბეთის მეორე სახარებაში, როგორც ჩანს, გიორგის რედაქციის ყველა ნუს-ხაში. მისი მეორე ნაწილი, როგორც იჩვევა, დაცულია ჯრუჭის 936 წლის ოთხთავში. არის კიდევ მესტიის სახარებაში, 1030 წლისა.

ამრიგად, მიკვლეულია ექვთიმეს და გიორგის ახალი თარგმანები. იბადება კითხვა: როგორ შეძლეს ეფთვიმებ და გიორგიმ ასეთი დიდი სამუშაოს შე-სრულება? მათ მციდრო კავშირი ჰქონდათ კულტურისა და განათლების უდი-დეს ცენტრებთან, პირველ ჩიგში კი კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის კერძობათ. თავისუფლად მიმღიღილება მეცნიერები, თავისუფლად მოგზაუ-რობდნენ ხელნაწერებიც.

და ბოლოს, მათი სახით ისეთმა შუქმა გამოიბრწყინა, რომელიც დღე-ვასძლობრივ გვინათებს: არა მხოლოდ ქუჩათა სახელებში — ექვთიმეს ქუჩა და გიორგის ქუჩა — არამედ ქართულ ეპლესიებშიც: აქ დღესაც კითხულობენ გიორგის მიერ ნარედაქციევი სახარების ტექსტს. ქართული მეცნიერებაც აქ-ტიურად სწავლობს ეფთვიმესა და გიორგის დიდ ღვაწლს, მათ შესანიშნავ შემკვიდრეობას: ასე, რომ უკუნისამდე უკვდავი იქნება მათი სახელები.

ვაქეყნებო ევსების ეპისტოლის ტექსტს ვანის, ალავერდის, მესტიისა და ჯრუჭის ოთხთავების მიხედვით (A—A1335 ვანის ოთხთავი, B—A 484 ალავერდის ოთხთავი, C — მესტიის ოთხთავი, D—H 1660 ჯრუჭის ოთხთავი). „სახარების სასწაულებს“ კი ვაქეყნებთ შემდეგი ხელნაწერების მიხედვით:



1 — Sin. 34 (լունինցը, Syr. n. s. 16/1, գ. 14), X և-ու Շահմարտիկանութիւնը՝  
T—A—98, Վյարօնաւուս ռուետազը, X և-ու ծովու. B — Ծիցետուն ռուետազը,  
995 թ. M — մյաւրուս ռուետազը, 1033 թ. F—A—28, Սրբնուսուս ռուետազը,  
XI և-ու Տորբելու նախըարու.

### ԱՅՆԹՈՂԵ ՈՎԱԿԱՆ ՎԱՐԱՆԱՑ ԹՈՐԱՐԴ

(A 2r) ԵՎՏԵՑԻ ԿԱՐՊՈԱՆԵՍ, ՏԱԿԱՐԵԼՍԱ ԺՄԱՍԱ ՇՈՅԼՈՒՍԱ ԹՈՐԱՐԴ  
ԱՅՆԻՆՈՍ! ԱԼԵՅՏԱՆՖՐՈՒԵԼՄԱՆԿԱ ԸՆԴՈՒ ՇՀՐՈՄԱՁՅ Ը ԳՄԱՆՄՈՒԾԵՐԵՅԲԱԸ  
ՇԱՀՎԱ<sup>4</sup> ՇԵՄՈՒՈՂ ԸՆԴ ՌՈՒԵՏԱԶ ՄԱՏ ԸՆԴՎԵՐԵՐԱՆ ԽՄԱԿ ՏԱԿԱՐԵՅԲԱՅ, ՀՐՈՄԵԼ ՄԱՄԵՍ  
ՏԱՎԱՍ ՇԵՐԵՐԱՎԵՐԵԲՈԱՆ ՏԵՎԱՏԱ ՄԱՏ ՄԱՏԱՐԵՐԵԼԸՆԱՅ, ՏԱԿՈՒԵՎԵՑՈ ԱԾՎՈՐԱ, Ե՛՛ ՇԵՐԵՅ-  
ԸՆԴԱՅԵ<sup>7</sup> ՇԵՔՆՅՈՒԾԵԲՈԱ<sup>8</sup> ՇԵՄԸՆԳՄԵԲՈԱ<sup>9</sup> ԳԱՆՇԵՐԵՑԵԱԸ ՏԱՄՄԱՍԱ ԳԱՆԵՇԵՐԵՆԱ ՖԱՀՄՈ-  
ԸՆԵՐԸՆԱԸ ՄԱՏ ՏԱԿԱՐԵՎՈՒՍՈԱ. ԵԽԼՈ ՀԱՅԹԱ ԳԱՆԿՈՒԵԼԸՆՈ ՏԵԽԱՏԱԶ ՄԱՄԱ  
ՌԱՅԹՄԱՐՏՈՒ ԿՈՎԵԼՍԱ ՇՈՆԱ ՑՈՒԱՄԱԸ ԸՆ ԵՎԱՐԻՆԱ, ԳՄԱՆՈՒԵՄԱ-ՎԿՈ<sup>11</sup> ՏՎՏՆՈ ՏՈ-  
ՉՈՐԵՎՈՒՆԱ ՏԱԿԱՐԵՅՈԱ ԱԾԳՈՂՆԻ, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՇՈՆԱ ՄԱՏՎԵ ՆԵՐԱ ՄՈՐԻՇԻՆԵՍ. ՔԵՐ-ԱՌԸ  
ՎԵՇՄԱՀԻՐԱՋ ԵՎՄԱԾ<sup>12</sup>: ԵԱՇՀՐՈՄՈՍԱԳՈՅ<sup>13</sup>, ՀՐՈՄԵԼ ՇԻՆԱԵՎՄԱՑՄԱՆ ԱՌԸ ԿԱԿՈՍԱ<sup>14</sup>,  
ՇՈՄՈԼԵՑՑԵՈՍ<sup>15</sup> ՄՈՒԵՆԻ ՏԵԽԱՏԱ ՍԱԿԵՐԸ, ԿԱՆՈՆՆԻ ԱՌՆԻ ՀՈՎԵԿՈ ԳԱՄՈԳՈՒԱՐԵՐԵ<sup>16</sup>  
ՇԵԲ ԸՆԴՄՈՒԻԼԵՑՑԵՈՒՆԻ: ՀՐՈՄԵԼ ԱՌԸ ՏՈՐԲԵԼՍԱ ՄԱՏ ՇՈՆԱ ՀՈՎԵՑ<sup>17</sup>, ՀՐՈՄԵԼ  
ԸՎՈՐԱՋ ԵՎՄԱԾ ՌՈՒԵՑԵՍ ՌՈՒԵՏԱԶԵ<sup>18</sup>: ՄԱՄԵ,<sup>19</sup> ՄԱՀԿՈՒ<sup>20</sup>, ԸՆԿԱ ԸՆ ՊՈՎԱՆԵ; ՄԵՐՈՒ<sup>21</sup>,  
ՀՐՈՄԵԼՍԱ ՏԱԲՆՈ: ՄԱՄԵ<sup>22</sup>, ՄԱՀԿՈՒ<sup>23</sup>, ԸՆԿԱ; ՄԵՏԱՄԸ<sup>24</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՏԱԲՆՈ: ՄԱՄԵ,<sup>25</sup>  
ԸՆԿԱ, ՊՈՎԱՆԵ<sup>26</sup>; ՄԵՐՈՒ<sup>27</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՏԱԲՆՈ: ՄԱՄԵ<sup>28</sup>, ՄԱՀԿՈՒ<sup>29</sup>, ՊՈՎԱՆԵ<sup>30</sup>;  
ՇԵԽՄԱՑ<sup>31</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՌԻՆՈ: ՄԱՄԵ<sup>32</sup>, ԸՆԿԱ; ՄԵՐԵՎՄԱԸ<sup>33</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՌԻՆՈ: ՄԱՄԵ<sup>35</sup>,  
ՄԱՀԿՈՒ<sup>36</sup>; ՄԵՇՎԸԸ<sup>37</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՌԻՆՈ: ՄԱՄԵ<sup>38</sup>, ՊՈՎԱՆԵ<sup>39</sup>; ՄԵՐՎԵ<sup>40</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ  
ՌԻՆՈ: ՄԱՀԿՈՒ<sup>41</sup>, ԸՆԿԱ; ՄԵՐԵՎԵ<sup>42</sup>, ՀՐՈՄԵԼՍԱ ՌԻՆՈ: ԸՆԿԱ, ՊՈՎԱՆԵ<sup>43</sup> (2v);  
ՇԵՐԵՎ<sup>44</sup>, ՀՐՈՄԵԼ ՏՈՒԹԵՎՈՒՄԱՆ<sup>45</sup> ՄԱՏԳԱԲՆԱԸ ՀՐՈՄԵԼԸՆԱՅՄԵ ՏՎՏ-ՏՎՏ<sup>46</sup> ԱԾՎԵ-  
ՐԵՍ. ԵՍ ՍԿԵՐԵ ԱՌԸ ԸՆԴՄՈՒԻԼԵՑՑԵՈՒԾԱ<sup>47</sup> ՄԱՏ ԿԱՆՈՆՆԱ<sup>48</sup> ՏԱԿԵ<sup>49</sup>. ԵԽԼՈ ԳԱՆԻ-  
ՆԵՑԵԾՈՒԱ ՏԵԽՐԸՆԱ ՄԱՏՈ ԱՌԸ ԵՏԵ: ՆԵՐԱ ՏՈՒԹԵՎՈՒՄԱ ՌՈՒԵՏԱԶԵ<sup>50</sup> ՏԱԿԱՐԵՅՈԱԸ-  
ՀՈՎԵՑ<sup>51</sup> ՀԱՅԹԵ ԵՏԵ ՏՈՒԹԵՎՈՒԼԱԾ<sup>52</sup>. ԸՆ ՏՎՏԱԿԱՆ ՏՈՐԲԵԼԸՆՈ ԸՆ ՄԵՐՀՄԵ<sup>54</sup>  
ՄԵՐՈՐԵՍԱ ԸՆ ՄԵՏԱՄԵՏԱ, ԸՆ ՄԻՇՎԵՑԵԾՈՒԼԱԾ ԳԱՆԵԼՈՒ<sup>55</sup> ԿՈՎԵԼԸՆՈ ՄՈՐԱՍԱԾԻՆՅԱԾՄԸ<sup>56</sup>  
ՎՈՂՆԻՆՈԱ. ԵԽԼՈ ՏՈՒԹԵՎՈՒՄԱ ՄԱՏ ՀՈՎԵԿԱ ԽՆԱԲՆՈ ԵՏԵ: ԲՈՒԼՈՒՈՒ<sup>57</sup> ԱԽԻՆԵԸՆ,  
ՀՐՈՄԵԼ-ԸՂՈ<sup>58</sup> ՌՈՒԵՏԱԶԵ<sup>59</sup> ԿԱՆՈՆՆԱ ՀՈՎԵՑ<sup>60</sup> ԽԱՆՏ<sup>61</sup>, ՀՐՈՄԵԼ-ԸՂՈ<sup>62</sup> ՏՈՐԲԵԼԸՆՈ<sup>63</sup>  
ԽԱՆՏ<sup>64</sup>, ՎՈՒԱՐԿԱ ՏՈՐԲԵԼՍԱ ՇՈՆԱ, ԸՆ ՄԵՐՈՒ<sup>65</sup> ՄԵՐՈՐԵՍԱ ՇՈՆԱ, ԸՆ ԵՐՀԵՐ ՎԵԾՐԵ  
ԸՆԴՄԸ<sup>66</sup>, ՍԿԵՐԵՄԵ ԳԱՆՔԿՈՒ ՀՐՈՄԵԼՍԱՄԵ ՇՈՆԱ ՌՈՒԵՏԱ ՄԱՏ ՄԱՏԱՐԵՐԵԼԸՆԱԸ,  
ՀՐՈՄԵԼՍԱԸԸ<sup>67</sup> ԳԻՆԸՆԵՍ ԾՎԱՅԼԱԸ ՎՈՍՏԱՄԵ<sup>68\*</sup> ՀՐՈՄԼՈՍԱԸԸ<sup>69</sup> ՏԱՎԵՏԱ ԸՆ ՑՄ-Ը

1 ԱՅՄՈՒՆՈՍ A. 2 ԸՆԴԱԾՈ C. 3 ՇՄԱՐՄԱԾ C. 4 ԴՐՈ BC. 5 ԸՆ—C. 6 ԸՆԴՎԵՐԵՎԱ C. 7 ՇԵ-  
ԸՆԴԱԾ B. ՇԵՆՃԸՆԱԾ C. 8 ՇԵԽՄԱՑՈՍ A. 9 ՇԵՄԸՆԳՄԵԲՈԱ+ՄԻՆ C. 10 ԳԱՆԿԵՏԵՐԵՍ B. 11 ՑՎԱՆ-  
ՑՅԱ A. 12 ԵՎՄԱԾ AB. 13 ԵԱՇՀՐՈՄՈՍԱ ՏԸՏԱՅ C. 14 ԿԵՐՏԱ B. 15 ԳԵՄՈՄԵԼԵՐԵՍ C. 16 ԳԵՄՈՆԻԱՐԵՐԵ  
B. 17 ՄԵԲ B. 18 ՌՈՒԵՏԱԶ B. 19 ՄԱՄԵ B. 20 ՄԱՀԿՈՍ C. 21 ՄԵՐՈՒ<sup>18</sup> B. 22 ՄԱՄԵ B. 23 ՄԱՀԿՈՍ C.  
24 ՄԵՏԱՄ/ՄԵՐ-Գ A. 25 ՄԱՄԵ B. 26 ՊՈՎԱՆԵ B. 27 ՄԵՐՈՒԵՄԵՐ-Գ A. 28 ՄԱՄԵ B. 29 ՄԱՀԿՈՍ C. 30 ՊՈՎԱՆԵ  
B. 31 ՄԵՇՎԸԸԵՐ-Գ A. 32 ՄԱՄԵ B. 33 ՄԵՐԵՎՄԱԸԵՐ A. 35 ՄԱՄԵ B. 36 ՄԱՀԿՈՍ C. 37 ՄԵՇՎԸԸԸ  
ԿՇ A. 38 ՄԱՄԵ B. 39 ՊՈՎԱՆԵ B. 40 ՄԵՐՎԵՐՄԵ A. 41 ՄԱՀԿՈՍ C. 42 ՄԵՐԵՎՐԵՐՄԵ A. 43 ՊՈՎԱՆԵ B.  
44 ՄԵՐԱՄԵՐՄԵ A; ՄԵՐԵՎԵՐՄԵ ՇՈՆԱ C. 45 ՏՈՒԹԵՎՈՒԼԱԾ C. 46 ՏՎՏԱ C. 47 ԳԵՄՈՆԻԻԼԵՑՑԵՈՒԾԱԸ  
48 ԿԱՆՈՆՆԱ Ց C. 49 ՏԵՇ B ԵՐՀԿԵՐԵՑԵԾԱԸ C. 50 ՌՈՒԵՏԱԶԵ C. 51 ՀՈՎԵՑ C. 52 ՏՈՒԹԵՎՈՒԼԱԸՆԲՆԱ-  
ԵԿԱԾ C. 53 ԸՆ—C. 54 ՄԱՀԿՈՄ B. 55 ԳԵՄՈՄ C. 56 ՄՈՐԱՍԱԾԻՆՅԱԾՄԸ B. 57 ԲՈՒԼՈՒՈՒ<sup>57</sup> ԽԱՆՏ  
ՏԱ C. 58 ՀՐՈՄԵԼ C. 59 ՌՈՒԵՏԱԶԵԼԳՈՒՄԱ ՄԱՏ ՌՈՒԵՏԱ C. 60 ՀՈՎԵՑԼՈՒՐԵՅԸՆՈ ԵԳՈ C. 61 ԽԱՆՏ C.  
62 ՀՐՈՄԵԼ AC. 63 ՏՈՐԲԵԼԸՆՈ ԵՐՀԿԱ C. 64 ԽԱՆՏ C. 65 ՄԵՐՈՒ A. 66 ՎՈՒԱՐԿԱ B, ՎՈՒԱՐԿԱ A, ՎՈՒԱ-  
ՐԿԱԸՆՐԵ C. 67 ՀՐՈՄԼՈՍԱԸ A. 68 ԳԵՄԵՏ B. 69 ՀՐՈՄԼՈՍԱԸ A; ՀՐՈՄԼՈՍԱ D ԵՐՀՄՈՄԼՈՍԱ ԳՈՆԸՆԵՍ C.  
\* ԵՎՐՈՒ ԵՎՄԱՑԸ D.

ლისხმის-ყოფად, რომელთა სწორად თქვეს, და თითოეულისა<sup>70</sup> მის<sup>71</sup> ადგილზე<sup>72</sup> პირნად, რომელსა შინა ერთბამად მიიწინეს<sup>73</sup>. რომელიცა გეგულოს<sup>74</sup> საკი-  
თხავი, აღიღე მიწყებით<sup>75</sup> რიცხვ<sup>76</sup> და გამოიძიე კანონსა მას შინა, რომელ  
წითლით<sup>77</sup> გამოინიშნული<sup>78</sup> მოგასწავოს<sup>79</sup>, რომელთა<sup>80</sup> ვიეთმე<sup>81</sup> მუნჯუესვე<sup>82</sup>  
კიდესა<sup>83</sup> კანონი<sup>84</sup> წარუწერიანნ<sup>85</sup>, რაოდენთა<sup>86</sup> და ვიეთ<sup>87</sup> რომლისათვე<sup>88</sup> ეძი-  
დით<sup>89</sup>, თქვეს და იგულეს<sup>90</sup> სხუათა მათცა მახარებელთა რიცხუსა<sup>91</sup> კანონსა  
შინა რიცხვ თანაწარი. გამოიძიენ იგინი შინაგან თვისთა<sup>92</sup> მათ თითოეულისა  
ადგილისა<sup>93</sup> სახარებათა<sup>94</sup>, სწორად თქემული<sup>95</sup> მათი ჰპოვო<sup>96</sup>, და ცოცხლებით-  
მცა ხარ უფლისა მიერ<sup>97</sup>.

### ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი<sup>1</sup> მ ა თ ც ს<sup>2</sup> თ ა ვ ი ს ა დ<sup>3</sup>

- ა. გალილეას ყოველი სწორები<sup>4</sup> განკურნა. ეშმაკი<sup>5</sup> განკადა<sup>6</sup> (მთ. 4,23—24).  
 ბ.<sup>7</sup> ახლის-პიროანი<sup>8</sup> განკურნა (მთ. 4,24).  
 გ.<sup>9</sup> განრღუეული განკურნა (მთ. 4,24).  
 დ.<sup>10</sup> მთით გარდამოვიდოდა<sup>11</sup>, განბოკლებული განკურნა<sup>12</sup> (მთ. 8,1—4).  
 ე.<sup>13</sup> კაფარნაუმს<sup>14</sup> განრღუეული განკურნა (მთ. 8,5—13).  
 ვ.<sup>15</sup> სიღდერი სიმონისი განკურნა (მთ. 8,14—15).  
 ზ.<sup>16</sup> ეშმაკი<sup>17</sup> განკადა<sup>17</sup> (მთ. 8,16).  
 ც.<sup>18</sup> სწორები<sup>19</sup> განკურნა<sup>20</sup> (მთ. 8,16).  
 თ.<sup>21</sup> ქართა და ზღუასა<sup>22</sup> შეკრისხნა (მთ. 8, 26).  
 ა.<sup>23</sup> სიფელსა<sup>24</sup> გერგესეველთასა<sup>25</sup> ეშმაკეულნი<sup>26</sup> განკურნნა<sup>27</sup> (მთ. 8,28—34).  
 ია.<sup>28</sup> თვისა ქალაქესა<sup>29</sup> განრღუეული განკურნა (მთ. 9,1—8).  
 იბ.<sup>30</sup> კაფარნაუმს<sup>14</sup> მკუდარი აღადგინა (მთ. 9, 18—26).  
 ც.<sup>31</sup> დედაკაცი წიღოანი<sup>32</sup> განკურნა (მთ. 9,20—22).  
 ცდ.<sup>33</sup> ბრძანი<sup>34</sup> განკურნნა<sup>35</sup> (მთ. 9,27—31).  
 ცე.<sup>36</sup> ყრუდ<sup>16</sup> ეშმაკეულნი<sup>16</sup> განკურნა<sup>16</sup> (მთ. 9,32—33).  
 ცვ.<sup>37</sup> ყოველი სწორებად და ყოველი არა ძლეულებად<sup>38</sup> განკურნა (მთ. 9,35).  
 იბ.<sup>39</sup> რომელსა ჭელი განკადელ ედგა, განკურნა (მთ. 12,9—13).  
 ცგ.<sup>40</sup> ზღუასა ზედა ვიდოდა (მთ. 14, 25—31).  
 იო.<sup>41</sup> გენესარეთს<sup>42</sup> ყოველი სწორლი<sup>43</sup> განკურნა (მთ. 14, 34—36).

<sup>70</sup> თითოეულისათვისადნი იგი C; თოისადნი იგი D. <sup>71</sup> მის—CD. <sup>72</sup> ადგილისანი D. <sup>73</sup> მიიწინეს C. <sup>74</sup> რომელ დაგეგულოს CD. <sup>75</sup> მიწყებულად C. <sup>76</sup> რიცხვი D. <sup>77</sup> ზანდექტითა C. <sup>78</sup> გამოინიშნული C. <sup>79</sup> მოგასწავოს C. <sup>80</sup> რომელთამე C. <sup>81</sup> ვიეთ C. <sup>82</sup> მუნჯუეს CD, მუნჯუეს-<sup>30</sup> კა A. <sup>83</sup> კიდეთა A. <sup>84</sup> კანონი—D. <sup>85</sup> წარუწერია D. <sup>86</sup> რაცენთა AD. <sup>87</sup> ვიეთდა D. <sup>88</sup> რომლისათურის D. <sup>89</sup> ემიებოთ ACD. <sup>90</sup> იგულეოთ C. <sup>91</sup> რიცხვი C+რომელ დაიგულო C; რომელ იგულო D. <sup>92</sup> თოისათა D. <sup>93</sup> აღგილთა D. <sup>94</sup> სახარებისა D. <sup>95</sup> თქმელი D. <sup>96</sup> ჰპოვო AD, ჰპომ C. <sup>97</sup> და... მიერ—D.

<sup>1</sup> საწაულნი F. <sup>2</sup> მათეს B, მათესნი F. <sup>3</sup> +<sup>43</sup> I, სახარებისად B.—F. <sup>4</sup> სწორებად B. <sup>5</sup> +<sup>8</sup> T, ეშმაკი M. <sup>6</sup> განკადა M. <sup>7</sup> გ M, და T. <sup>8</sup> პიროვანი T, ა. პირეული M. <sup>9</sup> დდ T, ა B, დ M+კაფარნაუმს B. <sup>10</sup> თ T, % M. <sup>11</sup> გარდამოვიდა BM. <sup>12</sup> განწმიდა B. <sup>13</sup> გ T, კ M. <sup>14</sup> კა-  
ფარნაუმდ T. <sup>15</sup> დ T, % M. <sup>16</sup>—T. ტ M. <sup>17</sup>—T. <sup>18</sup> გ T, თ M. <sup>19</sup> სწორლი MF. <sup>20</sup> განკურნნა. <sup>21</sup> კ T, ი M. <sup>22</sup> ზღუათა TB. <sup>23</sup> % T, ია M. <sup>24</sup> სიღდერი F. <sup>25</sup> გადარელთასა B. <sup>26</sup> ეშმაკეული T. <sup>27</sup> განკურნა TF. <sup>28</sup> ი T, იბ M. <sup>29</sup> სიღდერი T. <sup>30</sup> ია T, იგ M. <sup>31</sup> ი T, იდ M. <sup>32</sup> წიღავანი M, არა-წმიდამ TBF. <sup>33</sup> იბ T, იგ M. <sup>34</sup> ბრძან F. <sup>35</sup> განკურნა TF <sup>36</sup> იგ M. <sup>37</sup> იგ T, იგ M. <sup>38</sup> ძლე-  
ბულებად M. <sup>39</sup> იგ T, იგ M. <sup>40</sup> იგ T, ია M. <sup>41</sup> იგ T, კ M. <sup>42</sup> გენესარეთ T. <sup>43</sup> სწორლები TF.

- კ.<sup>44</sup> ტკროსით და სიღონით<sup>45</sup> კერძო<sup>46</sup> ეშმაკი<sup>47</sup> განკადა<sup>48</sup> (მთ. 15,21—28).
- კ.<sup>49</sup> ზღვს-კიდესა გალილეასასა მკელობლები<sup>50</sup>, ბრმები და<sup>51</sup> ყრუები<sup>52</sup> გან-  
კურნა (მთ. 15,29—31).
- კ.<sup>53</sup> გარდამოვიდოდა<sup>54</sup> მთით თაბორით ახლის-პიროვანი<sup>55</sup> განკურნა. (მთ.  
17,9—18).
- კ.<sup>56</sup> საზღვართა ჰურიასტანისათა მკელობელი<sup>57</sup> განკურნა (მთ. 19, 1—2).
- კ.<sup>58</sup> იერიქოს<sup>59</sup> ორნი ბრმანი განკურნა<sup>60</sup> (მთ. 29,29—34).
- კ.<sup>61</sup> იერუსალემს ბაგინსა შინა ბრმანი და მკელობელი<sup>62</sup> განკურნა<sup>63</sup> (მთ.  
21,14).

### სასწაულები მარკოზის თავისიანი

- ა. კაფარნაუმს ეშმაკი განკადა (მრ. 1,23—26).
- ბ. სიღოდი სიმონისი განკურნა (მრ. 1,29—31).
- გ. ეშმაკი განკადა (მრ. 1,34).
- დ. სნეულნა<sup>64</sup> განკურნა<sup>65</sup> (მრ. 1,34).
- ე. გალილეას ეშმაკი განკადა (მრ. 1,39).
- ვ. განბოკლებული განწმიდა (მრ. 1,40—42).
- ზ. კაფარნაუმს განრღუეულნი განკურნა (მრ. 2,1—12).
- ი. რომელსაც ჭელი განჯელ ედგა, განკურნა (მრ. 3,1—5).
- ო. ზღვს-კიდესა ეშმაკი განკადა (მრ. 3,7—12).
- რ. სნეულები განკურნა (მრ. 3,10).
- ს. ქართა და ზღუასა შეპრისხნა<sup>66</sup> (მრ. 4,39).
- ტ. სოფელსა გერგესეველთასა [ეშმაკი ლეგიონი<sup>67</sup>] განკადა (მრ. 5,1—10).
- დგ. კაფარნაუმს<sup>68</sup> მკუდარი ალადგინა (მრ. 5,21—42).
- დლ. წილიანი<sup>69</sup> განკურნა (მრ. 5,25—34).
- დე. სოფელსა თვესა<sup>10</sup> სნეულები განკურნა (მრ. 6,1—5).
- დვ. ზღუასა ზედა ვიდოდა (მრ. 6,48—49).
- ძ. გენესარეთს სნეულები განკურნა (მრ. 6,53—56).
- ც. 11 ტკროსით<sup>12</sup> და სიღონით კერძო<sup>13</sup> ეშმაკი განკადა (მრ. 7,24—30).
- ცო. 14 ზღუასა თანა ყრუე<sup>15</sup> ენა-ბრგვილი<sup>16</sup> განკურნა (მრ. 7,31—37).
- კ. ბეთსაიდას<sup>17</sup> ბრმად განკურნა (მრ. 8,22—25).
- კა. 18 გარდამოვიდოდა<sup>19</sup> მთით თაბორით<sup>20</sup>, ეშმაკი განკადა (მრ. 9,9—26).
- კბ. 21 იერიქოს<sup>22</sup> ბრმად განკურნა (მრ. 10,46—52).

<sup>44</sup> იხ T, და M. <sup>45</sup> სიღონიამთ M. <sup>46</sup> —T M. <sup>47</sup> ეშმაკები T. <sup>48</sup> განკადა M. განსხნა T. ეშმაკი M. <sup>49</sup> ის T, თ M. <sup>50</sup> განბრკლებულნი T. <sup>51</sup> —TB. <sup>52</sup> —T. <sup>53</sup> თ T. <sup>54</sup> გარდამოვიდა B. <sup>55</sup> ა— ბროვენი T, ა—პირეული M. <sup>56</sup> კ T. <sup>57</sup> მკელობლები B. <sup>58</sup> კა T. <sup>59</sup> იერიქოს B. <sup>60</sup> განკურნა F. <sup>61</sup> კ B. <sup>62</sup> მკელობელი და ბრმად T, მკელობელნი და ბრმანი BM, ორნი ბრმანი F. <sup>63</sup> გან-  
კურნა TF]+და ორნი მკელობელნი ქრისტემან ღმერთმან ჩუქმან F.

<sup>1</sup> თვესა T. <sup>2</sup> სნეულები T. <sup>3</sup> განკურნა T. <sup>4</sup> რომელ T. <sup>5</sup> ზღუათ T, ზღუასა და ქართა M. <sup>6</sup> +შეპრისხა T. <sup>7</sup> ლეგიონი ეშმაკი T. <sup>8</sup> კარნაუმდ T. <sup>9</sup> წილიანი M. დედაგალი არა-წილიან TB. <sup>10</sup> თვესა სოფელსა TB. <sup>11</sup> —M. <sup>12</sup> ტკროსის კერძო T. <sup>13</sup> —T. <sup>14</sup> ის M. <sup>15</sup> ყროვა T. <sup>16</sup> ენა-ბრგვილი T. <sup>17</sup> ბეთსაიდას B. <sup>18</sup> თ M. <sup>19</sup> გარდამოვიდა MB <sup>20</sup> ამორით T. <sup>21</sup> კ M. <sup>22</sup> იერიქოს M, იერიქოს B.

## სასწაულები ლუკახს თავისად

- ა. კაფარნაუს ეშმაკი განკადა (ლ. 4,31—37).
- ბ. სიდედრი სიმონისი განკურნა (ლ. 4,38—39).
- გ. სწეულები განკურნა (ლ. 4,40).
- დ. ეშმაკი მრავალთაგან<sup>1</sup> განკადა (ლ. 4,41).
- ე. გალილეა<sup>2</sup> განბოკლებული<sup>3</sup> განკურნა<sup>4</sup> (ლ. 5,12—13).
- ვ. კაფარნაუმს განრღულეული განკურნა (ლ. 5,17—25).
- ზ. რომელსა ჭელი განჯელ ედგა<sup>5</sup>, განკურნა (ლ. 6,6—10).
- ტ. გირდამოვიდნ<sup>6</sup> მთით თაბორით, სწეულები განკურნა (ლ. 6,17—19).
- თ. კაფარნაუმს მონად იგი<sup>7</sup> ასისთავისად<sup>8</sup> მის<sup>9</sup> განკურნა (ლ. 7,10—1).
- ი. ნამს მკუდარი აღადგინა<sup>10</sup> (ლ. 7,11—15).
- ია. ზლუასა და ქართა<sup>11</sup> შეპრისხნა<sup>12</sup> (ლ. 8,24).
- იბ. სოფელსა გერგესეველთასა ლეგეონი განკადა (ლ. 8,26—37).
- იგ. კაფარნაუმს მკუდარი აღადგინა (ლ. 8,40—55).
- იღ. წილოვანი<sup>13</sup> განკურნა<sup>14</sup> (ლ. 8,43—48).
- იე. ბეთსაიდას სწეულები მრავალი განკურნა (ლ. 9,10—11).
- ივ. ბეთანიას<sup>15</sup> ეშმაკი<sup>16</sup> ყრუე<sup>17</sup> განკადა (ლ. 11,14).
- ივ. ღედაყაცი იგი<sup>18</sup>, რომელსა<sup>19</sup> თან<sup>20</sup> იყო სული უძლურებისა, განკურნა (ლ. 13,11—13).
- ივ. იერუსალემს წყლით-მანქიერი<sup>21</sup> განკურნა (ლ. 14,1—4).
- იო. შუა<sup>22</sup> სამარიასა<sup>23</sup> და გალილეასა<sup>24</sup> განბოკლებული ათი<sup>25</sup> განკურნა (ლ. 17,11—19).
- კ. იერიქოს<sup>26</sup> ბრმად განკურნა (ლ. 18,35—43).

## სასწაულები იოვანეს<sup>27</sup> თავისად

- ა. კანას<sup>4</sup> გალილეასასა წყალი ღვნოდნ გარდააქცია<sup>6</sup> (ი. 2,1—11).
- ბ. ვიდრე<sup>7</sup> კანასლო<sup>7</sup> იყო,<sup>7</sup> კაფარნაუმს სწეული<sup>9</sup> განკურნა (ი. 4,46—54).
- გ. ცხოვართ-საბანელსა<sup>10</sup> იერუსალემს<sup>11</sup> სწეულები განკურნა (ი. 5,1—9).
- დ. ზღუასა ზედა ვიდოდა (ი. 6,19).
- ე. გრძელსა თუალი აუხილნა<sup>12</sup> (ი. 9,1—7).
- ვ. ბეთანიას ლაზარე<sup>13</sup> აღადგინა (ი. 11).

<sup>1</sup> მჩავალი T. <sup>2</sup> +ეშმაკი და T. <sup>3</sup> განბოკლებული T, კეთროვან M. <sup>4</sup> განწმითა M. <sup>5</sup> +ება T. <sup>6</sup> გარდამოვიდოდა T. <sup>7</sup> —BM. <sup>8</sup> მლდელთ-მოძღვრისა TM. <sup>9</sup> —TM. <sup>10</sup> +და მონად ასისთავისაგან T. <sup>11</sup> ქართა და ზღუათა T. <sup>12</sup> შეპრისხნა B. <sup>13</sup> ორაწმოდა იგი (—B) ღედაყაცი TB. <sup>14</sup> +და განწმიდა T. განწმიდა B. <sup>15</sup> ბეთსაიდას M. <sup>16</sup> +და B. <sup>17</sup> +და T, —M. <sup>18</sup> —M. <sup>19</sup> რომლით T. <sup>20</sup> —T. <sup>21</sup> წ.—ბავერი. T, წყლით-მაჟირი იგი B. <sup>22</sup> შევა T, შოვა M. <sup>23</sup> სიარისისა T. <sup>24</sup> გალილეასა T. <sup>25</sup> —TB. <sup>26</sup> იერიქოს B.

<sup>1</sup> სასწაული TBM, იოვანესი F. <sup>2</sup> იოვანეს TBM, იოვანესი F. <sup>3</sup> თავისა T—F. <sup>4</sup> იონას T. <sup>5</sup> ღვნო M. <sup>6</sup> ქანა M, გარდაიქა T. <sup>7</sup> —M. <sup>8</sup> კეთარნაუმს+შინა ყოველი T. <sup>9</sup> სწეულები T. <sup>10</sup> ცხოვართ-ს F. <sup>11</sup> მცს TF. <sup>12</sup> იერიქოსალემს შონისგვინი ბრმად განკურნა TF. <sup>13</sup> ლაზარე BM.

БЕРНАР УТЬЕ

## ДРЕВНЕЙШИЕ ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ ПОСЛАНИЯ ЕВСЕВИЯ И СПИСКОВ «ЧУДЕС» ЕВАНГЕЛИЯ

### Резюме

В данной статье автор рассматривает образцы, характеризующие переводческую и редакторскую деятельность Евфимия Афонского. Устанавливая принадлежность некоторых рукописей Евангелия редакции Евфимия Афонского, он публикует древнейшую версию послания Евсевия Карпиану и списки «чудес», наличествующих в древних грузинских Четвероглавах.

## მზია სურგულაძი

სასისხლო სეგილები, როგორც ჩართული ფირილობითი  
დოკუმენტი უყაროვის დამოუკიდებელი სახეობა

XIII—XIV საუკუნეებში ფეოდალური საზოგადოების შიგნით მნიშვნელოვანი ძვრები ხდება მთელი საქართველოს მასშტაბით. მიმღინარეობს ფეოდალური უფლებების ხელახალი გადანაწილება<sup>1</sup>. ამ ხანას უკავშირდება ახალი სოციალური ფენის — აზნაურობის გაჩენა. აზნაურთა ფენის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესზე ძლიერი ზეგავლენა უნდა მოეხდინა გარეშე ფაქტორს — მონლოლთა ბატონობას, რამაც გააღმავა ფეოდალური კლასის შიგნით ქონებრივი დიფერენციაცია. მცირე მაშულის მქონე აზნაურები პერიგავენ ძვირდ მამულებს და სოციალური მდგრამარეობის შენარჩუნების შინით თავს აფარებენ მათზე უფრო ძლიერ ფეოდალებს. შედიან მათთან ყმურ დამკიდებულებაში. აზნაურთა ახალი სოციალური ფენა წარმოქმნება ფეოდალთა ერთი ხატილის დამკრობის გზით<sup>2</sup>. ეს პროცესი ახსნილი და შეფასებულია ქართლის სახეფოს კითხრების გათვალისწინებით. აზნაურთა ფენა ჩნდება დასავლეთ საქართველოშიც, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აქაც ქართლის ანალიგიურ სოციალურ-ეკონომიკურ მექანიზმებს მიეცათ ბიძგი ამ ფენის ჩამოყალიბებისათვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებში დამკვიდრდა აზრი, რომ ფეოდალიზაციის პროცესი ქართული სახელმწიფოს ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვა ფაზაში იყო შესული. მიჩნეულია, რომ ქართლსა და ტაო-კლარჯეთში ფეოდალური ურთიერთობანი, უმთავრესად მსხვილი მიწათმფლობელობის ბაზაზე შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების განვითარებით, უფრო ღრმად იყო წასული, ვიდრე ისტორიული აფხაზეთის და კახეთის სამეფოებში, კიდევ უფრო ნაკლებ იყო განვითარებული ეს პროცესი საქართველოს მთის რეგიონებში<sup>3</sup>. გ. მელიქიშვილი ამსათანავე თვლის, რომ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების არსებობამ უფრო მეტად განსაზღვრა ქართული ფეოდალიზმის განვითარების პერსპექტივები, ვიდრე საგარეო ფაქტორმა. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, ცხადია, გარკვეულწილად მიმღინარეობდა ამ განსხვავებათა ნიველირების პროცესიც, მაგრამ იგი არ შეხებია თვით საფუძვლებს. სოციალურ-ეკონომიკური ხსიათის განსხვავებანი საქართველოს რეგიონებს შორის შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო მონლოლების

1 ს. ჭანაშია, შრომები II, თბილისი, V, გვ. 464.

2 გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. ქართლში, თბილისი 1965, გვ. 13—28.

3 გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1973. გვ. 106.

უწინარეს ხანაშიც<sup>4</sup>. მონლოლების ხანაში ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ორ სამეფოდ დაყოფის შემდეგ ასეთი განსხვავებანი, შესაძლებელია მასში იყოს ცირებული სახით, უფრო შესამჩნევი უნდა გამხდარიყო. საქართველოს ორ სამეფოში, „ლიხთ-იმერშა“ და „ლიხთ-ამერში“, ურთიერთისაგან განსხვავებული სოციალური სტრუქტურების არსებობა არყელით დოკუმენტურ მასალაში. მხედველობაში გვაქვს იმერული სამეფო საბუთების ქართლის ანალოგიური საბუთებისაგან საგრძნობი დაცილება, გამოხატული ტექსტის სტრუქტურაში, საბუთის „მრავალოებიანობაში“, ცალკეული საერთო თემების დაშვიავების წესებში და დასავლეთ საქართველოსათვის სპეციფიკური დაპლანტიკური მოვლენის — სასისხლო სიგელების გაჩენაში.

სასისხლო სიგელები დასავლეთ საქართველოს აზნაურული წოდების წარმომადგენლების სოციალური პრივალეგიების დამადასტურებელი იურიდიული საბუთებია. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს სასისხლო სიგელების, როგორც დიპლომატიკური მოვლენის არსი. ჰქონდა თუ არა სოციალური საფუძველი მათ გაჩენას და, აქედან გამომდინარე, სოციალური ფუნქცია თვით სასისხლო სიგელების. სასისხლო სიგელთა ნატურარობისა და მათთან დაკავშირებული სხვა სადაც საკითხები, ჩვენი აზრით, უნდა დაისხვას მხოლოდ მას შემდეგ, თუ ჯერ ვაღიარებთ სასისხლო სიგელების — როგორც ქართული სასტორიო დოკუმენტურ წყაროთა განუყოფელი ნაწილის, როგორც გარკვეული სოციალური ფუნქციით დატემპირული სახეობის არსებობას.

სასისხლო სიგელების წარმომშობის საკითხი უშუალო კავშირშია დასავლეთ საქართველოში აზნაურული ფენის წარმომშობ მიზეზებთან. საამისო დოკუმენტური მასალა მართალია, ძალზე მცირება, მაგრამ გარკვეული განსხვავდების უფლებას, ვფიქრობთ, რომ იძლევა. XIII ს. II ნახევრის დასავლეთ საქართველოს სოციალური ვითარების დამახასიათებელი სურათი ჩანს დავით ნარინის სიგელებში. მის მიერ ხეფინისკეველთა და წაქველთათვის ბოძებულ შეუვალობის სიგელის მიხედვით, ამ ორი სოფლის მკვიდრნი თავისუფალი ძერთემენი ჩანან. ისინი თავისუფლებით სარგებლობენ ჯერ კიდევ „ლიდისა შეფისა გიორგის“ დროიდან, რომელსაც „შეეწყალნებს და შეუვალ ეჭნებს იგინი“<sup>5</sup>. რომელი მეცე გიორგიც არ უნდა იულიასხმებოდეს ამ ცნობაში (გორგი II ან გორგი III), ცხალია, რომ შეუვალობით ეს სოფლები მოცემული საბუთის გაცემამდე დიდი ხნით დარჩეს სარგებლობდნენ და, მოსალოდნელია, თვით „გიორგი მეფისაგან ბოძებულსა სიგელსა შიგან“ ძველთაძეველი ვითარების ლეგალიზაციი მომხდარიყო. ხეფინისკეველთა და წაქველთა საბუთი ყურადღებას იმსახურებს სხვა მხრივაც. საბუთის დისპოზიციურ ნაწილში, სადაც ლაპარაკია საგადასახადო თუ სამოხელეო შეუვალობის ბოძებაზე, ჩართულია სისხლის დანაშაულის თემაც: საბუთის აღრესატები დაცული არიან მეფის მიერ მოხელეთა რბევა-აწილკებისაგან იმ შემთხვევაში, „თუ კაცი მოკლან“. იქვე მითოთებულია ისევ გორგი მეფის ძველი სიგელი, რომლის თანახმადაც ხეფინისკეველები და წაქველები სისხლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გათავისუფლებული ყოფილან იმ თურქიალურ მიღებული

<sup>4</sup> გ. მელიქიშვილი, დახს. ნაშრ, გვ. 105.

<sup>5</sup> თავისუფალ მეომეებად მიმჩნევს ამ საბუთის აღრესატებს თ. ანთელავაც. იხ. მიხედვის წარმომი: XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბილისი, 1980 წ., გვ. 174.

6 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, თბილისი, 1984, გვ. 167—168.



“ასჯელისაგან, რაც „ცეცხლის შედებასა“ და „მორბევაში“ გამოიხატებოდა ეს განკუთხება შაშასადამე, გიორგი მეფის სიგელი ერთგვარი პროტოტიპი ყოფილა და ვითონებული ხარისის სიგელისათვის. ორივე სიგელს (როგორც რეალურად არსებულს, ისე მის თეორიულ პროტოტიპს) ახასიათებს სამართლებრივი სინტრიტიზმი, იურიდიულ პირობათ გაუმიჯნავობა, რაც საერთო ქართული (ერთიანობის ჩანის) არც აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის საბუთებისათვის დამახასიათებელი არ არის. როგორც ჩანს, ერთიანი საქართველოს მეფები წყალობისა და შეუვალობის საბუთების გაცემისას ითვალისწინებდნენ აღვილობრივ თავისებურებებს (სოციალურ და სამართლებრივ ინსტიტუტებს), ამიტომ შეღავათებისა და პრივილეგიების მინიჭებისას სტანდარტული ფორმულარებით არ ხელმძღვანელობდნენ. ხეფინისკეველთა და წაქველთა საბუთში მოცემული იურიდიულ პირობათ შერწყმა მიუთითებს ნაკლებად დიუქერენცირებულ შეირე საზოგადოებაზე, რომელშიც მოქმედებს ასევე ნაკლებდიფერენცირებული სამართლებრივი ინსტიტუტები. რა თქმა უნდა, ხეფინისკეველსა და წაქვის სოციალური ვითარება არ შეიძლება მთელი დასავლეთ საქართველოს შიმართ გავარტცელოთ თანაბრად. მაგრამ ისიც შეუძლებელია დავუშვათ, რომ პხოლოდ ამ სოფლებში იყვნენ თავისუფალი მეთემები. თავისუფალ მეთებეთა ხევდრითი წონა მონლოლების წინარე ხანის დროინდელ დასავლეთ საქართველოში უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო. თავისუფალი თემის შემდგომი ფეოდალიზაციის თანმხელები პროცესი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში აზნაურთა ფენის გაჩენა. თავისუფალი მწარმოებლების ფეოდალურ ურთიერთობაში შესვლა ცნობილია, როგორც ფეოდალიზაციის პროცესის უნივერსალური მოვლენა. თავისუფალ წერილ მიწისმოქმედთა ფეოდალურ დაქვემდებარებაში მოსაქცევად აუკილებელი იყო არა მხლოდ მიწისმოქმედთა ერთი ხაწილის გალარეკება და აქედან გამომდინარე მათი როგორც მესაკუთრის ეჭსაროპრიაცია (თუმცა ასეთი პროცესიც მიმდინარებდა), არამედ მათი ნაწილის აზევებაც. ჩევნი აზრით, ასეთ პროცესებს უნდა შეეწყო ხელი დასავლეთ საქართველოში აზნაურთა ფენის ჩამოყალიბებაში, რაც არსებითად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოში დოკუმენტებით დადასტურებული უკვე ძევიდტ აზნაურთა დამკრიბის პროცესისაგან. სასოფლო თემიდან დაწინაურებული ახალგაზრდა აზნაურული ფენა სოციალურ დაცვას და სოციალურ გარანტიებას საჭიროებდა. ჩინი უზრუნველყოფა არ შეეძლო მოქმედ კანონიდებლობას. მათ მოვლენასთან უნდა იყოს დაკავშირებული სასისხლო სივალების გაჩენა დასავლეთ საქართველოში,

მოწეული სასისხლო სიგელების უმრავლესობა დასავლურ-ქართული წარმოშობისაა. დიდი ნაწილი მართლაც ნატყუარია, მაგრამ ცალკეულ საბუთთა ნატყუარობა ვერ ხსნის თავისთვავად სახეობის „გამოკვნების“ ფაქტს. ნატყუარი სასისხლო სიგელების არსებობა დასტურია იმისა, რომ არსებობდა ნამდვილი სასისხლო სიგელები, რომელთა მიბაძვით იქმნებოდა ნატყუარები. შეუძლებელია თავისთვავად მოვლენა — სასისხლო სიგელი — ნატყუარად ჩავითაროთ, მით უმეტეს, რომ ქართული სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლში დაცულია ცნობები სასისხლო სიგელების გავრცელებულობის თაობაზე (ვახტანგის სამართლი, მუხლები: 23, 25—34), ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასისხლო სიგელებზე დართული მინწერი საბუთების მონაცემებით ზოგიერთი აშერად ნატყუარი საბუთიც კი ნამდვილად ყოფილა მიჩნეული და იურიდიულ მტკიცებულებადაც გამოიყენებოდა. ასეთი დამოკიდებულება ძველსავე



ლროში სასისხლო საბუთების მიმართ მხოლოდ იმის დადასტურებული მიზანით სასისხლო სიგელების არსებობა რეალურ საფუძველს ემყარებოდა.

სასისხლო სიგელებისადმი ჩვენს მეცნიერებაში გაბატონებულ უნდობლობას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილის მიერ ყველა სასისხლო სიგელის უალბად გამოცხადებაშ. ივ. ჯავახიშვილმა სასისხლო სიგელთა ცალკეული თემატური კომპონენტები შეუდარა ნამდვილი სიგელების შესაბამის ნაწილებს. შედარებისას მეცნიერი აკვირდებოდა როგორც ცალკეული დიპლომატიკური გამოთქმების ლექსიურ შედგენილობას, ასევე ფრაზათა აგების წესებსაც. ივ. ჯავახიშვილმა გამოავლინა და ყურადღება გამახვილა მრავალ ისეთ დიპლომატიკურ „ცორმილებაზე“, რომელთა გაუთვალიშინებლად ყოვლად შეუძლებელია სიგელის ნამდვილობაზე ლაპარაკი. მან განიხილა 16 სასისხლო სიგელი „როგორც ენისა და გამოთქმულობის მხრივ, ისევე ქართული სიგელთ ჟკოდნების წესების თვალსაზრისით“ და ყოველი მათგანი ნატყუარად ცნო. ამასთან მან უარყო იმ 14 სასისხლო სიგელის ნამდვილობაც, რომლებიც ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა „სასტორიო მოამბეში“<sup>7</sup>. სასისხლო სიგელებს, შეიძლება ითვას, გადაჭირდებული ნდობა გამოუცხადა ს. კაკაბაძემ<sup>8</sup>. იგი საერთოდ არ იყენებს დიპლომატიკური ანალიზის შედარებით მეთოდს და სასისხლო სიგელებში დაცულ ცნობებს შეუმოწმებლად გენერალოგიური და ქრონილოგიური გამოკვლევების საფუძვლად იყენებს. ამავე დროს ყურადღებას იმსახურებს ს. კაკაბაძის უელი ზოგადი ხსიათის მოსაზრებანი, რომლებიც შეეხება სასისხლო სიგელებს, როგორც დიპლომატიკურ მოვლენას. ს. კაკაბაძე პრინციპულად ციავს იმ აზრს, რომ სასისხლო სიგელებში დაფუქსირებულია გვაროვნულ საზოგადოებში წარმოშობილი სისხლის სამართლის ნორმები, რომ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების პირობების გარდაქმნას უნდა გაშორებული სასისხლო სიგელების ხმარებიდან გამოსვლა. ამავე დროს თვლის, რომ სასისხლო სიგელები საერთო ქართული მოვლენა უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ქართლ-კახეთში მათი მოქმედება უფრო აღრე შესუსტებულა, ვიდრე ლიხთ-რერეთში. ასე ხსნის იგი სასისხლო სიგელების უმეტესობის დასავლურ-ქართული წარმომავლობის ფაქტს. ს. კაკაბაძეს კრიტიკულად არ განუხილავს სასისხლო სიგელთა ტექსტები, არ უცდის გაემიჯნა ნაყალბევი ცნობები ნამდვილისაგან, რის გამოც მისი შრომის პოზიტიური ნაწილიც დაიჩრდილა. ქართულ წყაროთმოდნებობაში სასისხლო სიგელთა მიმართ დიდხანს იყო დაშვიდრებული პიპერკრიტიკული დამოკიდებულება, რაც ამ მასალის ივ. ჯავახიშვილის უელი შეფასების გამოძალების წარმოადგენდა.

სასისხლო სიგელების წყაროთმოდნებით ღირებულებას ეხება კ. ოლი-შელი სტატიაში „ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან“, მკვლევარი თვლის, რომ „სასისხლო სიგელების მონაცემები გარკვეული სიფრთხილის დაცვით უსათუოდ გასათვალისწინებელია იმ შემთხვევაშიც, როცა სასისხლო სიგელი უეჭველად ნატყუარია<sup>10</sup>. სასისხლო სიგელები ძველადვე არიან შექმნილები და საბუთში მოცემული ყველა მომენტი არასწორად რომ იყოს წარმოადგენდა,

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დიპლომატიკა, ტფილისი, 1926, გვ. 156—188.

<sup>8</sup> ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, სასტორიო მოამბე II, ტფილისი, 1924, გვ. 1—107.

<sup>9</sup> ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

<sup>10</sup> კ. ოლი-შელი, „ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან“. მაცნე, 1966, № 4, გვ. 207—223.

შაშინ, თვით ყალბისმქმნელობა ყოველგვარ აზრს დაეკარგავდა<sup>11</sup>. უკანასყოფლაშიც ჩანს სასისხლო სიგელებისადმი უნდობლობა განელდა, რაც უმთავრესად განაპირობა სისხლის საზღაურად დაწესებული ფულადი ერთეულების — კირმანეულის და ძველი ცხუმური ოეთრის რაობის ჟადგენამ. გარკვეულია, რომ ერცხლის მონეტის წონა XIII—XV სს. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ეცემა, რისი ანარეკლიც უნდა იყოს სასისხლო სიგელებში დაწესებული სისხლის მაღალი ფასი<sup>12</sup>. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრებანი ცალკეული სასისხლო სიგელების ნამდვილობის შესახებ. არაეთიარ ეჭვს არ იწვევს შურულების და მაღალაძეთა სასისხლო სიგელების ნამდვილობა<sup>13</sup>. ი. ანთელავა ასაბუთებს ორალელისძე-კუიტაშვილთა, ფალავანდიშვილთა და ცირლილაძეთა სიგელების ნამდვილობის ამ საბუთებში მოხსენიებულ პირთა სხვა წყაროების მონაცემებთან შედარების საფუძველზე<sup>14</sup>. სასისხლო სიგელებს სამართლის ისტორიის სანდო წყაროდ მიიჩნევს ე. ხოშტარია-ბროსე<sup>15</sup>.

მოლწეულ სასისხლო სიგელთაგან (საერთო რაოდენობა ორმოცდაათამდე) უმრავლესობა მართლაც ნატყუარია. სიგელის ნამდვილობის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი რომელიმე ერთი მახსიათებლის, ვთქვათ, მასში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიციაციის მეთოდის გამოყენება. შესაძლებელია ასეთი იდენტიფიციაცია მოხხებდეს ყალბი სიგელის მონაცემებითაც. ასევე შესაძლებელია გამართული დიპლომატიკური წესებით შესრულებული სიგელიც აღმოჩნდეს ყალბი, მაგრამ სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია დაპლომატიკური წესების უხეში დარღვევით შესრულებული სტეფონ სიგელი ნამდვილი იყოს, ოუნდაც მასში მოხსენიებული პირები და ისტორიული ფაქტები სხვა წყაროებითაც დადგინდეს. სხვა საქმეა, რომ ასეთ სიგელებს აქვთ წყარომცილდნეობითი ლირებულება და მათი შესწავლა სრულიად აუცილებელია. ზემოჩამო-ოვლილ ნამდვილად მიჩნეულ სიგელთა შორის ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ცირლილაძეთა სიგელი, რადგან მისი შედგენისას სერიოზული დიპლომატიკური „შეცდომებია“ დაშვებული. ფალავანდიშვილთა საბუთი საერთოდ არ არის სასისხლო სიგელი, იგია კონკრეტულ სასისხლო საქმესთან დაკავშირებით შედგნილი სასისხლო განაჩენის<sup>16</sup>. ფფიქტობთ, რომ ნამდვილად მიჩნეულ სასისხლო სიგელებს უმტკიცენეულოდ შეიძლება მიემართოს ორალელისძე-კუიტაშვილთა<sup>17</sup> და ვაჩინაძეთა<sup>18</sup> სასისხლო სიგელები. ორალელისძე-კუიტაშვილთა სიგელის განხილვისას ჯ. ოდიშელი მის ნატყუარობას ასაბუთებს გიორგი VIII-ის ინიციტონის არასწორი მითითებით (სიგელში არასწორადა მითითებული ინიციტონი, 1463 წ. გიორგი VIII-ს მეფობის 15 ინიციტონის შესრულება

<sup>11</sup> ქ. ოდიშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

<sup>12</sup> თ. აბრამიშვილი. XIII—XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, თბ., 1959, გვ. 23—24; გ. ღვნდუა, სამნეტო მიმქეცევის საქითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964, გვ. 93—94. ზევი ზღვის სანაპირო ბაზებზე XIII—XV საუკუნეებში მიმქეცევის ყოფილობა კირმანეულიც და ცხუმური ოეთრიც თ. ბერაძე, *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Автореферат докторской диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тбилиси, 1986*, с. 25—26.

<sup>13</sup> ქ. ოდიშელი, დასახ. ნაშრ., გვ. გვ. 220, 222.

<sup>14</sup> ლ. ანთელავა, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

<sup>15</sup> ე. ხოშტარია-ბროსტ. Od 9021. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესწავლის საყითხისათვის, მაცნე, ისტ. სერია, 1987, 1. გვ. 61.

<sup>16</sup> ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

<sup>17</sup> ხელნაწ. ინსტ. Od 9021.

<sup>18</sup> ხელნაწ. ინსტ. Od 7588.

ნიშნავს, რომ იგი 1448 წ. გამეფდა) ასევე საეჭვოდ მიაჩნია მასკა 1463 წ. ქუთაისში ლიპარიტ დადიანისა და მისი ძის, მამია გურიელის „შეკუთხულ სულით“ სასისხლო სიგელის ბოძების შესაძლებლობა, იმ დროს, როდესაც ბაგრატ იმერთა მეფე ქართლში მძღვრობდა<sup>19</sup>. იგი არ ითვალისწინებს ზევდინიდეთა ერთ-ერთი საჩივრის წიგნის ცნობას, რომლის მიხედვითაც გიორგი VIII-სა და ბაგრატ ერისთავს შორის ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპზე გიორგი შეფეს ქუთაისი წაურთმევია ბაგრატისათვის<sup>20</sup>, რასაც შემდგომ ბაგრატის ქუთაისშე გალაშქრება მოჰყოლია. ეს ამბავი უნდა მომზდარიყო 1463 წლის მთნაკვეთში. სწორედ ამ დროს შეიძლებოდა გიორგი მეფეს გაეცა სასისხლო სიგელი ორალელისძე-კუიტაშვილისათვის.

ვაჩნაძეთა სიგელში განსაკუთრებულ ეჭვს იწვევდა ძალზე მაღალი სისხლის საზღაური — 800 ათასი კორმანეული. მაგრამ როგორც ნუმიზატთა გაშოკვლევები ცხადყოფენ, ეს თანხა უჩვეულოდ აღარც შეიძლება ჩაითვალოს (აზნაურის სისხლი 400 ათასია თითქმის თანადროული სიგელის მიხედვით). გარდა ამისა, სისხლის ფასის გამოხატვის წესს სხვა თავისებურებაც ახასიათიებს, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

სასისხლო სიგელთა დიპლომატიური სტრუქტურის დასადგენად და მათი სოციალური და სამართლებრივი ფუნქციის გამოსარკვევად ერთნაირად საინტერესო როგორც ნატყუარი ასევე ნამდვილი სასისხლო სიგელები. ცალკეულ სასისხლო სიგელის ნამდვილობის საკითხი შესაძლოა საკამათო იყოს, მაგრამ არავითარ ეჭვს არ ბადებს სუზერენულ-ვასალური ურთიერთობის ის მოდელი, რომელიც სასისხლო სიგელებშია ასახული. ასეთი ურთიერთობა სასისხლო სიგელების მიხედვით არის ორსაფეხუროვანი (მეფე — აზნაური) და სამსაფეხუროვანი (მეფე — შუამდგომელი ფეოდალი — აზნაური). ამ სახით არის დადასტურებული სამეფო და სათავადო აზნაურების წოდებრივ ხარისხში აღზევება — მიქაბაძეთა სიგელი გაცემულია გოგატი ჩხეტიძის შუამდგომლობით (ქუთ. მუხ. № 1605), ვარდან თოდოძისა — ფარგანიანის შუამდგომლობით (ქუთ. მუხ. № 591), კაცუ გუგუნავასი — ქველ ჰილაძის შუამდგომლობით, ორალელისძე-კუიტაშვილებისა, ლიპარიტ დადიანისა და მამია გურიელის შუამდგომლობით (ხელნაწ. ინსტ. Qd 9021), უურულებისა — შალვა ერისთავისა და ლარგველის შუამდგომლობით (ხელნაწ. ინსტ. Qd 7118). ვასალური ცროვულების გამოსახატავად სასისხლო სიგელებში იგივე სტრუქტური გაძოოქმები გამოიყენება, რაც წყალობის სიგელებში „წინაშე მოსვლა“, „ერთგულად სამსახური“, „თანაუზზრდილ-შეზრდილობა“ და სხვ.

ნაწილი სასისხლო სიგელებისა არის არა პირველადი, არამედ განახლებული, ამიტომ ხშირია მითითება ძველ სიგელებზე, აშკარად ნატყუარ საბუთებში ლაპარაკია გვარის ძველთაველ დამსახურებაზე მეფის წინაშე, რაც ზოგჯერ შეზავებულია ფანტასტიკური აბბების თხრობით. მთავარი ისაა, რომ პირადი დამსახურება ჩათვლილია გვარის აღზევების მიზეზად, საერთოდ კი ნატყუარი საბუთების შემქმნელთა აზროვნება მთლიანად წარსულისკენ არის ჰიპოტეზი, წყალობის სიძეველე გვარის სიძეველის დასტურია, ეს კი აღმება სოციალური პრესტიულობის უმთავრეს ნიშნად.

ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ სასისხლო სიგელებში დაწესებული საზღაოს ფულადი ერთეულის სახელწოდება მიმოქცევაში

19 ქ. ოდიშე ლი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.

20 ხელნაწ. ინსტ. Hd 1800.

არსებულ ფულს ყოველთვის არ გამოხატავს. აღმოსავლეთ საქართველოში გაცემულ სასისხლო სიგელებში იგივე კირმანეული იხმარება სისხლის ფასის გამოსახატავად, რაც დასავლურ სასისხლო სიგელებში. ეს გარემოება სასისხლო სიგელთა დასავლური წარმოშობის ერთ-ერთ არგუმენტად არის გამოყენებული. მაგრამ არ არის ახსნილი, რატომ არ ცვლიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში დასავლური ფულის ერთეულს აღმოსავლური ეკვივალენტით. მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში კირმანეულის ზომა ყველას შეიძლება არც სცოდნოდა. ამის გამო უურულების და ვაჩნაძების სასისხლო სიგელებს კირმანეულის განმარტება და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ფულად ეკვივალენტზე მითოთება ახლავს. ასევე კირმანეულით არის შეფაცებული მაღალაძეთა სისხლის ფასი XVI ს. მიწურულს გაცემულ საბუთში. არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, თვით დასავლურ საბუთებშიც ასახულია ფულისადმი „უცნაური“ დამოკიდებულება. ძველი საბუთების განახლებისას უცვლელად ტრვებენ იდრე გაჩენილ საზღვაოს, ცხადია, იმავე ძველი ერთეულის სახელშოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ფულის კურსი საგრძნობლად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან საუკუნეთა მანძილზე, სასისხლო სიგელებში არავითარი ცდა სისხლის ფასის რეალურ კურსთან მიახლოებისა არა ჩანს. პირიქით, მითოთებულია ხოლმე ფულადი საზღვაურის ძველად დადგენილი ოდენობა „ძუელსაც განაჩენსაც აგრე ეწერა და ჩუენცა მათოვე წესითა გაგიჩინეთო“. შეუძლებელია დავუშვათ, რომ სისხლის ფასის განსაზღვრისას ასეთი კონსერვატულობა გამოწვეული იყო ფულის ძველი და ახალი კურსების თანაფარდობის უცოდინარობით. უურულებისა და ვაჩნაძების სიგელებზე დართული მითოთებები უჩვენებენ, რომ ძველი ფასის შესაბამისი ეკვივალენტი ცნობილიც იყო და, სურვილის შემთხვევაში, შეიძლებოდა ძველი ან უცნობი ფულის ერთეულის გადაანგარიშება მიმოქცევაში მყოფ ფულზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი საჭიროება არ არსებობდა. სასისხლო სიგელებში აშეარა ტენდენცია ფულის „დამველებისაკენ“. გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად არის ჩათვლილი ფასის სიძველე, ვიდრე ფულის რეალური მსყიდველობითი უნარი. სისხლის ფულადი საზღვაო სასისხლო სიგელებში ნომინალურია და არა რეალური. სასისხლო განაჩენებიდან ცნობილია, რომ სისხლის ფასი იხდიდნენ ყმა-მამულით, ნაირ-ნაირი უძრავ-მოძრავი ქონებით, მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც იშვიათად, ფულით. ამასთან გადასახდელი ქონების ღირებულების განსაზღვრა ყოველთვის ხდებოდა სასამართლოს მიერ უკვე რეალური ფასების შესაბამისად. სასისხლო სიგელებში დადგენილ სისხლის ფასს შეიძლებოდა ჰქონიდა უფრო გვარის სიძველეზე მაორიენტირებელი მნიშვნელობა და არა აბსოლუტური. სასისხლო სიგელებში სისხლის ფასისადმი იმგვარმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა. ფულადი ერთეულების დასახელების არსებული წესი სასისხლო სიგელებში. ფასი სიმბოლოა გვარისა, მისი სიძველის დამადასტურებელი. სისხლის ფასი, სევე როგორც მთლიანად სასისხლო სიგელი, ინახავს ხსოვნას გვარის სიძველეზე. იმდენად ფასიცა და თვად სიგელიც სიმბოლოა და მას ისევე უფრთხოილდებიან, როგორც სოციალური ღირსების გამომხატველ სხვა სიმბოლოებს. ცირლილაძეთა სასისხლო სიგელში წერია, რომ კურსებმა ცირლილაძებს „ძუელი სასისხლო სიგელი დაუწვეს და წაუხდინესო“. ეს გამხდარა მიზეზი იმისა, რომ კონსტანტინე მეფეს 1408 წ. ცირლილაძეთაფის ახალი სიგელი უბოძებია, რომელშიც განსაზღვრუ-

ლი იყო „ახლად ძუელი ზვივე სისხლი პაპათა ჩუენთაგან გაჩენილ ჟურნალის“<sup>21</sup> ასევევითი არ არის „არც ის გარემოება, რომ სასისხლო სიგელები შესრულებულია განსაკუთრებული მონღომებით ძვირფას მასალაზე — ეტრატზე, შემკულია მინიატურებით (ორალელისტე—ქუიტაშვილთა სიგელის პირველ დაზიანებულ კეფზე შემოჩენილია სამი ფიგურის ფერადი მინიატურა. ე. თაყაიშვილს მოუკითხავს სახელები საბუთის თავში გამოსახული პირებისა: მეფე ალექსანდრე, დადიანი ლიპარიტ და ლიპარიტისქ მამა<sup>22</sup>, უზრულების სასხლო სიგელის თავში გამოსახულია ქრისტე გადაშლილი სახარებით. ხელში, მეორე კეფზე გამოსახულია ტახტზე მჯდომარე გვირგვინოსანი და მის წინ შეხსრული ფიგურა<sup>23</sup>. მაღალაძეთა სასისხლო სიგელს შემტული აქვს მიარიდატე II პართულის მონეტა ბერძნული ლეგენდით<sup>24</sup>. მინიატურებით არის უცმული ნატუარად მიჩნეული — გუგოდებრიძეთა, ქერძობიძეთა, გუგუნავების—გირგალაძეთა და შერგილაძეთა სასისხლო სიგელები<sup>25</sup>.

ცალკე საყითხია სასისხლო სიგელების სამართლებრივი ასპექტები: მათი შემართება საგარო კანონმდებლობის ძეგლებთან და თავად სისხლის დაურვების თემის დანაწევრება. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, წინააღმდეგ ს. კაკბაძის ვარაუდისა<sup>26</sup>, ჩვენ ვფექტობთ, რომ არც არასოდეს ყოფილი სასხლო სიგელების გაცემის პრაქტიკა. მაგრამ ასეთი რამ მოსალოდნელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში რადგან აზნაურული ფენის წარმოქმნის მიზითადი გზა იყო დამტკრობა და არა ორხევება, ამ ფენის იურიდიული ვარანტიები სისხლის სამართლის სფეროში უზრუნველყოფილი იქნებოდა ისედაც, საგარო ნორმატიული აქტებით. ბეჭება ხმართალი იცნობს აზნაურთა რამდენიმე კატეგორიას: 1. საპატიოს და ტაძრეულ აზნაურს, ციხოსან-მონასტროსანს, 2. საპატიოს „ქვეშეთი“, რომელსაც „ვამისავან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს“, 3. ისეთი, რომე დამცრობა დაეწყოს...<sup>27</sup> (მუხლები 2, 3). ასებითად აზნაურთა ასეთივე კატეგორიებია დადისტურებული ქართლში<sup>28</sup>, სადაც მოქმედებს სისხლის საძართლის საგარო კანონმდებლობა. ასეთ ძეგლია სამართლის ისტორიკოსები თვლიან ბეჭება და ობზურას კანონმდებლობას, რომელიც თითქოს არა მარტო საათაბაგოში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიყენებოდა. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისტებაში“ განმეცებლის სისხლთან დაკავშირებით მითითებულია „ძეგლთაგნ გაჩენილი“ წესი (მუხლი 2). ი. ღოლიძე თვლის, რომ „ძეგლთაგნ გაჩენილში“ უსათუოდ მთიულეთში მოქმედი აღრიცე დადგენილი საქანონმდებლო ნორმა იგულისხმებოდა. „როგორც ძეგლიდან ჩანს, ცალკეულ საყითხებზე ზოგიერთი განაჩენი, ანუ კანონი მანამდეც ყოფილა გაჩენილი, ანუ დადგენილი<sup>29</sup>. ი. ღოლიძე ამოდის იმ ძირითადი დებულებიდან, რომ „ძეგ-

21 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიგელენი, III. თბ., ვ. 435.

22 საქართველოს სიგელენი III, № 462, ვ. 435.

23 ხელნაწ. ინსტ. Od 7118.

24 ხელნაწ. ინსტ. Qd 1588.

25 ქუთაისის მუნეუმი №№ 1026, 1607, ხელნაწ. ინსტ. Qd 6937, 1317, სსკა 1448—5035. ესასაგებლეთ გ. ოღმელის მიერ შესრულებული არქეოგრაფიული აზურილობით. ი. ვის ნაშრომი „ქართულ სასისხლო სიგელები, როგორც ისტორიული წყარო. თბილისი, 1964 წ. ხელნაწერი.

26 ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამზე, ვ. 49.

27 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963 ვ. 426—427.

28 გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, ვ. 11—28.

29 ი. ღოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, ვ. 43.

ლისდება“ პარტიულარული კანონმდებლობაა, რომელსაც ზუსტად ჭირდება უღრული ლოკალური დანიშნულება „ქვენდა“ და, ამდენად, სამართლის ძეგლი შეილოდ ბართან შედარებით სოციალური განვითარების უფრო დაბალ დონეზე მდგარი მთიულეთის ვითარებას ასახავს<sup>30</sup>. ცხადია, ეს თვალსწირისი სწორია და იგი სავსებით გაზიარებულია ჩვენს მეცნიერებაში. მაგრამ არ მივაჩნია მართებულად „ძეგლისდების“ ყოველი მუხლის მდ პოზიციიდან ინტერპრეტაცია, კერძოდ, გამგებლის სისხლის შესახებ მეორე მუხლის შეფასება, როგორც ადგილობრივი ნორმის დაწესება. გამგებელი სახელმწიფო მოხელეა, რომლის მოკვლისათვის დაწესებულია საჯარო სასჭელი. გამგებლის სოციალური კუთვნილება ასახავს პოვებს სასჭელის ზომაში, მისი სისხლი განსაზღვრულია ერისთავის სისხლის შემდეგ. როგორც ერისთავის, ასევე გამგებლის ინსტიტუტები „ძეგლისდადების“ პერიოდისათვის მაინც, ჯერ კიდევ შოქმედებს ფეოდალურ საქართველოში. ორივე, ერისთავიც და გამგებელიც შეფის მოხელენი არიან. ე. ხოშტარია-ბროსეს აზრით გამგებელი ერისთავის ნაცვალია, ერისთავისავე ფუნქციით აღჭურვილი, თუმცა უფრო დაბალი რანგის საქვეყნოდ გამრიცე მოხელეა<sup>31</sup>. გამგებლის ინსტიტუტს საერთოდ მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელებულად თვლის ი. ანოლავა<sup>32</sup>. ძნელია გამგებლის სისხლის დაურვების წესში და საფასურში დავინახოთ ლოკალურად მოქმედი სამართლებრივი ნორმა და არა სახელმწიფო კანონის გამოვლინება. გამგებლის სისხლის განსაზღვრისას მითითებული „ძეგლთაგან გაჩენილი“ კანონი უნდა იყოს არა მხოლოდ მთიულეთისათვის დაწესებული ადგილობრივი პირობებით ნაკარნახევი „განაჩენი“, არამედ საერთო სახელმწიფო კანონი, რომელიც გორგი ბრწყინვალემ მთიულეთზეც გაავრცელა. „ძეგლისდადებაში“ განსაზღვრულ ხევის მოხელეთა სისხლის ფასის შესახებ ი. დოლიძე ამბობს, რომ „ხევის მოხელეთა სისხლის ნიხრი გიორგი ბრწყინვალეს შეირ პირველად უნდა იყოს დადგენილი ადგილობრივი სამართლის მახედვით, რადგან არავითარი ცნობა მათი სისხლის ფასის ოდენობის შესახებ სხვა აღრინდელ ან იმდროინდელ წყაროებში არ მოიპოვება<sup>33</sup>. მაგრამ გაუგებარი ჩეხება ძეგლისდებაში ერისთავის და გამგებლის (თუ გამგებელი აზნაურია) სისხლის საფასურის განსაზღვრისას მითითება „მის ვუარსა ზედან დაურვოს“ (ძუხლები 1,4). ცხადია, ადათობრივი სამართლის გავლენა ამ ძეგლზე ძალზე დიდია, მაგრამ ასახსნელია, ფეოდალური განვითარების გზაზე შემდგარ საზოგადოებაში როგორ აჩევდა ადათი ერთმანეთისაგან ერისთავისა და პზნაურის სისხლს დიდერენცირებულად? ი. დოლიძე უურადღებას ამავილებს „ძეგლისდების“ კიდევ ორიოდე მუხლზე (41, 45), რომლებიც ადასტურებენ „ძეგლისდების“ ავტორის მიერ მანამდე ასებული კანონმდებლობის გამოყენების ფაქტს<sup>34</sup>. მაგრამ ეს უაღრესად საინტერესო მიგნებანი შეფასებულია, როგორც „მანამდე დადგენილი კანონმდებლობის არსებობა და გამოყენება

<sup>30</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

<sup>31</sup> ე. ხოშტარია (ბროსე), არავის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები XIV—XV სს. ქართული საისტორიო ძეგლების მონაცემებით. მრავალთავი, VIII, თბ., 1980, გვ. 76—77.

<sup>32</sup> ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და აღგალობრივი მმართველობა X I—X III სს. თბ., 1983, გვ. 195.

<sup>33</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

<sup>34</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

ისევ მთიულეთის სინამდვილეში<sup>35</sup>. უფრო საჩრმუნოდ გვეჩვენება, რომ „შეგლისძლებაში“ გამოყენებული საკანონმდებლო წერილობითი წყარო (რისი არცებობაც დასტურდება მუხლებით: 1, 4, 41, 45), განკუთვნილი იყო არა მთიულეთის, არამედ საქართველოს ბარისათვის. გორგი ბრწყინვალეს მთიულეთის სინამდვილეში გადააქვს ფეოდალურ ბარში მოქმედი ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტი. „ძეგლისძლებაში“ შემორჩენილია არაპირდაპირი მოწმობა საქართველოს ბარში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ. ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება მოხელეთათვის დაწესებული სისხლის საზღაურის მუხლები (2, 4). რომლებიც გვაუწყებენ, რომ სისხლი „გვარსა ზედა“ უნდა შეფასებულიყო. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ვაჩანაძე-თა სასისხლო სიგელში დაცული ცნობა „დიდი ბრჭობის განაჩენის“ არსებობის შენახებ. ს. კაკაბაძე ამ ცნობას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „აქ ვაჩანაზღვრულია (ვაჩანაძეთა საბუთში) საერთოდ სისხლის რაოდენობა, ხოლო დეტალების შესახებ მეფე იხსენიებს „დიდ ბრჭობის განაჩენის“, ე. ი. არსებობდა საკანონმდებლო ძეგლი, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდა<sup>36</sup>. ვაჩანაძეთა სიგელი ყალბიც რომ იყოს, ეს არ გვაძლევს უფლებას მასში მითითებული „დიდი ბრჭობის განაჩენიც“ ყალბად ჩათვალოთ. სწორედ იმის გამო, რომ ვაჩანაძეთა სიგელი სხვა სასისხლო სიგელებთან ერთად ნატყუარად იყო მიჩნეული, მისი ცნობა „დიდი ბრჭობის განაჩენის“ შესახებ უყურადღებოდ იყო დატოვებული.

საერთოდ საქართველოში აღრე (ბეჭას სამართლამდე) შექმნილი კანონმდებლობის არსებობაში ეჭვი არ ეპარებათ სამართლის ისტორიის მკვლევრებს<sup>37</sup>. მეცნიერთა ნაწილი ასეთი კანონმდებლობის ფრაგმენტად მიიჩნევს ბაგრატ კურაპალატის სამართალს. ამავე დროს ყველა მკვლევარი, როგორც მრიანი სიძველის მომხრენი, ასევე გვიანდელობის მამტკიცებული, აღიარებენ, რომ ბაგრატის სამართალი დასავლეთ საქართველოს სინამდვილეშია გათვლილი. „დიდ ბრჭობის განაჩენში“ და „ძეგლისძლადების“ სსენტბულ მუხლებში იგულისხმება ისეთი წყარო, რომელშიც აღმოსავლურ-ქართული სოციალური სტრუქტურის შესაბამისი კანონმდებლობა იქნებოდა ასახული. სახელმწიფო სამართლის დაწერილი კანონების არსებობას ვარაუდობს ვ. იონიშვილიც შთელი სახელმწიფო მასშტაბით და კერძოდ არაგვის ხეობაშიც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისძების შექმნამდე<sup>38</sup>. სისხლის დანაშაულთა კოდიფიკაცია საჯარო

35 იქვე, გვ. 44.

36 ს. კაკაბაძა დ. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 51.

37 ი. ღოლი დ. დასტ. ნაშრ., 44.

38 ივ. გაერან შვილი, ქართული სამართლის ისტორია. VI. 1982. გვ. 85—94; ივ. სურგულაშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის თბილისი, 1952. გვ. 73; ი. ღოლი დ. დევლი ქართული სამართალი, თბ., 1953 წ. გვ. 53; ც. კიკვიძე, ვის ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატის სახელით ცნობილი სამართალი? მასალები საქართველოს ერთობრავისათვის, XVI—XVII 1972, გვ. 239; ზ. რატიანი. საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1970; მ. კეკელია, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესახებ, კრბ. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, IV, 1986, გვ. 96; საწინააღმდეგო თვალსაზრისისისთვის იბ. ს. კაკაბაძა დ. სჭულმდებელი ბაგრატ კურაპალატი; 1912; მისიევე, ეგრეთწოდებული, „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შესახებ, საისტორიო მოამბე, II, ტფლისი, 1924, გვ. 244; ილ. ანთელავა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები 198. გვ. გვ. 56, 58, 63; ღ. ჭ. ე. ნ. რ. ი. იერუსალიმის ქართული მონასტრების ისტორიიდან, ზაცნე, ისტორიის სერია 1983. № 2. გვ. 1, 4—176; ე. ხ. შ. რ. ა. ბ. რ. ს. ე. ე. წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესწავლის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 1987, № 1, გვ. 45—64.

კახონმდებლობაში ომოსავლეთ საქართველოს სინამდვილისათვის უკვე ცნობილი იყო მანამ, სანამ დასავლეთ საქართველოში პირველი სასისხლო სიგელები გაიცემოდა. ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ომოსავლეთ საქართველოს გარში სასისხლო სიგელების გაჩენის საჭიროება არ არსებობდა, რადგან ყველა სოციალური კატეგორიის სისხლის ფასი ისედაც ცნობილი იქნებოდა საგარო კანონმდებლობით [„დღიდი ბრჭობის განაჩენი“]. იგივე ან [ამ ტიპის] ძეგლი უნდა ყოფილიყო გამოყენებული სისხლის დანაშაულთა კლასიფიკაციისათვის და კოდიფიკაციისათვის დასავლეთ საქართველოს სასისხლო სიგელების შედეგებისას [რადგან შეუძლებელია დაუშვათ, რომ ასეთი სამუშაო ტარდებოდა როგორც ცალკეული სიგელის გაცემისას].

დასავლეთ საქართველოში ისეთი საჯრო საქანონმდებლო ძეგლის არსებობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ყველა სოციალური კატეგორიის, მათ შორის მეთემეთაგან აღზევებული აზნაურობის სისხლის ფასი, არ არის მოსალოდნელი. ამ გარემოებას უნდა გამოიწვია სასისხლო სიგელების—როგორც იურიდიული დოკუმენტების გაჩენა. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს კიდევ უფრო მეტად პასაიათებს სამართლებრივი პარტიკულარიზმი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს. ამისი დასტურია დასავლურერთულ დოკუმენტებში მოხსენიებული და ზოგიერთი ჩვენამდე მოლწეული „რაღაგარი“ (ბიჭვინტის იადგარი, გელათის იადგარი, ხოფის იადგარი), მთის წმინდა ვოორგის სასისხლო სიგელი. ესენი ის ძეგლებია, რომელთა საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეები უნდა განხილულიყო სენიორიის ფარგლებში. დაბოლოს, საერთო სასისხლო კოდექსის უქონლობას დასტურებენ ისევ სასისხლო სიგელები. დავით ნარინის სიგელში ხევინისკეველთა და წაშველთადმი სისხლის დაურვებაზე საუბრისას, ცხადია, სისხლის ფასი არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დოფერნუირებული მეთემეთა შორის. მაგრამ ამ მეთემეთაგან დაწინაურებულ აზნაურებს უკვე სჭირდებათ იურიდიული დასაბუთება თავიათი სოციალური პრივილეგიებისა, რაც სასისხლო სიგელებით ხორციელდება.

სასისხლო სიგელთა ძირითადი თემა, რაც ერთიანებს როგორც ნამდვილ, და ნატყუარ სასისხლო სიგელებს, არის სისხლის დაურვება. სისხლის დანაშაულთა კოდიფიკაცია, ცალკეულ დანაშაულზე დადებული საზღაოს პროპორციული მიმართება სრულ სისხლთან სასისხლო სიგელებში ან იღენტურია, ან ძალზე მსგავსი. ეს უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ სასისხლო სიგელები სისხლის დანაშაულთა კოდიფიკაციის საერთო სისტემას ეყარებიან. ამ თვალსაზრისით სასისხლო სიგელები (მათ შორის აშენად ნატყუარებიც) ქირთული სამართლის ისტორიის უალრესად სანდო წყაროდ უნდა ჩათვალოს.

სასისხლო სიგელები გამოხატავენ მხარეთა შორის სამართლებრივ ვალებულებებს სისხლის სამართლის სფეროში. ამ ნიშნით სასისხლო სიგელები შეიძლება კერძო სამართლებრივ აქტებს მივყეუთვნოთ. მეორე მხრივ, სასისხლო სიგელები გაიცემა სამეფო ხელისუფლების მიერ. დანაშაულთა კატეგორიების განსაზღვრა და მათზე სასხელის დაწესება ისევ საგარო ხელისუფლების, სანქციით ხორციელდება. სასისხლო სიგელებში განსაზღვრულია საგარო გადასახადი — საზღაო. ამ თვისებების გამო სასისხლო სიგელები საგარო-სამართლებრივი აქტებია. სასისხლო სიგელთა ერთ ნაწილს ერთვის მოწმეთა ჩამოთვლა, რაც დაბლომატიკაში კერძო აქტების განმსაზღვრელ ერთ ძირითად ნიშნავა მიჩნეული. ასე რომ სასისხლო სიგელები, როგორც

სამართლის ძეგლები, კერძო და საჯარო სამართლებრივ საწყისთა უფლებების ხასიათდება.

სასისხლო სიგელებში იურიდიული პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულობაზე შესაძლებელია დავაგულოთ კატეგორიებად: 1. ფიზიკური ქმედების შედეგი დანაშაულობანი, 2. ზეობრივი დანაშაულობანი, 3. ქონების ხელყოფა. ფიზიკური ქმედებით გამოწვეულ დანაშაულთა შორის გამოყოფილია: ქველობა, დაჭრა, დასახიჩრება, ძალზე დაწერილებით არის გარჩეული სხეულის ცალკეული ნაწილების — „ექსი ასო“ დაზიანება ან მოკვეთა, ცემა, უჩინარ ან საჩინო ადგილზე მიყენებული ჭრილობა, გრჩეულია ცემის დროს გამოყენებული საგნები და იარაღი, არგნით ცემა, ჯონით ცემა, ისრის სროლა. ზეობრივ დანაშაულთა შორის დასახელებულია ცილისწვებება, ლალატი, პატრონთან დაბეჭდება, გრძნეულების შეწამება, ცოლის წართმევა და შეურაცხოფა, ქალიშვილის დაგდება, უომარი შეიღლის ცემა, სასაფლაოს შებილწვა და ძუდრის გაძარცვა. დანაშაულიდ არის მიჩნეული მუქარაც, ანუ დანაშაულის განხრახვა. ქონების ხელყოფის მიზნით ჩადენილი დანაშაულობებიც მრავალფროვანია: სახლზე თავდასხმა, „ჯონის გატეხა“, სამეურნეო ნაგებობების: ნალის, წისქვილის გატეხვა, საქონლის ჯონის გატაცება, სახლ-კარის გადაწვა, გლეხის წართმევა, მოახლე ქალის, ყმისა და მწყემსის ცემა.

ცალკეულ დანაშაულობებზე დაწესებული სასჯელის ფასი სასისხლო სიგელებში, ცხადია, მერყეობს იმისდა შესაბამისად, თუ რამდენია სრული სისხლის საფასური. მაგრამ მსგავსია სრულ სისხლთან მიმართებით ცალკეულ დანაშაულთათვის სასჯელის ზომის შეფარდების წესი. ამ მხრივ სასისხლო სიგელები სისხლის ფასის განაწილების საქმაოდ მწყობრ, ერთიან სისტემას უჩვენებენ. გვარის წარმომადგენელი მამაკაცის სრული სისხლის ნახევარია გადაკვეთილი ცოლის წართმევაზე (საბუთთა უმრავლესობის მიხედვით) ამონივე გვირგვინშემცული ქალის დაგდებაზე, გრძნეულების დაწამებაზე, პატრონთან ცილისწამებაზე. თვალის ამოგდება და ხელ-ფეხის დაშავება აგრეთვე ნახევარ სისხლად არის შეფასებული, საბუთთა მეორე ჯგუფში — ერთ მეუკეშედად. ასევე წინა კბილის ფასი გადაკვეთილი — უომარი შეიღება ნახევარი სისხლი ლინს (ზოგან — ერთი მეორხელი), სახლზე თავდასხმა და დაწვა-დარბევა საბუთთა ერთი ჯგუფის ჩვენებით სრული სისხლია, მეორე ჯგუფის მიხედვით — ნახევარი. ნახევრიდან სრულამდე მერყეობს სისხლის ფასი სასაფლაოს გატეხვისათვის და მკვდრის გაძარცვისათვის.

სასისხლო სიგელებში წარმოდგენილი სისხლის დანაშაულთა სახეები და შეთხე დაწესებული საზღაურის შეფარდება სრული სისხლის რაოდენობასთან დიდ მსგავსებას ავლენს საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი) ჩვეულებითი რჟულის მიხედვით დაღვენილ კომპიუტირათა სისტემასთან<sup>39</sup>.

თუშერი ადათის მიხედვით მამაკაცის სისხლი 129 ძროხა ღირდა, ქალისა — მისი ნახევარი. სხეულის დაზიანებისათვის დაწესებული იყო სისხლის ნახევარი, მარჯვენა კიდურის ჭრილობის დროს სისხლის საფასური იზრდებოდა. მიყენებული ჭრილობის ადგილის, ხარისხის და გამოყენებული იარაღის

<sup>39</sup> იბ. ჭამლეთ მერაბი შვილი, ივანე ცისკარშვილის ცენტები თუშერ სამართლებე; მისივე „სამშობლო ხევსურისას“ ვერორი ქართველ მთიალთა სამართლოს შესახებ; ძიხაკო კერელია, სვანეთის სულხან-საბას ბესარიონ ნიკორაძის დაკვირვებები სვანერ ჩემულებით სამართლებრივ კრებულში: ქართული ჩვეულებით სამართლი, თბ., 1988, გვ. 35—39, 46—58, 63—94.

შიხედვით განსხვავებული იყო სისხლის საფასური ხევსურეთში. სკაცეტზე  
სხვადასხვა ფასი იყო დაწესებული იმისდა მიხედვით, როთი იყო სხეულზე  
დაზიანება მიყენებული: ხელით, ჯოხით თუ ქვით. ქართული სამართლის ის-  
ტორიკოსთა შრომებში დიდი ხანია გარკვეულია ქართული ადათობრივი ხა-  
ძართლის ათვისების ფაქტი ფეოდალურ კანონმდებლობაში. შესწავლილია  
შექა-აღმულის, გორგი ბრწყინვალის საკოდიფიკაციო საქმიანობაში ადათობ-  
რო სამართლთან დამკიდებულების საკითხი. მაგრამ სასისხლო სიგელებში  
დამოწმებული დანაშაულთა კატეგორიებისა და მათზე დაწესებულ საზღვროთა  
ცრულ სისხლთან შეფარდების სისტემა ჩვენთვის ცნობილ საკანონმდებლო  
ძეგლებში სრულად არ არის არყოლილი. ძალზე ძნელდება ბექა-აღმულის,  
გორგი ბრწყინვალის, ან თუნდაც ბაგრატის სამართლის საკანონმდებლო  
კრებულების სისხლის სამართლთან დაკავშირებული მუხლების მიხნევა სა-  
სისხლო სიგელებში წარმოდგენილი სისტემის წყაროდ. სასისხლო დანაშაულთა  
დიფერენციაცია სასისხლო სიგელებში უფრო ღრმადა წასული, ვიდრე აღ-  
ხ შენულ საკანონმდებლო ძეგლებში. ასევე შეუძლებლად მიგვაჩნია სასისხლო  
სიგელებში ასახული სასისხლო დანაშაულის კოდიფიკაცია ცალკეული პრე-  
ცენტრების საფუძველზე ავხსნათ. სასისხლო სიგელებში სისხლის დანაშაულთა  
კოდიფიკაციისათვის. ამიტომ კვლავ ვუძრუნდებით ვაჩნახეთ სიგელში დამო-  
წმებულ „დიდი ბრჭობის განახენს“, რადგან სწორედ ეს ძეგლი უნდა ყოფი-  
ლიყო ის ნორმატიული აქტი, რომელშიც სასისხლო დანაშაულთა კოდიფიკაცია  
ექნებოდა ჩატარებული. ასეთი ძეგლის ან ანალოგიური დანიშნულების სხვა  
ძეგლის „ძეგლთაგან გაჩენილის“ არსებობის არაპირდაპირი მოწმობა ჩანს  
XIII ს. „სისხლის სარჩელიდან“<sup>40</sup>. ეს ღოკუმენტი საინტერესოდ გვეჩვენება  
ჩვენი საკითხისათვის, რადგან მასში მომჩინეობის მიერ წამოყენებული ბრალ-  
დებები გარკვეულ წარმოდგენს. ვიქემის სისხლის დანაშაულთა იმ დროისა-  
თვის უკვე არსებული კოდიფიკაციის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მომ-  
ჩივანი დანაშაულთა გამიჯვნისას ისეთსავე სისტემას ემყარება, როგორც  
სასისხლო სიგელებშია ასახული. სისხლის სარჩელის ავტორი თავისი მოწინა-  
აღმდეგის დანაშაულებრივი ქმედებების გამოყენებისას ფაქტობრივად ჩამოთვ-  
ლის ბრალის კატეგორიებს, რასაც მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სასამართლო  
პროცესშია და გადაწყვეტილებისათვის. ბრალდებები ერთმანეთისაგან გამი-  
ჭნულია გამოთქმით: „ვირჩი ამასცა“. მომჩივნეობის იცის, თუ რომელი ქმედება  
შეიძლება მიხნეულ იქნას ცალკე დანაშაულად. სარჩელში ჩამოთვლილია  
ერთმანეთისაგან გამოყოფილი ბრალდებები, მოსავლის წართმევა, ხეასტივის  
გარეკვა, სახლის შევრი ქალების გაძარცვა, ყმების ცემა, ყმების დაჭრა და  
პითეისება, გამგებლის შვილისათვის ხელის მოკვეთა (შდრ. გორგი ბრწყინ-  
ვალის ძეგლისწერაში გამგებელზე ცალკეა სისხლი დაწესებული). ქალის  
(მომჩივანის დედის) შეურაცხყოფისა და გაძარცვის მუქარა, სახლის დაწვა,  
შეცვალებულის გაძარცვა. ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქმულს სარწმუნოდ  
მივიჩნევთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასისხლო სიგელების სახით საქმე  
გვაქვს არა სამართლებნადობის პროცესთან, არამედ უკვე არსებული „დაწე-  
რილი“ კანონმდებლობის მოდიფიკაციასთან.

40 ქართული ისტორიული ღოკუმენტების კორსუსი I, გვ. 186.

სასისხლო სიგელებთან სისხლის დაურევების თემით ნათესაობას მეტავ-  
რებს დასავლურ-ქართული წარმოშობის საბუთთა ერთი ჯვეფი, რომლებიც  
იადგარის სახელითაა ცნობილი. იადგარი სპარსული წარმოშობის სიტყვაა,  
ნიშავებს: სამახსოვრო, დასახსომებელი. (შეზრ. ჩუ. ს. პამატა) მ სახელით აღი-  
ხუნება ქართულ საკელესიო მწერლობაში ცნობილი ლიტურგიულ-პიმო-  
გრაფიული კრებულიც, ასე რომ თვით ტერმინი „იადგარი“ ზოგადი შინაარსი-  
საა და ჩვენთვის სინტერესო საბუთების სპეციფიკურ შინაარსს არ ხსნის.

იადგარები ეწოდება უსათუოდ საკელესიო იურიდიული პირისადმი მიცე-  
მულ საბუთებს, რომელთავის ნიშანდობლივა მრავალთემიანობა. აუცილე-  
ბელი თემებია იადგარებისათვეს საკელესიო მფლობელობის განსაზღვრა,  
კუთხითი და გასაცემი სარგოს დადგენა და სისხლის სამართლის ნორმების  
დაწესება საკელესიო პირების ან ქონების ხელყოფის შემთხვევაში. ანუ სი-  
სხლის დაურევების თემა. ამრიგად, იადგარი მრავალთემიანი (ორი, სმი) და,  
შესაძლოა, მრავალსაბუთიანიც, კრებულია, რომელშიც თავმოყრილია საეკლე-  
სიო სენიორის სამეურნეო და სასამართლო საქმიანობისათვის საჭირო ცნ-  
ცორმაცია. სწორედ მ დანიშნულების გამო დაერქვა ასეთ კრებულებს „იად-  
გარი“ (სამახსოვრო). ყველაზე ადრინდელი იადგარია შამანდავლა დადიანის  
შეირ ხოფის საყდრისათვის ბოძებული საბუთი. მასში შეტანილია ციტატა  
ძველი იადგარიდან: „ეგრევე ჩუენ, ბარონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა  
მოვიყოთხეთ იადგარი. ძულთაცა აგრე ეწერა, ვინცა ხოფის საყდარს გარშემო  
უბატიობა იყალროს...“<sup>41</sup>. ძეველი იადგარის საქმაოდ ვრცელ ტექსტში, რომელიც  
ტესულია შამანდავლა დადიან-გურიელის საბუთში, განსაზღვრულია ხოფის  
საყდრის ყმა-მამულის საზღაური, ანუ მოცემულია სისხლის დაურევების თემა.  
დანაშაულებანი აქაც საქმაოდ დანაწევრებულია, ისევე როგორც სასისხლო  
სიგელებში. განსაზღვრულია ხოფის კუთვნილი ქონების შესაძლო ხელყოფა:  
ყშისა და ჭობის ტაცება, სასახლის დაბევება, გატეხა, ეკლესის მსახურთა შეე-  
რაცხოფა, კაცის კელა, დანაშაულთა საფასური განსაზღვრულია ყმა-გლეხე-  
ბითა და ფულით. ფულის ერთეულად ბოტინატის მოხსენიება მოწმობს, რომ  
საბუთში ციტირებული იადგარი XIII საუკუნეზე ვრცელი არ შეიძლება  
იყოს<sup>42</sup>. ე. ხოშტარიას ვარაუდით ძეგლი ვერ შეიქმნებოდა XIII ს. ადრე,  
რადგანაც მასში ბატონიყმური ურთიერთობაა დაფიქსირებული<sup>43</sup>. საკუთრივ  
შამანდავლის საბუთი 1470—1474 წლებითაა დათარიღებული. მ საბუთში,  
გარდა იმისა, რომ განსაზღვრულია ძველი იადგარის სისხლის დაურევების წესი,  
შესულია კიდევ სხვა თემებიც. ეს არის ხოფის საყდარზე დაწესებული სავა-  
თლიკონის სარგოს განსაზღვრა (ყმა-მამული, გადასახადი და „საფეხბავი“)  
და სახოფო სარგოსაგან გამოვნა, ასე რომ ეს საბუთი ორმაგ დანიშნულებას  
ასრულებდა. ასეთი საბუთები სპეციფიკურია დასავლეთ საქართველოს სინა-  
შდევილისათვის. შამანდავლა დადიანის იადგარს, თვის მხრივ, სიტყვა-სიტყვით  
ცეკრს ლევან II დადიანი (1611—1657 წწ.), ისე რომ არ ცვლის XIII საუ-  
კუნის ტექსტსაც<sup>44</sup>. ამგვარად, ხოფის იადგარის მაგალითზე დოკუმენტურად  
დადასტურებულია სასისხლო თემის ფორმულირების უცვლელობის ფაქტი  
ოთხი საუკუნის მანძილზე.

41 სსკა 14449—1571.

42 გ. ჭაფარიძე, ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI—XIII ს. საქართველოში.  
ზაცენ, ისტორიის სერია 1976, № 3, გვ. 90.

43 ე. ხოშტარია-ბროსე, ე. წ. ბაგრატ კურაპალატის „სამართლის“ შესწავლის სა-  
კონისათვის, გვ. 59.

იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის ორ საბუთში მოხსენიებულია „გელა-  
 თის იადგარი“. ერთი მათგანია ბაგრატ მეფის მიერ ახლად აშენებული და  
 გელათისათვის შეწირული სოფლების, ნებისმთლისა და თხილელთათვის ბო-  
 რებული შეუვალობის სიგელი: „ვინცა უსამართლოდ ძალად შინა ჩამოგიხ-  
 დესყ და ანუ ... ვინმე მოგიხდეს ანუ ჭოგი გაგიგდოს, ანუ მართალსა გრძნეუ-  
 ლობა ვითხოდას, ანუ ვინმე წინა დაგიდგეს, ანუ ვინმე ქალი დაგიგდოს, ანუ  
 უომარი ყმარწული შეგინიეს, ანუ სახლად ვინმე ჩამოგიხდეს, ანუ უსამართ-  
 ლოთ დარბას დაგასმინოს, ანუ ვინმე მოკლას ანუ ვინმე დალისადოს ანუ რა  
 გინდა რა უპატიობა გიყოს, რაც გელათის იად გარ შიგან ს წერია,  
 დაგიდგევით და იმაზედან დაიურვებდით“<sup>45</sup>. მაშასდამე, გელათის იადგარში  
 განსაზღვრული ყოფილა გელათის ყმა-მამულზე დაწესებული სისხლის სამარ-  
 თლის ნორმატივები. ბაგრატ III-ის მიერ გელათის წმინდა გიორგისაოვის ბოძე-  
 ბულ შეწირულების სიგელში კი გელათის იადგარიდან ის ნორმატივებიცაა  
 შეთითებული, რომლებიც მოძღვრის პიროვნებას იცავს: „ვინცა-ვინ ამა ჩვენგან  
 დამოწმებულსა მოძღვარსა უჯერო და ურიკო ჰყადროს ანუ სიკედილითა, ანუ  
 დაკოდითა, ანუ კელთ დაჭირებითა, ანუ გაცუარცუითა, ანუ მეკობრობითა,  
 ანუ სახლად ჩახდომითა, ანუ ჭოგის გატეხითა, ანუ ვინებითა, ამასცა და  
 რაცა ჩვენ გლეხნი შევიწირავს, რარიგადცა გენათის საყდრის ძველს  
 იად გარსა და გუჭარ შიგან სწერია, ისე დაურვებოდეს“. როგორც  
 ჩანს, გელათის იადგარი იგულისხმება 1527 წ. ბაგრატ მეფის მიერ მოძღვართ-  
 მოძღვარ იოსებ ფანჩულიძისათვის ბოძებული სიგელის წყევის ფორმულაში:  
 „ვინც... იმა ოლაშიგან უპატიობა იკადროს ან ეკლესიის გატეხით, ან შინა  
 ჩახდომით, ან მასშიგან... შიგან რა გინდა-რა უპატიობა ჰყადროს, რაგვარაც  
 დიდისა საყდრისა დავთარშიგან ეწეროს მისის საყდრიშვილის უპატიობა, ისე  
 რაეურვებოდეს...“<sup>46</sup>. მოტანილი ამონაშერებიდან საქმიად ვრცელი და დანა-  
 წევრებული ნუსხა შეიძლება შედგეს იმ სისხლის დანაშაულებისა, რომელთა  
 სფასური დაწესებული ყოფილა გელათის იადგარში. მოძღვართ-მოძღვრის  
 შიმართ: მოკლა, დაჭრა, დაჭერა, გინება, დარბაზში დაშენა, გაძარცვა, მეკო-  
 ბრეობა, სახლში თავდასხმა, ჭოგის მოტაცება, ეკლესიისა და ეკლესიის ყმე-  
 ბის შიმართ: ეკლესიის გატეხვა, შინ ჩახდომა, ჭოგის მოტაცება, გრძნეულების  
 დაწამება, ქალის დაგდება, უომარი ყმაწვილის შეგინება, მოკვლა, დალის და-  
 შჩნევა. ამგვარად, გელათის იადგარში მოცემულია სისხლის დანაშაულთა კოდი-  
 ტყევაცა. ამავე ძეგლში განსაზღვრული ყოფილა გელათის სასამართლო შეუფა-  
 ლობა: „მოძღვართმოძღვრის მეტი სხვათა ხელი არავის შევიდოდეს“. ბაგრატ III-  
 ის სენინგულ სიგილებში დანაშაულთა ჩამოთვლისას არ არის ნაჩინები მათზე  
 დაწესებული საფასური, რადგან „რაც გელათის იადგარშიგან სწერია, იმაზე-  
 დან დაიურვებოდეს“. მაშასადამე, სისხლის საფასური უცვლელად გადადიო-  
 და თაობიდან თაობაზე და ვრცელდებოდა ისეთ ყმა-მმულზეც, რომლის შე-  
 წირულება გელათმა მიიღო იადგარის შედგენიდან დიდი ხნის შემდეგაც. ეს  
 ვითარება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სისხლის საფასურს რეალური ძალა  
 დაკარგული ჰქონდა, მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდა სიმბოლური მნიშვნე-  
 ლობა, რაც უფრო შეესაბამებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებას, ვიდრე რეა-

<sup>44</sup> ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. ლოლიძემ, II, თბილისი, 1965, გვ. 208.

<sup>45</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები I, გვ. 7. ქართული სამართლის ძეგლები II, გვ. 185.

<sup>46</sup> ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 9.

ლური საფასური. გელათის იადგარის ტექსტის სხვა საბუთების საშუალებით ჰილწეულ ფრაგმენტებში საზღაურის მიუთითებლობა ამნელებს გელათის იადგარის დათარილებას. ბაგრატ III მას უწოდებს „ძველს“, „ძველი“, რაღაც მა უნდა, ერთი ან ორი თაობის წინათ შექმნილ საბუთს არ შეიძლება ეწოდოს (შამანდავლა დადიანი ძველს უწოდებს ორი საუკუნით აღრე შექმნილ იადგარს). მით უმეტეს, როგორც ადაპარაკია დასავლეთ საქართველოსათვის უპირველესი მნიშვნელობის საეკლესიო სენიორიის იურიდიულ დოკუმენტზე. დათარილებისათვის შეიძლება უმნიშვნელო არ იყოს მოძღვართ-მოძღვრის სასაძართლო-ადმინისტრაციული ფუნქციის მინიშვნებაც ბაგრატის საბუთში ნებისმიერელთა და თხილელთათვის. „მოძღვართ-მოძღვრის შეტი სხვათ ხელი არ შევიდოდეს“. მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი XIII ს. დავით ნარინის გელათისადმი ბოძებულ სიგელში დადასტურებულია. მაცვე დროს ნაკლებად შოსალოდნელია, რომ ხოფის იადგარი, რომელიც ხოფის იერარქიულ დაძირებულებას განსაზღვრავს საკათალიკოს საყდრისადმი, გელათის იადგარზე უწინარეს იყოს შექმნილი. გელათის იადგარის (არ არის გამორჩეული, რომ იყენებოდა) თავდაპირველი შრე XIII საუკუნეზე აღრეულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ბ. ლომინაძე თვლის, რომ გელათის მონასტრის სასამართლო და სხვა რიგის შეუვალობის ამსახველი დოკუმენტი უნდა ყოფილიყო სწორედ წყაროებში მოხსენებული გელათის იადგარი. ზოლო ასეთი პრივილეგიები შონასტერამა მიიღო დავით ალმაშვილებლის დროს<sup>47</sup>.

გელათის იადგარის თემა, რომლის გათვალისწინება მეტანაკლებად ხერხდება სხვა საბუთების საფუძველზე, შეეხება სისხლის დაურევაბას. მასში წარმოდგენილი დანაშაულთა კოდიფიკაცია აბსოლუტურად ფარავს სასისხლო სიგელებისას, დამატებით გათვალისწინებულია მოძღვართ-მოძღვრის პიროვნების მიმართ შესაძლებლად მიჩნეული დანაშაულები. სისისხლო სიგელებში სისხლის დანაშაულთა კოდიფიკაციის მწყობრი სისტემა ძალზე ახლო დებს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების სასისხლო თვემასთან. ცხადია, კა თემა საეკლესიო საბუთებში უფრო აღრე დამუშავდებოდა, ვიდრე საერთო რითია სასისხლო სიგელები გაიცემოდა.

იადგარის სახელით ცნობილ დასავლურ-ქართულ საბუთთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიჭვინტის იადგარის. ეს არის უზარმაზარი საბუთი, „სხვადასხვა პირთა მიერ გაშეული ღვაწლისა და შეწირულებათა აღმნესხველი ძეგლი, რომელიც ამასთან ერთად შეიცავს საკათალიკოს ეკლესიას უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობის სამართლებრივ ნორმებს, სავადასახადო და სასამართლო შეუვალობათა დამამტკიცებელ საბუთებს“<sup>48</sup>.

ბიჭვინტის იადგარი მკვდევართა ერთ ნაწილს ნატყუარად მიაჩნია. ძირითადი არგუმენტები ბიჭვინტის იადგარის ნატყუარობის დასამტკიცებლად ჩამოყალიბებული ექვს ლ. მესსხელიშვილის: 1. რვა კათალიკოსის ხელრიცვიდან პირველი სამი იადგარის ტექსტის ხელითა შესრულებული (ცვევის მომვარელია უკვე ის გარემოება, რომ რვავე ხელრიცვა ხუცურია და არა მღვევანწიგნობრული). ბაგრატ III თავისთვის „დიდს“ უწოდებს. 3. მამა დააზიანი (+ 1532/37). პირველი პირით ლაპარაკობს და დადიანებად იხსენიებს თვეის ძეს, ლეონს და შვილის შვილებს: გიორგის და მამისა (+ 1590 წ.), რომელთა

47 ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1955, გვ. 66.

48 ბ. ლომინაძე, აფხაზეთის საკათალიკოს დიდი იადგარი, ქართული საბუთთა ეროვნობრული, ტ. II, გვ. 31.



დაღიანობას, რასაკვირველია, ვერ მოესწრებოდა. 3. პევე იქცევა როსტოკის მუნიციპალიტეტის გურიელი, რომელიც გურიელად ასახელებს თავის შვილს, გიორგის. 4. გიორგი I სწირავს ხოშტიბერლას და ჩუნეჭს „ბიჭვინტის ღვთისმშობელს“, იმ დროს, როდესაც მისივე 1569 წ. სიგელით მას შეუწირავს ეს ადგილები გელათის საკათალიკოსო წმინდა გიორგისათვის. 5. დიდი ნაწილი იადგარში შეწირულად შოხესნიებული სოფლებისა აფხაზეთის საკათალიკოსო დიდ დავთარში შეტანილი არა. 6. სისხლის ფასი არა ჩვეულებრივად მაღალია, მოგვაგონებს სასისხლო სიგელებს და არაფერი აქვთ საერთო კათალიკოსთა სამართალოან, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1543—1549 წლებში<sup>49</sup>. ი. დოლიძემ საესებით გაიზიარა ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებანი ბიჭვინტის იადგარის ნატყუარობის შესახებ და, თავის მხრივ, დაუმატა კიდევ შემდეგი არგუმენტები:

1. საბუთში მოხსენიებულია კათალიკოსი ევფემონ (1557—1578 წწ.), რომლის შეწირულებას აახლებს ბაგრატ III (1510—1565 წწ.). გამოდის, რომ საბუთი დაიწერა არა უადრეს ევფემონის კათალიკოსობისა და არა უგვიანეს ბაგრატ III-ის მეფობისა, ე. ი. 1557—1565 წწ. მაგრამ საბუთის ხელრთვებში ხდება უცნაური რამ: პირველ ხელჩირთველად გვევლინება ევფემონის წინამორბედი გათალიკოსი ეფთვემე — გამოდის, რომ საბუთი დაიწერა ევფემონ კათალიკოსის დროს და მას ხელი ჩაურთო უკვე გარდაცვლილმა ეფთვემე. 2. საბუთს ხელს არ ურთავს არცერთი მისი გამცემი: არც მეფე, არც დადიანი, არც გურიელი, არამედ ხელს ურთავს საბუთის მიმღები კათალიკოსი. ასეთი რამ ქართული დიპლომატიკისათვის უჩვეულოა<sup>50</sup>.

ბიჭვინტის იადგარი ნამდვილ საბუთად მიაჩნდა მის პირველ გამომცემელს, ალ. ხახანაშვილს<sup>51</sup>. მისი აზრით, ძეგლი დგბოდა თანდათანობით და შემდეგ გადაიწერა ერთი ხელით. ს. კავაბაძემ ბიჭვინტის იადგარის ძირითადი ხიწილი, სრულიად სამართლიანად, მიიჩნია პირად, რომელიც უნდა გადაწერილიყო XVI საუკუნის დასასრულს. პირის გადამლებავე უნდა გადაეტანა პირველი სამი ხელმოწერა კათალიკოსებისა. მეოთხე და მომდევნო ხელრთვები უკვე ნამდვილი უნდა იყოს. ძირითადი ტექსტი გადაწერილია კათალიკოს ცფთვემე საყარელიძის დროს (1578—1616 წწ.), ხოლო შედგენილი — ბაგრატ III-ის ზეობისა და მაღავისა კათალიკოსობის თანმხედრ წლებში (1525—1550 წწ.)<sup>52</sup>. ბ. ლომინაძე ძირითადად იზიარებს ს. კავაბაძისეულ დასკვნებს ძეგლის შედგენის თაობაზე, მხოლოდ თავდაპირველი ტექსტის შედგენის დროდ ძას მიაჩნია ბაგრატ III-ისა და ევფემონ კათალიკოსის მოღვაწეობის თანმხედრი წლები (1537—1565 წწ.). ამასთან ერთად მევლევარი ფიქრობს, რომ ძეგლი შედგენილია არა თანდათანობით, არამედ ერთდროულად<sup>53</sup>. ბიჭვინტის იადგარი ასევე ნამდვილ საბუთად მიაჩნია ი. ანთელავას. ტექსტში დადასტურებული შეუსაბამობანი მას, მართალია, ცალცალკე არ განუხილავს, მაგრამ ძირითადად სწორად ახსნა „სხვადასხვა დროის სიგელთა მონაცემების ერთად თავმოყრითა და მათი ციტაციის თავისებურებებით<sup>54</sup>. ბიჭვინტის იადგარის

<sup>49</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები, ენიშის მოამბე, V—VI, 1940 წ. გვ. 269. სქოლით.

<sup>50</sup> ქართული სამართლის ძეგლები II, გვ. 616—617.

<sup>51</sup> გუგრები, 1891 წ., გვ. 124—153, 156—157.

<sup>52</sup> ს. კავაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე II, 1925 წ., გვ. 180—197.

<sup>53</sup> ბ. ლომინაძე, კართული ცენტრული ურთიერთობის ისტორიის, თბ., 1966, გვ. 182. სქოლით.

<sup>54</sup> ი. ანთელავას, ნაშრ., გვ. 59.

შონაცემებს სამართლის ისტორიის საკითხების კვლევისას სანდოდ აშშემუშავდა  
ე. ხოშტარია-ბროსე<sup>55</sup>.

ბიჭვინტის იადგარში გამოვლენილი ტექსტობრივი შესაბამობანი, ხელ-  
რთვათა უცნაური რიგი, დადიან-გურიელთა გგუფური შეწირულებანი და სხვა  
დეტალები მართლაც საფუძველს ქმნის ამ ძეგლის ნამდვილობაში ეჭვის შე-  
სატანად. მაგრამ ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება ამ ძეგლის შეფასე-  
ბისას აუცილებლად მიგვაჩნია.

ბიჭვინტის იადგარის სადაო ნაწილი ანუ ძირითადი ნაწილი თავისთვავად  
წარმოადგენს სხვადასხვა დროს შესრულებულ შეწირულების საბუთთა კრე-  
ბულს, რომელსაც მოსდევს სისხლის დაურვების ოქმა. თანმიმდევრობა თემე-  
ბისა ასეთივე ხოფის საყდრის იადგარში: შეწირულება+სისხლის დაურვება.  
იადგარში შესულია ბაგრატ მეფის ორი საბუთი (რომელიც აღიმებოდა  
შეცვლებართა მიერ ერთ საბუთად) პირველი, როგორც ჩანს, იყო ბაგრატის მი-  
ერ ბიჭვინტის მამულებისათვის სამოქალეო და საგადასახადო შეუვალობის  
სიგელი, რომელიც თავდება აქრძალვის ოქმით: „და აწ ამას მოგახსენებთ ყო-  
ველთავე დიდთა და მცირეთა...“<sup>56</sup> სწორედ ეს საბუთი (ანუ მისი დედანი)  
კინდა იყოს გაცემული მალაქიას კათალიკოსობის დროს, რასაც ასახავს იად-  
გარის ბოლოში მალაქიას ხელრთვა პირველ ადგილზე; ბაგრატის მეორე საბუთი  
რწყება სიტყვებით „აგრეთვე გვადრეთ ჩუენ, მეფემან მეფეთამან, მეფემან  
ლიდმან ბაგრატ...“<sup>57</sup>, და გრძელდება გიორგი მეფის საბუთამდე. ამ საბუთში  
ხვა შეწირულებათა შორის მოხსენიებულია გელათის წმინდა გიორგის სა-  
ლელოფლო მონასტერი. არსებობს ბაგრატ მეფის 1545 წ. გაცემული საბუთი  
გელათის წმინდა გიორგის მონასტერისადმი, რომლის მიხედვით მეფეს ეს მო-  
ნასტერი ხელახლა აუშენებია და შეუმეია. გელათის წმინდა გიორგის შეწირვა  
ბიჭვინტისათვის შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ 1545 წ. საბუთის გაცემის  
შემდეგ. ამაზე ადრე ბიჭვინტის იადგარში ცნობა, რომ ბაგრატმა გელათის  
სალელოფლო საყდარი ბიჭვინტას შესწირა, კერ მოხედებოდა. ბაგრატის ამ  
ტეორე საბუთში მოიხსენიება სწორედ ევდემონ კათალიკოსიც. ევდემონ კა-  
თალიკოსის მოხსენიება ბიჭვინტის იადგარში არავითარ წინააღმდეგობას არ  
ქმნის მალაქიას ხელრთვასთან (როგორც ამას ფიქრობს ი. ღოლიძე), რადგან  
იადგარი კი არ არის შედგენილი მალაქიას დროს, არამედ მალაქიას კათალიკო-  
სობის დროს შედგენილი საბუთი შევიდა ბიჭვინტის იადგარში რიგით პირველ  
საბუთად. 1569 წ. გიორგი მეფეს გელათის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის  
შეუწირავს ხოშტიბელს სასახლე და ჩუნეში. შემდეგ ამავე მამულს ვხედავთ  
ბიჭვინტის იადგარში შეტანილ გიორგი მეფის შეწირულების სიგელში, რაც  
ლ. მუსხელიშვილის აზრით, იადგარის ნატყუარობის დამატებითი დამამტკი-  
ცებელი საბუთია. მაგრამ არ არის მხედველობაში მიღებული, რომ გელათის  
წმინდა გიორგის მონასტერი თავის შესვლით ბიჭვინტისათვის იყო შეწი-  
რული, ამდენად გიორგი მეფეს შეეძლო ეს შეწირულება განეახლებინა უშუა-  
ლოდ ბიჭვინტის საკათალიკოსო საყდრისათვის.

დადიანებისა და გურიელების მოხსენიება საბუთში ერთდროულ შემწირ-  
ველებად შეიძლება აისნას შემდეგი გარემოებით. იადგარის შემდგენელს  
ხელთ ჰქონდა ერთნაირი შინაარსის შეწირულებათა საბუთები — დედნები,

55 ე. ხოშტარია-ბროსე, დასტ. ნაშრ., გვ. 58.

56 ქართული სამართლის ძეგლები II, გვ. 178.

57 იქვე, გვ. 178.



რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ შემწირველთა და ქადაგის ტელებით. იდენტური ტექსტების არძენჯერმე განმეორების თავიდან აცილებული ჰიზით კრებულში მისმა შემდგენელმა გადაიტანა მხოლოდ ერთი ტექსტი და წინ წარუმძღვარა ერთად ყველა შემწირველთა სახელები მათი წოდებებით ურთ.

ბიჭვინტის იადგარში თავმოყრილი და გარევეული წესრიგით დააგებული გმისალა ნამდვილ საბუთებს ემყარება. მაგრამ თვით იადგარი არ არის გამოყენებული საბუთების ზუსტი ასლი. ექვემდებარებულია მა ძეგლის დანიშნულება. იადგარი არის საკათალიკოსო პრატიკული საჭიროებისათვის შეგვწილი, საკათალიკოსო მამულების და მისი სამართლებრივი უფლებების აღმნიშვნელი კრებული. ეს არის არა პირი დოკუმენტებისა, არამედ ერთგვარი კომპილაცია. ასეთი საბუთები ბიზანტიურ დიპლომატიკაში ცნობილია „თავისუფალი ასლების“ სახელწოდებით. თავისუფალი ასლები ყოველთვის მზადდებოდა საბუთის მფლობელის (და არა გამცემის) ინიციატივით. (მდრ. ბიჭვინტის იადგარი შედგენილია კათალიკოსის ინიციატივით). ასეთი ასლები იყო მარტივი და ავთენტური. მარტივ ასლებში დოკუმენტის ტექსტი გადაღებული იყო იურიდიული გაფორმების გარეშე, ხელრთვები და ნოტარიუსის მოწმობა ან არ ჰქონდა, ან გადამცერის ხელითვე სრულდებოდა. ავთენტურ ასლებს ერთოდა ავთენტურობის ფორმულა, რომელიც რომელიმე თანამდებობის პირის ხელრთვას წარმოადგნდა. მაგრამ ეს თანამდებობის პირზე არ იყო დოკუმენტის შემჯმნელი. მარტივი ასლების გადაღებისას სრულებით არ იყო აუცილებელი დედნების ზუსტი მიღევნება<sup>58</sup>. ბიჭვინტის იადგარი, ჩვენი ახრით, ამგვარი თავისუფალი ასლის მარტივი სახეობაა. იგი შედგენილია კათალიკოსის (როგორც ფიქრობენ, ეფთვიმე საყვარელიძის) მიერ ან მისი დავვათით. ამიტომ ერთის საბუთი კათალიკოსის (საბუთთა მიმღების) ხელრთვები და არა მათი გამცემების. ბიჭვინტის იადგარი აღრესატის — საბუთთა მფლობელების მიერ შედგენილი კომპილაციური ხსიათის ასლია.

იადგარის ნამდვილობა საეჭვო არ არის. მა ძეგლის მიმართ საკითხი უნდა დაისვას სხვაგვარად: ჰქონდა თუ არა ბიჭვინტის იადგარს იურიდიული დოკუმენტის ძალა? ვთქმირობთ, რომ არა. (ლაპარაკია იმ ნაწილზე, რომელიც კომპალაციას წარმოადგენს). ამგვარი საბუთი სასამართლო მტკიცებად არ შეიძლებოდა გამოყენებინათ და არც ექნებოდათ მისი შედგენისას ასეთი მიზანი.

დღიდი მამულების მქონე ეკლესიებსა და მონასტრებში გავრცელებული იყო ასლების კრებულებში გადატანის ტრადიცია (ბიზანტია, რუსეთი), ასეთი ასლები დგებოდა უსაოუნო ჩვენშიც. ბიჭვინტის იადგარი ასეთი პრატიკის არსებობის დადასტურებაა, სვეტიცხოვლის საბუთებს შორისაც ვხვდებით კრებით დოკუმენტებს, რომლებშიც თავმოყრილია რამდენიმე საუკუნის მანიალზე სვეტიცხოვლის მიერ დაგროვებული (შეწირულების თუ ნასყიდობის) შამულების ნუსხები. ასეთი დოკუმენტები ემყარება ცალკეულ შეწირულებათა ამსახველ ნამდვილ საბუთებს (დედნებს), ცალკეული შეწირულობების შესახებ ცნობები მოღწეულია ჩვენამდე ალექსანდრე დიდის და მისი უშუალოდ მოშევნო მეფეების მიერ გაღებულ შეწირულებათა საბუთების სახით. ყველა ეს საბუთი და ასევე ზოგიერთი ფეოდალთა მიერ გაღებული ცალკეული კირძო



შეწირულებანი<sup>59</sup> მოხვედრილია კრებით დოკუმენტებში. სვეტიცხოვლის მეფეთა შეწირულებათა კრებით საბუთებში აღარ არის აღნიშნული ცალკეულ შეწირულთა სახელები. ასეთი საბუთების მიზანია სვეტიცხოვლის საქონებელთა წესახე ცნობების თავმოყრა მასულების მართვის ორგანიზაციის გასაადგილებლად. აღნიშნული საბუთები გაცემულია მეფეთა სახელებით, გაფორმებულია როგორც სამეფო შეწირულების სიგელი, თუმცა მეფე აქ უკვე არსებულ შეწირულებათა დამამტკიცებლის როლში გამოდის. ვფიქრობთ, რომ სვეტიცხოვლის კრებითი საბუთების სახით საქმე გვაქვს ე. წ. თავისუფალი ასლების აუთენტურ ნაირსახეობასთან. საბუთები შედგენილია ეკლესიის მესევეურთა — კათალიკოსთა ინიციატივითა და თხოვნით. მეფეთა სახელითა და მათივე ხელრთვებით ასეთი საბუთების დამტკიცების წესით უზრუნველყოფილია ასლების უკრიდიული ძალა. პირველი ასეთი საბუთია გიორგი VIII-ის საბუთი, —1447 წ. შედგენილი სიგელი სვეტიცხოვლისადმით<sup>60</sup>. ამავე საუკუნის ბოლოს ან XVI საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი ალექსანდრე I კახთა მეფის საბუთი<sup>61</sup>. XVI საუკუნიდან გვაქვს მოღწეული სვიმონ I-ისა<sup>62</sup> და ალექსანდრე II-ისა საბუთები.

ბიჭვინტის იადგარის ის ნაწილიც, რომელიც მეფე-მთავართა შეწირულებების აღნუსხეას მოსდევს და ბიჭვინტის სასამართლო პრივილეგიების და სისხლის დანაშაულთა ჩამოთვლას შეიცავს, ავტორად (შემდგენლად) ასევე ცკლებისას გულისხმობს. ტექსტის შეწირულობათა ნაწილში თუ კიდევ ჩანს შემწირველთა სახელები (მათი შენარჩუნება ეკლესიის ინტერესებში შედიოდა), „სასისხლო თემის“ ნაწილში უკვე სრულებით არის წაშლილი კვალი სამეფო ხელისუფლების, როგორც ჩამოთვლილ ნორმატიულ უფლებათა მიმნიჭებლისა. ეს ნორმატიული ნაწილი შედგენილია, როგორც ჩანს, თავად ეკლესიის ბეჭედურთა მიერ, თუმცა ფორმალურად მეფისადმი დაქვემდებარება აღიარებულია: „და ვინცა ამა საშინელსა საყდარსა შესცოდოს და უვარყოს ღმერთი და წარიქშმიდოს სული თვისი, და გატეხოს და შიგნით საყდრილამა რამე გაიტანს, თუ ისი კაცი მეტისა იყოს სახასო კაცი და მამული, რასდენიცა განაყოფი იყოს, მათითა მამულითა საყდარსა მიაბაროს. სხუს მეფისას ვერას ვიტყვა რას, ამისთვეს, საყდარი მათი არის“<sup>63</sup>. სასისხლო თემის დამუშავების პრინციპი (აშ ძეგლის მიხედვით) საერთო ჩანს საეკლესიო იურიდიული პირისათვის (ხოლის იადგარი, გელათის იადგარის ფრაგმენტი) და განსხვავდება საერთო პირებისთვის ბოძებული სასისხლო სიგელების ანალოგიური თემისაგან. სისხლის დანაშაულები ჩამოთვლილი არის არა თვით დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, არამედ საეკლესიო სამშესოს იერარქიული აღმინისტრაციული სტრუქტურის შესაბამისად. პირველად განსაზღვრულია თვით საკათალიკოსო საყდრისალმი იერარქიულად დამოკიდებული საერთო ფეოდალების „თავი ნიშანი“, მითითებულია სამწყსოს ტერიტორია, შემდეგ უკვე დანაშაულობანი და მათზე

<sup>59</sup> ბართა ქაჩიბაძის მიერ 1426—1428 წლებში გაცემული სოფელ ყორანთა შეწირულების საბუთი — სსტა 1449—1527. ამან ამირეჭიბის მიერ კრიზილვანში გლეხების შეწირულების საბუთი, 1451 წ. სსტა 1449—1481. ვამეუ შებურისძის მიერ ნოვიკეთის შეწირულების საბუთი 1465 წ., სსტა, 1449—1486.

<sup>60</sup> სსტა 1448—5016.

<sup>61</sup> ხელნაწ. ინსტ. Hd 8712.

<sup>62</sup> ხელნაწ. ინსტ. Ad 1572.

<sup>63</sup> ხელნაწ. ინსტ. Sd 464.

<sup>64</sup> კართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 180.

დაწესებული სასჯელები დიფერენცირებულია (ხშირად ერთი და ოგვე ღმერდები შალი) იმისდა მიხედვით, თუ სად არის ჩადენილი (ეკლესიის შიგნით, გარეთ, ზღუდეს გარეთ) ან რა რანგის საეკლესიო იერარქიის მიმართ არის ჩადენილი (კათალიკოსი, ძმთაგანი). შემდგომ ასევე იერარქიულობის პრინციპით არიან ჩამოთვლილი ეკლესიის ყმანი და მოხელენი, რომელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულობანი აღნის სტატუსი და მათზე დაწესებული სასჯელები ზუსტად ან სხვა დოკუმენტზე დაყრდნობით არის მითითებული. ვვარაუდობთ, რომ ჩვენამდე მოულწეველ გელათის იადგარშიც სისხლის დანაშაულთა ჩამოთვლა ასეთივე პრინციპით იქნებოდა განხორციელებული. ყოველ შემთხვევაში, ეს პრინციპი ცხადად ჩანს ხოფის იადგარის ტექსტის მოღწეულ ფრაგმენტში და მთის წმინდა გიორგის სასისხლო სიგელში. ამგვარად, საეკლესიო საბუთებში სასისხლო თემის დამუშავების წესი საეკლესიო განსაგებელზე და ქონებაზე იერარქიულ-აღმინისტრაციული მართვის ჩვენების ფუნქციასაც ითავსებს და აშავე ღროს სასამართლო შეუვალობის ფუნქციონირების ღონებსაც უჩვენებს.

М. К. СУРГУЛАДЗЕ

## ГРАМОТЫ О ЦЕНЕ КРОВИ, КАК ВИДОВОЙ ИСТОЧНИК

### Резюме

Грамоты о цене крови из-за наличия в них фактологических несоответствий и нарушений в дипломатической структуре в грузинской историографии долгое время считались подложными. Тем не менее, эти источники содержат ценные сведения, что послужило росту научного интереса к этим источникам. В ряде работ приводятся серьезные аргументы в пользу подлинности некоторых грамот о цене крови. В настоящее время в научной литературе признается существование практики выдачи правительством грамот о цене крови в Западной Грузии, что не исключает возможность подлога отдельных документов.

В настоящей статье изучены грамоты о цене крови в связи с особенностями феодализации западной Грузии и некоторых нагорных районов страны. В ней ставится вопрос об этих документах в целом, как о дипломатическом явлении. Появление грамот о цене крови объясняется возникновением мелкого дворянства, социальные и правовые привилегии которого должны были закрепить названные документы.

В литературе неоднократно отмечается, что в грамотах о цене крови необыкновенно высокая цена крови и само название денежных единиц часто не совпадает с реалиями тех времен, когда эти источники создавались. В статье дается интерпретация этого явления в контексте представлений феодального общества о понятиях древности, престижности феодального рода, знака и символа. Цена крови для создателей и владельцев документов мыслится как символ древности рода как и разные легенды, содержащиеся в документах, рассказывающие о за-слугах перед царем предка владельца грамоты.

Ставится вопрос о влиянии действующих публичных законодательных кодексов и обычного права на содержание грамот о цене крови. Кодификация преступлений, соотношение цен отдельных категорий преступлений с ценой полной крови дает основание предположить существование более древнего кодекса, чем дошедшие до нас памятники публичного права.



Правовой партикуляризм, столь характерное явление для ~~французского~~<sup>гражданского</sup> общества, присущ западной Грузии в большей мере, чем восточной части страны. Свидетельством этого положения служат грамоты о цене крови, принадлежащие представителям дворянства, а также распространение в церквях западной Грузии особого типа документов — иадгаров (памятная книга). Иадгар представляет собой сборник смешанного характера, созданный для практических целей — организации судопроизводства и управления хозяйством. В статье приведены аргументы в пользу подлинности знаменитого документа «пицундский иадгар», который, некоторые ученые считали подложным. Этот документ составлен по типу византийских свободных копий и, видимо, не мог применяться в качестве судебного доказательства.

### 8. მათელიძე

#### გუდარეხის სამონასტროს მაზენიგილი — რუსუდან დადოფალი

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი, რომელიც ქვემო ქართლში (ეხლანდელი ოთორი წყაროს რაიონი) მდებარეობს, იმ იშვიათ ტაძართა რიცხვს კვლევნის, რომელთა ხუროთმოძღვარი და მაშენებელიც ვიცით. ეს ცნობილია სამშენებლო წარწერიდან, რომელიც გუდარეხის ღვთისმშობლის სახელმძის ტაძრის სამხრეთ კედელზეა გაკეთებული, წარწერა შესრულებულია ასომთავრულით. გთავაზობთ ამ წარწერის ე. თაყაიშვილისეულ წაყითვას, რომელიც ჩვენი აზრით ყველაზე უკეთესია:

„სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმინდისა გიორგი მთავარ მოწმინდათა აეშენა ესე ეკლესია კელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორჩესძისათა სალოცველად და სადიდებლად დედოფალ-დედოფლისათვის, რუსუდან დედოფლისა და შვილთა მისთა ღლეგრძელობისა და ჩემის სულისათვის. ესე წმინდამ ეკლესია მე გლახავმან ანტონი მანგლელმან ვაკურთხე უფასოდ სულისა ჩემისა“.

სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი დ. ბაქრაძე<sup>2</sup> და მარი ბროსეს<sup>3</sup> XII ს-ის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწედ, თამარ მეფის გაშჩრდელად და მამიდად მიაჩნია, ხოლო ე. თაყაიშვილს თამარ მეფის ასულად, რის გამოც მონასტრის აშენების თარიღად 1223—1224 წწ. მიიჩნია.

ეს დათარიღება ცოტაოდენი ცვლილებებით (1222—1245 წწ.) დღეს განხილებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძრის მაშენებლადაც რუსუდან მეფეა მიჩნეული<sup>4</sup>. ნ. ჩუბინაშვილმა კიდევ უფრო დაკონკრეტა ეს თარიღი და გუდარეხის ღვთისმშობლის სახელმძის ტაძრის აშენების თარიღად 1231—1236 წწ. მიიჩნია<sup>5</sup>. გუდარეხის მთავარი ტაძრის აშენების თარიღს ქვემოთ უფრო კრიტიკულად შევხებით.

გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი იმითაც არის ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, რომ იქ აგებულია პირველი თარიღიანი სამშენებლო წარწერის მქონე სამრეკლო. საინტერესოა ეს სამშენებლო წარწერა

<sup>1</sup> Е. С. Ткачевшили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 2, Тифл. 1905, с. 31—32.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Записки общества Кавказской Археологии, К. I, 1857, с. 57.

<sup>3</sup> М. Вроцес, Melanges Asiatiques, T., II, 1852, გვ. 107—109.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვენები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 508.

<sup>5</sup> Н. Г. Чубинашвили, Архитектура Гударехского храма в ансамбле средневекового города. 1945, с. 5; Гударехи, ქართული ხელონება, № 9, 1987, გვ. 61—62.

თავისი შინარსით. მოგვაევს იმ წარწერის ე. თაყაიშვილისეული წეკიცხუამა

„ადიღენ ლმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთა-მეფე დიმიტრი, მე მიწა მეფობისა მათისა, ულირი მღვდელი და ჭუარისმტვირთელი აბრამამ, ღირს ვიქმენ ალშენებად სამრეკლოთა მთ, სადიდებლად სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა... შეწირნენ ლმერთმან და ყოვლად წმინდამან მშობელმა მისმან აბინ, ქრისტიანული კუცე<sup>6</sup>. ე. ი. 1278 წელი. ეს წარწერა, ისევე როგორც ტაძრის სამშენებლო წარწერა, ასომთავრულით არის შესრულებული. უნდა აღ-ენიშნოთ, რომ მარი ბროსეც და დიმიტრი ბაქრაძეც ასო ზ-ს (დაქარაგმე-ბულია) „დავითად“ კითხულობდნენ და სამრეკლოს ავებას დავით სოსლანს აქერდნენ, ხოლო ქრისტიანს კითხულობდნენ „ჰებ“ და 1202 წელს იღებდნენ. გ. თყაიშვილმა მართებულად გაასწორა მცდარი წარითხა და, ესეც არ იყოს, აბრამამ ჯვარისმტვირთელი უამთააღმწერლის წყალობით ცნობილია და ვი-ცით, რომ ის იყო საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ II-ის შემდგომ. აბრა-მამ კათალიკოსი თან ახლდა მეცე დემეტრეს მონღლოთა უანის კარზე სი-ცოცხლის უკანასკნელ დღეებში და 1289 წლის მარტში მანვე ჩამოასვენა წა-შებული მეფის ცხედარი საქართველოში და სვეტიცხოველში დაკრძალა. აბრა-მამ კათალიკოსი იხსენიება ერთ ძველ სიგელშიც. 1297 წელს დავით მეფის შეირ გრიგოლ ჭარმეულისადმი გაცემულ წყალობის სიგელს აბრამამ კათალი-კუსი მტკიცებს (ხ. ი. Hd 1330). ვფიქრობთ, აბრამამ ჯვარისმტვირთელის ხელრთვა აქვს 1281—82 წწ.-ში ნიკოლოზ კათალიკოსის შეირ არვანბეგ საბაის-ძისადმი მიცემულ წყალობის დაწერილს (ცსსა — 1448—5037). ეს დაწერილი დაწერა კათალიკოსის ჯვარისმტვირთელმა ზოსიმე ივანისძემ. „ჩვენ ჯვარის მტკირთველისა ზოსიმე ივანისძისა კელითა დავუიშერია“. მმ საბორში ნი-კოლოზ კათალიკოსის ხელრთვა-მტკიცების მერე მოდის ჯვარისმტვირ-თველის ხელრთვა. „ამა პატრინისა ბრძანებასა მიწა ჯვარისმტვირთველი მოწმე და თანდამხდური ვარ“. ეს ჯვარისმტვირთველი კი მეფის ჯვარისმტვირ-თველი აბრამამია, რომელიც ნიკოლოზ კათალიკოსმა თავის ხელით აკურთხა კათალიკოსად. სამეფო ჯვარისმტვირთველი საკმაოდ დიდი პატივია, იმიტომ მოდის კათალიკოსის ხელრთვის მერე აბრამამ ჯვარისმტვირთველის ხელრთვა. მაგ., მე-10 მოწმე სარგის ათაბაგი იყო. ყველა ხელრთვა თანადამხდურ, ანუ სა-ბუთის შედეგნის ღრის იქ მყოფი მოწმებია. ჩვენი ვარაუდით ეს უსახელო ჯვარისმტვირთველი აბრამამია, მმ ღრის მეფის ჯვარისმტვირთველი რომ სწო-რედ აბრამამი იყო, გუდარების სამრეკლოს წარწერაც ამტკიცებს.

გავიხსენოთ კიდევ გუდარების სამონასტრო კომპლექსის ლეთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვით ჭიშაფორის-ძის ხელით რუსულან დელოფლის სალოცველად აშენდა ტაძარი, რომელიც ანტონ მანგლელმა აკურთხა.

ვფიქრობთ, სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსულან დელოფლი არ არის რუსულან მეფე. ცნობილი ფაქტია, რომ არც ერთი მეფის მერი შე-ტრულებულ სამშენებლო წარწერაში ხუროთმოძღვარი არ იხსენიება მეფეზე წინ. საქონი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. თანაც რუსულან მეფე არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც სიგელ-გუდარებში, ე. ი. არცერთ ისტო-რიულ წყაროში, არ იხსენიება მარტო „დედოფალთ-დედოფლის“ ტიტულით.

<sup>6</sup> ე. თყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

<sup>7</sup> მ. ბროსე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 108—109.

<sup>8</sup> ღ. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

უკელგან ხაზგამშულია, რომ ის ატარებს მეფის ტიტულს და იშვიათად შეფე-  
დედოფლისას. მაგალითად, უძმთაალმწურელთან 42-ჯერ არის ნახსენები რუ-  
სუდან მეფე. ქედან 27-ჯერ იხსენიება „მეფე რუსუდანი“, ხუთჯერ მხოლოდ  
შეფე უსახელოდ, ექვსჯერ „რუსუდანად“, რამდენიმე ადგილს დავითი იწო-  
დება „რუსუდანის ძედ“. და მხოლოდ ერთგან იხსენიება — „დედოფალთ-  
დედოფალო მეფეო რუსუდან“<sup>9</sup>. ასევა ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს-  
თანც რუსუდანი არის მეფე „ღმრთივგვირგვინოსანი“<sup>10</sup>. 1241—42 წწ. არსენ  
გვირდიდელ-მწიგნობართუსუცესის მიერ მგელა აბულახტარისძისადმი ბოძე-  
ბულ წყალობის დაწერილს ამტკიცებს მეფე რუსუდანი: „მე რუსუდან მეფესა  
დაშინიშნავს“ (ცსა, 1448—5003). რუსუდან მეფე იხსენიება სიგვლებში ან  
შეფის ტიტულით, ან დავით მეფის დედად (ცსა, 1449—1586, ბ. ი. Hd 11 243).  
კა სრულიად ბუნებრივია, რადგან რუსუდანი ერთიანი საქართველოს მეფეა  
და მიტომ დომინირებს ყველგან მისი ტიტული — „მეფეთა-მეფე“.

უმთავრესი კი ის არის, რომ რუსუდანის მეფობისას ჯერ ხეარაზმელთა  
და შემდეგ მონლოლთა თარეშია „იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლის ოკ-  
რად“<sup>11</sup>. რუსუდანი ხეარაზმელთა თარეშმდე „ვიდოდა განცხრომითა და სიმ-  
ლერითა“<sup>12</sup>. ხოლო შემდეგ დატოვა გვევრანებული ქართლი, „დამკვიდრდა  
ლიხთიქით და ვერცა ლიხთ-აქით გარდამოვიდის და ვერცა ამერნი — ვაზირნი  
ბის წინაშე მივიღიან“<sup>13</sup> და „პერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი... ყოვე-  
ლი ქვეყანა მწარესა ოკრებასა შინა იყო“<sup>14</sup>. ერთი სიტყვით, საქართველოში  
რუსუდანის მეფობისას არ იყო იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ქვემო  
ქართლში ისეთი დიდი სამონასტრო კომპლექსის აშენება დაწყოთ, როგორიც  
გუდარების მონასტრია. აქვე გვინდა აღვინიშნოთ, რომ გუდარების სამონასტრო  
კომპლექსი საყმაოდ დიდ ტერიტორიას — 4,5 ჰექტარ ფართობს მოიცავს და  
ხანგრევებით არის დაფარული. სამონასტრო კომპლექსი შედგება მთავარი ტაძ-  
რის, სამრეკლოს, სასახლის, საჯინიბოს, კელესის, ბერების საცხოვრებელი  
სენაკების, ბელლის, მარნის და სხვადასხვა სამეურნეო, თუ საყულტო შენობათ  
ჩიხგრევებისაგან. ნიკო ჩუბინაშვილი ვარაუდობს: გუდარების სამონასტრო კომ-  
პლექსი 1231—36 წწ.-ში აშენდა ე. ი. ხეარაზმელთა თარეშის დამთავრებისა  
და მონლოლთა თარეშის დაწყებამდე, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია  
ძირით, რომ რუსუდან მეფეს ახლის აშენება კი არა, იმ ხეთ წელიწადში  
ისიც საეჭვოა ხეარაზმელთაგან დაქცეულ და განადგურებულ ქალაქთ და  
დაბათა აღდგენა-აშენება მოესწრო. არის კიდევ ერთი არგუმენტი — გუდარე-  
ბის მონასტრის ბერებში და XVII ს-ის საქართველოს სამეფო კარხე ცოცხალი  
ყოფილი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც გუდარების მონასტრის მაშენებელის,  
რუსუდან დედოფლის საფლავი გუდარებში ყოფილა. რუსუდან დედოფლის კე-  
საფლავი ლუარსაბ მეფეს უნახავს. „ჩვენ მეფეთა-მეფე პატრონი ლუარსაბ მო-  
ცედით მონასტრისა შინა გუდარებისასა... დედოფალ-დედოფლის რუსუდანის  
აღშენებული იყო თავისდა სასაფლაოდ ნდომებოდა... მათი საფლავი ვიწილეთ“.

<sup>9</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით  
ს. ყაუნებიშვილის მიერ, ტ. II, 1959, გვ. 168, 169, 172, 177, 182, 187, 190—192, 198, 199,  
203—205.

<sup>10</sup> „ქართლის ცხოვრება“ I, 1955, გვ. 371.

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 187.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 168.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 188.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 190—191.

ეს დოკუმენტი დედანია (ხ. ი. Hd 1554 ბ). ეს არის ლუარსაბ II-ის მიწის უფლება დარეხის მონასტრისათვის ბოძებული შეწირულობის სიგელი და თარიღდება ლუარსაბ მეფის ზეობის წლებით (1606—1615 წწ.). ჩვენ კარგად ვიცით და შიომუმტეს XVII ს. დასაწყისში უკვე ეცოდინებოდათ, რომ რუსუდან მეფე „დასნეულებული გარდაცვალა ტფილის, წარიყვანეს მთავართა დიდითა პატივითა და ტყებითა... დამარხეს სამარხოსა მამათა მათოსა მონასტრისა გელათს“<sup>15</sup>. რუსუდან მეფე რომ გუდარეხის მონასტრში დაემარხათ, უამთა-ამშერელს ეს ფაქტი უკველად ეცოდინებოდა და კიდევაც აღნიშნავდა. აქედან ცხადია, რომ გუდარეხის მონასტრში იყო რუსუდან მეფისა კი არა, რუსუდან დედოფლის საფლავი. ბუნებრივია, ისმის კოხეა: ვინ იყო რუსუდან დედოფალი, რომელმაც გუდარეხის მონასტრის მთავარი ტაძარი ააშენა? ერთი რამ ცხადია, ეს რუსუდან დედოფალი არ შეიძლება რუსუდან მეფესთან გავა-იგიოთ.

ჩვენ ისტორიულ წყაროებში დავძებნეთ კიდევ ერთი რუსუდან დედოფალი, ასული დემეტრე თავდაცებულისა. ცნობილია, რომ დემეტრე თავდაცებულს ტაძარიშის კეისრის ასული ჰყავდა პირველ ცოლად, რომლისგანაც მას ოთხი ვაჟი (დავითი, ვახტანგი, მანეული, ლაშა) და ერთი ქალი (რუსუდანი)<sup>16</sup> შე-ეძინა. ცნობილი არ არის რუსუდანის დაბადების წელი. მართალია, პირმშოდ ღვვითი ითვლებოდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პირველი შეილი რუსუდანი ყოფილიყო, რადგან ქართული წესის მიხედვით პირმშოდ მხოლოდ ცაჟი იყო მიჩინეული.

დემეტრე მეფემ თავისი ქალი რუსუდანი XIII ს-ის 80-იან წლებში (ზუსტდ თარიღი ცნობილი არ არის) გაათხოვა მონლოლთა დიდი ემირის ბულს ვაჟზე, რაზედაც ძლიერ განრისხებულა კათალიკოსი ნიკოლოზი. ა. რას წერს უამთააღმშერელი ამ ამბის შესახებ: „მისცა ასული თვისი რუსუდანი შეიღსა ბულასა, რომლისათვეს დიდად განრისხებული ნიკოლოზ კათალიკოსი ფრიად აბრალებდა და ღმრთისა სახელთა თუალ-უხობასა აქადებდა“<sup>17</sup>. ხოლო როდესაც დემეტრე მეფემ მესამე ცოლად (დემეტრეს მეორე მეუღლე შონლოლი სოლლარი იყო) მანდატუროუხცესის, ბექა ჯაყელის ასული ნათელა შოივანა, კათალიკოსმა ნიკოლოზმა პროტესტის ნიშად დატოვა საკათალიკოს ტახტი, „კელითა თვისითა აკურთხა ქუარისმტვირთველი მეფისა აბრაკამ კათალიკოსად და თვთ წარვიდა მამულად თუსად“<sup>18</sup>. ეს 1284 წელს მოხდა. ეს ის პერიპეტ ჯვარისმტვირთველია, რომელმაც გუდარეხის მონასტრის სამრეკლო ავეთვა.

„ საერთოდ, უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, რომელიც უდაოდ ან-გარიშებასაშევია. საქმე ის არის, რომ დემეტრეს მეფობისას საქართველოში შედარებით შვილობითი ხანა დაიწყო. დაბყრობის პერიოდი დამთავრდა და შევყინას ხარკის ძლევის პერიოდი დაუდგა. ე. ი. დადგა დრო დანგრეული ქვეყნის ალდგენა-აშენებისა. ეს გამოკვეთილია აღნიშნა უამთააღმშერელმა. დემეტრემ „აღაშენნა ქუეყანანი მოჯრებულნი, აღაშენა პალატასა შინა მონასტრები, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა“<sup>19</sup> და „იქმნა კეთილიცა საქმე მონასტრთა და გლახაკთა მიმართ“<sup>20</sup>.

<sup>15</sup> „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 207.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 285—286.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 272.

<sup>20</sup> იქვე.

ქვეყნად მშეიღობის შენარჩუნების კურსს ემსახურებოდა ის პოლიტიკური ხაბიჭიც, რომელიც გადადგა დემეტრე მეფემ და დაუმოყვრდა მონლოლებში ისეთ გავლენიან კაცს, როგორიც დიდი ბუღა იყო.

ერყობა განრისხებული კლერიკალური წრეების გულისწყრომის დაცხროში მიზნით ააგო ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორჩისძემ დემეტრე მეფის ასულის რუსუდან დედოფლის სახსრით გუდარენის მონასტრის ლვისმშობლის სახელობის ტაძარი.

ვვიქტორობთ, გუდარენის ტაძარი მაშინ აშენდა, როცა რუსუდან დედოფლალი საქართველოში არც იყო. აშენება მისი სახსრებით მოხდა. ეს სულაც არ არის უცნაური. ცნობილია, რომ თიღვას მონასტრის მაშენებელი დავით ამაშენებლის ასული თამარი, რომელიც შირვნის დედოფლალი იყო, თიღვას მონასტრის შენებისას არ ყოფილა საქართველოში.

1289 წელს, როცა ბუღას შეთქმულება გამომჟღავნდა, იგი, როგორც შეოქმულების ინიციატორი, მოკლეს: მოკლეს მისი ვაჟიც, ხოლო მათი სახლეული ჩაიყრეს და დაახრჩევს. მმ დროს დაიღუპა რუსუდან დედოფლის მეულე და შეიღობი. რუსუდანი როგორ გადაურჩა სიკედილს, ცნობილი არ არის. შესაძლოა, მაშინ საქართველოში იმყოფებოდა და ამგვარად ასცდა დასჯას. დეცეტრე მეფეც, როგორც ბუღას ახლობელი (მახალი) და მისანდო კაცი, მმ შეოქმულების ემსხვერპლა. მან თავი გასწირა ერის და ქვეყნის გადასარჩენად და წავიდა ურდოში. 1289 წლის მარტში დემეტრე მეფეს მონლოლებმა თავი უკვეთეს.

როგორც ელ. მეტრეველმა გაარკვია, დემეტრე მეფის ასული რუსუდანი დაეკავშირებული ჩანს ფანასკერტელთა საგარეულოსთან. იერუსალიმის ჯერის მონასტრის სვინაქსარში ჩაწერილია რუსუდან, დემეტრე მეფის ასულის სამი აღაპი (№ 65, 131, 250). ელ. მეტრეველმა დამაჯერებლად გაარკვია, რომ რუსუდან დემეტრეს ასული თაყა ფანასკერტელის მეულე გამზდარა<sup>21</sup>. „დიდსა დაჭირებას შინა“ რუსუდან დემეტრე მეფის ასულს და თაყა ფანასკერტელს 7000 თეთრი გამოუგზავნიათ მონასტრისათვის და 1000 თეთრი კიდევ ცალკე გამოუგზავნია რუსუდანს საპანაშვილედ: „გამოევზავნა დიდსა დაჭირებასა შიგან დემეტრეს მეფისა ასულსა რუსუდანს და თაყა ფანასკერტელსა შვდი ათასი თეთრი... და ათასი თეთრი სხუად გამოევზავნა მათვე საპანაშვილედ<sup>22</sup>.

როგორც ცნობილია, რუსუდან დემეტრე მეფის ასულმა ააშენა ვაჩერორის ტაძრის ეკვდერი, რომელსაც აქვს სამშენებლო წარწერა. ეს წარწერა გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა: „ქართველთა და აფხაზთა მეფისა დომიტრისა ასულისა (პატრონი) სა რუსუდანისა დაუთავეთ ყ(ოველითა) და მათითა საფარის აღმდევნა ეკუტერი ესე სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღმრთის-შპობელისასა ქრონიკონსა ფკვ<sup>23</sup>. წარწერაში „პატრონისა“ ე. თაყაიშვილმა აღადგინა. ჩევნი აზრით, აქ უნდა იყოს („დედოფლალი) სა რუსუდანისა“. ვაჩერორის ტაძარი ოლთისში მდებარეობს, ოლთის კი ფანასკერტელებს ეკუთვნოდათ. 1306 წელს ეს ეკვდერი ვაჩერორის ტაძრისათვის დემეტრე მეფის

<sup>21</sup> ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 137.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>23</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა ოლთისა და ჩანგალში. პარიზი, 1907, გვ. 58.



ასულს რუსუდანს მიღებია. წარწერაში თაყა ფანასკერტელი მხოლებულის ტომ არ არის მოხსენიებული, რომ ეტყობა ამ დროს უკვე გარდაცვლილია.

ე. მეტრეველი ვარაუდობს, რომ რუსუდანის და თაყას შეწირულობა ერთსალიმის ჯერის მონასტერში წაიღო ვახტანგ მეფემ, რომელიც 1299 წელს შონლოლებთან ერთად მონაწილეობდა ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. ბუნებრივია იგი იერუსალიმის ჯერის მონასტერს ინახელებდა. ვახტანგ მეფე იყო ძე დემეტრე მეფისა და მას რუსუდანისა. ვახტანგ II მეფობდა 1298—1308 წწ. მისთვისაც გაუჩენიათ ობი — № 206<sup>24</sup>. ეს ობი ცემი ყველა ერთ XLVIII ტბულაშია გაერთიანებული, რაც მათი თანდართულობით აიხსნება.

ჩვენი ვარაუდით, თაყა ფანასკერტელის გარდაცვალების მეტე. რუსუდან დედოფალი, ალბათ, ისევ ქართლში მოვიდა. მისი გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის: გუდარების მონასტერი მას თვისი სასაფლაოდ აუშენება, როდესაც გარდაცვალა, შეუსრულეს ანდერძი და გუდარების მონასტერში ღასაფლავეს. ეს იცოდა ლუარაბ მეფემ და ანრიშნა შეწირულობის სიველში, რომელიც მან გუდარების მონასტერს მისცა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი. გუდარების ღვთისმშობლის სახელობის მთავარ ტაძართან მიშენებული კვდერის ჩრდილო კედელზე აღმოჩნდა ვერტიკალურად ჩასმული წარწერანი ქვები; „ქრისტე შეიწყალე გოორგი“, „ქრისტე — შეიწყალე ადამ“<sup>25</sup>. წარწერები X ს. ასომთავრულით არის შესრულებული. როგორც ჩანს, მთავარი ტაძრის ადგილას სხვა ტაძარი იდგა, ალბათ X საუკუნისა, რომლის ქტიტორები ადამი და გიორგი იყვნენ. როდესაც მტერთა შემოსევის შედეგად დაინგრა ეს ტაძარი, ანლის აგებისას წარწერიანი ქვები სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ.

მტრიგად, მოხმობილი მასალის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ გუდარების სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული რუსუდან დედოფალი არის დემეტრე მეფის ასული რუსუდანი, რომელიც ქველმოქმედებით გამოირჩევა და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, მამულისათვის თავდადებულ პიროვნებად გვივლინება. ანის თქმის უფლებას გვაძლევა ის დიდი შეწირულობა, რომელიც გაუგზავნა რუსუდან დედოფალმა იერუსალიმის ჯერის მონასტერს და სამშენებლო მოვაწეობა ოლთისა და გუდარებში.

Г. О. МЧЕДЛИДЗЕ

## ЦАРИЦА РУСУДАН СТРОИТЕЛЬНИЦА ГУДАРЕХСКОГО МОНАСТЫРЯ

Р е з յ у м е

В грузинской историографии принято мнение, что главный храм Гударехского монастыря построен Царицей Русудан, дочерью царицы Тамар.

Имеющиеся в нашем распоряжении материалы дают основания утверждать, что этот храм построен Русуданой, дочерью царя Деметре в 80-х годах XIII в.

<sup>24</sup> ვ. მეტრეველი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97—98.

<sup>25</sup> გუდარების I და II არქეოლოგიური კომპანიის ანგარიში, 1954, გვ. 104.

## ნიდოლოზ ხუცისაგილი

### „მტლთა და შვილთა მნათობთათვის“ XII საუკუნის ერთი ასტროლოგიური ტრაქტატის პირობითი სათაურია. თხზულება მოთავსებულია A 65 ხელნაწერის 360—383 გვერდებზე, გადაწერილია 1188 წელს<sup>1</sup> და ობადულიდან ან სპარსულიდან უნდა იყოს თარგმნილი. ტექსტი გამოცემულია აკად. აკად. შანიძის მიერ 1975 წელს. გამოცემას თან ახლავს წინასიტყვაობა, ენის მიმოხილვა და ლექსიკონი. ტრაქტატი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. „მტლთა-თვის“, რომელიც მოიცავს ზოდიაქოს ნიშნების ანუ ბურჯების ასტროლოგიურ დახასიათებასა და ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანზე დაბადებული აღამიანის ბედის წინასწარმეტყველებას; 2. „სახე აღმოსლვისა მთოარისად და შთასლვისად ღმით“, რომელშიც, როგორც სათაურიდანც ჩანს, მოცემულია მთვარის ამოცვლისა და ჩახვლის დროის გრაფიკი ერთი თვის მანძილზე; 3. პლანეტების ასტროლოგიურ ნიშანთვისებათა ცხრილი. გამოცემის წინასიტყვაობაში შოკლედ მიმოხილულია ძეგლის ენობრივი და შინაარსობრივი მხარე; გავლებულია პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ცნებებთან და სახეებთან<sup>2</sup>.

თხზულება საქმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი ასტროლოგიური ინფორმაციის შემცველია. ზოგადად, ამ ინფორმაციის შესახებ შეიძლება აღინიშნოს ორი რამ: პირველი ის, რომ იგი წარმოდგენილია მწყობრი სახათ. ზოდიაქოს ყოველი ნიშნის აღწერისას გამოყენებულია სტანდარტული სტემა, რომელიც შემდევნირადაა აგებული: თითოეული ბურჯის აღწერის დასაწყისში მოცემულია მისი ქართული და არაბული სახელწოდება; ამას მოსდევს ზოდიაქოს ნიშან-თვისებებისა და მისი სხვადასხვა პლანეტებთან ურთიერთ-შიმართების მოყლე დახასიათება; შემდევ აღწერილია კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის მიმართება აღამიანის სხეულის ნაწილებთან, გეოგრაფიულ პუნქტებთან, სოციალურ ჯგუფებთან და სხვ. და ბოლოს, მოცემულია ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანზე დაბადებული აღამიანის ბედის წინასწარმეტყველება (ეს უკანასკნელი თავის მხრივ, კიდევ შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს). მეორე, რაც ამ ასტროლოგიური ინფორმაციის შესახებ შეიძლება ითქვას, ისაა,

<sup>1</sup> თ. ქორდანის აზრით, ხელნაწერი 1210 წელსაა გადაწერილი.

<sup>2</sup> ექტოტ, ნათევამა, რომ ამ ძეგლში და „ვეფხისტყაოსნის“ ჩამოთვლილი პლანეტების სახელები ერთი და იგივეა. გამონაკლისს მხოლოდ ასპიროზ წირმოაღვენს, რომელიც ტექსტში ქართული მოთებითა შეცვლილი. ამასთან ერთად, მითოებულია, რომ ირივებან საუბრია შეიძი ცის შესახებ (თუმცა აღნიშვნულია ისც, რომ „ვეფხისტყაოსნში“ ცხრა ცაცა შობსენიებული). „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ტექსტი შედარებულია „ვისრამიანის“ ერთ აღგილანაც, სადაც სხვადასხვა ეტლებია ჩამოთვლილი.

რომ იგი ძირითადად ასახავს ტრადიციული, კლასიკური ასტროლოგიის წარ-შოდგენებსა და შეხედულებებს. აქ ვგულისხმობთ იმ ცნობებს, რომლებიც შოცემულია ბერძნი ასტრონომისა და ასტროლოგის პტოლემეს კლასიკურ ტრაქტატში — „ტეტრაბიბლოსში“ და აგრეთვე, შემდგომი დროს მთელი რიგი აღმოსავლელი თუ ეკრანებით ასტროლოგიის შრომებში.

ვიდრე შევუდგებოდეთ უშუალოდ ტერმინების განხილვას, ჩვენი აზრით, საჭიროა შეხერდეთ მოცემული თხზულებისა და 1814 წელს გადაწერილი ერთი ასტროლოგიური ხელნაწერის, A 1580-ის ურთიერთმიმართებაზე<sup>3</sup>. ამ ტექსტების შედარება სასურველად მიგააჩნია იმიტომ, რომ განსახილები ტერმინოლოგიის ერთი ნაწილი A 1580-შიც არის მოთავსებული. ამ ხელნაწერთა მსგავსების შესახებ აღნიშნულია „ეტლთა და შვიდთა მნათობთა“-ს წინასიტყვაობაში. სადაც ნათქვამია, რომ A 1580 ხელნაწერის 90v—96r-ზე მოთავსებული ტექსტი ემთხვევა მას ეტლთა ბოლო ნაწილებში. აღნიშნულია ისტ. რომ ამ უკანასკნელში „ზოგი რამ გამოტოვებულია ან შეცვლილი, ძველი სიტყვები და ფორმები გაახლებულია“<sup>4</sup>.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ A 1580-ში არაა მოთავსებული არც მთვარის ამოსვლისა და ჩასვლის გრაფიკი და არც პლანეტების ნიშან-თვისებათა ცხრილი. ამ ხელნაწერში მხოლოდ ეტლთა ოლწერებია წარმოდგენილი. შედარების შედეგად ჩანს, რომ A 1580-ის ტექსტი ძირითადად იმეორებს A 65-ში აღწერილ ზოდიაქთა ნიშნების ბოლო ნაწილებს, კერძოდ ისტ., სადაც მოთხრობილია ამა თუ იმ ეტლზე დაბადებული ადამიანის ფიზიკური და სულიერი ნიშან-თვისებების შესახებ, აღწერილია მისი მომავალი ცხოვრების ძირითადი მომენტები და სხვ. ეს ნაწილი იწყება ფრაზით: „ვინცა ამა ეტლსა ზედა იშვას...“. ჩვენი აზრით ამ რაზ ხელნაწერის აღნიშნულ ნაწილებს შორის განსხვავება ძლიერ მცირეა. მართალია, A 1580-ში ზოგიერთი სიტყვის ძველი ფორმა გაახლებულია, ან რომელიმე სიტყვა თუ ცალკეული ფრაზა გამოტოვებულია, მაგრამ ტექსტის აგებულება და შინაგანი რომელი ხელნაწერში ერთი და იგვევ რჩება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს ერთ ტექსტთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ ნაწილების დეტალური იდენტურობა, რომლებიც ეხებიან ზოდიაქთს ნიშნების დაყოფას სხვადასხვა პლანეტების გავლენის სფეროებად. ეტლების აღწერის ღასაშეისები A 1580-ში, როგორც ჩანს, მექანიკურად არის ჩამოცილებული. აქ შედას ზოდიაქს ნიშნის ზოგადი დახასიათება, მისი მიმართება სხვადასხვა პლანეტებთან და სხვ.

ზოდიაქთა აღწერისას, დასაწყისი ნაწილების ჩამოცილება შეიძლება იმითაც იყოს გამოტვეული, რომ გვიანდელი ხანის ქართულ საეტლოვაში, ხშირ შემთხვევაში, აღარ ითვლებოდა საჭიროდ ზოდიაქოს ნიშნების დაწერილებითი ასტროლოგიური დახასიათება. მსგავსი ხელნაწერების უმეტესობა შხვლოდ ადამიანის შედის წინასწარმეტყველებას მოიცავს და ტიპიური ფრაზით იწყება: „ვინცა ამა ეტლსა ზედა შობილ იყოს. რა თქმა უნდა, სავსებით წესაძლებელია, რომ A 1580 გადაწერილია არა უშუალოდ A 65-დან, არამედ შესი სხვა, უკვე დაზიანებული პირიდან. ასე თუ ისე, ცხადია, რომ დედანი ას ტრი ხელნაწერისა არის ერთი ტექსტი. მაგალითისათვის მოგვიყენებულია“<sup>5</sup>.

<sup>3</sup> ეს ხელნაწერი ა. შანიძის დავალებით მოუძიგბია კ. დანელის.

<sup>4</sup> ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, გვ. 12—13.

<sup>5</sup> მაგ., XVII საუკუნის საეტლო ხელნაწერები: II 899, S 1163, S 5096.

(ჩარის) ზოდიაქოს აღწერა ამ ხელნაშერებიდან. აღვნიშნოთ A 65 A, ხოლო A 1580 — B ასოთი:

## A

კუროხ, რომელსა არაბულად ჰქვან თავრი

ვინცა ამა ეტლსა ზედა იშვას კაცი ტანმაღლი იყოს და არა დია გრძელი, პირ-მწყაზარი და თუალ შავი, შუბლი დიდი იყოს და ფართო, წარბთა რომელ თმად აქლდეს, და პირსა ზედა ნიშანი იყოს, ანუ თავსა ანუ მჯარსა, კმა-მსხული იყოს, დედათა მოყუარე და კეკლუცა მოყვარე, თავისა პატივისა მოყუარე და არავისი შემაწუხებელი. და ზოვი ტანად მოკლეცა იქმნების და ძრის მოვსენე არ იყოს. და რადცა უთხრას, დამჭერე იყოს. თავისა მეყვისნი უყუარდნ და მათვის კარგისა მოქმედი იყოს. და ვისოცსცა კარგი იყოს და მან ნაცვალი არა მიაგოს.

ესე კუროხსა ბურჯი სამ-ნაწილი არს: ათ დარაჯამდის ოტერიდისა არს, ოც დარაჯამდის მთოარისა არს, ოც-დათ დარაჯამდის ზუპალისა არს.

ვინცა ოტერიდისა ნაწილსა ზედა იშვას, ლრმაც კაცი იყოს და ანუ მხატვარი და ყოველსავე ზედა კელ-მარჯუე იყოს. და თუ მთოარისა ნაწილსა ზედა იშვას, პირმრგული, კეკლუცი და მლალობელი იყოს და მხიარული და თუ ზუპალისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი მძიმე იყოს და ზარმაცი და საქონელისა შემნახავი. და ფათერაჟი მისი ცეცხლისაგან და სნებისაგან იყოს. ვინცა მესამედა დარაჯასა ანუ მეთოთხმეტესა ანუ მეთეუქსმეტესა ანუ ოცდამეშეიდესა იშვას, ბედიანი იყოს და სამშაბათი დღე არ აშენდეს.

ამ ხელნაშერების სხვა აღგილების შეპირისპირება ანალოგიურია ზეშო მოყვანილი მავალითსა. მართალია, B ხელნაშერს აკლია ვერძის ზოდიაქოს დაბოლოება (პლანეტების გავლენის სფეროები), მაგრამ სხვაგან ასეთი დანაკლისი აღარ მეორდება (თუ არ ჩავთვლით ლრიანქალს, რომელიც B-ში საერთოდ გამოტოვებულია).

კურო, რომელსა არაბნი თავრის უწოდებენ.

ვინცა ამა ეტლსა ზედა იშვას, კაცი ტანმაღლი, არა გრძელი იყოს, პირ-მწყაზარი, თვალშავი, შუბლ-დიდი და ფართო. წარბთა თმა აკლდეს და პირსა ზედან ნიშანი პქონდეს, ანუ თავსა ანუ მხარსა. კმა-მსხვილი, დედათა მოყვარე და კეკლუცა მოყვარე, თავის მოყვარე; სხვისა არავის შემაწუხებელი. ზოვი ტან-მოკლე. არა ძვირის მოხსენე, სიტყვის დამჭერი. და თავის მეყვისნი უყუარდნ და კარგი მოქმედი. და ვისაც მან კარგი უყოს სხუამან ნაცვალი კეთილი არა ავოს.

ესე ბურჯი სამ-ნაწილის არს: ათ დარაჯამდის ოტარიდისა არს, ოც დარაჯამდის მთოვარისა არს და ოცდათ დარაჯამდის ზუპალისა არს. ვინცა ოტარიდის ნაწილსა ზედან იშვას ლრმა კაცი იყოს, მწიგნობარი ანუ მხატვარი და ყოველსა ზედა კელ-მარჯვე. და თუ მთოვარისა ნაწილსა ზედა იშვას, პირმრგვალი, კეკლუცი, მლალობელი და მხიარული იყოს. თუ ზუპალის ნაწილსა ზედა იშვას კაცი მძიმე, ზარმაცი, საქონელის შემნახავი. და ფათერაჟი მისი ცეცხლისა და სნებისაგან იყოს. ვინცა მესამედა ანუ მეთოთხმეტესა ანუ მეთეუქსმეტესა და ანუ მეორდაშეიდესა დარაჯასა იშვას ბედიანი იყოს და სამშაბათი დღე არ აშენდეს.

რაც შეეხება განსხვავებულ ტერმინოლოგიას, უნდა აღინიშნოს, რომ გრძელი ერთი ნაწილი B ხელნაწერში საერთოდ არ არის მოხვედრილი, ხოლო ისინი, რომელიც ც არივე ხელნაწერშია წარმოდგენილი ერთმანეთისაგან არანაირი ჩაშენით არ განიჩევიან.

ტექსტში წარმოდგენილი ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია რამდენიმე გვუფად შეიძლება დაიყოს. ამათგან, ერთი ნაწილის მნიშვნელობა ნათელია და განმარტებას არ საჭიროებს. ესენია: ზოდიაქოს ნიშების ზოგადი სახელწოდება (ბურჯი, ეტლი); ზოდიაქოს ნიშების სახელები (ოთოთული ზოდიაქოსათვის მოცემულია ქართული, ასევე არაბული სახელწოდება), გრადუსისა და მინუტის ალმინიშვნელი ტერმინები (არაბ. დარაჯა, დაყიყა)<sup>6</sup>; პლანეტების სახელები (მზე, მთვარე, მთიები მხოლოდ ქართული სახელებითაა წარმოდგენილი, დანარჩენი ოთხი კი არაბულია: ზოპალი, მუშ-თარი, მარიხი, ოტერიდი). სხვა ტერმინების შინაარსი კი, ჩვენი აზრით, დაზუსტებასა და განმარტებას საჭიროებს. საქმე ეხება პლანეტებისა და ზოდიაქოების ურთიერთდამკიდებულების აღმნიშვნელ ტერმინებს: სახლი, ვაბალი, შარაფი, ჰუბური და, აგრეთვე, ორ ცალკე მდგომ ტერმინს: ვეშაპი და კარი. ქვემოთ შევეცდებით ამ ტერმინების ასტროლოგიური მნიშვნელობის ახსნას.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ამ ტერმინების დანიშნულება, მოკლედ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: პოროსკოპის წრე, რომელიც სიმბოლურად ეკლიპტიკას წარმოადგენს, დაყოფილია თორმეტ თანაბაზ, 30°-იან ნაწილად, რომელიც, თავის მხრავ, ზოდიაქოების სხვადასხვა ნიშნებს შეესაბამებან. პლანეტების გადადგილება ზოდიაქოს ნიშნების ირგვლივ მუდმივად ცვლის ჩვენი გარემონცველი სამყაროს სურათს. პოროსკოპის წრეზე შეიძლება დაფიქსირდეს პლანეტების მდებარეობა ნებისმიერი საჭირო მომენტი-ათვეს. ტრანიციული ასტროლოგიის მიხედვით ზოდიაქოს ნიშნები და პლანეტები გარკვეული ნიშან-თვეისებების მატარებლები არაან. მათი კომბინაციები გახაპირობებენ სხვადასხვა თვისებებისა და ტენდენციების წარმოქმნასა და შეინაცვლებობას სამყაროში. ეყრდნობოდნენ რა სამყაროს პარმონიულობის ძირითად პრინციპს, ასტროლოგები თვლიდნენ, რომ ასეთი ცვლილება მაკროკოსმოსში აუცილებლად ისახებოდა მიყროკოსმოსშიც, ადამიანშიც. ან, აღმათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგულისხმებოდა ამ პროცესების არა თანმიმდევრულობა, არამედ ერთდროულობა. ბუნებრივია, რომ დროთა განშავლობაში შემუშავდა ტერმინოლოგიური სისტემა, რომელიც ასახეს პლანეტებისა და ზოდიაქოების ურთიერთმიმართების კონკრეტულ სახეებს.

მოცემულ ტექსტში ყოველი ეტლის აღწერისას, თავდაპირველად მითითებულია, თუ რომელი პლანეტის სახლს წარმოადგენს ესა თუ ის ზოდიაქო?<sup>7</sup> ძაგე: „კუროსა ბურჯი მთიებისად არს სახლი“<sup>8</sup>; „ტყუბისა ბურჯი ოტერი-ცისა სახლი არის“<sup>9</sup> და ა. შ. (მხოლოდ ვერძის ზოდიაქო იწყება ოდნავ შეცვლილი სახით. აქ ჯერ ამ ეტლის სხვა ნიშნებია ჩამოთვლილი: „ვერძისა

<sup>6</sup> ღამერილებით ბურჯის, დარაჯასა და დაყიყას შესახებ იხ. თ. აბულაძე, ვახტანგ VI შთარგმნელობითი მოლვაშეობის შესწავლისათვის შაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, გ. 1, 1985.

<sup>7</sup> ეს ტერმინი ტექსტში დართულ ლექსიკონში არაა განმარტებული. მითოლოგიური მხოლოდ რომ იყ გვეცება ყოველი ეტლის აღწერის დასაყისწერი.

<sup>8</sup> ეტლთა და შეიცთა მნათობთათვის, გვ. 17.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 16.

ბურგი ცეცხლისა არს და დღისა არს ... მარიხისა სახლი არს<sup>10</sup>. პლანეტებ, რომლისთვისაც მოცემული ზოდიაქო სახლს წარმოადგენს, ერთ აღვილას და ხასიათებულია, როგორც „ამის ეტლისა პატრონი და მნათობი“<sup>11</sup>. (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია სატურნზე, რომლისთვისაც სახლი არის თხის რქის ზოდიაქო). როგორც უკვე ოღნიშნეთ, ასტროლოგიაში ითვლება, რომ ყოველი პლანეტა და ზოდიაქო გარკვეული ნიშან-თვისების მატარებელია. ზე-შოთქმული „ეტლთა და შეიძთა მნათობთა“-ში წარმოადგენილი ცხრილიდანაც ჩანს, რომ პლანეტა შეიძლება იყოს დედალი ან მამალი, კარგი ან ცუდი, დღისა ან ღმის მხერვალე ან გრილი და სხვ.<sup>12</sup> ასევე ზოდიაქოს ნიშნებიც<sup>13</sup>. პლანეტისათვის სახლი არის ზოდიაქოს ის ნიშანი, რომელიც ყველაზე მეტად შეეცაბაშება მის ბუნებას. მავალითად, მზისა და მთვარისათვის, როგორც დედა-კაწის მიმართ ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პლანეტებისათვის, სახლებია ჰერიტან ყველაზე ახლოს მდებარე და ყველაზე მეტად ცხელი ზოდიაქოები: კირჩხიბი და ლომი (22 ივნ. — 24 აგვ.). მზეს, როგორც მამრობითს, შეესაბამება ლომი, ხოლო მთვარეს, როგორც მდელობითს — კირჩხიბი. მზესა და მთვარეს თითო სახლი აქვთ, დანარჩენ პლანეტებს კი — ორ-ორი. სატურნისათვის, რომლის ბუნებაშიც სიცივე სჭირდობს და რომელიც მნათობთა შორის ყველაზე მაღლა მდებარეობს, სახლებია ყველაზე ცივი ზოდიაქოები: თხის რქა და მერწყული (22 დეკ. — 21 მარტი). იუპიტერის სახლებია მშეილდოსანი (23 ნოემბ. — 22 დეკემბ.). და თევზები (19 თებ.: — 21 მარტი) და ა. შ.<sup>14</sup>. ზოგიერთი თვალსაზრისით პლანეტის სახლის ცნება უკავშირდება ძველ წარმოდგენებს სამყაროს თავდაპირველი უძრაობის შესახებ. ეს ცომილთა პირველადი სადგომებია, სადაც ისინი იყვნენ დავანებულნი საყოველოა მოძრაობის დაწყებამდე<sup>15</sup>. პლანეტას, რომლისთვისაც მოცემული ზოდიაქო სახლს წარმოადგენს, ამ ზოდიაქოს მმართველი პლანეტა ჰქვია<sup>16</sup> (შლრ. „ეტლისა პატრონიი“<sup>17</sup>).

როდესაც პლანეტა იმყოფება თავისი სახლიდან  $180^{\circ}$ -ით დაშორებულ, სპირისპირი ზოდიაქოში, ითვლება, რომ პლანეტა ამ დროს წამგებიან მდგომარეობაშია ანუ გამეცებულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზოდიაქოს ნიშნისა და პლანეტის ბუნება ამ შემთხვევაში საწინააღმდეგონი არიან. მაგ.: მზე შმართელი პლანეტაა ლომში, მაგრამ მის საპირისპირო ზოდიაქოში, მერწყულში, ის წამგებიან მდგომარეობაშია. სატურნი, როგორც აღნიშნეთ, მმართველი პლანეტაა მერწყულსა და თხის რქაში, მაგრამ იგი წამგებიან მდგომარეობაშია კირჩხიბისა და ლომში და ა.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 38—39.

<sup>13</sup> დაწყერილებით პლანეტებისა და ზოდიაქოს ნიშნების ბუნებისა რა ნიშან-თვისებების შესახებ, ხ. Ptolemy, *Tetrabiblos*, Translated and edited by F. E. Robbins, London, 1956, გვ. 35—77.

<sup>14</sup> Ptolemy... გვ. 79—81.

<sup>15</sup> Φ. Φ. Зелинский. Из жизни идей, т. III, გვ. 266. (Урбанистура т. А. Абдуллаевы შემოდგენერირებული ნაშრომიდან, გვ. 79).

<sup>16</sup> A. T. Mann, The Round Art, New-York, 1979 გვ. 201.

<sup>17</sup> სახლების ანუ სადგომების თეორია განხილული აქვს ე. ხინთობიძის ნაშრომში: „ვიქესისტუაციის მთვარის მოვანება“. კრებული შოთა რუსთაველს, თბ., 1966.



ტექსტში წარმოდგენილი ზოდიაქოს ნიშნებისა და პლანეტების უძრავისთვის  
მისართებებიდან ჩანს, რომ ამ მოვლენას ასახავს ტერმინი „ვაბალი“ (არ. პა—  
ცუდი პირობები, ზიანი, უბედურება). „ლომისა ბურჯი მზისა სახლი არს და  
„უალისა ვაბალი“<sup>16</sup>; „წყლის საქონელისა ბურჯი ზუპალისა სახლი არს და  
შეისა ვაბალი“<sup>17</sup> და ა. შ. ულულბეგის ვარსკვლავთა კატალოგის, „ზიჯის“  
გახტანგინეულ თარგმანს დართული აქვს მისივე შედგენილი ასტრონომიულ-  
ასტროლოგიური ლექსიკონი, სადაც „ვაბალი“ შემდეგნაირადაა განმარტებუ-  
ლი: „ვაბალი — ჩამოვარდნილი, გინა პატიმარი, რაც მასკულავი თავის სახლის  
პირდაპირს ბურჯში მივა, იმ ბურჯს ჰქვიან“<sup>20</sup>. „ეტლთა და შეიდთა მნათობ-  
ლა“-ს ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ვაბალი, როგორც ასტროლოგიური  
ტერმინი საპირისპიროა შარაფისა.

ტერმინი „შარაფი“ (არ. შრფ — პატივი, დიდება) ტექსტში შემდეგნაი-  
რადაა განმარტებული: „საპატივოდ ნებითა საჯდომი არს და ცხორებად“<sup>21</sup>.  
„ზიჯის“ ლექსიკონში „შარაფი“ ასევა ახსნილი: „შარადი — დიდებული. ყო-  
ველს მასკულავს თითო ეტლი აქუს, იქ რომ მივა გადიდდება და გაპატიოსნ-  
დება“. ეს ტერმინი, ეტლებთან და პლანეტებთან კავშირში, შემდეგნაირადაა  
გაძლიერებული: „ვერძისა ბურჯი მარიხისა სახლი არს და მზისა შარაფი არს“<sup>22</sup>.  
„კუროსა ბურჯი მთიებისაც არს სახლი და მთოარისა შარაფი“<sup>23</sup>. „კირჩხიბისა  
ბურჯი მთოარისა სახლი არს და მუშათარისა შარაფი“<sup>24</sup>. და ა. შ. თუ მოყვანილ  
შავლითობს ტრადიციული ასტროლოგიის შეხდულებებს შეუდარებო, ვნა-  
ხევთ, რომ „შარაფი“ შეესატყვისება პლანეტის მდგომარეობას, რომელიც ას-  
ტროლოგიაში ეგზალტაციის სახელითაა ცნობილი<sup>25</sup>. ეგზალტაციის დროს პლა-  
ნეტის ზემოქმედება მაქსიმალურად ძლიერია. მაგალითად, მზე ეგზალტაციას  
განიცდის ვერძის ზოდიაქში, ვერძის ზოდიაქოს 0° ასტრონომიულად და ას-  
ტროლოგიურად შეესაბამება გაზაფხულის დღელამსწორობას (21 მარტი). ამ  
დღის მატებას იწყებს დღის ხანგრძლივობა და მზის სითბო. სატურნი, რო-  
მელსაც მზის საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავს, ეგზალტაციას განიცდის სის-  
წორში, რადგან აქ სიცივე იწყებს მატებას. ასტრონომიულად და ასტროლო-  
გიურად სასწორის 0° შეესაბამება შემოღომის დღელამსწორობას (21 სექ-  
ტემბერი). მოვარე ეგზალტაციას განიცდის კუროს ზოდიაქში, რადგან აქ  
ჩნდება მისი პირველი ფაზა და იგი იწყებს მატებას და ა. შ.<sup>26</sup> (5. 89).

ეგზალტაციის საპირისპირო მოვლენას ასტროლოგიაში ეწოდება პლანე-  
ტის დაცემა ანუ დეპრესია. პლანეტა დეპრესიას განიცდის ეგზალტაციის

<sup>16</sup> ეტლთა და შეიდთა მნათობთაოთვის, გვ. 21.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>20</sup> ეს ტექსტი დაცულია ხელნაშერთა ინსტიტუტში S 161 ნომრით. ლექსიკონი მოთავ-  
სებულია 1—26 გვერდებზე.

<sup>21</sup> ეტლთა და შეიდთა მნათობთაოთვის, გვ. 31.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>25</sup> SRF (შრფ) ეგზალტაცის მნიშვნელობითაა გამოყენებული მანდელ ზოდიაქთა  
წიგნშიც: „მზე ეგზალტაციაშია ვერძში“, თუმცა, როგორც ჩანს, იგი აქ მმართველ პლანეტასაც  
აღნიშნავდა: „სატურნი მმართველი პლანეტა მერტყულში“ (მანდელი ზოდიაქთა წიგნი).  
დაწერილი ერთ-ერთ არამეულ დიალექტში. XIII—XIV საუკუნეების სამი ხელნაშერმავან  
შედგება და არაბულიდან უნდა იყოს თარგმნილი) იხ. E. S. Drower, *The Book of the Zodiac*, RAS, London, 1949. გვ. 95, შენ. 8. გვ. 33, შენ. 3.

<sup>26</sup> Mapp... გვ. 89.

180°-ით საპირისპირო ზოდიაქოში და მე დროს მისი ძალის გამოვლენა უმოკლესი სიმაღლურად სუსტია. როგორც ვნახეთ, მხე ეგზალტაციას განიცდის ვერძის ზოდიაქოში. აქედან გამომდინარე, მის საპირისპირო ზოდიაქოში, სასწორში, იგი დეპრესიაშია. სასწორის ზოდიაქო, როგორც აღვნიშნეთ, შეესაბამება შემო-დგომის დღელამშორისას, როდესაც მზის სითბო და დღის ხანგრძლივობა კლებას იწყებს. სატურნი, პირიქით, ეგზალტაციას სასწორში განიცდის, ხოლო ვერძი ის დეპრესიაშია. მთვარე დეპრესიაშია ორიანეალში, ვენერა — ქალ-შულში და ა. შ.<sup>27</sup>. ტერმინი „ჰუბური“ (არაბ. طوبه — დაშვება, დაცემა), როგორც ტექსტში წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, პლანეტის დეპრესიას მაჩვენებელია<sup>28</sup>. „სასწორისა ბურჯი მთიებისა სახლი არს და მზისა ჰუბური არს“<sup>29</sup>. „ლრიანკალისა ბურჯი მარიხისა სახლი არს და მთოარისა ჰუბური“<sup>30</sup>, „ქალწულისა ბურჯი... მთიებისა ჰუბური“<sup>31</sup> და ა. შ. „ზოგის“ ლექსიკონში ჰუბური შემდეგნაირადაა განმარტებული: „უბურთი დაცემული, გინა პატიმარი. რაც ვარსკულავი თვის დიდებულის პირდაპირ ეტლი აქუს“. საყურადღებოა, რომ ჰუბური საბას სიტყვის კონაშიაც არის შესული: „ჰუბური — ვარსკულავთ ადგილსა რასმე ეწოდების არაბთა ენითა“.

ამრიგად, განხილული ტერმინები შემდეგნაირად შეიძლება დავაგუფოთ: სახლი უპირისიპირდება ვაბალს (მამართველი პლანეტა და წმიგებიან მდგო-მარებაში მყოფი პლანეტა) და შარაფი — ჰუბურს (ეგზალტაცია და დეპრე-სია), აქედან გამომდინარე, წინადადება: „სასწორისა ბურჯი მთიებისა სახლი არს და მზისა ჰუბური არს და მარიხისა ვაბალი და ზუპალისა შარაფი“<sup>32</sup>. შე-ძლევი ასტროლოგიური შინაარსის მატარებელია: „სასწორის ზოდიაქოში მმარ-თველი პლანეტა ვენერა, წმიგებიან მდგომარეობაშია მარსი, ეგზალტაციაშია სატურნი, ხოლო დეპრესიაშია მხე“<sup>33</sup>.

ტერმინი „ვეშაპი“ ტექსტში ორჯერაა მოხსენიებული. ერთხელ ტყუპის ზოდიაქოს აღწერისას, სადაც მითითებულია, რომ ტყუპი არის „ვეშაპისა შა-რაფი“<sup>34</sup>, ხოლო მეორედ მშეილდონის ზოდიაქოს აღწერისა, სადაც ნათვა-შია, რომ იგი არის „ვეშაპისა ჰუბური“<sup>35</sup>. ზემოთ განხილული ტერმინებიდან ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში ლაპარაკია „ვეშაპის“ ეგზალტაციაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში — მის დეპრესიაზე<sup>36</sup>.

შარაფი და ჰუბური, რომლებთაც ერთად იხსენიება „ვეშაპი“ ამ ძეგლ-ში. როგორც უკვე ვნახეთ, მზის, მთვარის ან სხვა რომელიმე ცოორიშის კუ-თვენილებაა. ამის გამო, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ტექსტზე დარ-ოულ ლექსიკონში, არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ვეშაპი აღნიშნავს ან თევ-ზეს ზოდიაქოს, ან კიტის თუ სხვა რომელიმე თანავარსკვლავედს. აქვე გამო-

<sup>27</sup> მა პ ა ნ ... გვ. 89.

<sup>28</sup> ეს ტერმინი ტექსტში დართულ ლექსიკონში არაა განმარტებული. მითითებულია მხო-ლოდ მისი არაბული მნიშვნელობა — „ჩამოსელა“.

<sup>29</sup> ეტლთა და შვილთა მნათობთათვის, გვ. 52.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>33</sup> მაგალითისათვის შერჩეულია ისეთი წინადადება, რომელშიც ზოდიაქოსა და პლანე-ტების ურთიერთშემართების ოთხივე ასპექტია წარმოდგენილი. ხშირ შემთხვევაში, ამ თაზი ტერმინიდან, რომელიმე დაკლებულია.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>36</sup> მა პ ა ნ ... გვ. 502.

იქმულია ვარაუდი, რომ „აქ შეიძლება ის ვეშაპია საგულისხმებელი, რომ შეიძლება შთვარეს ან მზეს ჩანთქავს (ძეველების გაების) ამ მნათობთა დაბრნელების ღროს“ მოყვანილია მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“: „მზე ვეშაპა დაებრნელა“ (1158). ვეშაპის მნიშვნელობის განხილვისას უნდა გამოიყოს მისი მითოლოგიური და ასტრონომიულ-ასტროლოგიური ასპექტები. როგორც ჩანს, ეს ორივე შხარე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ვ. ნოზაძეს თავის „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველებაში<sup>37</sup> ფართოდ აქვს მიმოხილული ორივე: ეს მნიშვნელობა<sup>38</sup>. კარძოდ, იგი წერს: „როგორც გავიცანით, გველს, გვილეშაპს, ვეშაპს, დრაგონს, დრაკონს, დრახეს და სხვა ამგვარ სახელიან ველებსა და მათთან გაიგვებულ სატანას, დემონს, ეშმაქს, იბლისს ყველა რელიგიაში დიდი ძღვილი ჟყავით. ამ მავნე, ცუდი და ბოროტი არსების დანიშნულებაა კეთილისა და ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლა. ყველა ხალხურ და დამუშავებულ რელიგიაში ამ არსებებს ბოროტი მოცანა აქვთ დაკისრებული და ვინაითგან მზე და მთვარე კეთილით აღსავს არსებანი არიან, ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ ეს ბოროტი არსებანი იმყოფებიან. ამ რწმენათა მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ გველსა, გველეშაპსა ანუ დრაგონზე თქმულებანი თითქმის მთელ მსოფლიოში არიან გავრცელებული და ისინი ერთ რიმელიმე განსაკუთრებულ მხარეს არ ეკუთვნიან“<sup>39</sup>. ზოგადად, ასეთია ვეშაპის სახე მსოფლიოს მრავალ ხალხთა მითოლოგიაში. როგორც ვხედავთ, აქ უკვე გამოკვეთილია ვეშაპის ანუ დრაკონის მიმართება ციურ მნათობებთან, კარძოდ, მზესთან და მთვარესთან. ვეშაპი, გველეშაპი, გველი ერთი და იგრე მითოლოგიური ცხოველია, რომელიც მზეს ან მთვარეს მისდევს ჩასაყალაპავალ, რათა მთელი მსოფლიო სიბრძლეში ჩააგდოს და კაცობრიობა დაღუპოს<sup>40</sup>.

ვეშაპის ასტრონომიულ-ასტროლოგიურ შინაარსს შემდეგი მოვლენა უდევს საფუძვლად. მთვარე დედმიწის ირგვლივ მოძრაობისას ეკლიპტიკას ორ წერტილში გადაკვეთს, რომელთაც ობბიტების გადაკვეთის წერტილები ანუ კვინძები ეწოდებათ. როდესაც მთვარე მოძრაობს სამხრეთიდან ჩრდილოეობისაკენ, ამ წერტილს ეწოდება ჩრდილოეთის ანუ აღმავალი კვანძი, ხოლო, როდესაც მთვარე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობს, მას სამხრეთის ანუ დაღმავალი კვანძი ჰქვია. მთვარე დაახლოებით, ყოველ ცამეტ დღეში გადაჭრის ერთ-ერთ წერტილს. მთვარისა და ეკლიპტიკის გადაკვეთის წერტილებს ანუ კვანძებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ასტროლოგიაში. მთვარის გადაკვეთის წერტილებს აღარებდნენ ეკლიპტიკაზე შემოხვეულ დრაკონს, ჩრდილოეთის ანუ აღმავალ კვანძს — „დრაკონის თავი“ ეწოდებოდა, ხოლო სამხრეთის ანუ დაღმავალ კვანძს — „დრაკონის კუდი“. მზის ან მთვარის დაბრნელება შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც მთვარე იმყოფება გადაკვეთის

<sup>37</sup> ვ. ნოზაძე განიხილავს ტერმინებს „გველს“ და „ვეშაპს“ „ვეფხისტყაოსნში“: „რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული ველიის“ (1218). „მზე ვეშაპა დაებრნელა, ზედა ჩაღმცა გავეთენდა“ (1158) და სხვ. („ვეფხისტყაოსნი“, ა. შანიძე, ა. ბარამიძე, თბ., 1956 წ.).

<sup>38</sup> ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სამტარი და ჩილე, 1957,

<sup>39</sup> ივევ, გვ. 78.

რომელიმე წერტილში, ან მასთან ახლოს<sup>40</sup>. იმ პერიოდს, როდესაც მზე გამოიყენებოდა ვრის ერთ-ერთ კვანძს ასტრონომიაში დაბნელების სეზონი ეწოდება, ხოლო ღრუ, რომელსაც მოვარე უნდება დედამიწის გარშემო შემოვლას, აღმავალ კვანძთან მიმართებით, დრაკონული თვეს სახელწოდებითა ცნობილი<sup>41</sup>.

გარდა ამისა, ასტროლოგიაში მიჩნეულია, რომ „დრაკონის თავი“ ეგზალტაციას განიცდის ტყუპის ზოდიაქოში და დეპრესიაშია მშეილდოსანში, ხოლო ღრაკონის კუდი პირიქით, ეგზალტაციაშია მშეილდოსანში და დეპრესიაშია ტყუპში<sup>42</sup>.

ამრიგად, ვეშაპი ჩვენს ტექსტში შეესატყვისება ასტროლოგიაში კარგად ცნობილ დრაკონს, უფრო კონკრეტულად კი „დრაკონის თავს“, რომელიც ეგზალტაციაშია (შარაფი) ტყუპში და დეპრესიაშია (პუბუტი) მშეილდოსანში.

ბოლო ტერმინი, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ეს არის სიტყვა „კარი“. იგი ასტროლოგიური მნიშვნელობითაა გამოყენებული თხის რქის ზოდიაქოს აღწერისას. ტექსტში ნათქვამია: „ვინცა ამა ეტლსა ზედა იშვას (იგულისხმება თხის რქის ზოდიაქ), კაცი იყოს ცნობილი... და თუ კელმწიფისაგან იყოს, მრავალსა ქუყანასა და მრავალსა საქონელსა ზედა პატრონბად მიხუდეს, ამისთვის რომელ ამის ეტლისა პატრონი და მნათობი ზუპალი არს და ზუპალი ცოველთა ვარსკულავთა უმაღლესი არს. და შობისა უამას თუ ზუპალი სასწორ-სა ზედა იყოს, რომელ არს მისი შარაფი, ესე რადცა გვთქუამს, უკეთესი და უფროხესი მიხუდების, მით რომელ სასწორი ეტლისაგან მეათე კარი არს, და შეათე კარი კელმწიფისა კარი არს“. ტერმინების ზემოგანხილული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ციტატა შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: თუ თხის რქაზე დაბადებული კაცი მეფეა, იგი მრავალი ქვეყნისა და დიდი სიმღიდრის პატრონი შეიქმნება, რადგან ამ ეტლის მმართველი პლანეტაა სატურნი → ცოორის მორის ყველაზე მაღლა მდებარე. ხოლო, თუ მისი დაბადების უამს სატურნი იქნება სასწორის ზოდიაქში, სადაც იგი ეგზალტაციას განიცდის, შაშინ ამ პიროვნების მომავალი კიდევ უფრო უკეთესი იქნება, რადგან სასწორის ზოდიაქ ამ დროს იქნება მეათე კარი. მეათე კარი კი მეფეთა კუთხი-ლებაა.

როგორც ამ ნაწყვეტიდან ვხედავთ, „კარი“ უნდა გულისხმობდეს ისეთ დანაყოფს, რომელიც თავისი ბუნებით განსხვავებულია ზოდიაქოს ნიშნების ღანაყოფებისაგან („მით რომელ სასწორი ეტლისაგან მეათე კარი არს“). სასწორი, რომელიც ზოდიაქოს ნიშნითა რიგში, დაწყებული ვერძიდან, მეშვიდე დღვილზეა, ამ შემთხვევაში თანხვდება მეათე კარს.

ჰოროსკოპის წრე, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, სიმბოლურად ეკლიპტიკას წარმოადგენს, დაყოფილია ერთი მხრივ ზოდიაქოს ნიშნებად, ხოლო მეორე მხრივ კიდევ თორმეტ ნაწილად, რომელთაც ასტროლოგიაში ჰი-

<sup>40</sup> „ზიგის“ ქართულ თარგმანში მზის დაბნელების კვეშირი მოვარის კვანძებთან ანუ ტა-კონთან შემდეგნირადაა აღწერილი: „საშორე გველის თავზე ან ბოლოზე ასრე იყოს, რომ გველის თავისი უკან და გველის ბოლოს უწინ ის (18) შენაერ (მენაერ) იგივეა რაც დარაჯა ახუ გრადუსი). იდ (14) წამისაგან ნაკლები იყოს ან გველის ბოლოს უკან და ან გველის თავს უწინ ც (8) მენაერა და ლთ (39) წამისაგან ნაკლები იყოს დიდის ქვეყნის შენობაში მზის დაბნელება საეჭველია“.

<sup>41</sup> D. F. Tver, Dictionary of Astronomy, Space and Atmospheric Phenomena, New-York, 1979.

<sup>42</sup> Drower... 33. 95.

სახლების სახლები ეწოდებათ<sup>43</sup>. იმქანინდელი პორტსკოპინიათვის უცხოურია თორმეტი თანაბარი დანაყოფი, რომელთაგან თითოეული აღამიანის ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთს შეესაბამება. ტრადიციულად, მათ უწოდებენ ყოველდღიურ სახლებს და დაკავშირებულნ არიან აღამიანის მატერიალურ ინტერესებთან და მდგომარეობასთან, მაშინ, როდესაც ზოდიაქოს ნიშნები მოვარდობენ აღამიანის სულიერ თვისებებზე, ტემპერატურისა და განვითარების ჸოვად ტენდენციებზე<sup>44</sup>. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ სახლების შინაარსი, მოვიყანთ მავალით მანდეულ ზოდიაქოთა წიგნიდან, სადაც სახლების ერთ-ერთი სისტემა მოცემული: 1. ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანზე დაბადებული დამიანის ზოგადი დახასიათება; 2. ფინანსური მხარე; 3. ძმები; 4. მშობლები; 5. შეილები; 6. ავადმყოფება; 7. ქორწინება; 8. სიკედილი; 9. სახლოდან გაშვზავრება; 10. შუა ცის სახლი, სახლი მმართველთა. 11. ნაგებობები, მეურნეობა, მოსავალი. 12. მტრები. მართალია, სახლების დასახელებანი სხვადასხვა ასტროლოგიურ მიმდინარეობებში ზოგჯერ განსხვავდება, მაგრამ მათი შინაარსი, ძირითადად, ერთი და იგივეა. წევნთვის საინტერესო შეათე სახლი სხვადასხვა მიმდინარეობებში ცნობილია როგორც შუა ცა, მამა, მეფობა, დიდება, პრივიდე<sup>45</sup>.

ცნობისათვის, შეიძლება აღინიშნოს, რომ „შუა ცა“ ანუ მე-10-ე კარი, პოროსკოპის წრეზე შეესატყვისება უკიდურეს სამხრეთ წერტილს, რაც თავის შერიც ემთხვევა ზაფხულის მზებულობასა და შუაღლეს.

ტერმინოლოგია, ომელიც ჩვენ განვიხილეთ, ასტროლოგიური ლექსიკის შემთხვევაში ერთ ნაწილს წარმოადგენს. სამი მათგანი, ოვალური სიტყვებითაა გადმოტანილი, დანარჩენი ქართულადაა თარგმნილი. ის, ომ ეს ტერმინები დამკიდრებული იყვნენ არაბულ-სპარსულ ასტროლოგიაში, კარგად ჩანს „ზიგზა“ დართული ლექსიკონიდან. სხვა ქართულ ასტროლოგიურ ძეგლებში, ფრეჩისტით, ისინი არ დასტურდება.

43 „სახლების“ ოცნების დაწერილებითი განხილვა, ამჟერად, ჩეკენ მიზანს არ წარმოაღვენს. შეიძლება ალინქშნოს, რომ იგი გეხვებდა ჯერ კიდევ პტოლემეეს „ტრიტაბილოს“-ში. მისი შემდგომი დაცვეჭა და განვითარება დაკავშირებულია აღმანის სიცოცლისა და ლროის თაოლოსოფიურ პრობლემებთან.

<sup>44</sup> Mann... 23. 105.

45 oī30, 23. 106.

Н. М. ХУЦИШВИЛИ

## ОБ АСТРОЛОГИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ ТРАКТАТА «О ЗОДИАКАЛЬНЫХ ЗНАКАХ И О СЕМИ ПЛАНЕТАХ»

### Резюме

Предлагаемая статья касается астрологического трактата XII в., переведенного либо с персидского, либо с арабского языка. Текст издан А. Шанидзе в 1975 г.

В данном трактате наряду с астрологической информацией довольно широко представлена специфическая астрологическая и астрономическая лексика. Для правильного понимания отдельных контекстов сочинения, на наш взгляд, требуется более детальное толкование астрологического значения некоторых терминов. Часть из них из-за отсутствия соответствующих грузинских форм передана арабскими словами, остальные заменены грузинскими эквивалентами.

Из рассмотренных нами терминов особого внимания заслуживают специальные термины, выражающие характер соотношений планет и зодиаков: «Сахли (груз. дом) и «вабали» (ар. وَبَلْ, ущерб, плохие условия) соответственно означают дом и изгнание планеты; «шарафи» (ар. شرف великолепие, почет) и «хубути» (ар. هبوط падение) — экзальтация и депрессия; «вешапи» (груз. дракон) означает точки пересечения траектории луны с эклиптикой. «Кари» (груз. двери) означает так называемые дома гороскопа, т. е. двенадцать делений эклиптики (отлично от зодиакальных знаков), которые соответствуют определенным периодам человеческой жизни.

В статье рассмотрены и другие вопросы чисто филологического характера, связанные с рукописью трактата.

## Илмий тадқиқот

### Азбуқбеклар ბინ აბდუллаҳи үзбек шоирине ғенгаҳиди сақаритавилене Ҳөсса№8

Азбуқбеклар ბიн აბდუллаҳи үзбек шоирине ғенгаҳиди сақаритавилене რиცხვын, რომлებიც მონაწილეობას ღებულობდნენ 1578—1580 წლებში საქართველოში, შირვანში და დაღესტანში მუსტაფა ლალა ფაშასა და ოზდემირ-ოლლუ ისმან ფაშას მიერ მოწყობილ ლაშქრობებში. მისი თხზულების „ისმან ფაშას გამარჯვებათა წიგნის“<sup>1</sup> უმეტესი ნაწილი ეთმობა ისმალთაგან შირვანის დაბყრობას. საქართველოს შესახებ ცნობები ჰირითადად მოთავსებულია ოც გვერდზე (141 გვერდიდან), მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში ყველა ის ძირი-ი ადი მომენტია ასახული, რომელსაც ადგილი ჰქონდა თურქთა შემოსევის დროს და თუ გაეთვალისწინებთ ამ მოვლენების ამსახველი ქართული წყაროების სიმტკიცეს, მაშინ ჩვენთვის გასაგები ხდება როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილი სხვა ისმალური წყაროების, ისე ამ წყაროს მნიშვნელობაც.

აბუბექრი საქართველოში ისმალთა ლაშქრის შემოჭრის თაობაზე არას გვეუბნება. იგი ისმალური საისტორიო მწერლობისათვის დამახსიათებელი ტრადიციული შესავლის შემდეგ თხრობას თურქეთის სულთნის მურად III-ის (1574—1595) ბრძანებით იწყებს, აცხადებს, რომ „ქვეყნის რეგის და დიდებულმა შაპინზაპმა, არაბი და სპარსი მელიქების სულთანმა მურადის უმაღლესობამ, სელიმ ხანის ძემ ბრძანა, რომ სპარსთა ქვეყანაზე, შირვანშა და გურჯისტანის ვილაიეთზე ელაშქრათ... და გამარჯვების შარავანდელთ მოსილ ლაშქარს... დიდებული ბრძანებიდან სახელოვანი მუსტაფა ფაშა უსარდლა“<sup>2</sup>.

ჩვენი ავტორის ცნობით ლალა ფაშას 150 ათასი მოლაშქრე ჰყავდა<sup>3</sup>. ამავე რიცხვს უთითებს XVI საუკუნის ქურთი ისტორიის შერეფ ხან ბიოლისელიც<sup>4</sup>, აღისი და ისქანდერ მუნშის თქმით ისმალთა ლაშქარი 100 ათასს,

<sup>1</sup> თხზულების შესახებ იხილეთ: მ. ილურიძე, აბუბექრ იბნ აბდულლაჰი და მისი „ისმან ფაშას გამარჯვებათა წიგნი“, „გულანი“, თბ., 1989, გვ. 187—199.

<sup>2</sup> ابو بکر بن عبد الله، ظفر نامه عثمان پاشا

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>4</sup> Шараф-хан Бидлиси, Шараф-Наме, т. II, Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., 1976, ст. 235.

<sup>5</sup> عالیٰ نصر تنامہ گنبدی ٹھسیلہ، گلزاری ڈالماد س. გیجیს მიერ შესრულებული თარგმანით. იმის გამო, რომ მეცნიერის თარგმანი დაკარგვლია, გვერდებს ერ უთითებთ; ისქანდერ ფუნდის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული რეჟისტრი ქართული თარგმანითა და შესავლით ურთ გამოსულა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 28.

დონ ხუან სპარსელის მიხედვით 200 ათასში, კარმელიტი მისიონერების ცნობით კი 300 ათასს მეომარს ითვლიდა.<sup>7</sup>

ლაშქარმა მუსტაფა ფაშას მეთაურობით 986 წლის მუჰარემის დასაწყისში (1578 წ. მარტის მეორე დღესადა) სტამბოლი დატოვა და მის გარეუბან უსქერადში გადაინაცვლა.<sup>8</sup>

უსქერდარში თაობირისა და სამხედრო ოლუმის ჩატარების შემდეგ ლალა ფაშა აღმოსავლეთისკენ გაემართა. ამუშექრ ბინ აბდულლაპს ჩამოთვლილი აქვს ის ძირითადი გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც ლაშქარმა გაიარა, უსნია: სტამბოლი, უსქერადი, აზლათი (იზმითი), აზინი (იზნიქი), იენიშეპირი, ცოლადინი, აქშეპირი, ალდაინი (ილგინი), კონია, კისირი (კისერი), სივასი, არზრუმი<sup>9</sup>. როგორც ცხედავთ მუსტაფა ფაშამ უსქერდარიდან აღმოსავლეთით— არზრუმისკენ კი არ გადაჭრა გზა, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაიძრა, ჰიალწია ქ. კონიას და შემდეგ ისევ ჩრდილოეთით აუყვა. ეტყობა სარდალს ლაშქრის შეგროვება სურდა და გზაც ამიტომ დაიგრძელა.

არზრუმი იყო ბოლო პუნქტი, სადაც მთელმა ლაშქარმა მოიყარა თავი. იმას ოცი დღე დაჭირვებია. ეს დრო სამხედრო სამზადისისთვის მოუნდომებრათ. მეომრები ყოველდღე შუადღის შემდეგ ცხენებზე ამხედრებულნი ერთ-შეანეთს ეკიბრებოდნენ და ხანაც უხილაც მტკრს ყიფინას სცემდნენ. უკანას-კერელი აღლუმი ლაშქარმა 986 წლის ჭუმადას დასაწყისში (1578 წ. ივლისის დასაწყისი) არზრუმის ციხის უკან დევე ბორუნად (აქლემის ყელად) წილდებულ დაგილზე, გმირთა საფლავების მახლობლად გამართა. აღლუმშე აეტორის თქმით ზევლაზე მეტად ოზღვემიჩ-ოღლუ ისმან ფაშა გამოიჩინეოდა<sup>10</sup>.

კარმელიტი მისიონერებისა და ანონიმი ვენეციელი ვეტორის ცნობით არზრუმში გამართული აღლუმის შემდეგ ლალა ფაშას ერთი ტყვის ხელით სპარსეთის შაპისთვის წერილი გაუგზავნია და დამორჩილება მოუთხოვია<sup>11</sup>. „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნში“ ამის საპირისპირო ცნობას ვხვდებით. ოსმალთა ლაშქრის მოძრაობის დაწყებისთანავე ირანის შაჟ მუჰამედ ხუდაბენდეს (1577—1587) ერევნის ბეგლარბეგ თოქმაქ ხანისთვის შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნია: „შენ რომ თოქმაქ ხანი ხარ გეცნობოს, რომ რუმის ფალი-შაჟის გვეზირმა მუსტაფა ფაშამ 150 ათასი მეომრით ჩევნი საზღვრები დარბია და არზრუმის ვილაიეთში მივიდა. ახლა შენ, თოქმაქ ხანი, მუსტაფა ფაშასთან ცლი გააგზავნე (და გიგე), ამხელა ლაშქარი რომ შეპყარეს და მოვიდნენ რა უხდათ. თუ ჩევნთან ბრძოლა სწადიათ ჩევნც მოვემზადებით და თუ სხვა რამ აზრი აქვთ შეგვატყისმპინონ“. თოქმაქ ხანსაც მიმანდარი (მესტუმრებულუცესი) მურადი გაუგზავნია, რომელიც ლალა ფაშას არზრუმიდან გამგზავრების წინ ხლებია. ოსმალო სარდალს შემდეგი პასუხი გაუცია: „ამ კურთხეულ წელს

<sup>7</sup> ლონ ხუან სპარსელი, ვუთოებთ მ. სეანიძის „საქართველო-ოსმალეთის უზრუნველობის ისტორიიდან“ (XVI—XVII სს.)-ის მიხედვით, თბ., 1971, გვ. 100.

<sup>8</sup> A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 16, ვუთოებთ მ. სეანიძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 102.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 6—8.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 9—10.

<sup>11</sup> A Chronicle of the Carmelites in Persia, v. I, p. 16, ვუთოებთ მ. სეანიძის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 102; თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები (1577—1581), იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთ კ. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987, გვ. 22.

დანგრეულ ყარსს აღვადგენ და თუ უზენაესი ღმერთი მოწყალებას მოიღეს და გავამარჩვებინებს ქართულ ვილაიეთებს დავიმორჩილებო“<sup>12</sup>. შევნიშავთ, რომ მუსტაფა ალის ცნობით წერილი მიიღო და უპასუხა არა ლალა ფაშამ, არამედ არზომის ბეგლარბეგმა ბაქრამ ფაშამ<sup>13</sup>.

ლალა ფაშას ვარაუდით საქართველოსა და შირვანის დაყრობას სამი თვე დასჭირდებოდა. არტანში მას ჯარისთვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „წინ მტრის აღგილა და სამი თვეის სამყოფი სურსათი მოიმზადეთ“-ო<sup>19</sup>

მუსტაფა ფაშას არტანილანეე გაუზიავნია ათაბაგ ყვარლები 14-ის (1573—1581) ძმის მანუჩარისთვის მუქარით სავსე წერილი. იგი სწერდა: „შენ რომ ოქროსციხის პატრონი მანუჩარი ხარ გეცნობოს, რომ მე, რუმის ფადიშაპის მდაბალი კეზირი, ისლამის 150 ათასი მეომარითურთ შენზე მოვედი. თუ მოხვალ და ისლამის სარწმუნოების ფადიშაპის ლაშქარს შეეგებები და დაემორჩილები, ჩვენც შენი მდგომარეობის შესაფერ პატივს მოგაგებთ და

١٢- معاشرة زخارف نامه ٨٣

<sup>13</sup> نصري ماتم، سلیمانلورو گلوبه، 83-54b-56a، گرمهیجیت F. M. Kirzieğlu-ب فوجیلی Osmanlibar Kafkas-Ellerini Fethi (1451-1590)-ب گلپاروت، Ankara، 1976، 22، 285.

<sup>15</sup> 14. 83. 83. 14. حضرت سلطان هادی خان

<sup>16</sup> سوت سلطان مراد خان 4: 376-770 ب.

<sup>17</sup> *النحو والصرف*، دار المعرفة، بيروت، 1982، 13.

سرت سلطان مراد خان

<sup>19</sup> Al-İlahi, 13.

აუ არ დაგვინებდები შურს ვიძიობ, შენს ხალხს ავაწიოკებ და ვიღლაითს პროცესის გამოყენებაზე<sup>20</sup>.

ჭერ კიდევ ლაშვრობის დაწყებამდე მუსტაფა ლალა ფაშამ არჩნეულის ხელარბეგ ბაჰრამ ფაშას წერილი გაუგზავნა და სხვადასხვა პირობების შე- 1-რულებასთან ერთად ქართველთა განწყობილებისა და მოქმედების შეტყო- ბნება დავალა<sup>21</sup>. ცხადია, ყოველივე მის შემდეგ მას მშვენიერად ეცოდინე- ბოდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, მისი პოლიტიკური დაქუცმა- ცებულობა. ისიც ეცოდინებოდა, რომ 1576 წლის ივნისის ოვეში სამცხე- საათაბაკოში შინაური ომი და აშლილობა დაიწყო — ერთის მხრივ ათაბაგის ოჯახისა და მეორეს მხრივ, საათაბაგოს თავადებს შორის ძმები კოროლა და ლაშვარა შალიკაშვილების მეთაურობით<sup>22</sup>. მანუჩარისთვის წერილის გაგზავ- ნით კი ლალა ფაშა ცდილობდა ათაბაგთა ოჯახშიც უთანხმოება შეტანა და კიდევ უფრო იოლი გაეხადა სამცხე-საათაბაგოს დამორჩილება.

თხზულების ამ მონაცემში, სადაც ჩვენი ავტორი ლალა ფაშას არტანილან აყრასა და საქართველოსკენ გამგზავრებას ვვაუწყებს, ვვხვდება ერთი საინტერესო ცნობა: „...და ონიშოული ციხის სიახლოეს მდებარე ქართული ვილაიეთები და ოქროსციხედ წოდებული სიმაგრე ხათუნმა დაიპყრო და დაიმორჩილა“<sup>23</sup>. არტანის ციხის სიახლოეს მდებარე ქართული მიწები ხომ სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ, ხოლო მანუჩარის კუთვნილი ოქროსციხე კი მისი ჩრდილო საზღვარია, ე. ი. აბდუქექრმა ამ ფრაზაში ძუნწად, მაგრამ მაინც მოხაზა სამცხე-საათაბაგოს საზღვრები, ხოლო ხათუნი კი, რომელმაც დაიყრო და დაიმორჩილა ამ საზღვრებში მოქცეული სამცხე-საათაბაგო, იგივე ჭაიხოსრო II-ის ქვრივი, ყვარყვარე IV-სა და მანუჩარის დედა დელისიმედია, რომელიც აღმოსავლურ წყაროებში როგორც ცნობილია „ოქროსციხის ფადი-შაპისა“<sup>24</sup> და „დელისიმედი ხათუნის“<sup>25</sup> სახელით მოიხსენიება.

ამის შემდეგ ანუბეჭრი აღწერს ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიებისა და ციხეების დაპყრობას, კერძოდ, როგორც იგი გვამცნობს, არტაანიდან გასვლისთანავე ლალა ფაშას ქართული მიწები დაუმორჩილებია<sup>26</sup>, სახელ-დობრ რომელი ამის არ ასახელებს. სხვა წყაროების მონაცემებით მათში საზღვაორთან ახლო მდებარე ველის ციხე და მგლიციხე უნდა ვივარაუთოთ<sup>27</sup>.

20 233, 23, 13-14.

<sup>21</sup> نەھىيە، ۋەئۇرۇل بۇلىقا، 83. 21a—23a، ۋەتەنچىسى أ. فارزالىيەنلىك دەلىرىڭىز، „Труды Мустафы Али-Ефенди как источник по истории Азербайджана конца XVI века“-نى ئېتىۋات، 22. 53—54.

22 ଜ୍ର. ଶାହାଶିଂହ, ସାମିନ୍ଦ୍ରାତ ଶକ୍ତିରୁତ୍ୟେଲାଙ୍କ ବସନ୍ତରୀଳିଙ୍କ ମହାଲ୍ଲେଖି (XV—XVI ଶ୍ଶ.) ଠଦ., 1961, ପୃ. 155.

<sup>23</sup> *L'abbé Félix Gauvin*, 33, 13.

24 6. შენგავლია, ოსმალონ ისტორიკოსის მუნჯიშ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშის ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ — ქართული წყაროთმცოლნეობა, ტ. II, თბ., 1968, გვ. 136.

<sup>25</sup> نصـر تـنـاهـهـ، سـلـطـنـهـلـلـلـرـهـ، بـلـسـهـ، جـ3ـ: 68a—69a، وـلـتـهـلـهـلـهـ Kirzioğlu-სـ დـაـსـხـ. ნـაـშـრـო~მـიـსـ მـიـხـლـე~მـიـთـ، جـ3ـ: 288.

<sup>26</sup> طفو، نامه عثمانی، ۱۳-۸۳.

27 ଫେର୍. ଶାହୁମାନ ପାତ୍ର, ଡାକ୍ ବିଭାଗ, ନାଶିକ୍ ମହିଳା, ପୃ. 47; **ଚନ୍ଦ୍ରତମାନ**, ଅନୁଭବ ନେତ୍ରଶା: ନିଧାନପିଲି ଯୁଦ୍ଧରେ-  
ଏହି ଉତ୍ସବକୁ ବାଜେରାଣଟିକାରୀଙ୍କ ଦା ପାଇଁ ବିଶେଷ ଶ୍ରେଷ୍ଠବିନ୍ଦୁ, ତୁମ୍ଭେଲି ହାତରୁଲି ତାରଗମାନିତୁରିତ ଗମନସାର,  
ଶ୍ରେଷ୍ଠବିନ୍ଦୁ ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠବିନ୍ଦୁ ଡାକ୍ ବିଭାଗ କେବଳିମ୍ବ, ତଥ., 1964, ପୃ. 39; ମଧ୍ୟ କ୍ଷେତ୍ରରେ ମଧ୍ୟ ଶ୍ରେଷ୍ଠବିନ୍ଦୁ,  
ପୃ. 136.



როგორც თხზულებიდან ირკვევა, მტერი ქართველთა მხრიდან დიდ წინააღმდეგას შდევების წაწყდომია, ავტორს ქართველი მეოძრებისთვის საქებაში-უკავები უვდათ“.

მომდევნო ციხე, რომელიც ოსმალებმა დაიპყრეს ჩვენი ავტორის ცნობით ცეკვით თბილისის ანუ იგივე ქაჯის ციხე. ამ შეტევის არზრუმის ბეგლარბეგი ბაჰრამ ფაშა მეთაურობდა, როგორც სჩანს, ჩვენთვის უცნობ წინა ციხესთან შედარებით ამ ციხისთვის გამართული ბრძოლა კიდევ უფრო ფიცხელი გამოდგარა: „წყეულმა ურჯულოებმა ამათთან ძალიან ბევრი იომეს. ციხის შეგნიდა ისრით და ქვით დიდი ბრძოლა გაუმართეს“<sup>30</sup>. ბაჰრამ ფაშას საკუთარი ძალებით ციხის დამორჩილება გასჭირვებია და მხოლოდ მაშველი რაზის შემწეობით მოუხერხებია მისი ოლება<sup>31</sup>.

ოსმალთაგან ქაჯის ციხის დაპყრობა აღწერილია ასევე „მესხურ მატიანეში“<sup>32</sup>, ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიაში<sup>33</sup>, „პარიზის ქრონიკაში“<sup>34</sup> და XVI საუკუნის ვენეციელი ანონიმი ავტორის რელაციაში<sup>35</sup>. აქვე დავსძენ, რომ პირველში ეს ფაქტი რვა, მესამეში ხუთი და მეოთხეში თოთხმეტი ავგისტოთია დათარილებული. მუსტაფა ალის ნუსრეთ ნამეს სტაბბოლური ნუსხის შიხედვით ოსმალებმა თეორიუს დაიპყრეს, სტამბოლში გაგზავნილ არზაში კი ავტორი თეორიუსის ნაცვლად იენი-ყალას იხსენიებს<sup>36</sup>. იენი-ყალას უთო-ავებენ ასევე მუნეჯიმ-ბაში<sup>37</sup> და იბრაჰიმ ფეჩევია<sup>38</sup>, „მუჭიმე დავთრების“ (პირველოვანი სიგელების სარეესტრო დავთარი) XXVII ტომის 867 გვერდზე კი ნათქვამია, რომ „შეითან-ყალას იენი-ყალასაც უწოდებენ“<sup>39</sup>. შეითან-ყალა კი ისევე, როგორც თბილისის ციხე ქართულ-თურქულ ენაზე ქაჯის ცრხეს აღნიშნავს.

აბუბექრის ცნობით ქაჯის ციხისთვის გამართული ბრძოლის პარალელურად ჩილდირის ომიც დაწყებულა: „როცა მეომრები ამ ციხისთვის იბრძოდენ, იმ დღეს დიაბაქირის ბეგლარბეგმა დერვიშ ფაშამ მეწინავე რაზმთან ერთად მიმდებარე ტერიტორიის შემოვლისას შენიშნა, რომ ერთ ფერდობზე რამდენიმე მეოძარი გამოჩნდა... მიუახლოვდნენ და ნახეს, რომ გზასაცდენილი ყიზილბაშები არიან. თურმე ის წყეულები თოვმაქ ხანთან, ყარა ხანთან, დამყული ხანთან, ქიზიქ დოლუშ ხანთან და სხვა ცნობილ ხანებთან ერთად. სულ 40 ათასამდე, საბრძოლველად მოსულან“<sup>40</sup>. მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევისა და მუნეჯიმ-ბაშის მიხედვით ჩილდირის ომი იენი-ყალას დასაპყრო-

<sup>38</sup> ظرف نامه عثمان پاشا, გვ. 15—16.

<sup>39</sup> ქ. შარი შიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>40</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის შიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 721.

<sup>41</sup> ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი განვითარებულ მომზადა, შესავალი, შენიშვნები და სახიებლები დაურიც. გ. ალასანიმ, თბ., 1980, გვ. 50.

<sup>42</sup> ე. მამის თვალი შვილი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, გვ. 22—23.

<sup>43</sup> სტამბოლური ნუსხა, გვ. 69a. 70b—76b, კეთილგან B. Küfükoğlu-ს „Osmanlı-Iran siyasi münasebetleri.“ ტ. I (1578—1590)-ის მიხედვით, İstanbul, 1962, გვ. 51.

<sup>44</sup> ვ ნები ბაში, გვ. 146.

<sup>45</sup> იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 39.

<sup>46</sup> კუთარებით B. Küfükoğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 51.

<sup>47</sup> ظرف نامه عثمان پاشا, გვ. 16.



ండ గాంచితుల్లి భరమల్లి ఫరమ డంప్యుబుల్లా<sup>38</sup>, మాగ్రామ రోగమర్చ చుక్కొ అంగ్రేజులు నీశ్వేత ఐన్సి-పాల్మ ఇగ్రో క్షాఖిస ప్రిథే, అన్నిమిత్తి వెన్నెప్రార్పుల్లి వ్యాపారి కి తిర్మాని క్షాఖిస ప్రిథే ఉత్సాహిస్తాడ్స<sup>39</sup>. అంశిమిథాద్యు బ్రంబంత స్లాంమిల్ ల్యాష్యారి „మ్యె-ఎంప్యుస్ సాంగమంథ్ కిల్లండిరుల్ వ్యోల్చ్ మంగిడా దా అంగ్నిశ్నెల్ ప్రిథేశి గాంచిరండ్స“<sup>40</sup>, కిల్లండిరుల్ ప్రిథే కి థోగింధి మ్యెల్లోవారి క్షాఖిస ప్రిథేస్తాం అగ్గిప్పెట్స! న. తా-మ్యెరిసింగ్విసాం కిల్లండిరుల్ ప్రిథే ఇగ్రో క్షాఖిస ప్రిథే, ఇగి ట్యేరు; „...మంమింప్యున్ డ్లేస అంతూసి శ్వేమా సిస్కెల్లించా భరమల్లా గాంచిరంతా తంజ్మాజ్ కాన్ కిల్లండిరితాన్, ఉర్త తాతూసా క్షాఖితుల్ ప్రిథేస్తాన్, రంమేల్సాం క్షాఖిస ప్రిథే ఉష్టింప్యుధ్జెం“<sup>41</sup>.

అప్పుడ్జేరిస త్వమిత కిల్లండిరుల్ భరమల్లా డించిరాజీరిస భేగలూరుబెగ్మా డ్యేర్-వ్ర్యుష్ జ్ఞాశమ డాంప్యుప్, అంశిరుమిల్ భేగలూరుబెగ్మి భాక్రామ జ్ఞాశా దా న్యథమిఠ్-ఓల్లు ఉస్మాన్ జ్ఞాశా కి మంగ్వింగ్సెర్పిత కింగ్స్నెం<sup>42</sup>, అంశిసా దా జ్ఞాశ్యేర్విస బ్రంబిత కి ప్యించిల్-భాష్ కింగ్వెల్లాడ 40—50 ర్యుమేల్యోల్ మెండ్రమల్లి గాంచ్యుపార్లా దా ఏ సాథి సాందాల్లి మాత డాసాబెర్చెబ్లాడ శ్యేమింగ గాంశ్యూర్లా<sup>43</sup>. క్షెర్లి థారమిసాంగ్వెనొ, రంమ 40—50 మెంమాసి ప్యించిల్చాశ్తా మరొవాల్రింప్కెంగ్వానొ ల్యాష్యేర్విసింగ్విస ప్యించిల్చాశ్తా రాంచ్యెన్బిసి శ్యేసాంగ్ సెంగ్వాంసింగ్వా వ్యాపారి సెంగ్వాంసింగ్వా ప్రిఫ్రి అంగ్వి డాసాబెల్లె-శ్యుల్లి; మ్యుస్త్రాఫ్ అంగ్ దా ఒంగ్రాంపిం జ్ఞాశ్యేర్ ప్రి 30 అంశిస<sup>45</sup>, మ్యుంగ్యింపి-బాషి 29, 30 అంశిస<sup>46</sup>, అంశిమిథాడ్ ప్రి 50 అంశిస<sup>47</sup>, అన్నిమిత్తి వెన్నెప్రార్పుల్లి వ్యాపారి 57 అంశిస<sup>48</sup>, సెంసిల్ సిట్రింగ్విసెబ్ధిం డాప్యర్లంబిత అంగ్రెబాంగాన్సెల్ మెంగ్యుపార్లి అ. ఉప్పుండింగ్వి 15 అంశిస<sup>49</sup>, అండ్లుల్ అంగ్ ప్యార్లా క్షెల్చెబి-థాండ్ ప్రి 24 అంశిస<sup>50</sup> అంగ్వెల్లెబ్బె) థినొంల్మింగ్వింగ్ శా గాంచ్తిం. అప్పుడ్జేరిస శ్యేమింప్కెంగ్వాన్లి బ్రంబిస సాంధ్రమింగ్ డాసింగ్వుల్లి మ్యుంగ్యింపి-బాశిస సిట్రింగ్విం: „శ్యేమింగ వినొంధాన మంగిడా బ్రంబా, రంమ క్షెల్చుర్-సాండిసి గాంగ్వెబ్లుల్ తంజ్మాజ్ కాన్, ప్యార్లా కాన్, గాంగ్సిస గాంగ్వెబ్లుల్ మిం ప్యాల్లుం-కాన్ దా సెంగ్వెబొ, స్వుల్ నీరాన్కెల్తా క్షెర్లా కాన్, 30000 ట్ర్యు 20000 కురొత కిల్లండిరుల్ గ్యుల్చ్ డాంబాన్కాండ్రున్ దా వ్యెంగ్ అప్పుడ్జేబ్ మెంగ్యింప్కెంగ్వున్, అంగ్రెబి డించిరాజీరిస భేగలూరుబెగ్మి డ్యేగ్లాంబ్యు-డ్యుగ్ ప్యెర్వోశ్ జ్ఞాశా తావిసి ఏంగ్లెతి ల్యాష్యిరిత మాత థినొంల్మింగ్వు గాంగ్చింగ్వున్<sup>51</sup>. ఇగ్గిప్పె గ్వామింగ్బిస రాంశిమిథాడ్రెప్: „డ్యెగ్వోశ్ జ్ఞాశమ ప్యార్లాంగ్లుంశొ ప్యాంట్-ఎంసిస మెంగ్రె మెంగ్రె కిల్లంరమింగ్బుల్ అంగిలాస గాంగ్సిస మొంత్వెల్లి మింమ్యుల్లి-

<sup>38</sup> 33. స్తుమ్మిల్లుర్ క్షుస్సొ, గా. 70b—76b, వ్యుతొంగ వి. Kütükoğlu-స డాసాబెల్లె-శ్యుల్లి న్యాశ్యిమిల్ మింగ్వెంగ్, గా. 52; నీంగ్రాంపి జ్ఞాశ్యేర్, గా. 39; మ్యుంగ్యింపి డాశిం. 33. 146.

<sup>39</sup> గ. మామిస త్వాల్ శ్యుల్లి, త్వార్జెత-సెంసిల్ సెంగ్విసింగ్విస అంగ్ దా జ్ఞాశిర్మింగ్విస కార్తువ్వెల్లుల్ మెంగ్రె, 33. 22—23.

<sup>40</sup> గ. జ్ఞాశిర్మింగ్విస ప్యార్లా క్షెల్చెబి, 33. 14.

<sup>41</sup> T. Kirzioğlu, డాసి. న్యాశ్యిమి, గా. 289, 473; మామిస త్వాల్ శ్యుల్లి స. డాసి. న్యాశ్యిమి, 33. 42.

<sup>42</sup> I. Hammer, Geschichte des Osmanischen Reichs, ప. 4, Wien, 1829, గా. 64.

<sup>43</sup> 43. జ్ఞాశిర్మింగ్విస ప్యార్లా క్షెల్చెబి, 33. 16, 17.

<sup>44</sup> 44. జ్ఞాశిర్మింగ్విస, న్యాశ్యిమి, క్షెల్చెబి, 33. 39.

<sup>45</sup> నీంగ్.

<sup>46</sup> మ్యుంగ్యింపి-బాశి, గా. 136.

<sup>47</sup> 47. జ్ఞాశిర్మింగ్విస ప్యార్లా క్షెల్చెబి, 33. 14.

<sup>48</sup> గ. జ్ఞాశిర్మింగ్విస ప్యార్లా క్షెల్చెబి, త్వార్జెత-సెంసిల్ సెంగ్విసింగ్విస అంగ్ దా జ్ఞాశిర్మింగ్విస కార్తువ్వెల్లు, 33. 23.

<sup>49</sup> O. Эфендиев, Азербайджансское Государство Сефевидов в XVI веке, Баку, 1981, с. 150.

<sup>50</sup> 50. గ. లాసాంగొ, అండ్లుల్ అంగ్ ప్యార్లా క్షెల్చెబి-థాండ్ ప్రి 33. 103. సాంగ్రమింగ్విస కార్తువ్వెల్లు, VI, నీంగ్, 1976, గా. 103.

<sup>51</sup> మ్యుంగ్యింపి-బాశి, గా. 136.



ხანი, სარდლად დანიშნული დაუმორჩილებელი თოქმავი, რამდენიმე განვითარებულ ლოვანი სულთნი და 50 ათასზე მეტი მეომარი შენიშნა. ზემოხსეცის კულტურულ ცაში სურვილი ვეღარ დაიყვა და ვარსკვლავებივით მრავალრიცხვან ჭარს ერთი ბეგლარბეგი შეეწინააღმდეგა<sup>52</sup>. ევვე შევნიშნავთ, რომ ოსმალთა რაზძის რაოდენობას ანონიმი ვენეციელი ვეტორი 33 ათასით, სპარსელთა ლაშქრისას კი 57 ათასით<sup>53</sup>, იბრაჰიმ ფეხევი და მუნეჯიმ ბაში ირანელთა რაოდენობას 30 ათასით<sup>54</sup>, რაჰიმიზადე ჩავუში კი 50 ათასით<sup>55</sup> საზღრავს. როგორც ვედავთ, მოტანილი ციფრები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თავდაპირველად ოსმალონი ყიზილბაშებზე გაცილებით ნაკლები ყოფილან.

ჩილდირის ოში უამრავი მებრძოლი დაიღუპა. როგორც აბუბექრი ამბობს „ადამიანთა სისხლისგან მწარი შავი ტიტის ფერი გახდა და ცხენთა ფლობებისგან ბამბასავით დარბილდა“. გვიან დილით დაწყებული ბრძოლა ძილისწინა ნამაზისათვის ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ყიზილბაშთა ნაწილმა სიბნელით ისარგებლა, ზოგი ბალაზში ჩაიმალა და ზოგი კიდევ ქვას ამოეფარა. ერთი ნაწილი ყიზილბაშებისა ისმალუბმა ხელთ იგდეს და შეორა დილით ლაშქრის წინ თავები დააყრევინებს<sup>56</sup>. რაჰიმიზადეს ცნობით იმ დღეს 1000-ზე მეტი ყიზილბაშისთვის მოუკვეთიათ თავი<sup>57</sup>, სელიანიქი ტყვედ ჩავარღნილთა რაოდენობას ორი ათასით<sup>58</sup>, ალი და იბრაჰიმ ფეხევი ხუთასით<sup>59</sup>, მუნეჯიმ-ბაში კი ხუთი ათასით განსაზღვრავს<sup>60</sup>. ამ გამარჯვებას ოსმალთათვის კიდევ ერთი სასიხარულო მებავი დაერთო, მეორე დღეს მუსტაფა ლალა ფაშის მანუჩარი ხლებია. ისმალუბი მას დიდი ზარ-ზეიმით შეცვედრიან. ლალა ფაშის ბრძანებით იანიჩრები წინ შეგებებიან მანუჩარს, მაგრამ არა მისი პატივისცემის ნიშნად, არამედ როგორც ჩვენი ავტორი ამბობს „დიდებისა და შამაცობის საჩვენებლად“. ლალა ფაშის თავისი კარვის სიახლოეს ყიზილბაშთა მოჭრილი თავები და გვამები დაუყრია, რათა მანუჩარზე ზემოქმედება შეიხდნა და თავის სიძლიერე და შეუბრალებლობა ეჩევნებინა. ამ სურათის დანახვას ქართველებზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია: „ფაშის კარავთან რომ მოვიდნენ და ეს დაყრილი გვამები და თავებისგან აგებული ზეინები დაინახეს, შემოდგომის ქარივით აუნკალდნენ, გაფითრდნენ და გრძნობა და გონება დაეკარგათ“-იმ წერს ავტორი<sup>61</sup>. იმავე დღეს ლალა ფაშის მოუწვევია დღვანი, რომელსაც მანუჩარიც დასწრებია, მაგრამ მისვლამდე მანუჩარს ოსმალო სარდალთან ელჩი გაუგზავნია და უზენაეს კარში მისასვლელად თან-

<sup>52</sup> ظفر نامه حضرت سلطان مراد خان، 83. 14.

<sup>53</sup> გ. მამისოთვალიშვილი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 83. 23.

<sup>54</sup> იბრაჰიმ ფეხევი, 83. 39; მუნეჯიმ-ბაში, გვ. 136.

<sup>55</sup> ظفر نامه حضرت سلطان مراد خان، 83. 14.

<sup>56</sup> ظفر نامه عثمان پاشა.

<sup>57</sup> ظفر نامه حضرت سلطان مراد خان، 83. 15.

<sup>58</sup> გ. ფუთურ რიპე, შესტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები № 91, თბ., 1960, გვ. 262.

<sup>59</sup> نصر تابه، ვენერი ნუსხა, გვ. 62; იბრაჰიმ ფეხევი, გვ. 40.

<sup>60</sup> მ ნ ე ჭ ი მ -ბ ა შ ი, გვ. 136.

<sup>61</sup> ظفر نامه عثمان پاشا.

ხმობა უთხოვია, რაზედაც რა თქმა უნდა დასტური მიუღია<sup>62</sup>, მანუჩარს ასევე დილიანა  
ასმალეონის ხაზინის სასაჩვებლოდ ჯიზიას გადახდაც უკისრია<sup>63</sup>.

ჩილდორის ბრძოლის შემდეგ მისვლა მანუქარის მეორე მისვლა იყო. ორგორც აბტექტი გვამცნობს, ფრე კიდევ ჩილდორის ომაძღვა არტაანში ხლებია იგი ისმალო სარდალს და სურსათ-სანოვაგვ მიუტანია<sup>64</sup>. მისი პირველი მისვლა არტაანში ფუქსირებულია ასევე „მესხურ ქრონიკაშიც“: „აგრეთვე არცაქსად პირებონა ექუსით ციხითა და პატრინს მანუქარს თან მიყყუა“<sup>65</sup>; ორგორც მატანებია ნათქვამი ეს მისვლა ორ აგვისტოზე აღდე უნდა მომხდარიყო<sup>66</sup>. მანუქარის მიერ სურსათის მიტანას თავისი მიზეზი ჰქონდა; ის რომლალა ფაშამ მისდამი გაზიარებილ წერილში სანოვაგის მიწოდებაც დაავალა<sup>67</sup>.

ჩილდირის ამში ოშალთა გამარჯვების შემდეგ მანუჩარს სხვა გზა არ ჰქონდა, მათ სამსახურში უნდა ჩამდგარიყო და სარწმუნოებაც მათი მიეღო, ამუბექრის თქმით კი იგი ისლამის სარწმუნოების უპირატესობაში დარწმუნებულა და ამიტომ ზიარებია მას, სახელად კი მუსტაფა უწოდებით<sup>68</sup>. მანუჩარის გამაპმადიანებას ჩილდირის ბრძოლის მეორე დღეს ადასტურებენ ასევე ბეჭმედ ბენ მეპმედი, ქათიბ ჩელებით<sup>69</sup> და მუნევიმ-ბაშით<sup>70</sup>. მ. სვანიძე კი კონსტანტინეპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის ცნობაზე დაყრდნობით 1579 წლის 25 ივნისით ათარიღებს<sup>71</sup>. იგვე წელია ონიშნული ასევე 1579 წ. 9 დეკემბრით დათარიღებულ პუქმეშიც, რომელიც თურქეთის სულთანმა მურად III-ემ ჩილდირის ვილაიეთის ბეგლარბეგ მანუჩარს გაუგზავნა<sup>72</sup>.

აბუბექრისაც ცნობით მანუჩარისთვის ოლთისის ლიკა მოუციათ სანგა-  
ყად<sup>73</sup>. ოლთისის ლიკა „მესხური მატიანის“, ვახუშტი ბატონიშვილის და „პა-  
რიზის ქრონიკის“ მიხედვით ყვარყვარე IV-საუკუნის უბოძებიათ<sup>74</sup>. იგივეს იმეო-  
რებენ მუსტაფა ალი და მუნეჯიმ-ბაში, ამსათან უმატებენ, რომ მანუჩარს  
აშეულის სანგაყა გადაეცა<sup>75</sup>, მაგრამ, როგორც ზემოაღნიშნული ჰუმიდან ირ-

<sup>62</sup> 15- 83- ظفر نامه حضرت سلطان مراد خان

63 0330, 83. 16.

<sup>64</sup> ظفو نامه عثمان داشا، 33، 15.

65 ପ୍ରକ୍ରିୟାରେ ଶବ୍ଦାଳ୍ପିନୀ, ଲୋକାଙ୍କ, ନାମିକାମିତି, ୩୩-୪୧.

66 *o33*, 23, 49, 164.

<sup>67</sup> نصہ، تفاصیل۔ گرجیوں کی بحث میں۔

83. 21. ظرف نامه عثمان داشا

70 3 7 6 0 8 0 0-8 0 3 0, 33: 137.

71 Յ. Ա Յ Ա Ն Ո Ւ Յ Ե, Պահանջ. Խաթրամո, էջ. 134.

72 ც. ა ბ უ ლ ა ბ ე , სამცხე-სათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები), „მრავალ-თავი“, XV, თბ., 1989, გვ. 200, 202.

<sup>73</sup> ظفر نامہ عثمان پاشا، 21- 83.

<sup>74</sup> جن. ڈاکٹر ڈیوڈ ڈالس، ناٹروریٹر، 23. 51. گاہروٹی، 23. 722؛ ڈاکٹر ڈیوڈ ڈیلی،

<sup>75</sup> 40 نصراً تما، 33-34 65-66، 33. 72b، 34-35 A. فارزالiev-ov လိပ်စာမျက်နှာ၊ 33-34 65-66 အတွက် 33-34 65-66

گزگار، 1579 წლის ბოლოსათვის ზოგიერთ სხვა რაიონებთან ერთად მანუჩარის-თვის აწყურის ლიგა წაურთმევიათ<sup>76</sup>.

მანუჩარისადმი ოლთისის გადაცემის შესახებ ცნობა, როგორც თანამე-დროვე თურქი მეცნიერი ი. დანიშენდი აღნიშნავს, დაცულია სხვა იმალურ ჭყაროში<sup>77</sup>, მაგრამ სახელდობრ რომელში, ამას არ უთითებს. საგულვებელია, ი. დანიშენდი აქ ჩვენი ავტორის თხზულებას გულისხმობს.

„ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნში“ ქართველებსა და ოსმალებს შორის სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე აღვაყალასთვის (თეთრციხისათვის) გამარ-თული შეტაკება ბოლო ბრძოლა იყო. ჩილდირის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ხანაპიროზე მდებარე ეს ციხე ლალა ფაშას მოსვლამდე არტაანის ბეგ აბდურ-რასმის დაუყარია. სარდალს კი შივ მცველები ჩაუყენებია და თოფ-იარალით ეზრუნველუფაი... ოსმალები ქართველთა მხრიდან აქაც მეღვარ წინააღმდე-ვობას წაწყდომიან<sup>78</sup>.

როგორც ვხედავთ ქართველებს ოსმალთათვის სამცხე-საათაბაგოში სა-ადრისი პასუხი ვერ გაუციათ. აღგილი ჰქონდა მხოლოდ ცალკეული ციხეების-თვის გამართულ შეტაკებებს, თუ არ ჩაეთვლით ჩილდირის ომს, რომელშიც ოსმალების წინააღმდევ უმეტესად ყიზილბაშები იბრძოდნენ, თუმც ქართველი შეომრებიც იყვნენ, მაგრამ ცოტანი<sup>79</sup>. სამცხე-საათაბაგოს მთელი სამხედრო ძალის გაერთიანება რომ ვერ მოხერხდა, ამის მიზეზი მასში ატეხილი შინაური იმი იყო. როგორც მ. სვანიძე შენიშნავს, „საქართველოს მეფე-მთავრები თავისი პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ“<sup>80</sup>, იმას კი არ ფიქრობდნენ თუ ასეთი პოლიტიკა ხვალ და ზეგ თვითონ მათ რა სიკეთეს მოუტანდა. სა-ქართველოს დაქუცმაცებულობით ისარგებლა ისმალმაც და არზრუმიდან ცირის შემდეგ სულ რაღაც ერთ თვეში გაიარა სამცხე-საათაბაგო და აღვა-დლის დამორჩილებიდან მეათე დღეს უკვე თბილისში შევიდა<sup>81</sup>.

თბილისის ამშების აღწერას თხზულებაში სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი. აბდექრი ირანის შაპის მიერ ქართლის გამგებლად დანიშ-ნულ სიმონ მეფის (1556—1569, 1578—1600) ძმას დავითს, დაუთ-ხანად წო-დებულს (1569—1578) ყიზილბაშ ხანად ისხენიებს. თბილისში შესვლისას ოს-მალთა ლაშქარს არავთარი წინააღმდევობა არ შეხვედრია. ქალაქი ცარიელი დახვდა, მოსახლეობა გახიზნულიყო<sup>82</sup>. იგივეს გვამცნობენ მუსტაფა ალი<sup>83</sup>, სელიანქი<sup>84</sup>, იბრაჰიმ ფერევი<sup>85</sup> და მუნეჯიმ-ბაში<sup>86</sup>; იბრაჰიმ რაპიმიზადეს ცნო-ბით კი: „დაუთ-ხანმა, წარმოშობით ქართველმა, ბრძოლა მიიღო და შეა-

<sup>76</sup> ი. აბუ ლადე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიუმი, გვ. 198, 200, 203.

<sup>77</sup> I. H. Danişment. İzahî Osmanlı Tarihi kronolojisi, ტ. III, İstanbul, 1961  
83. 22.

<sup>78</sup> ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 21.

<sup>79</sup> მ. სვანიძე, ლასახ. ნაშრომი, გვ. 108.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>81</sup> ظفر نامه عثمان پاشا, გვ. 22.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> نصرتىما، ვენისი ნესხა.

<sup>84</sup> سელიანქის ისტორია, გვ. 263.

<sup>85</sup> იბრაჰიმ ფერევი, გვ. 41.

<sup>86</sup> მუნეჯიმ-ბაში, გვ. 137.



ლამისს მიატოვა ციხე<sup>87</sup>. ამის შემდეგ დაუთხანი ტყესა და ველს აღარ გადასცემა თავს, მტერიც მის სამყოფელს გაიგებდა თუ არა, მაშინვე თავს ესხმოდა და ისიც იძულებით ეგმებოდა ბრძოლაში, რომელშიც ავტორის თქმით ოსმალო ინარჩვებდა<sup>88</sup>.

რაპიდიზადეს ცნობითვე „ყოველდღიური და სიმშიდემოწყურებული, დაუანტული რეას თავის ადგილზე ბრუნდებოდა. წარჩინებულმა კაცებმა ფალი-შაჰის უპირატესობა აღიარეს... და მათი უმეტესობა თავის კარ-მიდამოს დაუბრუნდა“<sup>89</sup>.

აბუბეკრის თქმით თბილისიდან მუსტაფა ლალა ფაშას კახეთის მმართველ ალექსანდრესთან (1574—1605) სარუსანის სანჯაყბეგ კარტას ბეგის ხელით შერილი გაუგზავნია. რა თქმა უნდა, მასაც მორჩილებისკენ მოუწოდებდა. ალექსანდრემაც, როგორც ვონიერმა პოლიტიკოსმა, მიღო მისი წინადაღება და ოსმალო სარდალს თბილისიდან გასვლის მეორე დღეს „ერთი სოფლის შახლობლად“ შეეგება<sup>90</sup>. რაპიდიზადე ნაწილობრივ აზუსტებს შეხვედრის ადგილს. მისი თქმით იგი მდ. ქაბურის (იორის) მარცხენა სანაპიროზე მომხდარა<sup>91</sup>, მესსხურ ქრონიკაში კი კონკრეტულადაა დასახელებული სოფლის სახელი — სათისკალა<sup>92</sup>, მაგრამ როგორც ჩანს მანამ, სანამ ეახლებოდა, ალექსანდრე მეფემ მუსტაფა ფაშასთან წინასწარი მოლაპარაკება გამართა. ამას გვადექტებინებს მუსტაფა ალის ცნობა იმის შესახებ, რომ კახეთის მეორე 30 ავგოსტოს იორამ ბეგი გაუგზავნია მასთან, თავად კი პირველ სექტემბერს ხლებია ოსმალო სარდალს<sup>93</sup>. ამას გარდა გამორიცხული არაა, რომ სწორედ იორამ შეეს მიეტანა ოსმალოსთვის ალექსანდრეს მიერ გაგზავნილი სურსათი, რალკაცხაც როგორც ყარა ჩელები-ზადე და სელიანიქი გვამცნობენ, ალექსანდრემ კა არ მიიტანა, არამედ გაუგზავნა სურსათი<sup>94</sup>.

ალექსანდრეს მორჩილებით გახარებულმა ლალა ფაშამ მასაც ისეთივე შეხვედრა მოუწყო, როგორც მანუჩარს; ქვირფასად ნაქარგი სამოსი უბოძა, თავისისავე ვილაიეთში სანჯაყი მისცა, „ხარაჯის გადახდა დაკისრა და პირობა ჩამოართვა, რომ შემდეგში ფადიშაპის ბრძანებას არ გადავიდოდა“<sup>95</sup>. იბრაჰიმ ფეჩევისა და შერეფ ხან ბითლისელის ცნობითაც ალექსანდრე მეფეს ხარაჯის გადახდა დაეკისრა<sup>96</sup>. მუსტაფა ალი ხარაჯის ნაცვლად ჭიშიას<sup>97</sup>, მუნევემბერი კი მალს წერს<sup>98</sup>. ალექსანდრე მეფისთვის შეწერილ გადასხადდა ხარაჯი, ჯიზია თუ მალი იქნება დასახელებული ამას მნიშვნელობა არა აქვს, რაღაცაც კაბაშვილის განმარტებით „სათათო მალი“ და „ხარაჯა“ უცხო დამცყრო-

<sup>87</sup> 88. ظفر نامه حضرت سلطان مراد خان.

<sup>88</sup> ۷۳.

<sup>89</sup> ظفر نامه عثمان پاشا 83. 23—26.

<sup>90</sup> ظفر نامه حضرت سلطان مراد خان 83. 18.

<sup>91</sup> ქრ. შარა შოთა, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

<sup>92</sup> ظرف نامه، ვენერი ნუსა, გვ. 76a, კუთაშემთ A. ფარვალის ლიტერატურის მიხედვით,

<sup>93</sup> 75

<sup>94</sup> 93 ყარა ჩელები-ზადე, გვ. 104; სელიანიქის ისტორია, გვ. 264.

<sup>95</sup> ظرف نامه عثمان پاشا 83. 27.

<sup>96</sup> ۹۶ ۱۸۶۰ ფებრუარი ۲۰, გვ. 42; III არაფ-ხან ბილლისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

<sup>97</sup> ۹۷ ۱۸۶۰ ფებრუარი ۲۰, გვ. 147.



ჩელთა სასარგებლოდ დაწესებულ ხარჯს ეწოდებოდა<sup>98</sup>. ხარჯიდ უნიტარული გულვოთ ჯიზიაც, ვინაიდან როგორც გ. ფუთურიძე შენიშნავს, იგი ხარჯის სინონიმური შესატყვისია<sup>99</sup>. ოსმალთა მიერ კახეთისათვის დაწესებულ გდა-ა-ახადად ხარჯია ასევე მოხსენებული საქართველოს ისტორიის ნარკვევებშიც<sup>100</sup>.

შევნიშნავთ, რომ ჩვენი ავტორი ისევე როგორც მუსტაფა ალი და შერეფ ხან ბითლისელი, იმდროინდელი ტრადიციის თანახმად ალექსანდრეს ნაცვლად ხშირად წერს ლევანს.

აბუბექრის ცნობით არეშიდან უკან გამომგზავრების შემდეგ ლალა ფაშას ერთი ორი დღე თბილისში შეუსვენია, მეციხოვნებისთვის ცოტაოდენი სურ-სათი დაუტოვებია და შემდეგ არზრუმისკენ აუღია გეზი, მაგრამ ეს მგზავ-რობა — თბილისიდან არზრუმამდე — ოსმალთათვის არც თუ ისე უხიფათო გამომდგარა. ჯერ ერთი, რომ სიცივეებმა, თოვლმა და წყალდიდობამ მოუს-ტრო, რის გამოც დიდი გაჭირვება გადაიტანეს, მაგრამ ყველაზე მეტად რთული ის იყო, რომ ქართველები კვალში ჩაუდგნენ და უმეტესად ჩამორჩენილებს ხოცავდნენ და ძარცვავდნენ<sup>101</sup>. მუსტაფა ალისა და მინადოის ცნობით ოსმალთა დაწილება სიმონ მეფისა და იმამყული ხანის თაოსნობით ხდებოდა<sup>102</sup>.

ამის შემდეგ აბუბექრი დაწვრილებით აღწერს თბილისის ალყას, რო-ცელსაც სიმონ მეფე, იმამყული სულთანი, ხალიფა ანსარი და დოლმაზ ბეგი შეთაურობდნენ. ალყა თოხი თვე გაგრძელებულია. მეციხოვნები შემშილისა და გასაჭირისგან მარაშის ბეგლარბეგ მუსტაფა ფაშას უხსნია. როგორც ჩვენი ატორი ამბობს: „წყალმა ყიზილბაშმა ისლამის ლაშქრის მოსკოვი რომ გაი-გო სახე გაუშავდა და ყველაზე საკუთარ მამულს მიაშურა“—ო<sup>103</sup>.

თბილისის ციხემ აბუბექრის ცნობით სურსათ-სანოვაგის სახით ერთხელ კიდევ მიიღო დახმარება. ამჯერად ოსმალთა ექსპედიციას მეთაურობდა სულთ-ნის მიერ ახლადდანიშნულა სარდალი სინან ფაშა<sup>104</sup>. თუ როდის მოხდა ეს, ამის შესხებ ჩვენი ავტორი არას ამბობს. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მთელ თბილებაში არც ერთხელ არ უთითებს ზუსტ თარიღს, მხოლოდ თვის დასაწყისის, შეა რიცხვებისა და თვის დასასრულის აღნიშვნით ქმაყოფილდება. მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ამ შემთხვევაში არც ამას არ უთი-თებს, თუმცა გამოანგარიშებით დაახლოებითი თარიღის დადგენა მაინც ხერხ-დება. სინან ფაშა თბილისში 1580 წლის აგვისტოს დასასრულს მისულია. იბრა-ჰიმ ფეხევის ცნობითაც ამ ფაქტს 25 აგვისტოს მომდევნო დღეებში ჰქონია დღიოლი<sup>105</sup>.

<sup>98</sup> ვ. გ. ა ბ. ა შ ვ ი ლ . ი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში. თბ., 1958, გვ. 251.

<sup>99</sup> გ. ფ უ თ უ რ ი ბ ი ძ ე. გადასახადები და საგადასახადო სისტემა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957, გვ. 256.

<sup>100</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 129.

<sup>101</sup> شاپاش عثمان نامه طفر، 83—101.

<sup>102</sup> نامه تمهیض، ვენერი ნუსხა, გვ. 113ab, კუთითებთ A. ფარვალის დისერტაციის მიხედ-ვით, გვ. 94; მინალი, გვ. 84—85, კუთითებთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV-ე ტომის მიხედვით, გვ. 130.

<sup>103</sup> شاپاش عثمان نامه طفر، 83—102—104.

<sup>104</sup> იბ. ა შ ვ ი ლ . ი. გვ. 132.

<sup>105</sup> იბ. ა შ ვ ი ლ . ი. ფ ე ჩ ე ვ ი ლ . ი. გვ. 61.

1579 წლის ამბების, კერძოდ მუჰამედ გირეი სულთნის მეთაურობით მოწყობილი ყირიმელი თათრების შემოსევის აღწერისას აბუბექრს ნახსენები აქვს ქ. ზაგემი. იგი თათართა ერთ მაჩბიელ რაზმს გაუძარცვას<sup>106</sup>. ვენეციელი ანონიმი ავტორის გნომარტებით ამ თავდასხმის მიზეზი ის იყო, რომ როცა ულყაშემორტყმულმა ოსმან ფაშამ ქართველთა მეფეს სურსათით დამარება სოხვა, მან უარი შეუთვალა და განაცხადა: ალარ მსურს თურქების მოკავშირედ ყოფნა, სპარსელები უკეთესნი არიანო“<sup>107</sup>.

ასეთია აბუბექრის ცნობები XVI საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესახებ. როგორც ვნახეთ, ცნობათა უმეტესობა დასტურდება ქართულ, სპარსულ, ევროპულ და სხვა ოსმალურ წყაროებში, რაც აბუბექრ ბინ აბდულლაჰის თხზულების სანდოობაზე მოუთითებს.

М. А. ИЛУРИДЗЕ

## СВЕДЕНИЯ АБУБЕКРА БИН АБДУЛЛАХА О ГРУЗИИ

### Резюме

Предлагаемая статья касается экспедиций, проведенных в 1578—1580 гг. Мустафой Лала пашой и Оздемиром-оглы Осман пашой против Грузии, Ширвана и Дагестана, участником которых являлся автор сочинения «Книга побед Осман Паши» — османский историк Абубекр бин Абдуллах.

Будучи очевидцем описанных им событий, Абубекр правдиво рассказывает о вторжении османов в Грузию, взятии крепости Кадж, Чылдырской битве, а также об экспедициях, проведенных бейлярбеем Мараши Мустафой пашой и Синан пашой.

Привлеченные автором сочинения факты находят свое подтверждение в грузинских, персидских, европейских и других османских источниках, что свидетельствует о достоверности сведений, приведенных Абубекром.

<sup>106</sup> ظفر نامه عثمان پاشا, 83. 124.

<sup>107</sup> ე. მამის თვალი შვილი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 83. 39.

ლალი ალექსი-გიგიაზოლი, იუნიდა ჭიდიძე

## ხილნაზერთა საცავების ჰაერიზან გამოყოფილი სოჭოების სახეობრივი ზოგადებელობა

ჩვენს მიერ წინა წლებში შესწავლილი იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავების ჰაერის მიკოფლორა და გამოცდილ იქნა მის წინააღმდეგ ბრძოლის სევადასხევა საშუალებები.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ობის სოკოების იმ წარმომაღვენლებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ხელნაწერთა საცავის ჰაერისათვის და ხელნაწერებზე არ აღნიშნულია. სულ შევვხდა 26 სახეობის სოკო, რომელიც ჩვეკუთვნება 9 გვარს (*Mucor*, *Mortierella*, *Thamnidium*, *Cunninghamella*, *Ckaetocladium*, *Ckoanephora*, *Aspergillus*, *Penicillium*, *Cephalosporium*. ცეცნია:

### *Phyomycetes*

#### *Mucor flavus* Baiu

Наумов Н. А. Определитель Мукоровых., 1935. стр. 31.

მიცელიუმი ჰაეროვანი მონაცრისფრო-ყვითელი.

სპორანგიათმტარები სწორი, სიმპოდიალურად დატოტვილნი.

სპორანგიუმები ნაცრისფერი  $28,5-48 \times 10,5-36\mu$ .

სპორები როგორც ოვალური  $7,5-13 \times 4,5-6\mu$ . ასევე . სფეროსებრი  $4-3\mu$  დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან ივნისში.

#### *Mucor griseo—ochraceus* Naumov

Пидопличко Н. М., Милько А. А., 1971, стр. \*9.

#### Атлас Мукоральных грибов.

კოლონიები ქეჩასებრი რუხი ნაცრისფერი ღია აშიით. ქვედა მხარე შევია. სპორანგიათმტარები არასწორმდგომი, სიმპოდიალურად დატოტვილები. სპორანგიები რუხი. სპორები, როგორც სფეროსებრი  $6-13,5\mu$  — ასევე ცალინდრულები  $7,5-13,5 \times 6-10\mu$  გამოყოფილია ჰაერიდან ნოემბერში.

#### *Mortierella longicollis* Dixo—Stew

Пидопличко Н. М., Милько А. А., 1971, стр. 12.

#### Атлас Мукоральных грибов.

კოლონიები ჭუჩასებრი, ჯერ თეთრი მერე მკრთალი ვარდისფერი. ქვედა მხარე — ვარდისფერია. სპორანგიათმტარები ძაფისებრი, სწორმდგომი სპორანგიები სფეროსებრი,  $10-15\mu$  დიამეტრის.

სპორანგიოსპორები მოგრძო  $2-6 \times 1-3\mu$ , უფერული. გამოყოფილია ჰაერიდან მაისში.

*Thamnidium elegans* Link.

*Sun, Thamnidium vantieghemis* Berk. et Br

Пидопличко Н. М., Милько А. А., 1971, стр. 82.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

*Cunninghamella homothalica* Kom

Пидопличко Н. М., Милько А. А., 1971, стр. 99.

Атлас мукоральных грибов.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

*Chaetocladium brefeldii* v. Tiegh. et le Mat.

Пидопличко Н. М., Милько А. А., 1971, стр. 101.

Атлас мукоральных грибов.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

*Choanephora Cucurbitorum* (Berk. et Kav.) Thest.

Пидопличко Н. М., Милько А. А., 1971, стр. 87.

Атлас мукоральных грибов.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

*Deuteromycetes*

*Aspergillus albus* Bain. et Sart.

Курсанов Л. И., 1947, стр. 43,

Определитель родов *Aspergillus penicillium*.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

*Aspergillus aureus* Bain.

Курсанов Л. И., 1947, стр. 41.

Определитель родов *Aspergillus* и *Penicillium*.

гълъбовидни гъби с кърпеста обикновено със синьо-зелени пъпки. Същинските гъби са синьо-зелени, със синьо-зелени пъпки.

უფერული 3—4,5 $\mu$  დიამეტრის, გამოყოფილია საცავის ჰაერიდან ოქტომბერში.

*Aspergillus flavipes* (Baen) Thom et ch.

Syn: *Sterigmatocystis flavipes* Bain et. Sart.

Пидопличко Н. М., 1953, стр. 235, грибовая флора грубых кормов.

Курсанов Л. И. 1947, стр. 43 Опр. род. *Penicil.* и *Asperg.*

მიცელიუმი დასაჭყისში თეთრია, შემდეგ ნარინჯისფერ-ყავისფერი. ქვედა მხარე მოყვითალო. კონიდიათმტარები სადა, 2 $\mu$  სიგრძის, ყვითელი. ბუშტი მრგვალი, 8—10 $\mu$  დიამეტრის. სტერიგმები ორი წყების. პირველი წყების  $5\frac{1}{2} \times 2\frac{1}{3}$  მ მეორე წყების  $5\frac{1}{2} \times 1,52$  კონიდიები მრგვალია, სადა, უფერული 1—3 $\mu$ . ხშირი კომპონენტია ჰაერის მიკროფლორის.

*Aspergillus japonicus* Saito.

Курсанов Л. И. 1947, стр. 38.

Опр. грибов *Aspergil.* и *penicil.*

კოლონიები ხავერდოვანი, სადა, შავი ფერის. ქვედა მხარე შავი. ბუშტი მრგვალი 20—30 $\mu$ , სტერიგმები,  $7,5 \times 5$ —5,5 $\mu$  კონიდიები მრგვალი 4—4,5, დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან ივლისში.

*Aspergillus Mencieri* Sart. et Thom.

Курсанов Л. И. 1947, стр. 31.

Опр. грибов *Penicil.* и *Aspergil.*

კოლონიები დასაჭყისში მუქი-მწვანე, სიბერეში მურა. ქვედა მხარე შავი. სტერიგმები ერთჯერადი. ბუშტი მრგვალია 30—45 $\mu$ . კონიდიათმტარის ფეხი უფერულია, სადა. კონიდიები ეკლიანია, მოყავისფრო ყვითელი. კლეისტო-დაბიები დიდი რაოდენობით აკლიპორები მოყავისფრო  $10,5 \times 4$ —4,5 $\mu$ , გამოყოფილია ჰაერიდან ივლისში.

*Aspergillus quereinus* Bain.

Курсанов Л. И., стр. 40.

Опр. грибов из родов *Penicil.* и *Aspergil.*

კოლონიები მონაცრისფრო-ყვითელი. ქვედა მხარე ლიმონის ფერი. კონიდიათმტარები უფერული, სადა. სტერიგმები 10—10,5 $\mu$  სიგრძის, კონიდიები მრგვალია, სადა, უფერული 4—4,5 $\mu$  დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან ოქტომბერში.

*Aspergillus tamarii* Kita.

Пидопличко О. М., 1953, стр. 238, грибная флора грубых кормов.

Курсанов Б. И., 1947, стр. 36., Опр. родов *Penicil.* и *Aspergil.*

კოლონიები ვართხმული, მიცელიუმი ფაფუკი ჭერ თეთრი შემდეგ ნარინჯისფერი. ქვედა მხარე უფერული. კონიდიათმტარები 2—3 $\mu$  სიგრძის, უფერული, 10—15 $\mu$  სისქის. სტერიგმები  $7\frac{1}{2} \times 3\frac{1}{3}$ —3,5 $\mu$  კონიდიები მსხლი-სებრი 5—7 $\mu$  დიამეტრის. ხშირი კომპონენტია ჰაერის მიკოფლორის.

*Penicillium atramentosum* Thom.

Курсанов Л. И., 1947, стр. 69.

Опр. родов *Penicil.* и *Aspergil.*

კოლონიები ხავერდოვანი, სადა, ჭერ მწვანე შემდგომ მურა. ქვედა მხარე შავია. კონიდიათმტარები სადა, სწორმდგომი. მტევანი ასიმეტრიულია. მე-

ტულები 8—11,5  $\mu$  სიგრძის. კონიდიები ელიპსოიდური, სადა  $3,5—4,5 \times 2,5—3 \mu$ , გამოყოფილია ჰაერიდან თებერვალში.

*Penicillium auranteo-albidum* Biourge.

Курсанов Л. И., 1947, стр. 77.

Опр. родов Penicil. и Aspergi1.

კოლონიები ბამბისებრი, დასაწყისში მოყვითალო თეთრი, შემდგომ მუქი ხაცრისფერი-მოლურჯო. ქვედა მხარე ნარინჯისფერი. კონიდიათმტარები მოლურული. მტევნები ასიმეტრიული. მეტულები  $12,5—13 \times 1,5—3 \mu$  სტერიგ-მები  $7—8,5 \times 3 \mu$ , კონიდიები ოვალურია, სადა  $3,5—4 \times 3 \mu$ . გამოყოფილია ჰაერიდან დეკემბერში.

*Penicillium cincereum* Wistl. et Caul.

Курсанов Л. И. 1947, стр. 105.

Опр. грибов из родов Aspergi1 и Penici1.

კოლონიები ჭერ თეთრია, შემდეგ ნაცრისფერი, სადა. კლეისტოკარპიები შავი, ასკოსტორები მოგრძო, მურა  $6—7,5 \times 3—4 \mu$ . გამოყოფილია ჰაერიდან იანვარში.

*Penicillium digitatum* v. *californicum* Thom.

Курсанов Л. И., 1947, стр. 64.

Спред. грибов из родов Penici1 и Asp.

კოლონიები ხავერდოვნი, თეთრი. ქვედა მხარე უფერული. კონიდიათმტარები სწორმდგომი, სადა. კონიდიები მოგრძო, უფერული  $4,5—8 \times 2,5—6 \mu$ . გამოყოფილია ჰაერიდან აპრილში.

*Penicillium fellutanum* Biourge.

Пидопличко Н. М., 1953, стр. 209, грибная флора грубых кормов  
Курсанов Б. И., 1947, стр. 58, Опр. грибов из род. Penici1 и Aspergi.

კოლონიები დანაოჭებული, ხავერდოვანი, მომწვანო-ლურჯი. სიბერეში ხაცრისფერი. ქვედა მხარე მოვარდისფრო-ყვითელი. კონიდიათმტარები  $10—30 \times 2—3 \mu$ . კონიდიები ელიფსური ფორმის  $2—3 \times 1,5—2,5 \mu$ , გამოყოფილია ჰაერიდან იანვარში.

*Penicillium notatum* Westl.

Курсанов Л. И., 1947, стр. 67,

Опр. грибов из родов Penici1 и Asperg.

კოლონიები ხავერდოვანია, ბრტყელი მოლურჯო-მწვანე თეთრი არშით. ქვედა მხარე ყვითელია. სტერიგმები  $10—14 \times 3,5—4 \mu$ , კონიდიები მრგვალი  $3—4$  დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან მაისში.

*Penicillium pfefferianum* Wehm.

Курсанов Л. И., 1947, стр. 107.

Опр. грибов из род. Penici1 и Asperg.

კოლონიები ბამბისებრი, მონაცრისფრო-მწვანე, ქვედა მხარე მოყვითალო, კონიდიათმტარები დაუტოტავი  $65,5—70,5 \times 3 \mu$ , სტერიგმები  $9—13,5 \times 3,5 \mu$ , კონიდიები მრგვალი, სადა, პარარები  $2—2,5 \mu$  დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან იანვარში.

*Penicillium purpurrescens* Sopp.

Курсанов Б. И., 1947, стр. 57.

Опр. грибов из родов Penicil. и Aspergil.

კოლონიები ბაბბისებრი, მწვანე, მიცელიუმი კარგად განვითარებული. ქვი-  
და მხარე მოწითალო-შავია. კონიდიათმტარები სადა, კონიდიები მრგვალი,  
უკლებიანი 5—6,5μ დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან იანვარში.

*Penicillium Rivolii* Zaleski.

Пидопличко Н. М., 1953, стр. 217; грибная флора грибных кормов.

Курсанов Л. И. 1947, стр. 80. Опр. грибов из род. Penicil. и Aspergil.

კოლონიები რადიალურად დანაოჭებული, ცენტრში მოზნექილი, მონა-  
კრისფრო-მწვანე. ქვედა მხარე ყვითელი. კონიდიათმტარები მოკლე. სტერი-  
გმები, 9—10×2—2,5μ, კონიდიები საღა, მრგვალი 2—2,5μ. გამოყოფილია  
ჰაერიდან ივნისში.

*Penicillium rubellum* Bicurg.

Курсанов Л. И., 1947, стр. 79.

Опр. грибов из родов Penicil. и Aspergil.

კოლონიები ფაფუკი, მოვარდისფრო, ქვედა მხარე რუხი წითელი. სტერი-  
გმები 8—11,5×3—4μ, კონიდიუმები საღა 2,5—3×1,8—2μ, გამოყოფილია  
ჰაერიდან ზაფხულში.

*Penicillium Szaferi* Zal.

Курсанов Л. И., 1947, стр. 72.

Опр. грибов из родов Penicil. и Aspergil.

კოლონიები ხავერდოვანი, დანაოჭებული, მომწვანო-ყვითელი, ქვედა მხა-  
რე — ყვითელი. კონიდიათმტარები ოდნავ მოღუნული. მეტელები 12—13,5×  
3—4μ, სტერიგმები 8,5—10×2—2,5μ, კონიდიები მრგვალი საღა 2,5—4μ  
დიამეტრის. გამოყოფილია ჰაერიდან შემოდგომაზე.

*Cephalosporium humicola* Oudem.

Пидопличко М. М., 1953, стр. 176. грибная флора грубых кормов.

კოლონიები ფაფუკია, მოწითალო-ვარდისფერი. ქვედა მხარე ვარდისფერი.  
კონიდიათმტარები 100—200μ. კონიდიები საღა, უფერული, მრგვალი 2,5—  
3,5μ, გვხვდება ჰაერში სექტემბერში.

Л. Г. АЛЕКСИ-МЕСХИШВИЛИ, И. Э. ДЖИКИДЗЕ

## ВИДОВОЙ СОСТАВ ГРИБОВ, ВЫДЕЛЕННЫХ ИЗ ВОЗДУХА ХРАНИЛИЩА РУКОПИСЕЙ

### Резюме

Уз воздуха хранилища выделено 26 видов плесневых грибов специфичных только для воздуха хранилища, которые не были встречены нами на рукописях.

## სარჩევი О ГЛАВЛЕНИЕ

ვ. გაბიძე შეილი, ორიგინალური ჰავითგრაფიული მწერლობის ზოგიერთი ხაյითხი . . . . .	3
Э. П. Габидзашвили, Некоторые вопросы оригинальной агиографической письменности . . . . .	37
Б. გოგუაძე, გრიგოლ სომებთა განმანათლებლის „ცხოვრების“ თეოფილე ხეცეს- მონაზონისეული თარგმანი . . . . .	38
Н. Д. Гогуадзе, «Житие Григория Просветителя» в переводе Феофила Иеромонаха . . . . .	58
ლ. ასობაძე, „იოვანე ღეროვის ცხოვრების“ თეოფილე ხეცესმონაზონისეული თარგმანი . . . . .	59
Л. Т. Ахобадзе, «Житие Иоанна Златоуста» в переводе Феофила Иеро- монаха . . . . .	68
შ. ვავავარიანი, დავით ტბელის მთარგმნელობითი მეთოდის ზოგიერთი თავი- სებურება . . . . .	69
М. Д. Мачавариани, Некоторые особенности манеры перевода Давида Тбели . . . . .	84
რ. რაფაელ, „თარგმანთავისა“ და „წედადართულის“ გავებისათვის გრიგოლ ნაზიან- ზელის პომილიათა ეფოვიმე მთარგმიდლის თარგმანის მიხედვით . . . . .	85
М. А. Рапава, К пониманию комментариев с „tavgmantagani“ и „zedadartuli“ к гомилиям Григория Назианзина по переводу Евфимия Мтацминдели . . . . .	92
ქ. ბეზარი შვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პომილის კომენტარების ანონიმური ქარ- თული ვერსია . . . . .	93
К. П. Безарашвили, Анонимная грузинская версия комментариев поэзии Григория Назианзина . . . . .	106
ც. კიკნაძე, ვასილ მათეს ძე ჭილაძე — რუსეთის აკადემიის ლექსიკონის მთარგმნელი Л. А. Кикнадзе, Василий Матвеевич Чиладзе — переводчик Словаря Ака- демии Российской . . . . .	107
ბ. უტიე, ევსევის ეპისტოლისა და სახარების „სასწაულების“ უძველესი ქართული ვერსიები . . . . .	116
Б. Утье, Древнейшие грузинские версии послания Евсевия и списков «чудес» Евангелия . . . . .	117
ს. სურაგულაძე, სასისხლო სიგელები, როგორც ქართული წერილობითი დო- კუმენტური წყაროების დამოუკიდებელი სახეობა . . . . .	124
М. К. Сургуладзе, Грамоты о цене крови, как видовой источник . . . . .	125
	145
	181



გ. მცენარე, გუდარების მონასტრის მაშენებელი — რუსულან დელთვალი . . . . .	147
Г. О. Мchedlidze, Царица Русудан строительница Гударехского монастыря	147
ხ. ხუციშვილი, „ერთთა და შვილთა მნათობთა“-ს რამდენიმე ასტროლოგიური ტერმინის შესახებ . . . . .	153
Н. М. Хуцишвили, Об астрологической терминологии трактата «О долинах и сакральных знаках и о семи планетах» . . . . .	163
<del>ა. ილურიძე, აბუბექრ ბინ აბდულაბის ცნობები საქართველოს შესახებ . . . . .</del>	164
М. А. Илуридзе, Сведения Абубекра бин Абдуллаха о Грузии . . . . .	175
ლ. ალექსე-ი-მესხიშვილი, ა. ჯიკიძე, ხელნაწერთა საცავების პარიფაზ გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შედეგნილობა . . . . .	176
ლ. Г. Алекси-Месхишивили, И. Э. Джикидзе, Видовой состав грибов, выделенных из воздуха хранилища рукописей . . . . .	180

დაიბუკება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სამეცნიერო-საგამოშეცემლო საბჭოს დადგენილებით

სტ. 4696

გამოსცემლობის რედაქტორი ნ. ებრა ლიძე  
მხატვარი გ. ნადირაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკაქტორი ნ. ბოკე რია  
კორექტორი დ. ჩხეიძიანი

გათავისუსაფრთხოებას 11.3.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.11.1992;  
ქაღალდის ზომა  $70 \times 1081/16$ ; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მიღალი;  
გარნიტურა ვენური; პრობითი საბეჭდი თაბახი 16.1;  
საალბოცემ-საგამოშეცემლო თაბახი 12.7;

ტირაჟი 100.

შეკვეთა № 548.

ფასი სახელშეკრულებო.

---

გამოსცემლობა მეცნიერება, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



МРАВАЛТАВИ, XVII  
(на грузинском языке)

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»  
1992

4014/

